...ლო ბეჭედი... თბილისი – შიგ...®
www.tbiliselebi.ge
№45 (671) ...-10 ნოემბერი ფასი 1,50 ლარი



გვ. 74
რა პირობით გამოუშვა ცოლ-შვილმა შვეიცარიიდან თემო გოგიძე და როგორ აღმოჩნდა ის კომედიურ სერიალში

გვ. 15
ვის ტყავში შეძვრა ელენე კალანდაძე და რას ასწავლიდა მისი პედაგოგი მაიკლ ჯექსონს

გვ. 50
რისი ამოჩემება იცის გიორგი მახარაშვილმა და რის „გაიასნებას“ სთხოვდა მას მაია დარსმელიძე



რატომ ცხოვრობდა ზაქარია ქუცნაშვილი ზურაბ ადეიშვილთან ერთად და როგორ მოხვდა ის „შავ სიაში“

გვ. 14



გვ. 19
რა სიურპრიზი მოუწყო ლილიკო ნემსაძეს შვილმა, ანი ბახტაძემ



რატომ მოსწონს ლევან დოინჯაშვილს სასიკვდილო ნომრების შესრულება და რა ულტიმატუმებს უყენებენ მას გოგონები

გვ. 70



გვ. 72
რატომ დაასაჩუქრეს კოდორში ჩასული ნორა კვიციანი აფხაზებმა ფეხსაცმლით და ვის გაუჩინეს ნევროზი მისმა მეგობარმა პატიმარმა ქალებმა ციხის გარეთ

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ტურისტული კომპანია
„საქართველო“

ტურისტული სააგენტო საქართველო

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის: ყოველ შაბათ-კვირას ტურისტული კომპანია „საქართველო“ გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით, სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ და მოინახულოთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. ავტობუსები ყოველ შაბათ-კვირას დილის 8 საათზე გადის სპორტის სასახლიდან.
ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ტური ჩატარდება ნებისმიერი ამინდის პირობებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე: ტურისტული კომპანია „საქართველო“

# სარჩევი

რა აქტივობები იგეგმება ვაშინგტონში ქართველ დევნილთა უფლებების დაცვის კუთხით, მიეცემათ თუ არა ახლობლების საფლავების მონახულების უფლება და რატომ აუჯანყდა რუსული მედია აფხაზებს ........ 6

რა უფლებები ექნებათ ქართველ მომხმარებლებს ახალი კანონით და რატომ ეშინიათ საქართველოში არსებულ ლაბორატორიებს ქართულ ბაზარზე არსებული საქონლის ხარისხის შემოწმება ........ 8

რამდენი ავტომანქანა ჰყავთ თავდაცვის მინისტრის მოადგილესა და მის მეუღლეს ........ 9

რაში „გადააგდო“ მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმირ პუტინი და როგორ აფასებს ვალერი ხაბურძანია დავით თევზაძის განცხადებას ტრიუმვირატის მიერ ხელისუფლების აფხაზეთში გაცვლაზე ... 10

ამერიკის რომელ ვიცე-პრეზიდენტს უწოდებდნენ „პატარა დიქტატორს“ და რატომ ითვლება რიჩარდ ნიქსონის ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდი სკანდალურად ........ 12

რომელი მილიარდერის კუნძულზე იღებდნენ სერიალ „დაკარგულებს“ და რის გამო ვერ ყიდიან კუნძულს ონასისის ოჯახის წევრები ........ 13

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

რას განიცდის მამაკაცი ღალატისას და როდის არის ის გაორებული ........ 20

20 წლის ბიჭი ბიოლოგიურ დედას თბილისში ეძებს ........ 21

როგორ ატარებდნენ დროს აბანოში თბილისელი ქალები და როგორ დაახასიათა თბილისის აბანოს მექისე პუშკინმა ........ 23

როგორ ვრცელდება საქართველოში თანამედროვე ერესი და რატომ სჭირდებათ ქრისტიანებს საკუთარი არცოდნის აღიარება ........ 24

ვინ არის ბრაზილიელი ვარსკვლავის – ნეიმარის შვილის დედა და რომელი ბრიტანელი ფეხბურთელი უწოდებს მას „ფეხბურთის ჯასტინ ბიბერს“ ........ 26

რა გაიბა ლანა ღოღობერიძესა და ფრენსის ფორდ კოპოლას შორის და როგორ დაშორდნენ ერთმანეთს ლანა ღოღობერიძე და რეზო თაბუკაშვილი ..... 30

როგორი ადამიანები „ინფიცირდებიან“ შთაგონებით, „ზემოდან“ გამოგზავნილი სასჯელით........32

რას ცდილობს უშედეგოდ ჰოლივუდის ვარსკვლავი კიანუ რივზი და როგორ იშიფრება მისი სახელი ჰავაურ ენაზე........34

სად და რა ვითარებაში გარდაიცვალა სტალინის მამა....35

შეკითხვა ასტროლოგს ........ 36

ვინ გაძარცვა მოსკოვის „ცუმი“ და როგორ გაიტანა იქიდან 5 მილიონი მანეთი ........ 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ....... 51

ფლორის სამყაროში ........ 56

როგორ მოხვდა გისოსებს მიღმა თაღლითი ცოლ-ქმარი, რომლებიც სხვადასხვა დროს ხელოსნებად და მაკლერებად ასაღებდნენ თავს ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 58

სერიული მანიაკები ........ 66

რის ჩუქებას აპირებს საქართველოს ახალი პრეზიდენტისთვის ნიუ-იორკში მცხოვრები მხატვარი დევიდ დათუნა და როგორ უწინასწარმეტყველა მან საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ბარაკ ობამასა და ვლადიმირ პუტინს ........ 71

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვარსკვლავების ჩამქრობები

## „ვინ აპრძალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე – ვასკვლავები“

მართალია, ამ საქმეს **საფუძველი აწ ქართული პოლიტიკის ავანსცენიდან გაუჩინარებულმა, თუმცა**, როგორც მოარული ხმები უბნობენ, **კვლავ მთებს თავფეხშექიდებულმა** ბ-ნმა **თორთლაძემ ჩაუყარა** (ვგულისხმობ საბჭოთა სიმბოლიკის წინააღმდეგ თავგადაკლულ ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე), მაგრამ, **მის მიერ ჩაგდებულმა თესლმა ნაყოფი გამოიღო**.

ყოველ შემთხვევაში, **გამოიღებს, ვინაიდან, დეპუტატებმა თამარ კორძაიამ და ლევან ბერძენიშვილმა კანონპროექტი მოამზადეს**, რის მიხედვითაც, **კომუნისტურ-ტოტალიტარული სიმბოლიკის განმთავსებელი 1 000 ლარით დაჯარიმდება.**



კანონის ავტორები ამბობენ, რომ კანონპროექტის **მიზანია კომუნისტურ-ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოფხვრა** (ჩემდა თავად, დავამატებდი – და, ბიუჯეტის შევსებაც). შესაბამისად, ცვლილებების შეტანა იგეგმება „თავისუფლების ქარტიასა“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.

ბუნებრივია, კანონპროექტის **მიზანი კეთილშობილური და საშურია,** მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ტოტალიტარიზმის მსხვერპლთ სახელმწიფო მათხოვრულ კომპენსაციას უხდის**, გასაკვირია, **ამ მიმართულებითაც რატომ არ შედის შესაბამის კანონებში ცვლილებები** (ალბათ, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ბიუჯეტს მოაკლდება), იმას გარდა, რომ **უცნობია, რა ბედი ელის საბჭოთადროინდელ შენობებზე განთავსებულ სიმბოლიკებს** (ჯარიმა ბიუჯეტმა უნდა გადაიხადოს თუ საბჭოთა სიმბოლიკებს მოაფშვნიან?!). სხვათა შორის, კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, **ტოტალიტარიზმის სიმბოლოებთან მებრძოლთა ქვეყანაში ვარსკვლავებით მოოჭვილი ცის ბედიც ბუნდოვანია**.

# იდეათა სამჭედლო

## იდეების იმპორტიორი

თუკი **ნაცარქექია ქვიდან წვენს ადენდა**, უდავოა, რომ **ვერც ჩვენს ხელისუფალს** (თითქმის უკლვებლივ ყველას) **დავუკარგავთ უნიკალურ უნარ-ჩვევას**, ჯერ ერთი, **საფუძვლიანად ამოუცარიელოს საქართველოს ისედაც ჯიბეცარიელ მოქალაქეს ჯიბეები** და, მეორე მხრივ, **ზეძლიერი მაგნიტივით მიიზიდოს ფული**.

შესაძლოა, სწორედ **ამ უნარის დასტურია** გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაცია, **რომ საქართველოს მთავრობა იუსტიციის სახლების მოწყობის იდეას ყიდის** (იდეა, ანუ, „ყველაფერი ერთ სივრცეში“). ყიდის, რადგან, **რაკი „თაფლი“ არის, „ბუზი ბაღდადიდან მოვიდა“.**



სახელდობრ, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, **სამხრეთ აფრიკა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, თვით არგენტინაც კი და, აგერ, ჩვენი მეზობელი თურქეთიც, ფრიად მოხიბლულან ამ „ყველაფრით ერთ სივრცეში“.** შესაბამისად, **მობაძვის სურვილიც გასჩენიათ**. ხოლო, რაკი ჩვენს **წინდახედულ წინა მთავრობას ეს იდეა დაუპატენტებია, ყიდვა მოუწევთ**.

მართალია, **იდეის ღირებულება ჯერ არ დადგენილა,** მაგრამ, რადგან ამჟამინდელები წინანდელებზე არანაკლებ მარიფათიანები ბრძანდებიან, **შესაძლოა, იუსტიციის სახლის იდეა ნაწილ-ნაწილ გაიყიდოს**.

იმის გათვალისწინებით, რომ **ამ ჩვენს ქვეყანაში ექსპორტი იმპორტს სამჯერ აღემატება, საექსპორტო საქონლის ნუსხაში იდეის დამატება მხოლოდ მისასალმებელია**.

ხოლო, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ **ამ იდეის შემქმნელ-დამპატენტებლები** (ცხადია, „ნაცმოძრაობა“ მყავს მხედველობაში) **იმ არაჩვეულებრივი უნარითაც გამოირჩევიან, როგორიც შავის თეთრად გასაღებაა** (შეგახსენებთ, რომ 2008 წელს რფ-ის პრ.-ს მიერ აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ აღიარების შემდეგ, ჩვენი იმჟამინდელი ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ არასდროს ვყოფილვართ ისე ახლოს ტერიტორიულ მთლიანობასთან, როგორც დღეს ვართ), **იქნებ, ეს ჩვენი ბიუჯეტი მათი იმპორტითაც შეგვევსო?!**

# აღფრთოვანებულები და დაშოშმინებულები

## ჩაგვისხით წყალი!

თუკი აქამომდე **ჩვენს სტრატეგიულ თუ, უბრალოდ, პარტნიორებს სახეზე დიდ კმაყოფილებას ვერ ვატყობდით ჩატარებული არჩევნების გამო** და ოდენ **იმით გვაგულიანებდნენ, რომ, საერთო ჯამში, არჩევნები დადებითად** ჩატარდა, **საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ** ვითარება, უფრო ზუსტად, შეფასება, რადიკალურად გაუმჯობესდა: **სახეზე არათუ კმაყოფილება, თვით აღფრთოვანებაც კი ეტყობოდათ.**



**ასე განსაჯეთ, თვით** „ნატოს“ გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ბ-ნმა **აპატურაიმ, თავი ვერ შეიკავა** და **სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზეც კი შეგვაგულიანა.**

**მოლოცვა იმდენად თბილია და ექსპრესიული**, რომ მოვერიდები საკუთარი სიტყვებით გადმოცემას და **ციტატას მოვიშველიებ**: „გილოცავთ, საქართველო! საერთო შეფასებით, ეუთოს ჩათვლით, **თქვენ ჩაატარეთ სამართლიანი, ნამდვილი დემოკრატიის ღირსი, კარგად ორგანიზებული არჩევნები. ყოჩაღ!“**

ჩვენ, **ბუნებრივია, შექება შევიფერეთ**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ აგერ უკვე კარგა ხანია, „ნატოს“ ღია კართან ვყურყუტებთ, თუ მთლად წევრობისთვის არა, **რაკი ასე უსიამოვნიათ, იქნებ, აუზში წყლის ჩასხმისთვის მაინც გამოგვეკრა ხელი?!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# პირნაცვალნი

**თუკი აქამომდე**, ანუ, საპარლამენტო არჩევნებამდე, **ქართული სასამართლოები გამამტყუნებელი განაჩენისკენ იყვნენ მიდრეკილნი** და **გირაოს, როგორც ასეთს, არ ცნობდნენ** (რითაც **თმას ყალყზე არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, თვით ჩვენს უცხოელ პარტნიორებსაც უქოჩრავდნენ**), 2012 წლის **შემდეგ ფერი, უფრო ზუსტად, პირი იცვალეს: გირაოსაც მიეძალნენ** და, ზედაც, გამამართლებელ **განაჩენებსაც**.



უფრო მეტიც, **თუკი იქამომდე პროკურორებს ცივ ნიავს არ აკარებდნენ** და, სიტყვის შებრუნებას ვინ ჩივის, მშობელ დედაზე **ტკბილად უნანავებდნენ**, აწ ლამის **ჩირადაც აღარ ულირთ** (რა – პროკურორი და რა – წვრილმანი ხულიგანი). ისიც კი გვინახავს, მაგალითად, **სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესზე პროკურორი ბრალდებულებს მობილურ ტელეფონს რომ გადასცემდა და ამას მოსამართლე ვერ ხედავდა.**

ოღონდ, **ეს მაშინ იყო, როდესაც „დემოკრატიის შუქურა“ ვიყავით** (თუმცა, პროკურორები იგინივე არიან). **აწ კი სიო სულ სხვა მიმართულებთი უბერავს.** მაგალითად, გასულ კვირას, რაკი ბაჩანა **ახალაიას სასამართლო პროცესის შემდეგ მოქალაქესა და პროკურორს შორის** სასამართლოს ფოიეში **სიტყვიერი შელაპარკება სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაზრდილა** (ერთი ისაა, რომ მანდატურებს აღარ მიუღიათ ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაზრდა), **მოქალაქეცა და პროკურორიც 500-500 ლარით დაუჯარიმებიათ** (რადგან, სასამართლომ აღნიშნული სასამართლოსადმი უპატივცემულობად შერაცხა!!!).

## გაარჩნია, რა შემთხვევაში

უფრო ადრე, ვანო **მერაბიშვილისა და** ზურაბ **ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესზე, ბ**-ნმა **ჭიაბერაშვილმა სასამართლო დარბაზში პროკურორს „ნაბიჭვარი“ უწოდა**, თუმცა, **რაკი არავინ დაუჯარიმებია, გამოდის, რომ სასამართლომ ეს უპატივცემულობად არ ჩათვალა.**

დღესავით ნათელია, რომ **პროკურორის დაჯარიმება დემოკრატიას მხოლოდ თუ წაადგება,** მაგრამ, **კვლავ ბუნდოვანი: „ნაბიჭვრის“ წოდება რატომ „მოსულა“?!** თუ, **როცა გუბერნატორი ილანძღება, იგულისხმება, რომ მისი სკამი გლოცავს?!**

# დუმილი ოქროა

## ანუ, რამდენი ნულია მილიონში?

მართალია, **მთლად გამართული ქართულით მეტყველებით ვერ დაიკვეხნიდა** (ლადო **ვარძელაშვილი,** პირადად მე, **სიტყვა „შვიშტოკით“ დამამახსოვრდა**), თუმცა, **მეტად ნორჩ ასაკში გუბერნატორობაც მოასწრო და მინისტრობაც**, ოღონდ, ცხადია, რომ **ამჟამად ჩამოშორებულია პოლიტიკურ ავანსცენას.**

მაგრამ, **მისი დავიწყების საშუალება არ გვეძლევა.** უფრო ზუსტად, **ამჯერად მისმა მეორე ნახევარმა არ მოგვცა ამის საშუალება**. ბუნებრივია, ქ-ნი **ონაშვილი უკმაყოფილოა არჩევნების შედეგებით, განსხვავებით** ბ-ნი **აპატურაისგან** (ანუ, ის **„არ ეთანხმება შექსპირს, სადაც ის ამბობს: არარაობავ: დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“),** ამიტომაც, **თავს უფლება მისცა, რჩევა-იდეა გამოეთქვა.** კერძოდ, ამ უკანასკნელის **აზრით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ განათლებულ ხალხს უნდა ჰქონდეს** (სამწუხაროდ, არ დაუკონკრეტებია: „შვიშტოკებით“ თუ „ბეზ“).



მოვიხმობ ციტატას: **„ხომ შეიძლება, რომ ამ ბრბოს არ ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი** (როგორ? არც მაშინ – „შვიშტოკები“ თუ ექნებათ?!)!“

ხოლო, რაკი **კეთილ ხალხს, აბა, რა დალევს ამ დუნიაზე**, ქ-ნ **ონაშვილს უმალ გაუხსენეს სატელევიზიო ეთერი, როდესაც მან დაასახელა, რამდენი ციფრია მილიონში.**

თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ **„განათლებულებში“ ქ-ნი ონაშვილი საკუთარ თავს არ გულისხმობდა,** შესაბამისად, **შეურაცხყოფაც არავისთვის მიუყენებია** (რაკი საკუთარი თავი უგულისხმია). მეორე მხრივ, **მართალია, თვითკრიტიკულობა მისასალმებელია, მაგრამ, არც ასეთი წრეგადასული ვარგა**: ბოლოს და ბოლოს, **სულ ცოტა წავარჯიშებაც ეყოფა მრავალნიშნა რიცხვების ცნობას** და, ამდენად, **არჩევნებში მონაწილეობის მიღებასაც**.

**მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# ცალკალოშიანი ხელგაშლილობა

## ფული – გამოხეულ ჯიბეში

გასულ კვირას ამ ჩვენს ქვეყანაში **დაზოგვის კვირეული გაიმართა** და **მსოფლიო დაზოგვის დღეც აგერ უკვე მეორედ აღინიშნა.** ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას, ბუნებრივია, ეროვნული ბანკიც შეუერთდა, ხოლო მისმა პრეზიდენტმა კი პრესკონფერენციაზე გაგვიმხილა, რომ **ქართველი ერი ერთ-ერთი ყველაზე მხარჯველია.**



მართალია, **შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილ საქართველოს დიდად არ გავცდენივართ** (მაგალითად, ჩვეული რამაა ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი ბალანსზე ნული თეთრით), **მაგრამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ჩამორაკრაკებული მაინც სულ სხვაა.**

კერძოდ, ბ-ნმა ქადაგიძემ **საკრედიტო მახის „რწყილისა და ჭიანჭველის“ სიუჟეტივით ჩახუჭუჭებული ისტორია საკმაოდ ხატოვნად გვიამბო:** „ყველაფერი მარტივად იწყება, როდესაც მომხმარებელი **განვადებით იძენს ძვირად ღირებულ ტელეფონს,** რასაც შემდგომ **საკრედიტო ბარათიც ემატება** და **ერთ დღეში სესხის დამტკიცებისა და ზაფხულში შვებულების კარგად გატარების შეთავაზებაც**. შემდეგ **მომხმარებელი იღებს მეორე საკრედიტო ბარათს**, იმისთვის, **რომ გადაფაროს პირველი** და, საბოლოო ჯამში, აღმოაჩენს, რომ **რამდენიმე საკრედიტო ბარათი და რამდენიმე სესხი აქვს**, რაც საკმაოდ ძვირად ღირებულია. გამოსავლის ძიებაში ასეთი ტიპის **მომხმარებელი ყველა სხვა სესხის გადასაფარავად იღებს დიდ სესხს** და **იპოთეკით ტვირთავს უძრავ ქონებას** (ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ შემდეგ სახელმწიფოსგან ითხოვს დახმარებას, რომ უსახლკაროდ არ დარჩეს).“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს არ დაუმალავს, რომ **საკრედიტო მახეს ცივილიზებული სამყარო განათლების ამაღლებითა და მომხმარებლის მაქსიმალური ინფორმირებულობით ებრძვის** (მერედა, ვინ უშლის, დაავალდებულოს ბანკები მომხმარებლისთვის ზუსტი ინფორმაციის მოწოდებაში?!). მეორე მხრივ, კვირეულში ჩვენებური ბანკები არა მხოლოდ ჩართულნი არიან, არამედ, ორგანიზატორებიც, ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, **სექტემბერში საქართველოს საბანკო სექტორის სუფთა მოგება 60 მილიონი ლარი იყო, ბანკებისთვის მომხმარებლის ინფორმირებულობის დონის აწევის მინდობა მგლისთვის კრავის მიბარებაა**, რადგან, **ქართული ბანკების წარმატების საიდუმლო,** სწორედაც რომ, **მომხმარებლის მახეში გაბმაა, რადგან, ისინი მაშინაც კი ამოიღებენ ფულს გამოხეული ჯიბიდან, როცა იქ ერთი თეთრიც კი არ არის!**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



**მას შემდეგ, რაც აფხაზეთი „დამოუკიდებელი“ გახდა, ყველაფერი შეიცვალა. აფხაზეთში რუს მოსახლეობას ავიწროებენ, დისკრიმინაციას უწევენ, მეტიც, რუსებს ხოცავენ. სამჯერ შემცირდა აფხაზეთში რუსი მოსახლეობის ოდენობა**

**ათიოდე დღის წინათ ვაშინგტონში ჩვენი ოკეანისგაღმელი პარტნიორი ქვეყნის უმაღლესმა კანონმდებლებმა საკუთარი ორთავ თვალით იხილეს „ობიექტივის“ მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები ქართულ ციხეებში არსებულ ვითარებასა და ქართველ ბიზნესმენთა მძიმე ხვედრის შესახებ „დემოკრატიის შუქურად“ მონათლულ საქართველოში, თუმცა აქციის ძირითადი მიზანი ქართველ დევნილთა პრობლემები იყო (ოღონდ ეს კუთხე ნაკლებად მოხვდა ქართულ მედია-საშუალებებში). აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ისრაელელი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე ავიგდორ ესკინია, რომელსაც დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.**

# რა აქტივობები იგეგმება ვაშინგტონში ქართველ დევნილთა უფლებების დაცვის კუთხით, მიეცემათ თუ არა ახლობლების საფლავების მონახულების უფლება და რატომ აუჯანყდა რუსული მედია აფხაზებს

**– როგორ გადაწყდა ამ ღონისძიების ჩატარება ვაშინგტონში და რა იყო მიზანი?**

– ორი თვის წინათ ჩამოვედი საქართველოში დიდხნიანი პაუზის შემდეგ, შევხვდი თქვენს ზოგიერთ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს და ვთავაზობდი ღონისძიებების ჩატარებას სოხუმის დაცემის 20 წლისთავთან დაკავშირებით. მოვინახე ამ თემით დაინტერესებული ადამიანები „საქართველოს პატრიოტთა კავშირში“ და მოვილაპარაკეთ, რომ ჩავატარებდით ღონისძიებას სოხუმის დაცემის 20 წლისთავთან დაკავშირებით. იცით, რომ ამერიკაში საბიუჯეტო კრიზისის გამო სენატსა და კონგრესში მუშაობა შეფერხებული იყო და ამიტომაც ღონისძიების გადატანა მოგვიწია, ამას გარდა, ჩვენმა პარტნიორებმა გვთხოვეს, დავხმარებოდით იმ ფილმების ჩვენებაში, რომლებიც საქართველოში ადამიანთა უფლებების დარღვევას ასახავდა და ამაშიც დავეხმარეთ. მათ ნამონიგის ორი თემა: დევნილებისა და ზოგადად ადამიანის უფლებების დარღვევის თემა.

**– ჩვენთან გავრცელებულ ინფორმაციაში მთავარი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ სენატორებმა და კონგრესმენებმა ნახეს ფილმები ციხეებში ადამიანის უფლებებისა და ბიზნესმენთა უფლებების დარღვევის შესახებ. თითქმის არაფერი თქმულა დევნილების შესახებ. დევნილების მდგომარეობასაც მიეძღვნა ფილმი თუ როგორ მიიტანეს ეს პრობლემა ამერიკელ კანონმდებლებამდე?**

– პრობლემა სიტყვიერად იყო მიწოდებული და მასზე მსჯელობა გაიმართა. იყო კერძო შეხვედრები სენატის უცხოურ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან და სხვა ცნობილ კონგრესმენებთან. დევნილების თემა პირველ ადგილას იდგა, რაც ბუნებრივად გამოვიდა. ნაჩვენები იყო ახალი ფილმი ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ და ეს მართლაც ახალი ფილმი იყო მედია-კავშირ „ობიექტივის“ მიერ მომზადებული ისეთი ფაქტებით, რომლებიც არ უნახავს ქართველ მაყურებელს. ასევე, იმ ბიზნესმენების შესახებ, რომლებსაც უკანონოდ წაართვეს ბიზნესი. ბუნებრივია, არჩევნების წინ ქართველი საზოგადოებისთვის ეს თემა უფრო აქტუალური იყო. მაგრამ შემდგომი აქტივობებისას, რომლებსაც ვგეგმავთ ვაშინგტონში სწორედ დევნილების თემა იქნება მთავარი. ჩვენ მხოლოდ ახლა დავიწყეთ ამაზე მუშაობა. ეს ღონისძიება არა მარტო ქართულ პრესაში გაშუქდა, არამედ რუსულშიც და უცხოურშიც.

**– საინტერესოა, რომ რუსულ მედიაში მთავარი აქცენტი იყო დევნილებზე.**

– დიახ, იქ დევნილების თემაზე წერდნენ, რაც ბუნებრივია, იმიტომ რომ რუსეთისთვის საქართველოს არჩევნები არ იყო მოვლენა, ამიტომ აქცენტი გააკეთეს დევნილებზე, გაშუქება ყველგან საკმაოდ პოზიტიური იყო და ნანახმა სენატორებსა და კონგრესმენებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

**– შტატების პოლიტიკური სპექტრის საკმაოდ მაღალი დონის წარმომადგენლებმა მართლაც არ იცოდნენ, რომ საქართველოში ამ დონით ირღვეოდა ადამიანის უფლებები?**

– ჯერ ერთი, ნამდვილად არ იცოდნენ, რომ ასეთი უხეში დარღვევები ხდებოდა და, მეორეც, მათ გაიკვირვეს, რომ ადამიანებს, რომლებიც ამას გეგმავდნენ და სჩადიოდნენ, არ აქვთ დაკისრებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

**– პრეზიდენტი სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დღემდე დაბეჯითებით არწმუნებენ საზოგადოებას, რომ ციხის კადრები დადგმულია. შტატების კანონმდებლებმა დაიჯერეს მათი რეალურობა?**

– თითოეულმა მათგანმა მიიღო ასლები და ამერიკელ ექსპერტებს საკმაოდ იოლად შეუძლიათ მათი ავთენტურობის დადგენა, მათ აქვთ სამისო ტექნოლოგიები და ამიტომ აშშ-ის ტერიტორიაზე ვერავინ გაბედავს, სენატსა და კონგრესში ყალბი კადრები მიიტანოს. თუ ვინმე ამას ჩაიდენს, მას აღარასდროს დაუშვებენ აშშ-ის ტერიტორიაზე.

**– გარდა კონგრესმენებისა და სენატორების ემოციური შეფასებისა, რა იქნება ამის შედეგი?**

– ადამინების, რომლებმაც ეს კადრები ჩაიტანეს იქ, მიზანი არ არის, აჩვენონ ქართული რეალობის ბნელი მხარეები, პირიქით, მათი მიზანია, გააუმჯობესონ სიტუაცია საქართველოში, რომ საქართველო რეალურად შეესაბამებოდეს იმ სტანდარტებს, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში აცხადებდა თავის კურსად. ეს არ იყო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აქცია. პირიქით, ეს იყო იმის მაჩვენებელი ღონისძიება, რომ მათ, უპირველესად, აინტერესებთ პარტნიორული ურთიერთობები აშშ-სთან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკელებმაც შესანიშნავად გაიგეს, რომ ეს არ არის საქართველოს დისკრედიტაციის მცდელობა. ამ კვირაშიც იგეგმება ახალი ვიზიტი და ისიც საინტერესო იქნება, რომლის მიზანია უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ახალ ქართულ ძალებსა და ამერიკის ადმინისტრაციასა და სენატ-კონგრესს შორის.

**– ცნობილია, რომ შტატები, ერთი მხრივ, კოაბიტაციისკენ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ამ დროს კი, თურმე, ამერიკელი კანონმდებლები გაოცებულნი არიან, რატომ არ დაუსჯიათ დღემდე ის პირები, ვისთანაც კოაბიტაციას ითხოვენ. ეს ორი მიდგომა როგორ უთავსდება ერთმანეთს?**

– ჩვენს ქართველ პარტნიორებს უნდათ, რომ ამერიკელ კანონშემოქმედებს გააცნონ ის პრობლემა, რაც საქართველოში არსებობდა ადამიანის უფლებების მხრივ და ამის შემდეგ მათ სთხოვენ დასკვნების გაკეთებასა და რეკომენდაციებს. ჩვენი ქართველი პარტნიორების თქმით, ამერიკელები არ იყვნენ კარგად ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე რეალურ პროცესებზე.

**– მე რთული დასაჯერებელი მგონია, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს არ სცოდნოდათ, როგორ იყო დაცული საქართველოში ადამიანის უფლებები, თუმცა ჩემთვის ხელსაყრელია, დავიჯერო, რომ არ იცოდნენ.**

– მოდი, სხვანაირად ვთქვათ: ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანებზე, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში მუშაობენ, ამდენად, ვვარაუდობ, არ არსებობს საფუძველი, არ დავუჯეროთ, როდესაც ამბობენ, რომ ეს პირველად ესმით. ასევე, აქ დგება მეორე საკითხი: ქართველი უფლებადამცველები მუდმივად აწვდიდნენ ამ ინფორმაციას მოსკოვს, მაგრამ არც ერთხელ არ მიუმართავთ ამერიკელი კანონმდებლებისა და ამერიკული პრესისთვის. არ გამოვრიცხავ, რომ აშშ-ში სტრუქტურებში, რომლებიც აგროვებენ ინფორმაციას, ამაზე ბევრი იცოდნენ, მაგრამ ამერიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეებისთვის ეს ინფორმაცია დახურული იყო.

**– ამ პროცესში არის ერთი მაგრამ: საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში იყო შტატების ფავორიტი და დემოკრატიის სიმბოლო პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რომელიც ისრაელის შემდეგ ყველაზე მეტ დახმარებას იღებდა ვაშინგტონიდან. ამერიკასაც ხომ არ შეელახება იმიჯი, თუკი აღმოჩნდება, რომ სააკაშვილის მმართველობა შორს იყო დემოკრატიისგან?**

– ვერ დავეთანხმები საკითხის ასეთ ფორმულირებას.

**– რას გულისხმობთ?**

– 1 500-ზე მეტი ქართველი სამხედრო იმყოფება სხვადასხვა ცხელ წერტილში და თავისი მონაწილეობით, ხშირად თავისი სისხლით ეხმარებიან ამერიკას ინტერესების დაცვაში. ამ კონტექსტში გამიჭირდებოდა იმის თქმა, ვინ ვის აძლევს უფრო მეტს. სერიოზული დათვლაა საჭირო. ისრაელის შემთხვევაშიც ბევრი მაგალითის მოტანა შემიძლია, თუ როგორ შოულობს ამერიკა არცთუ ცოტა ფულს იმ სამხედრო დახმარებისგან, რასაც ისრაელს უწევს და, საერთოდაც, ამერიკა არ არის ქვეყანა, რომელიც ჰუმანიტარულ დახმარებას ეწევა. ისინი ფულს დებენ იმისთვის, რომ მიიღონ უფრო მეტი, – ასეთია ამერიკული პოლიტიკის არსი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ამას ჰუმანიტარულ დახმარებას. საქართველოს აქვს თავისი პრობლემები და ღირსებები, საქართველო 3 000 და უფრო მეტი წელია, არსებობს, აშშ-ს კი არსებობის 250 წელიც არ აღუნიშნავს.

**– ოღონდ მათ მოახერხეს და 3 000-ჯერ ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ.**

– ვფიქრობ, ყველაფერი არ იზომება მატერიალური საზომით. საქართველოს აქვს თავისი განსაკუთრებული ადგილი დედამიწის ზურგზე და მან უნდა შეძლოს თავისი ძირითადი კულტურული და სულიერი ღირებულებების დაცვა, რაც არ არის ადვილი ამ ეპოქაში.

**– თქვენ შეკითხვის მეორე ნაწილისთვის არ გიპასუხიათ: შტატების იმიჯზე არ იმოქმედებს, თუ დემოკრატი სააკაშვილი არც ისე დემოკრატი აღმოჩნდება?**

– ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამერიკული პოლიტიკის გარკვეულ ასპექტებს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არ ველით ადამიანის უფლებების არანაირ დარღვევას, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სწორი დასკვნები გააკეთა.

ადამიანის უფლებები დაცული იქნება საქართველოში და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ არ იქნება გამოყენებული ის მეთოდები, რასაც თავად იყენებდნენ ოპოზიციისადმი.

**– პრივატული შეხვედრებისას რას ამბობდნენ ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები?**

– სენატის უცხოურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მთავარი თანაშემწე აღნიშნავდა, რომ ახლა დგება დრო, როდესაც უნდა გააქტიურდეს დევნილთა პრობლემები. სააკაშვილის პერიოდში არ არსებეობდა დიალოგი მოსკოვსა და თბილისს შორის და თუკი ახლა ეს დიალოგი დაიწყება, ეს დაეხმარება ამერიკასა და სხვა ქვეყნებს, რომ ჩაერთონ ამ პროცესში და ინიცირება გაუკეთონ კონკრეტულ ნაბიჯებს, რათა გაუმჯობესდეს დევნილთა მდგომარეობა. ლაპარაკია კონკრეტულ საკითხებზე: წინაპართა საფლავების მონახულება, გალის რაიონში ქართველების მდგომარეობა, რომლებსაც არ აქვთ თავიანთი ენისა და ისტორიის შესწავლის საშუალება და ქონებრივი საკითხები. მთავარმა თანაშემწემ აღნიშნა, რომ რუსეთი აღიარებდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს და მთავარი წინააღმდეგობა იყო ცივი ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის.

**– თქვენ ახლა მოსკოვში ხართ – როგორი იყო რეაქცია? დევნილების თემის გააქტიურება არ მოეწონათ თუ მოეწონათ?**

– ეს არ იყო რეაქცია – მოეწონათ არ მოეწონათ; უბრალოდ მოსკოვში ეს ინფორმაცია გავრცელდა. საერთოდ, ამ ბოლო დროს რუსულ პრესაში ბევრს წერენ ქართველი დევნილების პრობლემებზე, ასევე, ძალიან კრიტიკულ სტატიებს ნახავთ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე; რუსეთში ბოლო დროს ძალიან შეიცვალა მიდგომა. ამას ბევრი მიზეზი აქვს და, უპირველესად, ეს ეხება თვითონ რუსეთის ინტერესებს. მთელი რუსეთის ცენტრალური პრესა გაჟღენთილია იმ უკმაყოფილებით, რაც აფხაზეთის მიმართ არსებობს და ეს კეთდება არა თბილისის ფარული აგენტების მიერ...

**– არამედ კრემლის რუპორების მეშვეობით?**

– დიახ. მეტიც, როდესაც რუსული სამსახურის ეთერის გამოკითხვაში 72,5 პროცენტი ამბობს, რომ რუსეთმა დაუშვა შეცდომა, როდესაც 1993 წელს მხარი არ დაუჭირა ქართველებს, ნიშნავს, რომ ვითარება რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა. ამის ერთ-ერთი მიზეზია რუსი ტურისტების გამოხმაურებები: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ვითარებაა, თითქმის არსად არ ექცევიან რუს ტურისტებს ისე კარგად, როგორც საქართველოში. აი, ის ტურისტები კი, რომლებიც აფხაზეთში ისვენებდნენ, საშინელ ისტორიებს ყვებიან.

**საქართველოს აქვს თავისი პრობლემები და ღირსებები, საქართველო 3 000 და უფრო მეტი წელია, არსებობს, აშშ-ს კი არსებობის 250 წელიც არ აღუნიშნავს**

**– ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი: რუსული პოლიტიკური სპექტრი ამბობს, რომ საქართველოს თავზე დამტყდარი უბედურების სათავე არის მის პოლიტიკურ ორიენტაციაში და უარესს გვპირდებიან, თუკი არ „გამოვსწორდებით“. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს არ ჰქონია მკვეთრად გამოხატული დასავლური ორიენტაცია, თუმცა მოსკოვმა მხარი დაუჭირა არა თბილისს, არამედ სოხუმსა და ცხინვალს.**

– ეს მოვლენები ერთმანეთთან კავშირშია, როდესაც ორ მხარეს შორის განხეთქილებაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე მხარემ შეიტანა ამაში თავისი წვლილი. მოცემულ მომენტში სიტუაცია შეიცვალა როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. რუსეთში ღრმა განხიბვლაა იმის გამო, რაც აფხაზეთში ხდება.

**– მათ არ მოეწონათ აფხაზები თუ უბრალოდ მათი რჩენა მობეზრდათ?**

– როდესაც აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იყო, რუსეთის გადასახადის გადამხდელს მისი რჩენა არ სჭირდებოდა და ამისთვის მილიარდობით რუბლს არ ხარჯავდა ყოველწლიურად. კურორტები მუშაობდა და რუსებს კარგად ეპყრობოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთი „დამოუკიდებელი“ გახდა, ყველაფერი შეიცვალა. რუს მოსახლეობას ავიწროებენ, დისკრიმინაციას უწევენ, მეტიც, რუსებს ხოცავენ. სამჯერ შემცირდა აფხაზეთში რუსი მოსახლეობის ოდენობა. მეორე მხრივ, თუ ვილაპარაკებთ საქართველოზე: იქაც ცვლილებებია. დღეს საქართველოს მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი შეშფოთებულია ბათუმში არსებული ვითარებით. თქვენმა პრეზიდენტმა ქართული პასპორტები მისცა მესხეთელ თურქებს, თურქეთის მოქალაქეებს. ირანის საკითხიც უახლოეს დღეებში დადგება დღის წესრიგში და ასეთ ვითარებაში საქართველოსთვის მთავარი პარტნიორი შეიძლება, გახდეს რუსეთი. იმის თქმა მინდა, რომ ორივე მხრიდან მოხდა ობიექტური ცვლილებები განწყობაში, რაც საშუალებას გვაძლევს, სხვა ტონალობაში ვისაუბროთ. ამერიკელები უფრო ნაკლებად აქტიურები ხდებიან თქვენს რეგიონში და ასეთ დროს, როგორც წესი, ბერკეტებს გადასცემენ ხოლმე ბრიტანელებსა და თურქებს, ამაში კი საქართველოსთვის კარგი არაფერია.

**ნინო ხაჩიძე**



**ისე მოხდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მომხმარებლები ბატკნებზე დაუცველები არიან. სავარაუდოდ, ამიტომაც და იმის გამოც, რომ ევროკავშირისკენ ვისწრაფით, სადაც ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, მომხმარებელთა უფლებების შესახებ ახალი კანონი მზადდება. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაშია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამა „მომხმარებელი.ჯის“ ხელმძღვანელი ლია თოდუა.**

# რა უფლებები ექნებათ ქართველ მომხმარებლებს ახალი კანონით და რატომ ეშინიათ საქართველოში არსებულ ლაბორატორიებს ქართულ ბაზარზე არსებული საქონლის ხარისხის შემოწმება

**– კანონპროექტი საბოლოო სახით ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ, ბუნებრივია, უკვე არსებობს კანონის ზოგადი ღერძი. როგორ დაეხმარება ის მომხმარებლებსა და მეწარმეებსაც უფლებების დაცვაში?**

– ორი რამ უნდა გააკეთოს ამ ახალმა კანონმა. ჯერ ერთი, უნდა განსაზღვროს მომხმარებელთა უფლებები, ჩვეულებრივ სამოქალაქო ურთიერთობებისგან განსხვავებით. ყიდვა-გაყიდვა მეწარმეებს შორისაც ხდება, მაგრამ, როდესაც მომხმარებელი შემოდის ამ პროცესში, აუცილებელია მისი დაცვის განსაკუთრებული მექანიზმების შექმნა, რადგან მომხმარებელი გამოუცდელია ამგვარ ურთიერთობაში. ამიტომაც არის ევროკავშირში დაცული მომხმარებელთა უფლებები. ჩვენ გვინდა, მაქსიმალურად გადმოვიღეს ჩვენს კანონში ის უფლებები, რაც ევროკავშირში აქვს მომხმარებელს. მეორეა ის, რომ უნდა დადგინდეს ამ უფლებების დაცვის იოლი საშუალებები და ეს არ უნდა იყოს მხოლოდ სასამართლო, როგორც დღეს არის. ეს უფრო ძვირი და რისკიანი გზაა, რომელსაც მომხმარებელი ძალიან იშვიათად მიმართავს.

**– არც ულირთ და იმიტომ.**

– ბევრი ხარჯი უნდა გაიღო, დიდხანს ელოდო და არ იცი შედეგი. მეწარმე ნებისმიერ შემთხვევაში უკეთეს ადვოკატს იქირავებს და რადგან ეს არის სამოქალაქო პროცესი, ანუ ადვოკატების შეჯიბრი, დიდია ალბათობა, პროცესი ძვირად ღირებულმა ადვოკატმა მოიგოს და მომხმარებელი დაიჩაგროს. ამიტომ აუცილებელია ადმინისტრაციული დაცვის მექანიზმები, როგორც ეს არის ევროკავშირში.



ჩვენს ბაზარზე იყიდება ისეთი პროდუქცია, რომლის გამოყენებისას შესაძლოა, თანდათანობით ვიწამლებოდეთ, მაგრამ მას არავინ ამოწმებს

**– სწორება აღებულია ევროკავშირზე?**

– დიახ, ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა უახლოვდება ევროპულ ნორმებს და თუ ადრე პრობლემა იყო პურის შოვნა, დღეს ეს მოთხოვნები შეიცვალა. უკვე მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ ვყიდულობთ იმავე ტიპის საქონელს, რასაც ევროკავშვირელი მომხმარებელი, მაგრამ უფლებები ნაკლები გვაქვს. მაგალითად, როდესაც ევროკავშირის მოქალაქე ყიდულობს კომპიუტერს, თუ კომპიუტერს ნაკლი აღმოაჩნდა, 2 წლის განმავლობაში შეუძლია, დააბრუნოს და გამოაცვლევინოს. ჩვენთან გაძლევენ გარანტიას, ჯერ ერთი, შემოკლებული ვადით და, მეორე, ხელს გაწერინებენ, რომ, თუ ერთ კვირაში არ დააბრუნე, მერე ველარ დააბრუნებ. რატომ? არ ვიცი სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი დრაკონული შეზღუდვა იყოს.

**– თან, ფასითაც არ არის განსხვავება. ვერ ვიტყვით, რომ კომპიუტერი ჩვენთან იაფი ღირს, ხანდახან უფრო ძვირიც კი, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში.**

– დიახ, ნახევარ ან მესამედ ფასს რომ ვიხდიდეთ, კიდევ გასაგები იქნებოდა ასეთი მიდგომა, არადა, იმავე ფასს ვიხდით, მაგრამ ვყიდულობთ გაცილებით ნაკლებს და გაცილებით დაუცველები ვართ ევროკავშირის მომხმარებელთან შედარებით. ნამდვილად არ ვართ ჩვენ მათზე მდიდრები და რატომ უნდა ვიხდიდეთ ნაკლებში იმავე ფასს?! მიმაჩნია, რომ მეწარმეები არაკეთილსინდისიერად სარგებლობენ მომხმარებელთა დაუცველობით. ამდენად, პირველი, გვინდა განვსაზღვროთ ნაკლიან საქონელთან დაკავშირებული უფლებები და, მეორე, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, დაწესდეს რეგულაციები საფრთხის შემცველ პროდუქციასთან დაკავშირებით. ჩვენთან შემოვიდა საჩივრები და ვერ ვიპოვეთ ვერც სახელმწიფო ორგანო, რომელიც ამაზე რეაგირებას მოახდენდა და ვერც ლაბორატორია, რომელიც ამას დაადგენდა.

**– კონკრეტულად რაზეა საუბარი?**

– მაგალითად, ბავშვის საწოლ ლეიბზე, რომელსაც ჰქონდა წებოს სუნი და არ გასდიოდა. ადამიანებმა გადაიხადეს 100-200 ლარი და არ იციან, საშიშია თუ არა ის ბავშვის ჯანმრთელობისთვის. მაგალითად, იყიდება ჩაიდნები და მათში ადუღებულ წყალს აქვს პლასტმასის სუნი. მართალია, ჩვენ ვაფრთხილებთ მომხმარებლებს, რომ მოერიდონ მათ შეძენას, მაგრამ მაინც იყიდება და არავინ ამოწმებს. შესაბამისად, არავინ იცის, რა საშიშროება მოაქვს ჩვენი ჯანმრთელობისთვის. იმავეს თქმა შეიძლება კოსმეტიკურ პროდუქციასთან მიმართებაში, არც ისინი მოწმდება, არადა, პირდაპირ კონტაქტში შედის კანთან და შეიძლება, ძალიან საშიში იყოს. ამას ემატება ჭურჭელი, სათამაშოები. ანუ არის ისეთი პროდუქცია, რომლის გამოყენებისას შესაძლოა, თანდათანობით ვიწამლებოდეთ, მაგრამ მას არავინ ამოწმებს.

**– ვერც ამოწმებს, როგორც ვიცი, ჩვენი ლაბორატორიები ყველაფერს ვერ ამოწმებენ.**

– დიახ, რომ გადაიხადო კიდეც ფული, ლაბორატორია არ არსებობს, რომელიც შეამოწმებს. შესაბამისად, კანონმა ასეთი რამისგანაც უნდა დაიცვას მომხმარებელი. ამას გარდა, საჭიროა მომხმარებლის დაცვა სხვადასხვა მარკეტინგული ხრიკისგან: ჩვენთან მოვიდა რამდენიმე მეწარმე, რომლებმაც გვიამბეს, რომ მათი ინტერესებიც ზიანდება, ვინაიდან მაღაზიები მიიზიდავენ მომხმარებელს კარგი ხარისხის პროდუქციით, შემდეგ კი კარგი ხარისხის პროდუქციას რჩება 10 პროცენტი და ნაგვის გასაღებაზე არიან გადართულნი.

**– ეს ქართული სინამდვილისთვის ბუნებრივი პროცესია.**

– ეს სამარცხვინოა და ამის შედეგად მივდივართ იქამდე, რომ მომხმარებელი ჭკვიანდება და კარგავს ნდობას ადგილობრივი ბაზრისადმი. მე, როგორც მომხმარებელს, მირჩევნია, „ამაზონზე“ ვიყიდო პროდუქცია, რომელიც აქაც იყიდება, იმიტომ რომ ხარისხს ვენდობი და ისიც ვიცი, რომ შემიძლია, დავაბრუნო, თუ შეძენილ პროდუქციას პრობლემა ექნა.

**– თანხასაც დაგიბრუნებენ და პროდუქტსაც გიტოვებენ, რომლის ხარისხშიც ეჭვი შეგეპარა.**

– წარმოიდგინეთ, შორეულ ბაზარზე უფრო მეტად ვართ დაცულნი, ვიდრე აქ, ადგილზე. ეს თანდათან დააზიანებს ჩვენს ბაზარს და ეს უნდა გაიგოს ჩვენმა ეკონომიკის სამინისტრომ. ამ კანონის ინიციატორია ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი. მათ შექმნეს სამუშაო ჯგუფი იმ ორგანიზაციის წევრებისგან, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ. ევროინტეგრაციის კომიტეტი ძალიან მონდომებულია, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი არის ადამიანი, რომელმაც თავის დროზე გააუქმა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძველი კანონი, მას მიაჩნია, რომ ეს საჭირო არ არის და იგივე პოზიცია უჭირავს დღეს.

**– რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი არ არსებობდეს?**

– რომ, რაც შეიძლება, ნელა შემუშავდეს კანონი, რაც შეიძლება, ნაკლები უფლებები ჰქონდეს მომხმარებელს.

**– მოტივაციად რას ასახელებს?**

– ბენდუქიძის იდეოლოგიას.

**– რომ ბაზარი დაარეგულირებს ამ პრობლემას?**

– დიახ, ბაზარი და ჩვენნაირი ორგანიზაციები დაარეგულირებენ. მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, მალე იმასაც ვეტყვით ჩვენს მომხმარებლებს, რომ არაფერი აღარ იყიდონ საქართველოში და ეს იქნება გამოსავალი?! მაშინ რად მინდა სახელმწიფო, თუ ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს?! გასაგებია, რომ ისინი სხვა იდეოლოგიის ადამიანები არიან, მაგრამ სამწუხაროა, რომ იმავე იდეოლოგიის ადამიანს მიჰყავს ეკონომიკის სამინისტროში ეს მიმართულება. ჩვენ ვცდილობთ, შევხვდეთ ეკონომიკის მინისტრს, რადგან, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდება და ძალაში შესვლისთვის მზადება დაიწყება, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი იქნება მნიშვნელოვანი. თუმცა ევროკავშირს არ აინტერესებს, რამდენად დაიცავ შენი მომხმარებლის ინტერესს, მათ, აინტერესებთ, უსაფრთხო იყოს ის პროდუქცია, რასაც მათ ბაზარზე შევიტანთ. მაგრამ ამ ყველაფრის ამოქმედების პირობა არის თანდათანობითი ჰარმონიზაცია ევროდირექტივებთან და ამ ევროდირექტივებში შედის მომხმარებელთა უფლებების დაცვაც. ის ადამიანები თავიანთ სასარგებლოდ აშენებენ სახელმწიფოს და ჩვენც თუ გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო ჩვენ გამოგვადგეს, რაც ჩვენ გვჭირდება, იმ ინტერესებს უნდა იცავდეს. თუ ჩვენ არ გვინდა დავზიანდეთ, უნდა მოვთხოვოთ სახელმწიფოს, რომ უზრუნველყოს ჩვენი უსაფრთხოება. ეჭვი გვაქვს, ყველაზე დიდი ჭიდაობა მოგველის ისეთი ორგანოს შექმნაზე, რომელიც საჩივრებს მაინც მიიღებს, ისევე, როგორც სურსათის შემთხვევაში სურსათის ეროვნულ სააგენტოში შედის საჩივარი და ის ამის შედეგად ამოწმებს პროდუქციას.

**– როგორც მივხვდი, სურსათთან დაკავშირებული პრობლემები უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე სხვა პროდუქციასთან მიმართებაში?**

– დიახ, სურსათთან დაკავშირებით მეტნაკლებად მოგვარებულია ეს პრობლემა, რადგან ამას უშუალოდ ითხოვს ევროკავშირი, მაგრამ მეორე სფერო, რომელშიც შედის არასაკვები პროდუქცია, სრულიად დაურეგულირებელია. ამას არ ითხოვს ევროკავშირი, მაგრამ ჩვენ უნდა

# რამდენი ავტომანქანა ჰყავთ თავდაცვის მინისტრის მოადგილესა და მის მეუღლეს

თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი 1976 წელსაა დაბადებული. თავდაპირველი განათლება თსუ-ში მიიღო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე; 2000-2001 წლებში GIPA-ში სწავლობდა, 2004 წელს კი – ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელ ევროპულ ცენტრში. ასევე, გავლილი აქვს სხვადასხვა პროგრამა და კურსები (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდსა თუ აშშ-ს კვლევისა და განვითარების კორპორაციაში). აგრეთვე, „ნატოს“ სკოლის პროგრამები და კურსები თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებზე.

მისი სამუშაო გამოცდილება იწყება 2002 წელს, 26 წლის ასაკში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ორმხრივი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის სამმართველოში, სადაც 2004 წლამდე იმუშავა. 2004-2008 წლებში „ნატოსთან“ საქართველოს მისიაში პირველი მდივანი გახლდათ, შემდგომ – იმავე მისიაში მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში. 2008 წელს აშშ-ში საქართველოს საელჩოში უფროს მრჩევლად დაინიშნა. 2012 წელს კი – აშშ-ში საქართველოს საელჩოში საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად. ეს კონკრეტული პოსტი 2013 წლის ივლისამდე ეკავა, ვიდრე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდებოდა.

პირველი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია 2003 წელს შეავსო, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა. იმხანად ოჯახის წევრებად მიუთითებდა მშობლებს: გელა და ლუიზა დარჩიაშვილებს. უძრავ ქონებასაც მხოლოდ მისი მშობლები ფლობდნენ: ბ-ნი გელა დარჩიაშვილის საკუთრება იყო საცხოვრებელი სახლი დედოფლისწყაროში, ხოლო ქ-ნი ლუიზა დარჩიაშვილის საკუთრება – საცხოვრებელი ბინა თბილისში. დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფული ჰქონდათ: მიხეილ დარჩიაშვილს – 2 000 ლარი, ხოლო ქ-ნ ლუიზას – 1 500 ლარი.



მეორე დეკლარაცია 2004 წლით თარიღდება – მიხეილ დარჩიაშვილი კვლავ ძველ თანამდებობაზეა საგარეო საქმეთა სამინისტროში. მისი ოჯახის წევრების რაოდენობა და შემადგენლობაც უცვლელია, ისევე, როგორც უძრავი ქონების. ერთი ისაა, რომ ბ-ნ გელა დარჩიაშვილს ავტომანქანა „ვაზ 05“ შეუძენია – 1 000 აშშ დოლარად ღირებული. იმ წელს ნაღდი ფულიც მხოლოდ მას ჰქონია – 1 000 ლარი, ხოლო მიხეილ დარჩიაშვილი ანაბარზე 1 500 აშშ დოლარს ინახავდა.

იმხანად ქ-ნ ლუიზა შპს „დებში“ იყო დასაქმებული მენეჯერად, ხოლო ბ-ნი გელა დარჩიაშვილი – პოლიგრაფკომბინატ „კახეთის“ საწარმოს უფროსად. თითოეულმა წლის განმავლობაში ანაზღაურებად 3 600-3 600 ლარი მიიღო. ხოლო თავად მიხეილ დარჩიაშვილის წლიურმა შემოსავლმა 8 000-მდე ლარი შეადგინა. ამას გარდა, დეკლარაციაში ნათქვამია, რომ იმ წელს ბ-ნმა გელა დარჩიაშვილმა 2 000 ლარი მიიღო, რომელიც დახასიათებულია როგორც „მოგებული თანხა“, თუმცა, უცნობია, რაში მოგებული.

მართალია, მიხეილ დარჩიაშვილი მომდევნო წლებშიც სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ, იმ წლების დეკლარაციები არ მოიპოვება. თუმცა, მის მიერ 2013 წელს შევსებული დეკლარაცია გვამცნობს, რომ მას ჰყავს მეუღლე – თამარ მედულაშვილი და ორი შვილი: ბრიუსელში დაბადებული ლიზა და თბილისში დაბადებული ნიცა. ოჯახის უძრავმა ქონებამაც იმატა: მიხეილ დარჩიაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში – 97 კვადრატული მეტრი ფართობის; თამარ მედულაშვილს კი ეკუთვნის მიწის ნაკვეთი თბილისში – 1 421 კვადრატული მეტრი ფართობის, თუმცა, ის ამ მიწის ნაკვეთის მხოლოდ ნახევრის მფლობელია. მიხეილ დარჩიაშვილს ორი ავტომანქანა ჰყავს – 1993 წელს გამოშვებული „გოლფი“ და 2000 წელს გამოშვებული „მერსედესი“, ხოლო მის მეუღლეს – მხოლოდ 1996 წლის „გოლფი“.

2012 წლის განმავლობაში მიხეილ დარჩიაშვილმა, როგორც აშშ-ში საქართველოს საელჩოს დესპანმა, 42 000 აშშ დოლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც კომპანია „ტრავიზას“ (აშშ) სპეციალისტმა – 24 000 აშშ დოლარი. სესხების მომსახურება თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გასულ წელს 3 600 ევრო დასჯდომია.

**ნინო ხაჩიძე**

---

მოვითხოვოთ ჩვენი სახელმწიფოსგან. იმედი გვაქვს, ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ერთიანი ფონი ამაში დაგვეხმარება. ნოემბრის ბოლოს დაგეგმილია კანონპროექტის წარდგენა სამთავრობო და არასამთავრობო წრეებისთვის. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მეწარმეები არ მოდიან დიალოგზე. ჯგუფის მუშაობაში მოწვეულნი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ერთ შეკრებას დაესწრნენ და შემდეგ აღარ გამოჩენილან. ამდენად, ვერ ვიგებთ, რისთვის არიან მზად, თვითონაც ხომ ესმით, რომ პრობლემებია და იქნებ ვილაცას უნდა კიდეც კეთილსინდისიერი ბიზნესის აწყობა?! გვინდა, ვიცოდეთ, მათთვის რა წესებია ხელსაყრელი. მაგალითად, ევროდირექტივა ამბობს, რომ ნებისმიერი ნაკლიანი საქონლის უკან მიბრუნების უფლება გაქვთ ორი წლის განმავლობაში, რაც უნდა იყოს, გარდა მალფუჭადი პროდუქციისა და არ აქვს მნიშვნელობა, აქვს თუ არა გარანტია. მოვაჭრე ვალდებულია, ორი წლის განმავლობაში, ნაკლიანი საქონელი იმ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რომ ვარგისი იყოს ან გამოგიცვალოთ ან, თუ თქვენ დათანხმდებით, ფასი დაგიკლოთ. გასაგებია, რომ საქართველოსთვის შესაძლოა, ორი წელი ბევრი იყოს და ამისკენ ეტაპობრივად წავიდეთ.

**– მე ასეთი არგუმენტიც მომისმენია, რომ საქართველოში დააზიანებენ ნივთს და შემდეგ მის გამოცვლას მოითხოვენ. არის ეს არგუმენტი?**

– რა თქმა უნდა, არა. აქ არ იგულისხმება ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მიყენებული დაზიანება. კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: ევროკავშირის კანონმდებლობით, შეძენიდან ექვსი თვის განმავლობაში მტკიცების ტვირთი აწევს არა მომხმარებელს, არამედ – გამყიდველს. ჩვენთან ეს მომხმარებლებმა უნდა ამტკიცონ, თან, იმ პირობებში, რომ არ არის ლაბორატორიები. მაგალითად, სასამართლო ექსპერტიზის ბიურო ყველაფრის ექსპერტიზაზე უარს გვეუბნება: უარი გვითხრა მობილურების შემოწმებაზე, კომპიუტერების, ფეხსაცმლის შემოწმებაზე და, საერთოდ, ჩვენ არ ვიცით, რის ექსპერტიზას აკეთებენ.

**– ქალიშვილობის ცნობას გასცემენ, ისიც გარეგანი დათვალიერებით.**

– ...ასეთ პირობებში როგორ უნდა ამტკიცოს მომხმარებელმა, რომ დაზიანება მისი ბრალი არ არის? ევროკავშირში კი, თუ ექვსი თვის განმავლობაში უკან აბრუნებ პროდუქციას და მეწარმე არ ამტკიცებს, რომ ხარვეზი მისი ბრალი არ არის, ითვლება, რომ მისი ბრალია. ექვსი თვის შემდეგ შესაძლოა, სათუო გახდეს. ჯერჯერობით ვერ გადავედით ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა, როდესაც გადაიდება გაფრენის დრო, უნდა გადაიხადოს თუ არა კომპენსაცია ავიაკომპანიამ, უნდა მოამარაგოს თუ არა საკვებით მგზავრი, უნდა მისცეს თუ არა დაძინების საშუალება და ასე შემდეგ.

**– „აირზენა“, როგორც წესი, აბუჩად იგდებს თავის მგზავრებს. მე მქონდა ორჯერ შემთხვევა, როდესაც რეისის ნომერი შეცვალეს გაფრენის წინ, გაფრენა გადადეს შვიდი საათით და ეს გაირკვა მხოლოდ აეროპორტში მისვლის შემდეგ და, საერთოდაც, „აირზენას“ თვითმფრინავზე ისეც ავედი ერთხელ, რომ მგზავრთა სიაში არც ვყოფილვარ.**

– ჯერჯერობით ვერც ჩვენ მივედით კონკრეტიკამდე. ამ ეტაპზე იმედი გვაქვს, რომ ზოგად კანონს მაინც შევიმუშავებთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და შემდეგ ვიმუშავებთ სხვა თემებზე. იმიტომ რომ ძალიან გვეჭიდავება მეორე მხარე. მართალია, ევროინტეგრაციის კომიტეტი დაინტერესებულია ამ კანონის მიღებით, მაგრამ ველით ჭიდაობას მეწარმეებისგანაც, მათ შორის, პარლამენტში დარგობრივი კომიტეტისგან. მთავარია, კანონით დაცული იყოს მომხმარებელთა ძირითადი უფლებები, რომ აკრძალული იყოს მოტყუება და სადღაც შეიძლებოდეს ჩივილი, მას შეეძლოს რეაგირება.

**– მაგრამ ეს შესაძლებელია ლაბორატორიების არარსებობის პირობებში?**

– ლაბორატორიამ უნდა აიღოს აკრედიტაცია, რაც ძვირი ღირს და ეს გააძვირა სახელმწიფომ. ცალკე თემაა, რატომ გააძვირა.

**– ახლა გააიაფოს, რა უშლის ხელს?**

– ესეც შეიძლება. ძირითადად, ლაბორატორიები არ იღებენ აკრედიტაციას, თუ არ მოელიან შეკვეთებს. ამას გარდა, წინა მთავრობის პირობებში ძალიან ეშინოდათ, მაგალითად, ვერც ერთი ლაბორატორია ვერ დავითანხმეთ, გაეზომა გაზის ხარისხი, არადა შეუძლიათ, მაგრამ არავინ გაგვიზომა, იმიტომ რომ ეშინიათ, თუმცა დღეს ეს შიში შემცირებულია. ლაბორატორიებიდან მოდის „მესიჯები“, რომ ყველაფერს გაზომავენ, ვნახოთ... რადგან უცხოეთში გაგზავნა ძალიან ძვირი ჯდება და რთულია. ერთ-ერთი მთავარი გამოსავალი ის არის, რომ მომხმარებლები უნდა გავხდეთ უფრო მომთხოვნები და შევქმნათ ის ფონი, როდესაც ჩვენდამი ასე ზერელედ მოპყრობა შეუძლებელი იქნება. რაც უფრო ცივილიზებულები გავხდებით მომხმარებლები, მეწრამეებიც იძულებულნი გახდებიან, თავადაც ცივილიზებულნი გახდნენ და იმუშაონ ევროპული ნორმებით.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 20 0 200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია


**ათწლიანი დუმილის შემდეგ თავდაცვის ყოფილი მინისტი დავით თევზაძე აცხადებს, რომ ვარდების რევოლუცია გარკვეული დათქმების შედეგია. კერძოდ, ათი წლისწინანდ-ელ მოვლენებს შემდეგნაირად იხსენებს: „შემოვიდა გენერალი იმნაძე... როგორც თვით-ონ თქვა, გენერალური შტაბიდან დაუკავშირდნენ, ზუსტად არ მახსოვს მთავარი ოპერა-ტიული სამმართველოს უფროსი თუ გენერალური შტაბის უფროსი. ჯერ სიტუაცია იკი-თხეს და მერე უთხრეს, რომ ყურადღება მიაქციეთ მინისტრ ივანოვის ვიზიტს, შეიძლება უკვე თქვენთან იყოს და იცოდეთ, რომ ძალაუფლება იცვლება აფხაზეთზეო – Власть меняется на Абхазию.“ წესითა და რიგით, ეს ინფორმაცია უშიშროების იმჟამინდელ მინისტრ ვალერი ხაბურძანიასაც უნდა ჰქონოდა, ამიტომაც დავუკავშირდით და ვთხო-ვეთ, გაეხსენებინა 2003 წლის ნოემბრის მოვლენები.**

# რაში „გადააგდო“ მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმირ პუტინი და როგორ აფასებს ვალერი ხაბურძანია დავით თევზაძის განცხადებას ტრიუმვირატის მიერ ხელისუფლების აფხაზეთში გაცვლაზე

**– ალბათ, გაეცანით დავით თევზაძის განცხადებას, რომ ხელისუფლება ათი წლის წინათ გაიცვალა აფხაზეთზე. წაგიკითხავთ ზუსტ ციტატას.**

– და რას ნიშნავს ეს განცხადება?!

**– მე ასე გავიგე: რუსეთის ფედერაცია ხელს არ შეუშლის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და იმ გუნდს, რომელსაც უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, თუკი მათ ხელისუფლად გახდომის შემდეგ პრეტენზია არ ექნებათ აფხაზეთზე.**

– მე არ ვიცი, დათომ რასთან დაკავშირებით თქვა ეს, მაგრამ, რაც წავიკითხე და თქვენ რის ციტირებაც მოახდინეთ, ვგრძნობ, რომ არის კენჭები ჩემს ბოსტანშიც. როგორც თვითონ ამბობს, ვერ ვხვდებოდი პრეზიდენტსო, მაგრამ მე ხომ მხვდებოდა?! მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მეორე – 2003 წლის 23 ნოემბერს, სანამ სააკაშვილი და ჟვანია შევარდნაძესთან მოლაპარაკებაზე მოვიდოდნენ, როდესაც შევარდნაძემ მოიკითხა თევზაძე, დათომ განაცხადა, ვერ მოვდივარ, ბევრი ხალხიაო, მაგრამ შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა შეიარაღებული დაცვით და შევარდნაძეს შეხვდა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, არაფერი უთხრა, მე რატომ არ მითხრა ან შინაგან საქმეთა მინისტრს რატომ არ უთხრა?! ესე იგი, თვითონაც არასერიოზულ ზარად ჩათვალა. თავისთავად ამ ინფორმაციაში ვერაფერს ვხედავ: საშუალო დონის რუსმა ჩინოვნიკმა დარეკა საქართველოს საშუალო დონის ჩინოვნიკთან, ასეთი დამრეკი მილიონი გვყავდა და უამრავი ზარი შემოდიოდა.

ახლა თვითონ ზარი განვიხილოთ, რომელიც თითქოს რუსეთის გენერალური შტაბიდან განხორციელდა: ეს იმას ჰგავს, რამდენიმე კვირის წინათ რომ რეკავდნენ სხვადასხვა ადგილას და ამბობდნენ, ბომბიაო, რეალურად კი, ბომბი არ იყო. მეორე საკითხია, თუ ვინ დარეკა: რა დონის ჩინოვნიკმა დარეკა რუეთის გენერალური შტაბიდან, რატომ დაურეკა თავდაცვის სამინისტროს საშუალო დონის ჩინოვნიკს. ვინ ეკითხებოდა და რა უფლებამოსილება ჰქონდა, რაღაცის გაცვლაზე ელაპარაკა?! თვითონ რატომ არ გახადა ეს საჯარო და განსახილველი საკითხი?! გამოდის, მე არ მენდობოდა. მე თუ არ მენდობოდა, ვიღაცას ხომ ენდობოდა?! შევარდნაძესაც ხომ შეხვდა, სანამ შევარდნაძე ჟვანია-სააკაშვილს შეხვდებოდა? მას რატომ არ უთხრა?!

**– თქვენ რა ვერსია გაქვთ, რატომ არ უთხრა?**

– მგონია, რომ რაღაც ფრაგმენტულად გაახსენდა და აღარ იფიქრა, რა მოჰყვებოდა ამას. მე განვიხილავ, როგორც არასერიოზულ განაცხადს.

**– და არის კიდეც ერთი მომენტი, დავით თევზაძე ამბობს: „დაზვერვის სამმართველოდან მივიღე ანგარიში, სადაც მოცემული იყო ელჩთან სააკაშვილის შეხვედრა. ერთი დეტალი იყო საინტერესო, სადაც ელჩი და სააკაშვილი განიხილავდნენ არსებული სიტუაციის შესაძლო განვითარებას და ბოლოს სააკაშვილს უთქვამს ასეთი ფრაზა - „ყველაფერი რომ ძალიან სწრაფად და კარგად დასრულდეს, სულ 10 გვამია საკმარისი“.**

– მაშინ ბევრი ხმა, ინფორმაცია და ჭორი დადიოდა. ინფორმაცია ისეთი რამაა, რასაც უნდა ანალიზი და გაცხრილვა, დათო ფილოსოფოსი კაცია, მაგრამ მაინც სამხედროობამ გადასწონა. მათი დაზვერვის თანამშრომელი ამერიკის საელჩოზე მუშაობდა თუ რატომ არ გვქონდა ჩვენ ეს ანგარიში?! გამოდის, რომ საქართველოს დაზვერვის სამმართველო მუშაობდა ამერიკის საელჩოზე და ეს არის სენსაცია!

**– გამორიცხავთ, რომ დავით თევზაძეს, როგორც თავდაცვის მინისტრს, ასეთი ინფორმაცია ჰქონოდა?**



**ნეტავ სააკაშვილს არ მოეტყუებინა პუტინი; ნეტავ სააკაშვილი არ აერჩია ხალხს; ნეტავ შევარდნაძეს შეცდომები არ დაეშვა; ნეტავ მეც არ დამეშვა შეცდომები... „ნეტავ“ ძალიან შორს წაგვიყვანს**

– გამორიცხულია. ჩვენ მაშინ სტრატეგიული პარტნიორები ვიყავით და არანაირი უფლება არ ჰქონდა დაზვერვის სამმართველოს, მით უმეტეს თევზაძეს, რომ ემუშავათ ამერიკის საელჩოზე. თუ ეს თვითონ ამერიკის საელჩოს ოფიციალური ანგარიში იყო, საინტერესოა, რატომ მიდიოდა ეს ანგარიში თევზაძესთან და არ მომდიოდა მე?!

**– ესე იგი, თქვენ არ მიგიღიათ მსგავსი ინფორმაცია?**

– ინფორმაციას თავი დავანებოთ, აქ ყველაზე მთავარია ის, რომ ამერიკის საელჩოდან ინფორმაციის მოწოდებაზეა ლაპარაკი. გადავიდეთ თვითონ ინფორმაციის შინაარსზე: მე მქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ 2003 წლის 22 ნოემბერს, როდესაც პარლამენტის სხდომა უნდა ჩატარებულიყო, გამზადებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი და, როდესაც მოხდებოდა შეტაკება შინაგან ჯართან, თუ შინაგანი ჯარი უკუაქცევდა ხალხს, უკან გამოქცეულებს წინიდან ესროდნენ, ანუ რამდენიმე დახოცილ ადამიანს ტყვია მოხვედრილი ექნებოდა წინიდან და იმ არეულ ჟამს, როდესაც ხელისუფლება მთლიანად გაკოტრებული იყო როგორც ფინანსურად, ისე პოლიტიკურად, არავინ დაიწყებდა იმის გარკვევას, ეს იყო თუ არა შინაგანი ჯარის ტყვია და ამას მოჰყვებოდა შემდგომი არეულობა. ასეთი განზრახვა არსებობდა და ინფორმაციაც გვქონდა. მე პრევენცია გავაკეთე იმით, რომ ამის შესახებ ვუთხარი ჟვანიას, მას დავუსახელე ის ხალხიც, რომლებსაც იარაღი ჰქონდათ.

**– ვინ იყვნენ?**

– მათ შორის სახელდებოდნენ: გია ბარამიძე, ვასილ სანოძე, ახალაია. პრევენციის სხვა საშუალება არ მქონდა, იმიტომ რომ მხოლოდ ამ ინფორმაციით ამ ხალხის დაჭერა შეუძლებელი იყო.

**– რადგან ინფორმაცია ოპერატიული იყო?**

– დიახ, ეს არ იყო მტკიცებულება, მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ჟვანიასთვის თქმამ პრევენციის როლი შეასრულა. თუმცა კორდონი პირველივე შეტაკებისთანავე გაირღვა, შინაგანმა ჯარმა დაყარა ხელკეტები და გაიქცა, იმიტომ რომ შინაგანი ჯარი ვერ იყო იმ ამოცანის შემსრულებელი, რაც დააკისრეს და მე ვფიქრობ, რომ ამოცანაც არასწორად დააკისრეს. არაფერი ესაქმებოდა შინაგან ჯარს პარლამენტის დასაცავად და არაფერი გვჭირდა პარლამენტის დასაცავი. შეჭრილიყო ის ხალხი პარლამენტში, ხელისუფლება უფრო დადებითად გამოჩნდებოდა, ვიდრე, როდესაც შინაგანი ჯარი პარლამენტს შემოვარტყით და ვიცავდით მას ხელკეტიანი მშიერი ჯარით.

**– თავი დავანებოთ კონკრეტიკას. თქვენ გამორიცხავთ იმ ტიპის გარიგებას, რაზეც დავით თევზაძე საუბრობს?**

– ნუ ფილოსოფოსობენ: ეს არის სუფთა ფილოსფოსობა, რადგან პოლიტიკაში ყველაფერი ძალზე მარტივად ხდება. შემდეგ რთულდება პროცესები. თევზაძე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და, როდესაც ასეთ რამეს ამბობს, ხალხი ფიქრობს, აი, თურმე, რა ყოფილა ჩაფიქრებული. არადა, რეალურად, ივანოვი იმიტომ ჩამოვიდა, რომ პროცესებს არ ჩამორჩენილიყვნენ. ივანოვი იყო რესტორანში და დაურეკეს, რაღაც ხდება საქართველოში და, რადგან ქართული წარმოშობის ხარ, წადი, სასწრაფოდ გაიგე რა ხდებაო. ჩამოვიდა, შეხვდა შევარდნაძეს, ვითომ რაღაც შუამავლობა უნდოდა, მაგრამ გზაში იყო, როდესაც შევარდნაძე გადადგა და დარჩა ხახამშრალი.

**– თუმცა სწორედ ივანოვს გაატანეს აბაშიძე?**

– შემდეგ ისევ ჩამოვიდა, მეორედ რომ გართულდა პროცესი, იცნობდა აბაშიძეს და გაატანეს.

**– თავისით რატომ არ წავიდა? ტყვესავით გაცვალეს? რაში გაცვალეს?**

– ეს საერთოდ ასე ხდება, როდესაც არ გინდა, მოსწყდე პროცესებს, ერთვები და აქტიურდები. ჩათვალეს, დადებით როლს შევასრულებთო, რაც უფრო მეტად ჩაერთვები მოლაპარაკებებში, მით უფრო მეტი ვალდებულებები ჩნდება. შეიძლება, რაღაც ამ ტიპის ვალდებულება შექმნეს იმით, რომ, მოდი, ასლან აბაშიძეს წავიყვანთ და სიმშვიდე იქნებაო. შეიძლება, ასეთი მოლაპარაკება იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს მიუღებელ მოლაპარაკებას. მეც ვვარაუდობ, რადგან არავინ იცის, ზუსტად რა მოლაპარაკება იყო. მაგრამ ზღაპარია, მაშინ გაეთვალათ, ტრიუმვირატი მოვა ხელისუფლებაში 2003 წელს, 2008 წელს თქვენ შემოიჭრებით ცხინვალში და ასე შემდეგ. ასეთი გათვლები არ ხდება. ეს არის ხალხის თეორიული ვარაუდები. ხანდახან ისეთ რაღაცას ჩაახუჭუჭებენ და ჩემს შესახებაც ისეთი რაღაცეები გამიგია, მიფიქრია, ნუთუ ასეთი სულელი ვიყავი და ბრმა იარაღად მიყენებდნენ-მეთქი?! ყველაფერი ძალიან მარტივად ხდება პოლიტ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**დარეჯან ქურციკიძე**, *61 წლის (მარტვილი).*

– რამდენიმე წლის წინ დამისვეს რევმატოიდული ართრიტის დიაგნოზი. მისივდებოდა ხელის მტევნები, მუხლები; მტკიოდა კისერი, მხრები; დავიწყე წამლების მიღება, რომლებმაც არანაირი შედეგი არ მომცა. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვაკვლიე „ალექსიშვილის კლინიკას“. მანანა ექიმმა ნატურალური მალამოებით დამიწყო მკურნალობა. საუცხოო შედეგი მივიღე: 2-3 დღეში ტკივილები სრულიად მომეხსნა, თავისუფლად გადავდგი ნაბიჯები, ხალისი დამიბრუნდა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავისა და წნევის პრობლემაც. დიდი მადლობა მანანა ექიმს, მის თანამშრომლებს! აწი მე ცოცხალი რეკლამა ვიქნები.

**შალვა გოგატიშვილი** *(საჩხერე).*

***დიაგნოზი***: ოსტეოპოროზი, გონართროზი.

– 81 წლის კაცი ვარ. აქამდე წამალი არ დამჭირვებია, ავადმყოფობა რა იყო, არ ვიცოდი. ბოლო წლებში სახსრების ტკივილები დამჩემდა, უძილობა დამეწყო, ძვლებს სულ ღრჭიალი გაუდიოდა. შვილებმა აქ მომიყვანეს. მანანა ექიმმა სიცოცხლე გამიხანგრძლივა – ტკივილები მომიხსნა, ჯოხი გადავაგდე, ჩემით დავდივარ და ღამითაც კარგად მძინავს. დიდი მადლობა, დღეგრძელობას ვუსურვებ და ჯანმრთელობას!

**რეზო ნანობაშვილი**, *52 წლის (თბილისი).*

***დიაგნოზი***: წელის მალების ოსტეოქონდროზი. პროლაფსი.

– ქალბატონ მანანასთან შვიდი წლის წინ ვმკურნალობდი. მაშინ მუხლის სახსარი მაწუხებდა და მისივდებოდა. პოდაგრული ართრიტი დამიდგინდა, მაშინაც ძალიან სწრაფი შედეგი მივიღე და ახლაც. მას მერე არ შევუწუხებივარ. წლების შემდეგ სიმძიმეების აწევა მომიწია (მშენებლობაზე ვმუშაობ). ერთ-ერთი დახრის დროს ვიგრძენი, თითქოს წელში რაღაც გაწყდა და ველარ გავსწორდი. სახლამდე ძლივს მიმიყვანეს. კომპიუტერით გადამიღეს და 2 დისკის თიაქარი დამიდგინდა. გადაწყდა ოპერაცია, რომლისაც შემეშინდა და სხვა გზების ძიება დავიწყე. გამახსენდა „ალექსიშვილის კლინიკა“ და მაშინვე წამომიყვანეს. პირველივე პროცედურამ ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მერე კი, 1 კვირაში, ყველანაირი ტკივილი გაქრა. ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მკურნალობას ბოლომდე ვიტარებ. აქვე აღვნიშნავ, რომ მომიწესრიგდა წნევისა და ნევროზის პრობლემაც. ულრმესი მადლობა ჩემს ექიმს, ჩემი ოჯახის იმედს!



***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

იკაში და მერე რთულდება. გჯერათ, რომ საშუალო დონის ჩინოვნიკმა თევზაძე გააფრთხილა?! მე უფრო მაღალი რანგის ხალხთან მქონდა ურთიერთობა, დათო თევზაძეს კი არასდროს ჰქონია ურთიერთობა თავის რუს კოლეგასთან და მაინცდამაინც სასიამოვნო ურთიერთობა არც ჰქონიათ, რაც მე ძალიან დიდ მინუსად მიმაჩნია. ერთადერთი მინისტრი ვიყავი, რომელსაც თავის რუს კოლეგასთან ურთიერთობა მქონდა.

**– პუტინი ხშირად იმეორებდა სააკაშვილის მისამართით, რომ ვალდებულებებს შესრულება უნდა და ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტი „გადააგდო“. იცით, რას დაჰპირდა ასეთს?**

– ეს იყო ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის საფუძველზე.

**– მე მახსოვს, რომ იყო ლაპარაკი ქართულ-რუსული ერთობლივი ანტიტერორისტული ბაზის შექმნაზე ბათუმში.**

– შეთანხმდნენ, მაგრამ, როდესაც რუსეთის სამხედრო ნაწილები გავიდნენ საქართველოდან, სააკაშვილმა, მარტივი ენით რომ ვთქვა, „გადააგდო“ რუსები, რამაც ისინი ძალიან გააბრაზა.

**– სულ ეს იყო? ამ ერთი ანტიტერორისტული ცენტრის გამო დავინაყეთ და დავიშალეთ?!**

– ანტიტერორისტული ცენტრის გამო იმიტომ დავინაყეთ, რომ ეს ანტირეტორისტული ცენტრი რუსეთისთვის სუფთა ფსიქოლოგიურად ანაცვლებდა სამხედრო ბაზას. ამის გარდა სხვა „გადაგდებებიც“ იქნებოდა, როდესაც სააკაშვილი რუსებთან ერთს თამაშობდა, სხვებთან – მეორეს. რუსეთი არ არის ის ქვეყანა და არც საქართველოა იმ მასშტაბის ქვეყანა, რომ რუსეთი ათამაშოს. დიდ ქვეყანას შეუძლია, ჰქონდეს ორმაგი და სამმაგი სტანდარტები, მაგრამ პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც ამგვარი რესურსი არ გააჩნია, მაინც ორმაგი სტანდარტებით თამაში ყოველთვის დამღუპველია.

**– ვთქვათ, ეს ანტიტერორისტული ცენტრი იყო დაპირება აქეთა მხრიდან, მაგრამ რაღაცის სანაცვლოდ ხომ დაჰპირდა, რის სანაცვლოდ?**

– რუსეთმა ძალიან სწრაფად გაიყვანა ბაზები საქართველოდან.

**– ეს 1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილება იყო და იმიტომაც გაიყვანა.**

– გაყვანა იყო ეუთოს სამიტის გადაწყვეტილება, მაგრამ იქ იყო მითითებული ვადები. რუსებმა ეს პროცესები დააჩქარეს.

**– რამდენი წლით დააჩქარეს?**

– დაახლოებით, სამი წლით. წარმოგიდგენიათ რას ნიშნავს სამი წელი?!

**– თუ შედეგებს გავითვალისწინებთ, ნეტავ არ დაეჩქარებინათ გასვლა, ჯანდაბას ის სამი წელი.**

– ნეტავ სააკაშვილს არ მოეტყუებინა პუტინი; ნეტავ სააკაშვილი არ აერჩია ხალხს; ნეტავ შევარდნაძეს შეცდომები არ დაეშვა; ნეტავ მეც არ დამეშვა შეცდომები... „ნეტავ“ ძალიან შორს წაგვიყვანს.

**– როდესაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში ხელისუფლება იცვლება, გამორიცხავთ, რომ ამ პატარა ქვეყნის ხელისუფლების მსურველი დიდ ქვეყანას, რომელსაც პატარა ქვეყანაში ინტერესი აქვს, ევაჭრებოდეს, მხარი დამიჭირეთ და ამას და ამას გაგიკეთებთ. ასე ხომ ხდება?**

– ასეთი პირდაპირი ტექსტით არ ხდება. ალბათ, ნებისმიერი ხელისუფალი ძალიან გარეწარი და გახრწნილი უნდა იყოს, იმაზე მეტს დაჰპირდეს, რის საშუალებაც აქვს. არც იძლევა პოლიტიკა ამდენის დაპირების საშუალებას. თავზეხელაღებული კაციც ვერ მისცემს ვერავის გარანტიებს, მე მოვალ და ამას და ამას გაგიკეთებთ. მით უმეტეს, რომ დახმარებაც არ შეიძლება, იყოს ასპროცენტიანი. ამერიკელებსაც კი არ შეუძლიათ ასეთი დაპირების მიცემა. მით უმეტეს, რუსეთს რა გავლენა ჰქონდა მაშინ საქართველოს ხელისუფლებაზე?! მაშინ რუსეთის გავლენა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ამერიკული.

**ნინო ხაჩიძე**

---


## დიაბეტური ტერფის სინდრომი

დიაბეტური ტერფის სინდრომი – შაქრიანი დიაბეტის ყველაზე ხშირი გართულებაა, რომელიც მოიცავს ნერვების, სისხლძარღვების, კუნთოვანი და ძვლოვანი აპარატის დაზიანებას. პირველი სიმპტომები შეიძლება იყოს სხვადასხვა: ფერმკრთალი ტერფი, მოჭერის, ჩხვლეტის, სიცივის შეგრძნება, „ჭიანჭველების სირბილის“ შეგრძნება. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა 40-50% მიეკუთვნება დიაბეტური ტერფის სინდრომის განვითარების რისკ-ჯგუფს:

* პერიფერიული ნეიროპათიის გამოვლენა.
* პულსაციის არარსებობა წვივის არტერიაზე.
* ტერფის დეფორმაცია.
* ტერფის გამოხატული ჰიპერკერატოზი.
* წყლულის არსებობა, ჩირქოვან-ნეკროზული პროცესი, ამპუტაცია ანამნეზში.

დიაბეტური ტერფის (და მით უმეტეს განგრენის) განვითარება არ წარმოადგენს შაქრიანი დიაბეტის აუცილებელ გართულებას. პაციენტის დროული მიმართვა ექიმთან, პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების დროული ჩატარება, უმრავლეს შემთხვევაში აცილებს მას დიაბეტური ტერფის სინდრომის განვითარებას.

„პროფესორ გია აბზიანიძის სახელობის ანგიოლოგია-სისხლძარღვთა ქირურგიის აკადემიურ კლინიკაში“ შესაძლებელია დიაბეტური ტერფის სრული გამოკვლევა და მკურნალობა. სისხლძარღვთა ქირურგი პროფესორი იგორ მიქაძე, ანგიოლოგი თათული აბზიანიძე და ენდოკრინოლოგი ინგა სისვაძე. კლინიკაში ტარდება სისხლძარღვთა ექოსკოპიური გამოკვლევა - დუპლექსონოგრაფია, კლინიკოლაბორატორიული გამოკვლევები.

**მისამართი: თევდორე მღვდელის N13, მე-5 სართული, (ყოფილი ძველი რკინიგზის საავადმყოფო) ტელ: 235 45 17, 599 58 05 17; 599213362**

# ამერიკის რომელ ვიცე-პრეზიდენტს უწოდებდნენ „პატარა დიქტატორს" და რატომ ითვლება რიჩარდ ნიქსონის ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდი სკანდალურად

*რამდენიმე დღის წინ საქართველოში ისტორიული ფაქტი დაფიქსირდა: პირველად, ქვეყნის დამოუკიდებლობის 23-წლიან ისტორიაში, დემოკრატიული გზით შეიცვალა პრეზიდენტი. ეს ჩვენთვის არის პირველი პრეცედენტი, აი, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი პრეზიდენტები საუკუნეების განმავლობაში იცვლებიან კონსტიტუციური გზით. ჩვენი დასავლელი პარტნიორების კონსტიტუციაც განსხვავებულია და მათ პრეზიდენტს საკმაოდ ძლიერი მოადგილე ჰყავს ვიცე-პრეზიდენტის სახით, რომელსაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. ვიცე-პრეზიდენტები დიდ როლს ასრულებენ ამერიკის პოლიტიკაში და გთავაზობთ მათ შორის ათ ყველაზე სკანდალურ ვიცე-პრეზიდენტს.*

## ჰანიბალ გემლინი (1861-1865)

არსებობს ვერსია, რომ რესპუბლიკელი ჰანიბალ გემლინი ვიცე-პრეზიდენტი საცხოვრებელი ადგილის გამო გახდა: აბრაამ ლინკოლნის გუნდს ესაჭიროებოდა ადამიანი, რომელსაც კარგად იცნობდნენ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში, შტატ მენში. არჩევანი გემლინზე გაკეთდა, რომელსაც აბრაამ ლინკოლნი საერთოდ არ იცნობდა, ნანახიც არ ჰყავდა და მათ შორის მიმოწერაც კი არ არსებობდა. სანამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, გემლინი ოჯახთან ერთად დიდ დროს ატარებდა მშობლიურ შტატ მენში. როგორც პოლიტიკოსს, გემლინს დაბალი რეიტინგი ჰქონდა, ის არ უყვარდათ პოლიტიკურ წრეებში. ვიცეპრეზიდენტობის შემდგომ, მან რამდენჯერმე სცადა რეაბილიტირება, სამხედრო-საზღვაო ძალებშიც კი მოეწყო სამუშაოდ, მაგრამ, იქაც არ ივარგა – მხოლოდ სამი თვე იმუშავა სამზარეულოში და უსახელოდ დატოვა ფლოტი, სამაგიეროდ, ისტორიაში, შევიდა როგორც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი.



## თომას ჰენდრიქსი (1885-1885)

კონგრესმენს, სენატორსა და ინდიანას შტატის გუბერნატორს, თომას ჰენდრიქსს საკუთარი თავი დემოკრატად მიაჩნდა და, ამავე დროს, შავკანიანების სეგრეგაციას უჭერდა მხარს. ჰენდრიქსი ყველაზე უსარგებლო ვიცე-პრეზიდენტად ითვლება ამერიკის ისტორიაში, რადგან, არჩევიდან რვა თვის შემდეგ გარდაიცვალა. კოლეგებს არ უყვარდათ ჰენდრიქსი, რადგან, ის ყველას ზემოდან უყურებდა, არ ესალმებოდა მთავრობის წევრებს. ჰენდრიქსის სიკვდილი ისევე შეუმჩნეველი იყო საზოგადოებისთვის, როგორც მისი მთლიანი პოლიტიკური საქმიანობა.

## თომას მარშალი (1913-1921)

დემოკრატ თომას მარშალს ორი რამ გამოსდიოდა კარგად: ცხოვრებით ტკბობა და პირად მცველებთან გულახდილი საუბრები. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს, ის გამოუტყდა თავის პირად მცველს, რომ მისი თანამდებობა სრულიად უსარგებლოა. „დაცვაც კი არ მჭირდება, რადგან, არც ერთი ოპოზიციონერი არ ესვრის ვიცე-პრეზიდენტს," – ხუმრობდა მარშალი. მინისტრთა კაბინეტის სხდომას მარშალი მხოლოდ ერთხელ დაესწრო. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომფორტს და, მისი თქმით, იქ, სადაც დივანზე ვერ წამოწვებოდა ან ფეხებს ვერ შემოაწყობდა მაგიდაზე, არაფერი ესაქმებოდა.

## კელვინ კულიჯი (1921-1923)

მორიდებულმა, უსალმო და ჩუმმა კელვინ კულიჯმა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა შემთხვევით დაიკავა. პრეზიდენტ უორენ ჰარდინგის პოლიტტექნოლოგებმა სპეციალურად შეარჩიეს კულიჯი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე, რათა ის კაბინეტის სხვა წევრების ფონზე დაკარგულიყო. ასეც მოხდა. კულიჯი ძირითად დროს სენატში ატარებდა, სადაც უინტერესოდ ერთვებოდა დისკუსიებში.

## ჰენრი უოლესი (1941-1945)

ერთმა პოლიტიკოსმა ასე დაახასიათა ჰენრი უოლესი: „ადამიანი, რომელიც პასუხობდა ტელეფონის ზარებზე, რომლებიც არავის ესმოდა". უოლესი კარგად ერკვეოდა სოფლის მეურნეობაში, მაგრამ, ფრთხილად ექცეოდა კაპიტალისტურ სისტემას. ამერიკელი ისტორიკოსების უმეტესობა უოლესს დღემდე „სტალინის მარიონეტად" მიიჩნევს. იგი სიმპათიით იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ და არ ინტერესდებოდა რიგითი ამერიკელების ცხოვრებით. უოლესს აინტერესებდა რელიგიური მიმდინარეობები და ფილოსოფია; მისი გატაცება იყო ზოროასტრიზმი.

## რიჩარდ ნიქსონი (1953-1960)

ნიქსონი მძლავრი პოლიტიკური ფიგურა იყო, მაგრამ, როგორც ვიცე-პრეზიდენტი, ის არავის ახსენდება. ჯერ კიდევ არჩევნების დროს, იგი სკანდალის ეპიცენტრში მოექცა, როდესაც გაჟონა ინფრომაციამ უკანონო ფონდების არსებობის შესახებ, სადაც მდიდარი ამერიკელები რიცხავდნენ თანხებს. ეიზენჰაუერ-ნიქსონის დუეტს ეს სკანდალი კინალამ პატიმრობად დაუჯდა. ნიქსონი არცთუ შთამბეჭდავი იყო ეგრეთ წოდებულ „სამზარეულოს დებატებში" საბჭოელ ლიდერთან, ნიკიტა ხრუშჩოვთან. მოლაპარაკების დროს ნიქსონმა ვერც ერთხელ ვერ აჯობა ხრუშჩოვს და საბჭოელმა ჩინოვნიკმა ის რამდენჯერმე სულელად. გამოიყვანა.

## სპირო აგნიუ (1969-1973)

რიჩარდ ნიქსონის ვიცე-პრეზიდენტი სპირო აგნიუ მხოლოდ სკანდალებთან ასოცირდებოდა. თავდაპირველად მას დაბრალდა ვიეტნამთან ომის დაწყება, ხოლო შემდგომ მას ქრთამის აღებაც დააბრალეს. საბოლოოდ, აგნიუმ აღიარა დანაშაული და, შეეცადა, ყურადღება საკუთარ თავზე გადმოეტანა უოტერგეიტის საქმიდან, რომელმაც საბოლოოდ შეიწირა ნიქსონის პოლიტიკური კარიერა. აგნიუ იმ ვიცე-პრეზიდენტების კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც არავის უყვარდა, მათ შორის, ნიქსონსაც კი. მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ნათესავებთან, ხოლო ჟურნალისტები მას „პატარა დიქტატორსა" და „დამპალი სულის მქონე ადამიანს" უწოდებდნენ.

## დენ კუეილი (1989-1993)

ამერიკელები შოკში ჩაცვივდნენ, როდესაც ჯორჯ ბუშმა-უფროსმა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ყველასთვის უცნობი დენ კუეილი წარადგინა – ახალგაზრდა პოლიტიკოსი მოკლე და პრიმიტიული ბიოგრაფიით. კუეილის ყოფილი ლექტორებიც კი უნივერსიტეტიდან, მას არცთუ ჭკვიან ადამიანად ახასიათებდნენ. კუეილის ყველაზე ცნობილი სკანდალი უკავშირდება მის ვიზიტს ტრენტონის სკოლაში, ნიუ-ჯერსის შტატში: ერთ-ერთმა სკოლის მოსწავლემ დაფაზე დაწერა სიტყვა „კარტოფილი", კუეილმა მას შეუსწორა ნაწერი, რამაც შოკში ჩააგდო მთელი ამერიკა. მოსწავლემ დაფაზე დაწერა „Potato", კუეილმა კი „შეუსწორა" – ბოლოში e მიუწერა „Potatoe," რაც გრამატიკულად არასწორი იყო. ვიცე-პრეზიდენტმა, უბრალოდ, არ იცოდა, როგორ იწერებოდა ეს სიტყვა.



## რიჩარდ ჩეინი (2001-2009)

არჩევნების დროს რიჩარდ (დიკ) ჩეინი ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ პოლიტიკოსად და წარმატებულ ბიზნესმენად ითვლებოდა ამერიკაში. კარგ ორგანიზატორსა და ორატორს ბევრის მიღწევა შეეძლო – ასე მიაჩნდათ ამერიკელებს, რომლებიც სწორედ მას ასახელებენ ერაყში საომარი მოქმედებების დამწყებად. მის მთავარ ტყუილად სახელდება ის ფაქტი, რომ პირველად მან დაადანაშაულა სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის ქონაში, რაც, საბოლოოდ, ბლეფი აღმოჩნდა. ჩეინის ვიცეპრეზიდენტობის პერიოდში საომარ მოქმედებებს ერაყში 4 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ემსხვერპლა.

## ჯო ბაიდენი (2008-დღემდე)

ბარაკ ობამას ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენს არჩევის დღიდან სკეპტიკურად უყურებს ამერიკელი მუშათა კლასი. მათი აზრით, ბაიდენი კარგი დემაგოგია, რომელსაც უყვარს პოპულისტური გამონათქვამები და დემოკრატიული პარტიის ქება-დიდება.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელი მილიარდერის კუნძულზე იღებდნენ სერიალ „დაკარგულებს" და რის გამო ვერ ყიდიან კუნძულს ონასისის ოჯახის წევრები

*„თუ თქვენ შეგიძლიათ, შეიძინოთ ავტომობილი, თქვენ შეძლებთ კუნძულის შეძენასაც" – ეს სიტყვები ფარჰად ვლადის ეკუთვნის, ადამიანს, რომელიც ფლობს სააგენტო „ვლადი ფრაივით აილენდს", მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიას, რომელიც კუნძულებით ვაჭრობს. 1960-იან წლებში დაუსახლებელი კუნძულის ყიდვა 1 500 დოლარად იყო შესაძლებელი, დასახლებულისა – 50 ათასად, დღეს კი კერძო კუნძულების ყიდვის საშუალება მხოლოდ „ფორბსის" მილიარდერებს აქვთ, თანაც, ყველას არა. ცნობილია, რომ კერძო კუნძულის შენახვა უძვირესი ფუფუნებაა და, სწორედ ამის გამო, დიდი ხანია, გასაყიდად აქვთ გატანილი თავიანთი კუნძულები ჰოლივუდის ვარსკვლავს, ნიკოლას კეიჯს, სელინ დიონს და სხვებს. მაგალითად, რუსმა ოლიგარქმა დიმიტრი რიბოლოვლიევმა კუნძული მსაიხობ უილ სმიტისგან შეიძინა. „ფორბსმა" მილიარდერების ყველაზე მდიდრული კუნძულების ათეული შეადგინა.*

### კუნძული ლანაი

***მფლობელი: ლარი ელისონი (კაპიტალი 43 მილიარდი დოლარი); ფართობი: 364 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: ჰავაი, აშშ; ფასი: 500-600 მილიონი დოლარი.***

2012 წლის ზაფხულის ბოლოს, „ორაკლის" მფლობელმა ლარი ელისონმა მილიარდერ დევიდ მერდოკისგან ჰავაის კუნძულებიდან ერთ-ერთი, – ლანაის 98 პროცენტი მიწის ფართობი შეიძინა. ამ კუნძულზე მიმდინარეობდა პოპულარული სერიალის – „დაკარგულების" გადაღებები; აქ შედგა ბილ და მელინდა გეითსების ქორწილი. ცნობილია, რომ გეითსს თავად სურდა კუნძულის შეძენა, მაგრამ, ელისონმა მას დაასწრო. სულ კუნძულზე 3 200 ადამიანი ცხოვრობს და, იმით არის ცნობილი, რომ 2000-



იანი წლების დასაწყისში ლანაი ამარაგებდა მსოფლიო ბაზრის 75 პროცენტს ანანასებით.

### კუნძული ალანი

***მფლობელი: პოლ ალენი (კაპიტალი 15 მილიარდი დოლარი); ფართობი: 1,2 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: არქიპელაგი სან-ხუანი, აშშ; ფასი: 27 მილიონი დოლარი.***

„მაიკროსოფტის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ეს კუნძული 1992 წელს შეიძინა. კუნძულზე მინი-აეროდრომი და ფეშენებელური ვილაა. კუნძულის ერთადერთი პრობლემა მასზე ელექტროენერგიის არარსებობაა. დიდი ხანია, ალენი ცდილობს, გაყიდოს კუნძული, მაგრამ, უშედეგოდ.

### კუნძული სემფსონი

***მფლობელი: ჯონ მელოუნი (კაპიტალი – 6 მილიარდი დოლარი); ფართობი: 0,12 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: ბაჰამის კუნძულები; ფასი: 27 მილიონი დოლარი.***

მედიამაგნატმა ჯონ მელოუნმა, რომელსაც რამდენიმე თვის წინ 72 წელი შეუსრულდა, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობებს მცირე ზომის კუნძული დაამატა. ბაჰამის კუნძულების არქიპელაგში შემავალ კუნძულზე მელოუნმა 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო, იახტ-კლუბი და გასაქირავებელი კოტეჯები ააშენა. ერთკვირიანი დასვენება სემფსონზე 2-8 ათასი დოლარი ჯდება.

### კუნძული ნეკერი

***მფლობელი: რიჩარდ ბრენსონი (კაპიტალი – 4,6 მილიარდი დოლარი); ფართობი: 0,3 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: არქიპელაგი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კარიბის ზღვა; ფასი: 180 ათასი ფუნტი (შეიძინა 1970 წელს).***

რიჩარდ ბრენსონი კუნძულზე დიდ დროს ატარებს. ნეკერზე განთავსებულია ბრენსონის სახლი, რამდენიმე ვილა და გასართობი ცენტ-



რი ჩოგბურთის კორტით. კუნძულზე ბინადრობს 200 ფლამინგო. ბრენსონი პერიოდულად აქირავებს საკუთარ სახლს. დღიური ცხოვრება კუნძულზე 53 ათასი დოლარი ჯდება.

### კუნძული ბრეკუ

***მფლობელი: დევიდ და ფრედერიკ ბერკლები (კაპიტალი – 3,2 მილიარდი დოლარი); ფართობი: 0,81 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: ნორმანდიის კუნძულები, დიდი ბრიტანეთი; ფასი: 4,3 მილიონი დოლარი (1993 წელი).***

ტყუპმა ძმებმა, მილიარდერებმა და გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" მფლობელებმა კუნძული ბრეკუ 1993 წელს შეიძინეს. ტყუპებმა რეკონსტრუქცია და რესტავრაცია ჩაუტარეს მეთექვსმეტე საუკუნის სასახლეს, რომელიც კუნძულზე მდებარეობდა, ააშენეს რამდენიმე აუზი და ვერტმფრენისთვის დასაჯდომი ადგილი. 2012 წლიდან, კუნძული პერიოდულად იხსნება დამთვალიერებლებისთვის.

### კუნძული სკორპიოსი

***მფლობელი: აფინა ონასის რუსელი (კაპიტალი – 2,5 მილიარდი დოლარი); ფართობი: 0,6 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: იონის არქიპელაგი, საბერძნეთი; ფასი: 27 მილიონი დოლარი.***

მოდა კერძო კუნძულებზე მილიარდერმა არისტოტელე ონასისმა შემოიღო. სწორედ სკორპიოსზე იქორწინა მან ამერიკის ყოფილ პირველ ლედიზე ჟაკლინ კენედიზე. ამჟამად კუნძული არისტოტელეს შვილიშვილს, აფინას ეკუთვნის. კუნძულის შენახვა ოჯახს წელიწადში 1,5 მილიონი დოლარი უჯდება და აფინამ რამდენჯერმე სცადა მისი გაყიდვა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ კუნძულზე მდებარეობს ონასისების საგვარეულო აკლდამა და მისი გაყიდვა შეუძლებელია. ოჯახი უშედეგოდ ეძებს მეარენდეებს, ვინც კუნძულს 90 წლით უპატრონებს.

### კუნძული სენტ-ფილიპსი

***მფლობელი: ტედ ტერნერი (კაპიტალი 2 მილიარდი დოლარი); ფართობი: 8 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: ჩარლსტონი, აშშ; ფასი: 2 მილიონი დოლარი (1979).***

მედიამაგნატმა ტედ ტერნერმა კუნძული სენტ-ფილიპსი 1979 წელს, „სიენენის" შექმნამდე ერთი წლით ადრე შეიძინა. კუნძული სამხრეთ კაროლინას შტატის სანაპიროსთან მდებარეობს, ქალაქ ჩარლსტონის მახლობლად. ამჟამად კუნძულზე ტერნერების საცხოვრებელი ვილაა და უცხოებისთვის იქ ჩასვლა აკრძალულია.

### კუნძული ჯეიმსი

***მფლობელი: კრეიგ მაკკოუ (კაპიტალი – 1,6 მილიარდი დოლარი); ფართობი: 3,1 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: ბრიტანეთის კოლუმბია, კანადა; ფასი: 19 მილიონი დოლარი (1994).***

ფიჭური კავშირგაბმულობის პიონერად წოდებულმა კანადელმა მილიარდერმა, კრეიგ მაკკოუმ, კუნძული 1994 წელს შეიძინა და კანადაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ კურორტად აქცია ვილებით, გოლფის მოედნებით, სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკებით, სავაჭრო ცენტრითა და სხვა გასართობი ობიექტებით. ამჟამად კუნძული გასაყიდად არის გატანილი და 75 მილიონ დოლარადაა შეფასებული

### კუნძული რობინსი

***მფლობელი: ლუი მურ ბეკონი (კაპიტალი 1,3 მილიარდი დოლარი); ფართობი: 1,76 კვ. კმ.; ადგილმდებარეობა: ნიუ-იორკიდან 120 კმ-ს დაშორებით, აშშ; ფასი: 11 მილიონი დოლარი (1993).***

1990-იანი წლების დასაწყისში ლონგ-აილენდის სანაპიროსთან მდებარე კუნძულზე 22 ფეშენებელური ვილის მშენებლობა დააპირეს, მაგრამ, პროექტი ჩავარდა, ხოლო მშენებელი კომპანია გაკოტრდა. კუნძული აუქციონზე ფინანსისტმა ლუი მურ ბეკონმა 1993 წელს შეიძინა და მას შემდეგ კუნძული დახურული ნაკრძალია, სადაც მილიარდერმა მშენებლობისგან დაზიანებული ტყე-პარკის მთლიანი აღდგენა მოახერხა. ერთადერთი მინუსი აქვს კუნძულს – ის დახურულია დამთვალიერებლებისთვის.

### კუნძული ჩრდილოეთ დამპლინგი

***მფლობელი: დინ კემენი (კაპიტალი 0,8 მილიარდი დოლარი); ფართობი: 8 000 კვადრატული კილომეტრი; ადგილმდებარეობა: 170 კილომეტრი ნიუ-იორკის სანაპიროდან, კონექტიკუტის შტატი, აშშ; ფასი: 2,5 მილიონი დოლარი (1986).***

დინ კემენმა, სეგვეის გამომგონებელმა (ელექტრონული ორბორბლიანი სკუტერი), კუნძული 1986 წელს შეიძინა და იქვე დასახლდა. ჯორჯ ბუშ-უფროსის პრეზიდენტობის პერიოდში კემენმა კუნძული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა: შექმნა კონსტიტუცია, ვალუტა, ერთი კაცისგან შემდგარი ფლოტი და დაწერა ჰიმნი. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ აღიარა კუნძულის დამოუკიდებლობა, ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა ბრძანებას კუნძულზე თავდაუმსხმელობის შესახებ.

**უშანგი რუხაძე**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მ ი ი ღ ე თ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**პარლამენტის მმართველი ფრაქციის ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი ქართულ პოლიტიკაში ძალიან ახალგაზრდა მოხვდა. მისი პოლიტიკური ნათლობა „სოციალისტურ პარტიაში” შედგა, სადაც მას ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერობა ანდეს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა – ზაქარია ქუცნაშვილმა ქართული პოლიტიკის კულისების სიმძიმე საკუთარ თავზე ბევრჯერ გამოსცადა. თუმცა, როგორც თავად ამბობს, გზა არ აებნა და არც ორ სკამზე მჯდარა, ზოგიერთივით. ახალმა და მნიშვნელოვანმა პოსტმა, რომელიც დღეს ქართულ პოლიტიკაში აკისრია, მის შესახებ ბევრი მითი შექმნა, რაზე საუბარსაც ის თავს არ არიდებს. პირიქით, არც იმას მალავს, რა დაკარგა და იმასაც გვიმხელს, რას შეელია წარსულიდან.**

# რატომ ცხოვრობდა ზაქარია ქუცნაშვილი ზურაბ ადეიშვილთან ერთად და როგორ მოხვდა ის „შავ სიაში“

**ზაქარია ქუცნაშვილი**: პოზიცია, რომელიც ახლა მიკავია, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. თუმცა, მე ვიტყოდი, მთავარი და საინტერესო ჯერ კიდევ წინ არის. მე ყოველთვის ვიცოდი, რა მინდოდა ცხოვრებაში – ბავშვობაში ვიცოდი, რომ უნდა გავმხდარიყავი იურისტი, სტუდენტობისას ვიცოდი, რომ უნდა მესწავლა და მემუშავა, არჩევნებისას ვიცოდი, რომ უნდა გამემარჯვა, პარლამენტში ვიცი, რომ მმართველი ფრაქციის ხელმძღვანელობა უდიდესი პასუხისმგებლობაა და ჩემს კოლეგებთან ერთად ვცდილობ, ამ პასუხისმგებლობას თავი გავართვა. ვფიქრობ, თუ ადამიანმა, მით უმეტეს მამაკაცმა, იცის, რა უნდა ცხოვრებაში და მიზნისკენ მისასვლელ გზებიდან იოლ გზას არ აირჩევს, აუცილებლად მიიღებს კარგ შედეგს.

**– თქვენი „პოლიტიკური ნათლობა” შედგა „სოციალისტურ პარტიაში”. როგორი იყო გზა, რომელიც თქვენ აქამდე გაიარეთ?**

– ის გზა, რომელიც გავიარე, მარტივი და იოლი არ ყოფილა. მე ჩემს მეგობრებთან ერთად ჩამოვაყალიბე ახალგაზრდა სოციალისტთა ორგანიზაცია. იმის მიუხედავად, რომ დღედა პარტია აღარ არსებობს მე ძალიან მეამაყება, რომ დღესაც არსებობს ახალგაზრდული ორგანიზაცია და თუ არ ვცდები, უკვე მეხუთე თავმჯდომარე ჰყავს. რაც შეეხება ჩემს მოხვედრას პოლიტიკაში, 1995 წელს მე ვხელმძღვანელობდი, დღეს ჩემი კოლეგის და მაშინ ჩემი ოჯახის ახლობლის, თამაზ მეჭიაურის საარჩევნო კამპანიას, რომელიც თიანეთის მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს. მაშინ 23 წლის ვიყავი. მას შემდეგ რაც თამაზი გახდა დეპუტატი, წამიყვანა სპეციალისტად პარლამენტის აპარატში. თამაზი გაწევრიანდა ფრაქცია „სოციალისტებში”, სადაც შემამჩნია ვახტანგ რჩეულიშვილმა და შემომთავაზა ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერობა. ამას მოჰყვა ჩემი მოხვედრა თბილისის საკრებულოში, შემდეგ საქართველოს პარლამენტში. თუმცა, მე ბევრისგან განსხვავებით, თანამდებობრივ მდგომარეობას წარმატებად არ მივიჩნევ. ვფიქრობ, წარმატების საზომი ადამიანთა დამოკიდებულება და თანამოაზრეთა წრეა, რომელიც ან გყავს, ან არ გყავს. თანამდებობის პირის გარშემო წრე იცვლება, მაგრამ ეს ხშირად არა თანამოაზრეთა წრეა, არამედ ესაა წრე მაამებელთა და მედროვეთა. ნებისმიერ ხელისუფლებაში მყოფ პირს უცებ ეხვევა გარს ეს წრე. ამიტომაც, განვასხვავებ მე თანამოაზრეებსა და მაამებლებს, რომელთა გარჩევა აუცილებლობაა. აუცილებლად უნდა იცოდე, ვის უნდა დაეყრდნო, ვისი რჩევა და შენიშვნა გაიზიარო. მე ამას კარგად ვარჩევ.

**– ეს ალბათ, გამოცდილებით, თორემ ქართული პოლიტიკის კულისები ისეთი რთულია, გზა თქვენც აგებნეოდათ.**

– მე მაქვს პრინციპები, რომლებსაც ვეყრდნობი, რის გამოც გზა არ მებნევა. ეს არის შრომა, წესიერება და პრინციპულობა. მიმაჩნია, რომ თუ ბევრს შრომობ, ცხოვრობ წესიერად, ხარ ერთგული და დაიცავ პრინციპებს, წარმატება გარდაუვალია. მე არასდროს მიღალატია ჩემი პარტნიორისთვის, არასდროს მიშრომია ჩემს პარტნიორზე ნაკლები და არც უწესოდ მოვქცევივარ.

**– ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად გთვლიან. ეს მართლაც ასეა?**

– სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვილვწი იმისთვის, რომ ეს სტატუსი მქონდეს. ჩემთვის მთავარია, ხალხის დამოკიდებულება და ნდობა, რაც მე მაქვს. ვერ გეტყვით, რატომ იქმნება მსგავსი „მითები”. ჩემთვის გუნდური თამაშია მნიშვნელოვანი, რომლის საფუძველიც არის ღირებულებები, ფორმა კი თანამოაზრეთა წრე, რომელიც ადამიანის გარშემო ქმნის მდგომარეობას, რაც გარედან მაყურებელს აფიქრებინებს, რომ ის გავლენიანია. როდესაც ასეთ ხმებს ვისმენ საკუთარ თავზე, ვშიშობ, არ შევიძინო დამატებითი მტრები. ადამიანთათვის, არ არის მარტივი დაუმსახურებელი კრიტიკა ან დაუმსახურებელი ქება. ჩემთვის ორივე საშიშია. მიმაჩნია, რომ ერთიც და მეორეც აფუჭებს ადამიანს, დაუმსახურებელი კრიტიკა აღიზიანებს, დაუმსახურებელი ქება კი – აფუჭებს და რყვნის. ჩემთვის ქათინაურის თქმა თავისუფლად შეუძლიათ მშობლებს, ვიცი, რომ ის ნაღდია და სუფთა. ასევე, მეგობრებს, რომლებთანაც წლების მეგობრობა მაკავშირებს და ეს ჩემთვის ძალიან ღირებულია. მათგან ყველაზე პირუთვნელად ვიგებ, რას ფიქრობს საზოგადოება ჩემზე, რადგან მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსები ვალდებულები ვართ საზოგადოების აზრს გავუწიოთ ანგარიში. პოლიტიკოსი, რომელსაც მაპატიეთ და ფეხზე ჰკიდია, რას იტყვიან მასზე, ის ყველაფრის მკადრებელია.



**ჭორიკანა და ავი თვალის სამიზნე გავხდი**

**– ოჯახი ასე იოლად გიბედავთ ფრაქციის ხელმძღვანელს ოპოზიციაში ყოფნას?**

– ჩვენ ძალიან დემოკრატიული ოჯახი გვაქვს. ჩვენთან ჩვეულებრივ ამბად არის ქცეული შენიშვნა, კრიტიკა, შესწორება. მე და ჩემი ძმა ისე გაგვზარდეს, ბავშვობიდან გვეკითხებოდნენ აზრს. ჩვენ ძალიან გვიკვირდა, რატომ გვეკითხებოდა მამა სულელ ბავშვებს, თუნდაც იმას, თუ როგორი სახლი უნდა აგვეშენებინა სოფელში. მერე მივხვდით, რომ მამა ამით გვინვითარებდა გადაწყვეტილების მიღების უნარს ბავშვობიდანვე. მეც იგივეს ვაკეთებ ჩემს შვილებთან. სამწუხაროდ, ჩემი რეჟიმიდან გამომდინარე, ვერ ვარ ისეთი მშობელი, როგორიც მამაჩემი იყო, რადგან დროის იმ ნაწილს, რომელიც უნდა გავატარო ბავშვებთან, ვკარგავ. ვკარგავ იმ სიამოვნებას, რასაც შვილის ზეიმზე, კონცერტზე დასწრება შეიძლება, განიჭებდეს, თუმცა, როცა ვხედავ, როგორ ცეკვავს ჩემი ბიჭი, როგორ უკრავს ჩემი გოგონა, ეს ის დიდი სიამოვნებაა, რომელიც ყველაზე ბედნიერად გაგრძნობინებს თავს.

**– მითებთან დაკავშირებით გკითხავთ, თქვენზე იმასაც ამბობენ, გაძლიერებული დაცვით დადისო.**

– ეს ხმებიც გადაჭარბებულია. თქვენ ხომ თავადაც ნახეთ, რომ მხოლოდ ერთი მანქანით მოვედი ***(იცინის).*** დაცვა არასდროს მყოლია. შარშან არჩევნების დროს, ჩვენ გვიცავდა მობილური ჯგუფები. თუმცა, მე ამაზეც უარი განვაცხადე და წინასაარჩევნო შეხვედრებზე მარტო დავდიოდი.

**– თქვენ მეგობრობდით წინა ხელისუფლების ყველაზე სკანდალურ ჩინოვნიკთან, ზურაბ ადეიშვილთან. თქვენი მეგობრობა დღესაც გრძელდება?**

– ჩვენი მეგობრობა დაიწყო უნივერსიტეტში, ჩვენ ერთ ჯგუფში ვსწავლობდით. ჩვენ ვიყავით ახლო მეგობრები, გვქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა. ზურა თბილისში ჩამოსული იყო რაიონიდან, მე ადგილობრივი ვიყავი და მიყვარდა ჩამოსულების ქომაგობა. არ მიჭირდა ჩემი და ჩემი მეგობრების დაცვა. იმ პერიოდში ჩვენ ბევრი რამ გვქონდა საერთო – ჩვენ წიგნიც გვაინტერესებდა და კიდევ სხვა რაღაცეებიც: სტიპენდიის აღებიდან მისი დახარჯვით დამთავრებული. თუ ვერ აიღებ, ვერ დახარჯავ. ჩემი პრინციპი იყო, რომ ყველას აეღო სტიპენდია, განსაკუთრებით ჩამოსულ ბიჭებს, რადგან მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ეს ფული. ზურა კარდინალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ის იუსტიციის მინისტრი გახადა. ის აღარ იყო ზურა ადეიშვილი, ამიტომაც ამოიშალა ჩემი მეგობრების სიიდან. ზურამ თხუთმეტამდე ჩვენი თანაკურსელის დაპატიმრება მოახერხა. მოგვიანებით, ჩვენ ასევე ერთად ვსწავლობდით გამოძიების ფედერალური ბიუროს ევროპის აკადემიაში, ბუდაპეშტში.

**– იქ თქვენ ერთად ცხოვრობდით?**

– კი, ჩვენ ერთ ნომერში ვცხოვრობდით, როგორც ახლო მეგობრები. მაშინ ორივე პარლამენტის წევრები ვიყავით, ზურა სახელისუფლებო გუნდიდან, მე – ოპოზიციიდან. შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. ძვირფას ადამიანს რომ კარგავ, ეს ძალიან რთულია, მაგრამ, როცა პრინციპულად განსხვავდება თქვენი ღირებულებები, იქ მეგობრობა არ გამოდის. მარტივ მაგალითს გეტყვით, როცა პირველად დეპუტატი გავხდი, მამამ მაჩუქა ფული, რომ ძველი მანქანა გამომეცვალა, მე ეს ფული ჩემს მეგობრებს მივეცი, საადვოკატო ბიურო გააკეთეთ, იხეირეთ და როცა ფული გექნებათ, მერე დამიბრუნეთ-მეთქი. ის ადამიანი ჩემი მეგობარი მეგონა, ის წავიდა და ჩემი მანქანისთვის განკუთვნილი ფული, რომელიც დაუნანებლად მივეცი, თურმე კაზინოში წააგო. ეს იყო იმედგაცრუება, რთულია, როცა შეცდები ადამიანში, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთიც ხდება ცხოვრებაში.

**– ბოლო წლებში თქვენ ეწეოდით ადვოკატის კერძო პრაქტიკას.**

– ეს გაგრძელდა ექვსი წელი. ამ წლებში დიდი გამოცდილება მივიღე. როცა ხარ

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# ვის ტყავში შექვრა ელენე კალანდაძე და რას ასწავლიდა მისი პედაგოგი მაიკლ ჯექსონს

*მხოლოდ ერთი შოუ, მხოლოდ ერთი „ლაივ“ კონცერტი და – ყველა ალაპარაკდა ტელეკომპანია „ჯიდიესის“ მეგაპროექტზე – „ერთი ერთში“. ძნელია გაიხსენო სხვა შოუ, სადაც შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს ერთი ერთში უწევთ მსოფლიო ან ეროვნული დონის ვარსკვლავების განსახიერება, მათთან მიმსგავსება როგორც ვიზუალით, ისე მანერებით, ხმის ტემბრით, დამოკიდებულებით და ცხოვრების სტილითაც კი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი „ლაივ“ კონცერტის გამარჯვებული თავისი არაჩვეულებრივი ლუი არმსტრონგით დათო გომართელი გახდა, მაინც გადავწყვიტეთ, რუბრიკის პირველ რესპონდენტად* ***ელენე კალანდაძე*** *მოგვევლინა, რადგან, სწორედ ის წავიდა ყველაზე დიდ რისკზე და, არც მეტი, არც ნაკლები, სქესი „შეიცვალა.“*

**ელენე კალანდაძე**: სიმართლე რომ გითხრათ, ამ პროექტის არსებობის შესახებ არ ვიცოდი და, როდესაც შემოთავაზება მივიღე, მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე. უკვე, შემდეგ როცა ვნახე, რა ფორმატის პროექტია, მივხვდი, რაღაც საოცრებასთან მქონდა საქმე, რადგან, ის საერთოდ არ ჰგავს




არც ერთ შოუს, რაც აქამდე ქართველ მაყურებელს უნახავს. ამ პროექტში გადამწყვეტი არ არის არც ვოკალი, არც არტისტიზმი ან პლასტიკა, ამ ყველაფრის სინთეზია აუცილებელი. ბევრს ვკითხე აზრი, როგორ მოვქცეულიყავი, ორი კვირა ვიფიქრე და, ბოლოს, გადავწყვიტე, რომ უკან არ დამეხია, რადგან, ეს ჩემი სტილი არ არის – უკან დახევა არ მახასიათებს. ვთქვი, რომ გავაკეთებ, თან, კარგად გავაკეთებ-მეთქი.

**– ვისაც ამა თუ იმ შოუზე შენთან ერთად უმუშავია, ყველამ იცის, რომ საქმის ნახევრად გაკეთება არ გჩვევია.**

– არა, თუ ვარ, ბოლომდე ვიხარჯები. ყოველდღიურად ყველა მონაწილეს გვაქვს რეპეტიციები და უკვე ერთი თვეა ვემზადებით. გაკვეთილები გვაქვს ქორეოგრაფთან, ვოკალის პედაგოგთან, დრამატურგთან.

**– იცოდი, რომ ასეთი „წონიანი“ პედაგოგები იქნებოდნენ?**

– არა, საერთოდ არ ვიცოდი მონაწილეებიც კი. ასეთი მაგარი გუნდი თუ იქნებოდა, მართლა ვერ წარმოვიდგენდი. არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. დადებითი აურაა და ნამდვილად არ არის ერთმანეთის ჭამა-ღრღნა და მახინჯი კონკურენცია. ყველას გვინდა მოგება, ყველა ამას ვცდილობთ, მაგრამ, ახლა მე შენ ჩაგძირავ – ასეთი რაღაცეები მართლა არ არის. რაც შეეხება პედაგოგებს, მოკლედ, „ჯიდიესში“ რომ მივდივარ, სამ ენაზე ვიწყებ ლაპარაკს: ქართულად, ფრანგულად და ინგლისურად. ჩვენი ვოკალის პედაგოგი, ეფრემი, ამერიკიდანაა, უსერიოზულესი პროფესიონალი, სასწაული ბექგრაუნდითა და ბიოგრაფიით. ისეთ ადამიანებთან აქვს ნამუშევარი, მხოლოდ მაიკლ ჯექსონის დასახელებაც კმარა. შემიძლია, მასზე დაუსრულებლად ვისაუბრო. ქართველ შემსრულებლებს არ გვაქვს იმის ფუფუნება და ბედნიერება, რომ ასეთ ადამიანებთან მასტერკლასი გავიაროთ, ამიტომ, ამ პროექტს ამისთვისაც ძალიან დიდი მადლობა. გვყავს, ასევე, ფრანგი ქორეოგრაფი – ზაკი, საოცარი პროფესიონალი, ასევე საოცარი გამოცდილებით. გვყავს ბულგარელი გრიმიორები, ძალიან მაგრად მუშაობენ.



**ხალხის რეაქციები იყო საოცარი, ყველა დაიშოკა. პირველი, რასაც მეუბნებოდნენ იყო – შეიძლება მკერდზე ხელი მოგკიდოო?!**

**– რით განსხვავდება მათი მუშაობისა თუ სწავლების სტილი ჩვენგან, ანუ, რას აკეთებენ ისინი ისეთს, რაც, ვთქვათ, საქართველოში არ ხდება?**

– ყველაფრით... ჯერ მარტო საქმისადმი დამოკიდებულებით: დაგვიანება, რეპეტიციის გაცდენა და მსგავსი რამეები მათთვის წარმოუდგენელია. ძალიან მეგობრულები არიან, მაგრამ, ამის გამო, შეიძლება, სერიოზულად დაგტუქსონ. საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას ითხოვენ, პროფესიის მიმართ პატივისცემას უნდა გამოხატავდე და ზემონდომებული იყო. რაც არ უნდა მაღალ საფეხურზე იდგე, ძალიან ბევრი მეცადინეობაა საჭირო. აქ ქაოსი გამორიცხულია. რაც „ჯიდიესში“ დავიწყე სიარული, აქ რომ შემოვდივარ, მგონია, რომ საქართველოში არ ვარ. თვითონ ტელევიზია, სტაფი, პროექტზე მომუშავე ადამიანები – სხვანაირად მუშაობენ, მაღალპროფესიონალურად. ძალიან მაგარი აურაა, მხოლოდ ენერგიულობა და პოზიტივი.

**– ვფიქრობ, ისეთმა რადიკალურმა ცვლილებამ, როგორიც შენ გააკეთე, უფრო გაამართლა, მაგარი ექსპერიმენტი გამოგივიდა.**

– მართალია. რისკი ღირდა შედეგად. მინდოდა, პირველ „ლაივზე“ ყოფილიყო შოკის მომგვრელი ეფექტი. მგონი, გაამართლა. ვიზუალურადაც საოცრად დამამსგავსეს კაცს – კაცის მოღეღილი გულმკერდი, თავისი ბეწვით *(იცინის)*... ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი თავს რობი უილიამსის ტყავში. ხალხის რეაქციები იყო საოცარი, ყველა დაიშოკა. პირველი, რასაც მეუბნებოდნენ, იყო – შეიძლება, მკერდზე ხელი მოგკიდოო?! იმდენად სასაცილოდ და მართლა „ერთი ერთში“ გამოიყურებოდა ეს ყველაფერი, რომ, ყველას უნდოდა, ხელი მოეკიდა *(იცინის)*.

**– პროექტის მიხედვით როგორ ხდება, თითო „ლაივიდან“ თითო მონაწილე ვარდება?**

– ამ შოუს მთელი ხიბლი ისაა, რომ არავინ არ ვარდება და რვავე მონაწილე მთელი შოუს განმავლობაში რჩება. ჟიურის მიერ დაწერილი, ერთმანეთისთვის მიცემული და მაყურებლისგან შემოსული ესემესების ჯამით გაირკვევა სამი ფინალისტის ვინაობა. შოუს ჰყავს სამი გამარჯვებული და ეს პრინციპი ძალიან მომწონს, ბოლომდე ასე ვიქნებით, სიამტკბილობაში.

**– შემდეგი ვინ ხარ?**



– ემი ვაინჰაუსი და ძალიან ბედნიერი ვარ. პირველ „ლაივზე“, როცა თავად ვირჩევდით ვარსკვლავებს, ემიზე და რობიზე ვფიქრობდი, მაგრამ, მერე მაინც გადავწყვიტე, რადიკალურ ნაბიჯზე – სქესის „შეცვლაზე“ წავსულიყავი. მიხარია, რომ ემი მაინც არ ამცდა. ბევრი მეუბნება, რომ ვოკალურად, ტემბრალურად, რაღაცნაირად ვგავარ მას, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, ფეხი ფეხზე გადავიდო და არაფერი ვაკეთო. ამასაც ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება. მაყურებელს ვპირდები, არანაკლებ შოკის მომგვრელი იქნება ეს, ყოველ მომდევნო კონცერტზე ვეცდები, ტემპი არ დავაგდო და სულ უფრო უკეთესი და უკეთესი იყოს.

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის პროცედურებია გასავლელი იმისთვის, რომ პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა პირმა მიიღოს ნებართვა პრობაციის სამსახურისაგან უცხოეთში გასამგზავრებლად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ უცხოეთში გამგზავრების შესახებ მსჯავრდებულის წერილობით განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ბიუროს უფროსი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით. პრობაციის ბიუროს უფროსის გადაწყვეტილება მსჯავრდებულს ეცნობება წერილობით, პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. წერილობით განცხადებას პრობაციის ბიუროს უფროსი განიხილავს დაჩქარებული წესით, 2 სამუშაო დღის ვადაში, მსჯავრდებულის მიერ დაჩქარებული მომსახურების საფასურის – 200 ლარის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვის საფუძველზე. უცხოეთში გამგზავრების შესახებ მსჯავრდებულისათვის უარის თქმის შემთხვევაში დაჩქარებული მომსახურების საფასური უკან არ ბრუნდება.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ რა თანხაა განსაზღვრული კანონით გადასახდელად იმ შემთხვევაში, როდესაც პირობით მსჯავრდებული პირი ტოვებს ქვეყნის საზღვრებს და მიემგზავრება უცხოეთში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მსჯავრდებულს უცხოეთში გამგზავრების შემთხვევაში ეკისრება საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასურის გადახდა შემდეგი ოდენობით: ერთ თვემდე ვადით გამგზავრებისას – 600 ლარი; ერთიდან სამ თვემდე ვადით გამგზავრებისას – 1 200 ლარი; სამიდან ექვს თვემდე ვადით გამგზავრებისას – 2 000 ლარი; ექვსიდან ცხრა თვემდე ვადით გამგზავრებისას – 2 700 ლარი; ცხრიდან თორმეტ თვემდე ვადით გამგზავრებისას – 3 400 ლარი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირებისთვის დაკისრებული რომელი სახის ვალდებულების აღსრულებას უზრუნველყოფს პრობაციის სამსახური?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა სახის შემდეგი სამართლებრივი აქტების აღსრულებას: სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; სასჯელის სახით იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ; სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის შესახებ; სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ; პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ; სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ; სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ (ორსული ქალისათვის – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე). დადგენილი წესითა და პირობებით აღსრულებას ექვემდებარება აგრეთვე განრიდების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება.

**კითხვა: ვარ პირობით მსჯავრდებული პირი ნარკოტიკების მოხმარებისთვის და ყოველ კვირას დავდივარ პრობაციაში. არასდროს დამირღვევია რეჟიმი, მაგრამ, ჩემთვის მოულოდნელად, პრობაციის ოფიცერმა მომთხოვა ნარკოტიკების მოხმარებაზე შემოწმება. გთხოვთ, მაცნობოთ აქვს თუ არა პრობაციის ოფიცერს ამის უფლება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია, ნარკოტიკული დანაშაულისთვის პირობით მსჯავრდებულსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს პერიოდულად ან გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მოსთხოვოს შესაბამისი ნარკოლოგიური შემოწმების 5 სამუშაო დღის განმავლობაში გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა. თუ მსჯავრდებულს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება, გარდა მსჯავრდებულის მიერ ამ ნივთიერების სამკურნალო მიზნით მოხმარებისა, პრობაციის ბიურო ვალდებულია, ეს ფაქტი აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: მართალია, პრობაციაში გამოვცხადდი დროულად, მაგრამ, ვიყავი ოდნავ ნასვამ მდგომარეობაში. რეჟიმი არასდროს დამირღვევია, მაგრამ, იმის გამო, რომ მცირედ მქონდა ალკოჰოლი მიღებული, ჩემ მიმართ განხორციელდა სანქციები და დამიმძიმდა რეჟიმი. გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა პრობაციის სამსახურს ამის უფლება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ მსჯავრდებული პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, არ ემორჩილება პრობაციის ოფიცრის კანონიერ მოთხოვნას ან არაკორექტულად იქცევა, პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია, პრობაციის ბიუროს უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებული გადაიყვანოს განსაკუთრებულ რეჟიმზე, რაც გულისხმობს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას მსჯავრდებულის არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში, კვირაში არაუმეტეს სამჯერ გამოცხადების ვალდებულებას.

# რატომ ცხოვრობდა ზაქარია ქუცნაშვილი ზურაბ ადეიშვილთან ერთად და როგორ მოხვდა ის „შავ სიაში“

(მე-14 გვერდიდან)

„შავ სიაში“, არ გეკარება პროკურორი, მოსამართლე გიყურებს, როგორც შავ ჭირს, ძალიან რთულია მუშაობა. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ აკრძალულ პირთა სიაში ვიყავი შეყვანილი, ვისაც სჭირდებოდა კვალიფიციური იურიდიული დახმარება, ისინი მაინც მეძახდნენ ამ დახმარებისთვის.

**– ახალმა პოსტმა როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება?**

– დამიკარგა თავისუფლება, მეგობრებთან და ოჯახთან ყოფნის შესაძლებლობა. ამ პოზიციამ დამიკარგა შვილებთან ურთიერთობის სიამოვნება, გამხადა ჭორიკნებისა და ავი თვალის სამიზნე. ეს არ არის იოლი. თავისუფლებას მიჩვეულმა ადამიანმა მოზომო თითოეული სიტყვა, ქცევა, კომენტარი, ძნელია. ახლა იმაზეც კი, რასაც ვფიქრობ და მწამს, ვალდებული ვარ, შევიზღუდო გამოხატვაში, რომ არ დავაზიანო საერთო საქმე. თუ ადამიანს არ აქვს შინაგანი კონსტიტუცია და საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევს, შორს ვერ წავა საქმე. ხშირად საკუთარი თავის შებოჭვა დიდი ბრძოლის შედეგად გიხდება, სარკეში რომ ვიხედები, იქაც კი ვებრძვი ჩემს „ორეულს“, იმას, რომელსაც შეზღუდული წესი აყალიბებს.

**– ახლა გადმოხვალთ თბილისში და ეს პრობლემებიც მოგვარდება.**

– მე ქუთაისში ვცხოვრობ ჩემს კოლეგებთან, ჩვენს მძღოლებთან, „ხაზეიკასთან“ და მის ძაღლთან ერთად. სულ ცხრა სული ვართ ერთ სახლში. ორსართულიანი სახლი გვაქვს ნაქირავები, ყველას საკუთარი საძინებელი გვაქვს, დეპუტატები ვცხოვრობთ მეორე სართულზე, მძღოლები – პირველ სართულზე არიან. ასე ვარღვევთ მათ უფლებებს, დისკრიმინაციაში გვყავს მძღოლები *(იცინის)*. ძალიან მხიარული სახლობანა გვაქვს. ტანსაცმლის საკითხს პირადად ვაგვარებთ. ერთი კვირის სამოსი მიმაქვს ქუთაისში, მაგრამ თუ თბილისში ჩამოსვლა ერთ კვირას გადამიცდა, მეუღლე მაკითხავს ქუთაისში. ყველაზე რთულად კვების საკითხი დგას. საშინელი რეჟიმი გვაქვს, ადრე ყოველ დილით ვცურავდი, ახლა ვერ ვახერხებ. აბონიმენტი ავიღე, მაგრამ სულ ტყუილად გადავყარე ფული. აუზამდე ვერ მივედი, რის გამოც, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ვარჯიშს, სირბილს და „კაჩაობას“, ჩემი გრაფიკის წყალობით, შეველიე.

**– კიდევ რას შეელიეთ წარსულიდან?**

– ოთხი წლის განმავლობაში ვიყავი საპატრიარქოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, ეს იყო ჩემი ცხოვრების ძალიან ბედნიერი წლები. მე ვალდებული ვიყავი, გადავმდგარიყავი ამ სამსახურიდან, რადგან მისი უწმინდესობის მყარი და სწორი კურსია, რომ სასულიერო საკითხები არ იყოს არეული პოლიტიკურ თემებში. თუ საერო ცხოვრებაში ვიყავი „შავ სიაში“, სასულიერო პირების წრეში ვიყავი „თეთრი სიის“ წევრი, რაც მიბალანსებდა სულიერ დისკომფორტს. მე ვიცოდი, რომ ცუდებს არ მოვეწონდი, მაგრამ სამაგიეროდ ახლოს ვიყავი „კარგებთან.“ მე მიყვარს, როცა მეფერებიან და ვარ კარგი ადამიანების გარემოცვაში. ეს ძალიან დიდ ენერგიას მაძლევს. მე დღესაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს იმ ადამიანებთან, ვისთანაც მიწევდა ურთიერთობა საპატრიარქოში მუშაობისას და მიმაჩნია, რომ მათ ძალიან ბევრი კარგი საქმე აქვთ გაკეთებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## ეშმაკის მოგზავნილი ნაძირალა ძლივს მოვიშორეთ თავიდან

მყავდა შეყვარებული, რომელიც უწესიერესი ბიჭი იყო, მაგრამ მეზობელმა ერთხელ ძალით გააკეთებინა ნარკოტიკი, რადგან ის თვითონ იყო ნარკომანი და შურდა ვანიკოს წესიერება, თანაც, ვანო შეძლებული ოჯახიდან იყო და მისი განარკომანებით ფულის „მუდმივ წყაროს“ გაიჩენდა. იმ ბოროტმა სულმა მიაღწია მიზანს (სხვათა შორის, ჩემი შეყვარებულის გარდა სხვაც ბევრი გადააცდინა გზიდან) და ბევრი ბიჭი გახვია შარსა და უბედურებაში. საშინლად გამწარებული ვარ მასზე, მაგრამ, ხანდახან მეცოდება კიდეც, რადგან, ერთი უპატრონო და უბედური არსება იყო – დედამისი ცალკე „დაგულაობდა“, მამამისი – ცალკე და ბავშვისთვის არც ერთს არ ეცალა, ხან ერთ ბებიას მიუგდებდნენ, ხან – მეორეს, ისინი კი, სიძისა თუ რძლის ჯიბრით, სახლიდან ხშირად აგდებდნენ ან ერთმანეთს ავალდებულებდნენ ბავშვის მოვლას. მოკლედ, ასეთი ყოფის გამო, ბიჭი გაბოროტდა და თვითონაც წავიდა ხელიდან და სხვებიც ჩაითრია.

ვანიკოს მშობლებმა რომ გაიგეს, რაც სჭირდა მათ შვილს, ჯერ აქ უმკურნალეს, შემდეგ კი უცხოეთში წაიყვანეს – უბანს და ქალაქს მოაშორეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა – ორი წლის შემდეგ ვანო აბსოლუტურად გამოჯანმრთელებული დაბრუნდა თბილისში. მალე ჩვენ დავქორწინდით და შვილებიც შეგვეძინა. ძალიან ბედნიერები ვიყავით, მაგრამ, ის ნაძირალა ისევ გამოჩნდა, ისევ მოინდომა ჩემი ქმრის შეცდენა და, ვერაფერს რომ ვერ გახდა, ფულის გამოძალვა დაიწყო: ხან, ვითომ, სამკურნალოდ სჭირდებოდა თანხა, ხან რას იგონებდა და ხან – რას. ვანიკოსაც ეცოდებოდა და ხშირად აძლევდა ხოლმე ფულს, მაგრამ, იმ არაკაცმა თანდათან აუწია მაზანდას და ბოლოს შანტაჟიც დაიწყო. ჩემს ქმარს კი ვერ გავაგებინეთ, რომ ასეთ არაკაცთან სიბრალული არ გამოადგებოდა და ამაზე კინაღამ სერიოზულად ვიჩხუბეთ. ბოლოს ველარ მოვითმინე და ეს ყველაფერი ჩემს სიძეს (დის ქმარს) ვუამბე, რომელიც პროკურატურაში მუშაობს (მანამდე არავის არაფერს ვეუბნებოდი, რადგან, ვანოსგან მქონდა აკრძალული). იმანაც, მიხედა ამ საქმეს და გაირკვა, რომ ამ საშინელ არაკაცს უამრავი დანაშაული ჰქონია ჩადენილი, მათ შორის ძარცვა და ადამიანის გატაცება გამოსასყიდის მოთხოვნით. ჰოდა, მიაბრძანეს, სადაც საჭიროა. მოგვიანებით მეზობლებისგან გავიგე, დედამისს უთქვამს, იმან გაიხაროს, ვინც ჩემი შვილისგან ქვეყანა მოასვენაო. ან, ამისთანა დედას რა უნდა ელაპარაკო – ვითომ თავისი ბრალი არ არის, რომ მისი შვილი ასეთი გახდა. იმ ქალისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ კი ნამდვილად დავისვენეთ. თანაც, მარტო ჩვენზე კი არა, თურმე სხვებზეც იყო შეჩენილი და ათასგვარ სიბინძურეს სჩადიოდა, მაგრამ, კარგა ხანს ვერავის ველარაფერს დაუშავებს.

**გვანცა, 29 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ლია ხუციშვილი - ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***ცნობილი ქართველი ნათელმხილველი ლია ხუციშვილი სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოებული. მის შესახებ ქალაქში ამბობენ, სასწაულებს ახდენსო. ამ ცნობილი ნათელმხილველის ხშირი სტუმრები არიან ცნობილი პიროვნებები, თუმცა ქალბატონი ლია მათზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებს. ვინ მოთვლის ამ წლების განმავლობაში რამდენი გაქცეული ქმარი დაუბრუნა ცოლს, რამდენ იმედგადაწურულ ახალგაზრდას დაეხმარა ოჯახის შექმნაში, ბედის გახსნასა და ფინანსური კრიზისის მოგვარებაში. მადლიერი ბევრი ჰყავს, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც ბადალი არ ჰყავს. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუკი მას თქვენი პრობლემის მოგვარებას მიანდობთ. მასთან საუბარი მოახლოებული „ცხენის“ წელიწადის შესახებ დავიწყეთ.***

**– ქალბატონო ლია, როგორი იქნება მომავალი „ცხენის“ წელიწადი?**

– „ცხენის“ წელიწადი განსაკუთრებით კარგი იქნება მათთვის, ვინც ჯერ ვერ მოახერხა პირადი ცხოვრების მოწყობა. მოგეხსენებათ, ცხენი სიკეთისა და სიყვარულის ერთგვარი სიმბოლოა. ასე რომ, ეს წელი ძალიან კარგი იქნება იმ სასიყვარულო ურთიერთობების ბედნიერი დასასრულისთვის, რაც უკვე დიდი ხანია, გრძელდება. ცხენი დიდ ბედნიერებას მოგიტანთ, თუ იქნებით ფრთხილი, დაკვირვებული და კეთილგანწყობილი სიახლეების მიმართ, ეს იქნება ზოგადად პოზიტიური წელი ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის.

***ქალბატონი ლიას შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება იმ ადამიანებსაც ვთხოვეთ, ვისაც მასთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს.***

**ლალი კ-შვილი** *(თბილისი, 37 წლის):* ქალბატონი ლიას შესახებ ერთ-ერთი გადაცემიდან შევიტყვე. შემდეგ თანამშრომელმა მიამბო, როგორ დაეხმარა მის მეზობელს, რომელსაც სახლში 40 წელს გადაცილებული, გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. ჩვენს ოჯახს რთული პერიოდი დაუდგა, ქმარს წარმატებული ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ უცბად ყველაფერი ხელიდან გამოგვეცალა. ლიასთან სულ სამი-ოთხი ვიზიტი დამჭირდა – შეგვილოცა ბარაქაზე, ჩაკეტილი წრის გარღვევაზე. იმ დღის მერე ჩვენი მდგომარეობა კვლავ გამოკეთდა, ჩემი ქმრის საქმე წინ წავიდა. მას შემდეგ ლია ჩვენი ოჯახის ყველაზე ახლობელი ადამიანია.



**მაკა მ-ძე** *(28 წლის, გორი):* ქალბატონ ლიასთან ახლობელმა დამაკავშირა. 5 წლის გათხოვილი ვიყავი, როცა მე და ჩემს ქმარს ურთიერთობაში პრობლემები შეგვექმნა. ჩვენი ოჯახი თითქმის დანგრევის პირას იყო მისული, როცა ლიასთან მივედი. ძალიან თბილად მიმიღო. პირველივე შეხვედრისას მითხრა: შენი ოჯახის დანგრევას შენი მული ცდილობსო. შევეწინააღმდეგე, ჩემი მული ამას არ გააკეთებს-მეთქი. მაგრამ, მალე დავრწმუნდი ლიას ნათქვამში. სპეციალური თილისმების მეშვეობით, ერთ თვეში ოჯახში ურთიერთობები გამოსწორდა. ჩემი ოჯახი დანგრევას ამ ქალბატონმა გადაარჩინა, რის გამოც, მისი ძალიან მადლიერი ვარ.

**ნუნუ მ-ია** *(63 წლის, ბათუმი):* ჩემმა შვილმა, კოტემ უნივერსიტეტი წარმატებით დაასრულა, მერე ასპირანტურაშიც სწავლობდა. იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბევრს ცდილობდა, ვინ აღარ შეაწუხა, სამსახური ვერ იშოვა. მაშინ მეზობელმა მიამბო ლიას შესახებ. ძლივს დავითანხმე ჩემი შვილი, რომ წამომყოლოდა. ხომ იცით კაცების ამბავი. ლიასთან მისვლიდან ერთ თვეში მოხდა სასწაული – კოტემ მუშაობა დაიწყო. მერე ლიამ აიჩემა, ამ ბიჭს ბედის გახსნაშიც უნდა დავეხმაროო. 40 წლის კაცის დაოჯახება იოლია? რამდენიმე თილისმა მოგვცა. კოტე ამ თილისმებს ატარებდა. ორ-სამ თვეში სამსახურიდან მომავალმა ქუჩაში მშვენიერი გოგო გაიცნო და ძალიან მალე მასზე დაქორწინდა კიდეც. აბა, სხვა რა დავარქვა ამ ყველაფერს, რაშიც ლიას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის.

***გსურთ, დაადგინოთ, რატომ არ გწყალობთ იღბალი? განიცდით თუ არა ბოროტი თვალის ან ჯადოს ზემოქმედებას? რატომ გაწუხებთ უბარაქობა? – დაუკავშირდით ლია ხუციშვილს, ის თქვენი პრობლემების დადგენასა და მათ გადაჭრაში დაგეხმარებათ.***

**დარეკეთ ტელეფონზე: 593-21-52-33. მისამართი: თბილის, ქსოვრელის ქ. №60 (კინო „საქართველოსთან:).**

**ცნობილი მხატვარი – მამუკა გიორგაძე დიდი ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი არაჩვეულებრივად საინტერესო ნამუშევრები ჰოლივუდის არაერთი ცნობილი პერსონის სახლს ამშვენებს. მამუკამ ამერიკაში სახელი გაითქვა და ის ხუმრობით „ლამაზი უკანალების" მხატვრადაც მონათლეს.**

# რა სკანდალური ნახატი აჩუქა მამუკა გიორგაძემ ბიძინა ივანიშვილს და როგორ შეირთო მან ცოლად ჯონ ტრავოლტას პირადი ინსტრუქტორი



**ყველაზე ახლო ურთიერთობა მაინც ჯენეთ და მაიკლ ჯექსონებთან მქონდა**

**მამუკა გიორგაძე:** მოდი, თავიდან მივყვეთ, იმ პერიოდიდან, როცა ამერიკაში წავედი, თუმცა, სიმართლე გითხრა, არ მახსოვს, ზუსტად რომელი წელი იყო. დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია. ზურაბ წერეთელმა მაშინ გახსნა იქ მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვისა და პლასტიკის ფაკულტეტი. ჩვენ ვიყავით პირველი გამოშვება, რომელმაც დაიწყო მონუმენტური ხელოვნების შემოტანა. მაშინ ის პერიოდი იყო, როცა აკადემია მართლა აკადემიობდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგრამ, ვიდრე აკადემიაში ჩავაბარებდი, სერიოზული სკოლა გავიარე მხატვარ თამაზ ხუციშვილთან.

მე რომ აკადემია დავამთავრე, მაშინ საქართველოში ძალიან ცუდი დრო იყო. ისე მოხდა, რომ უცხოეთში წავედი... სასაცილო ამბავია, ჩვენს ოჯახს ემიგრანტების ოჯახს ეძახდნენ. ცხონებული ბაბუაჩემი ომის დროს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და მერე გერმანიიდან ვენესუელაში წავიდა და კარაკასში დასახლდა. მეც ემიგრანტი გავხდი და ჩემი შვილებიც – ბარბარა უკვე ცხოვრობს საფრანგეთში, ლიზი აბარებს გაისად და მიდის პარიზში. რატომღაც, ჩვენს ოჯახს ასეთი დაღი დაესვა ***(იცინის).***

– პირველად ჩემი გამოფენა გავაკეთე ლენინგრადში. კომუნისტური წყობის პერიოდში ძალიან ძნელი იყო უცხოელებთან ურთიერთობის დაჭერა. სულ მახსენდება თაზო ხუციშვილის სიტყვები, ერთხელ ამერიკელები ჩამოსულან, რესტორანში ისხდნენ და ბატონ თაზოს მიკი მაუსი დაუხატავს. ამის გამო „სუკმა" დაიბარა, როგორ თუ ამერიკული მულტფილმის პერსონაჟი დახატეო ***(იცინის).*** მერე რომ დაიბარეს „სუკში", მედალი ჩამოჰკიდეს გულზე – ამერიკელებისთვის უთქვამს, მუშა ვარო და დაუწყია ლაპარაკი შექსპირზე, გოეთეზე... იმათაც არ დაიზარეს და „ნიუ-იორკ თაიმსში" გამოჭიმეს სტატია: „თურმე საბჭოთა კავშირში ისეთი განათლებული მუშები ცხოვრობენ, ბალეტი და შექსპირი იციანო ***(იცინის).*** ზუსტად მაშინ, მახსოვს, ჩემთანაც მოვიდნენ უცხოელები და „სუკის" აგენტი მითვალთვალებდა. სახელიც მახსოვს, ლარბი ერქვა, ქართველი იყო – დადიოდა და ყველაფერს ამოწმებდა. უცხოელი ცოლ-ქმარი მომიახლოვდა და რაღაც მკითხა, მაშინ არ ვიცოდი ინგლისური და ჩემი პეტერბურგელი მეგობარი გოგო უთარგმნიდა. ისეთი რაღაცები ვუთხარი, გავაგიჟე ხალხი.

ჩემი ცხოვრება სულ სიურპრიზებით იყო სავსე. ჩემს ქვეცნობიერში ყოველთვის იყო უცხოეთის გზა – სულ მინდოდა წასვლა. ცხონებულ გურამ შარაძემ ჩამოაყალიბა დიასპორა და უცხოელები რომ ჩამოდიოდნენ, სულ ვხვდებოდით ხოლმე.

**– ამერიკაში როგორ წახვედით?**

– მამაჩემი იყო მძიმედ ავად. ჩემი მშობლები მოზარდმაყურებელთა თეატრის არაჩვეულებრივად კარგი მსახიობები იყვნენ – ტარიელ გიორგაძე და ნათელა პაატაშვილი. მამა გარდაიცვალა, სამწუხაროდ. სახლში სულ თეატრალური, არტისტული გარემო იყო და მინდოდა, ვყოფილიყავი მსახიობი, მაგრამ გავხდი მხატვარი. ომის პერიოდში მამა მძიმედ ავად გახდა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც წავედი. კი დავდიოდით აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში და ასე შემდეგ, მაგრამ ეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნები იყო. მე კიდევ მაინტერესებდა, დასავლეთში რა ხდებოდა. დიდი თანხა გვჭირდებოდა მამას გადასარჩენად. გიგა ლორთქიფანიძე დაგვეხმარა მაშინ და თანხის ნაწილს თავი მოვუყარეთ, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ გადავიხადე და ამერიკაში წავედი სამუშაოდ. მძიმე ფიზიკურ სამუშაოებსაც ვასრულებდი... ჩემმა ყოფილმა ქვისლმა, ეთერ ჭკადუას ძმამ, გოჩამ დამირეკა ამერიკიდან. ჩემს პირველ მეუღლეს, თამუნა მოსაშვილს გაცილებული ვარ, ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს, მოდელიორია. მოკლედ, დამირეკა და მითხრა, ამერიკაში ხომ არ ჩამოხვიდოდიო. ასე წავედი ამერიკაში. მაშინ ამერიკაში გოჩას უკვე ჰქონდა წარმატებები – უმაგრესი, ექსკლუზიური ჰაშიშის მოსაწევი ჩიბუხი გააკეთა, მსოფლიოში ანალოგი რომ არ აქვს. მოკლედ, მთხოვა, ადვოკატ ფილიპ ფიშმანთან რაღაც საქმეზე წამომყევი და მერე ბარში გავიაროთო. მე არც ვსვამდი, არც ვეწეოდი, სპორტული მეჭირა. მაგრამ, დავთანხმდი გაყოლაზე. მივედით უზარმაზარ ოფისში. გამოშტერებულივით ვიყურებოდი აქეთ-იქით. უზარმაზარ შენობებს რომ ვხედავდი, ჩემი თავი დეგენერატი მეგონა ***(იცინის).*** თან ინგლისური არ ვიცოდი. მოკლედ, სანამ გოჩა საქმეზე ლაპარაკობდა, ამოვიღე საკვოიაჟიდან ფანქრები, ფურცლები და მდივანი გოგოს ხატვა დავიწყე ***(იცინის).*** მაგარი „ბაბნიკი" ვიყავი, ლამაზ გოგოს რომ დავინახავდი, შანსი არ იყო, ხელიდან გამეშვა. მაგან მასწავლა ინგლისური, ენა რომ არ ვიცოდი, ხელებით და ფეხებით ვაგებინებდი. მოკლედ, დავხატე ეს ლამაზი გოგო, ძალიან ჩაჯდა ხასიათში. მივუტანე და დავუდე. გამოშტერდა გოგო, იფიქრა, ვერ არის თავის ჭკუაზეო. აიღო ფურცელი და გაიქცა. მეც შემეშინდა და გარეთ გავიქეცი. ვგდგავარ და გამოვიდა ვილაც სოლიდურად ჩაცმული კაცი. მელაპარაკება და არაფერი მესმის. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს კაცი კოლექციონერი იყო – ფიშმანი და ძალიან მოეწონა ჩემი ნამუშევარი. იყიდა ჩემი რამდენიმე ნახატი და მინესოტას ებრაელობაშიც მაგრად გამაპიარა ***(იცინის).***

მერე ლოს-ანჯელესში გაიხსნა ქართული რესტორანი – „ფიროსმანი". მთხოვეს, იქნება მოხატოთო, ორი შეკვეთა მივიღე ერთდროულად. მაგრამ, მანამდე ფიზიკურად უმძიმეს სამუშაოებს ვასრულებდი, ერთგან ისეთი აუტანელი სამსახური იყო, ცხიმიან ხორცის მანქანებს ვწმენდდი. ოთხი საათი მეკავა გაუხსნელად ეს „კერხერის" საწმენდი აპარატი და ისეთი სპაზმი მქონდა, თითებს ვეღარ ვგრძნობდი. თბილ წყალში ვდებდი ხოლმე, რომ მეხატა. ფიშმანმა შემომთავაზა, ლეგალურად დარჩენაში დაგეხმარებიო... ამ რესტორანზე მუშაობისას გავიცანი ჩემი ყოფილი მეორე მეუღლე, ლათინოამერიკელი არსი გარსია – ამერიკული ავიაკომპანიის, „ნორთვესტ აირლაინზის" კაპიტანი, ჯონ ტრავოლტას პირადი პილოტი-ინსტრუქტორი და ასევე, სტინგის პირადი მძღოლი. მიმინოსავით დიდ ავიაციაში გადავიდა ***(იცინის).*** მოკლედ, აღმოჩნდა რომ ერთნაირი ბებიები გვყავდა. დავადეთ თავი და გავსკდით ტირილით ***(იცინის).***

**– თქვენი სამხრეთული ხასიათები როგორ ეწყობოდა ერთმანეთს?**

– ისინიც ჩვენნაირები არიან, ქართველებს ჰგვანან და მაგარი ხმალაობა გვქონდა, ქართულ-პუერტორიკოული. პირველად სახელს მიმალავდა, მერე გამომიტყდა, იზაურა მქვიაო. მოვკვდი სიცილით, მაშინ ჩვენთან გადიოდა სერიალი „მონა იზაურა". დედაჩემს დავურეკე და ვეუბნები, შენ რომ მანდ იზაურას უყურებ, მე იზაურა მოვიყვანე ცოლად-მეთქი ***(იცინის).***

**– გამოფენები გქონდათ, როგორც ვიცი, იქ.**

– კი, ძალიან ბევრი გამოფენა მქონდა, მოვხვდი ჩიკაგოს არტფესტივალზე. სხვათა შორის, ჟაკ შირაკს აქვს ჩემი ნახატები კოლექციაში. ჩემი, როგორც მხატვრის ნამუშევრების გაყიდვა დაიწყო ტრავოლტას წვეულების შემდეგ. ტრავოლტამ ახალი თვითმფრინავი იყიდა. ცნობილია, რომ ძალიან უყვარს და საჩვენებელი შოუ მოაწყო. მთელი ჰოლივუდის წითელი ხალიჩა იქ იყო მოსული. იქ გავიცანი ბარბრა სტრეიზანდი, ტინა ტერნერი... ჩემი ცოლი სულ ყურადღების ცენტრში იყო, იმიტომ რომ ის ასრულებდა მანევრებს. ჯონ ტრავოლტას ფანტასტიკური მეუღლე ჰყავს, სწორედ მან დამპატიჟა წვეულებაზე. მე იმწუთას მივხვდი, რომ ამას „ამერიკული ოცნება" ერქვა. ბიჭი კონკიასავით მომივიდა – კარგად გავთხოვდი ***(იცინის).*** მე ვცხოვრობდი ჰერმოსა ბიჩზე და ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანს ვხვდებოდი ქუჩაში – დასტინ ჰოფმანს, ალ პაჩინოს... შევხვდი კევინ კოსტნერს, რომელიც ძალიან ნიჭიერი ადამიანია. დააინტერესა ჩემმა ექსპოზიციამ ბევერლი ჰილზში. ვერ ვიცანი, უბრალოდ ჩაცმული იყო, კეპით. დასტინ ჰოფმანი გაჩეჩილი და უზარმაზარი ფოხანით სავაჭრო ცენტრში ვნახე. მოტრიალდა და მეკითხება: რუსი ხარო? არა, ქართველი ვარ-მეთქი. რასელ ქროუ ისეთი გატიალებული მთვრალი იყო, ქუჩაში წაიქცა და მე ვეხმარებოდი ადგომაში. იმხელაა, ძლივს ავწიე.

ჰოლივუდელებმა ძალიან კარგად იციან, რა არის კავკასია და საქართველო. საკმაოდ ნაკითხი ხალხია. მაგრამ ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობა მაინც ჯენეთ და მაიკლ ჯექსონებთან მქონდა. სხვათა შორის, მაიკლის ექიმი ახლა იხდის სასჯელს. საწყალი მაიკლი გაანადგურეს. არავითარი პედოფილი და საბავშვო პორნოგრაფია, ყველაფერი ტყუილი იყო. ჯენეთი ხშირად მიყვებოდა ხოლმე, უსასტიკესი მამა ჰყავდათ, ბავშვებს სცემდა და ვირივით ამუშავებდა. მაიკლს ბავშვობა დააკლდა და ამიტომ ურთიერთობდა ხშირად ბავშვებთან. სხვათა შორის, მეც ბევრჯერ მიტირია იმის გამო, რომ ჩემი შვილების სითბო და სიყვარული მაკლდა. ორი მეგობარი მყავდა ამერიკელი. ჩავიცვამდით კლოუნის ფორმას და მივდიოდით ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებთან, ბავშვთა სახლებში, ხან ხატვას ვასწავლიდი, ხან ფეხბურთს ვეთამაშებოდი...

**– ჯექსონებზე მოგვიყევით?**

– ჯენეთი ძალიან ხშირად სუქდებოდა. დეპრესიის სინდრომი ჰქონდა და მაცივარში ცხოვრობდა, ფაქტობრივად. უსუქდებოდა მერე უკანალი და იყო ერთ ამბავში, თუმცა მალევე იკლებდა. ეგეთი პლასტიკური სხეული ცხოვრებაში არ მინახავს. ისეთი ფორმები აქვს, გაგიჟდები! მოდიოდა და ტიროდა: შეხედე, მამუკა, რას ვგავარ, ნეხვს დავემსგავსეო. ამ დროს ქანდაკებასავით იყო. ზანგებს განსაკუთრებული აღნაგობა აქვთ, ხშირად ვხატავდი და „ლამაზი უკანალების მხატვარი" შემარქვეს ***(იცინის).***

სხვათა შორის, მაიკლმა ჩემი დაუმთავრებელი ნამუშევარი შეიძინა. რომ შეხედა, ისე მოეწონა, მთხოვა, არ დაასრულოო. მაიკლი და ჯენ-

# რა სიურპრიზი მოუწყო ლილიკო ნემსაძეს შვილმა, ანი ბახტაძემ

*„ახალი ხმის" ახალ სეზონზე ძალიან საინტერესო გოგონა, 16 წლის ანი ბახტაძე გამოჩნდა, რომელიც კონკურსანტებს შორის უმცროსია. ანი ცნობილი კომპოზიტორის ლილიკო ნემსაძის ქალიშვილია. პირველ ტურში მან ქრისტინა აგილერას რეპერტუარიდან What A girl wants შეასრულა. ანის, რომელიც მაინცდამაინც არ იყო საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული და გასვლის წინ საკმაოდ ბევრიც ინერვიულა, ჟიურის ოთხივე წევრი შემოუტრიალდა. პატარა მომღერალმა სტეფანეს გუნდი აირჩია. მისთვის პირველივე წარმატება „ბრმა ქასთინგზე" სტიმულია იმისა, რომ შემდეგ ტურში კიდევ უფრო კარგად წარდგეს ჟიურისა და მაყურებლის წინაშე. ახლა ის მთელი შემართებით მუშაობს ახალ სიმღერაზე, რომელიც მას სტეფანემ შეურჩია. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, წარმატებებს ვუსურვებთ ახალბედა მომღერალს.*

**– ანი, მოგინდა და უცებ მიიღე კონკურსში მონაწილეობის გადაწყვეტილება თუ ბევრს ფიქრობდი, დედას, მეგობრებს ეკითხებოდი რჩევას, როგორ მოქცეულიყავი?**

– ზოგადად, გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვიღებ, მაგრამ, ცუდი ის არის, რომ აზრს ძალიან ხშირად ვიცვლი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ერთი, ჩამოყალიბებული აზრი არასდროს გამაჩნია და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ძალიან ბევრი ვიფიქრე, გავსულიყავი თუ არა, რადგან, კონკურსში ყველაზე პატარა ვარ და მართლა არანაირი გამოცდილება არ მაქვს, რასაც ვერ ვიტყვი კონკურსანტების უმრავლესობაზე. დედა მეუბნება, რას გადიოდი, ძალიან პატარა ხარ და ამდენ ნერვიულობად არ ღირს, ჯერ ყველაფერი წინ გაქვსო. ნელ-ნელა ვხვდები, რომ ლილიკო მართალია, მაგრამ, გასულ წელს ისე მომეწონა პროექტის ფორმატი, უფრო სწორად „ბრმა ქასთინგის" ტური და იმდენად მაინტერესებდა, რა შეგრძნებაა, როცა მწვრთნელი შენ გირჩევს, ანუ, შენკენ ტრიალდება, მხოლოდ ეს ტური რომ ყოფილიყო, ამისთვის გამოვიდოდი.

**– რა ხდებოდა შენ შიგნით, როგორი იყო ემოციები გასვლის წინ? ალბათ, ბევრს ნერვიულობდი.**

– ეს იყო ყველაზე საშინელი შეგრძნება, ყველაფერი იმდენად რთული აღმოჩნდა. კიდევ კარგი, ვერავინ მხედავდა, როგორ ვნერვიულობდი კულისებში, მაგრამ, ჩემი ბრალია, ნაადრევად გავედი.



**არ მეგონა, სცენაზე დგომა ასეთი მაგარი თუ იყო, ძლივს ჩამომიყვანეს**

**– თუმცა, ეს იყო საკმაოდ თამამი ნაბიჯი, რასაც, შენი თანატოლებიდან, ალბათ, ყველა ვერ გადადგამდა. ლილიკომ იცოდა თუ, გინდოდა სიურპრიზი გაგეკეთებინა?**

– სხვათა შორის, დედა არ იყო საქმის კურსში, არც „ბრმა ქასთინგზე" ყოფილა. „ესემესით" შევატყობინე, რომ „ახალი ხმის" კონკურსზე გავედი და ჟიურის ოთხივე წევრი მომიტრიალდა. როდესაც ეს ყველაფერი ტელევიზიით გავიდა, ძალიან მოვეწონე და გაუხარდა. რა თქმა უნდა, იყო პატარა შენიშვნებიც, მაგრამ, უმნიშვნელო.

**– სიმღერის გარდა, კიდევ არის რამე, რაც ასე მოგწონს და ფიქრობ, რომ გაჰყვე?**

– სულ ვიცოდი, რომ მუსიკისკენ წავიდოდი, სხვანაირად არც გამოვა, მაგრამ, ნამდვილად არ მეგონა, სცენაზე დგომა ასეთი მაგარი თუ იყო, ძლივს ჩამომიყვანეს. სწორედ ეს არის ის, რაც არანორმალურად მიზიდავს. მინდა სულ სცენაზე ვიყო და ვიმღერო.

**– ზოგისთვის სიმღერა ჰობია, შენ როგორც ჩანს, სერიოზულად მოგაჯადოვა სცენამ.**

– რა თქმა უნდა. ეს ისე მომწონს, მარტო ჰობი რომ იყოს, არ მეყოფა.

**– ლილიკო ურთიერთობაში თბილი, დამყოლი, რბილი ჩანს და, მგონია, რომ შვილთან უფრო განსაკუთრებულად ამჟღავნებს ამ თვისებებს – ალბათ, ძალიან განებივრებს.**

– ძალიან საყვარელი და კეთილია. რა თქმა უნდა, არის ისეთი რაღაცეები, რასაც მიშლის, მაგრამ, ძალიან უმნიშვნელო რამეებია. უცხოებისგან როცა მესმის, თუ როგორ უყვართ მისი სიმღერები და თვითონ ლილიკოს როგორ აფასებენ, ძალიან მიხარია. მოკლედ, მაგარი გოგო მყავს.

**– სიმღერამ ისე გაგიტაცა, ალბათ, სწავლაზე ვეღარც ფიქრობ.**

– ჩვეულებრივი მოსწავლე ვარ, ვსწავლობ ფრანგულ კოლეჯში და ვგიჟდები უცხო ენებზე. მინდა ყველა ენა ვიცოდე.

**– მხიარული, ენერგიული გოგო ჩანხარ. ეს ყველაფერი – სიმღერა, ენები – მართლაც მოგიხდება.**

– მგონი, ზედმეტად მხიარული და ენერგიული ვარ, მაგრამ, რა ვქნა, მიყვარს, როცა ვინმეს ვაცინებ, ვამხიარულებ და კარგ ხასიათზე ვაყენებ. ყველა მეუბნება – რამხელა პოზიტივი მოდის შენგან, ძალიან მაგარიაო.

**– ლილიკოს ძალიან კარგი სიმღერები აქვს, ყველას მოწონს. შენ რომელი გიყვარს მისი სიმღერებიდან?**

– იმდენად ბევრი სიმღერა აქვს დაწერილი, მგონი, ზოგი არც მომისმენია. ძალიან მომწონს ჩემი ფავორიტი ლელა წურწუმიას „ჩუმად ნათქვამი", ყოველდღე ვუსმენ და, ყველამ იცის, რომ ვგიჟდები, ისე მინდა ამ სიმღერის შესრულება თუნდაც ერთხელ, რომელიმე კონცერტზე, მაგრამ, ამის შანსი არ მომცემია. ვნახოთ, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს.

**– დედამ თუ დაგიწერა რამე?**

– სხვათა შორის, „ვოისის" პრომოშიც ვთხოვე, დაეწერა, მაგრამ, სად არის, აბა?!. ჯერ არ ჩანს. დაველოდები, ალბათ დამიწერს, თუმცა, ლილიკოს სიმღერების სტილი, რომელიც უფრო ლირიკულია, ამ პროექტში არ გამომადგება.

**– თუ ემთხვევა თქვენი გემოვნება სიმღერაში და, ზოგადად, ყველაფერში?**

– გააჩნია. ვერ ვიტყვი, რომ ყოველთვის ერთ აზრზე ვართ. არა აქვს მნიშვნელობა, ეხება ეს სიმღერას, ჩაცმას თუ სხვა რამეს. არის ისეთი რაღაცეებიც, რაც ორივეს მოგვწონს ან არ მოგვწონს

**ეკა პატარაია**

---

ეთი რამდენჯერ ჩემი სახლიდან გამიპარებია, რომ პაპარაცებს არ დაენახათ. ხან თავზე მოიხვევდნენ რამეს, სათვალე, პარიკი... მაგრამ მაიკლს ისეთი „საფირმო" სიარულის მანერა ჰქონდა, მაინც ცნობდნენ ***(იცინის).*** ჯენეთი ერთხელ ჩემი ღობიდან გადავახტუნე, სახლის უკანა კარი ჩაეკეტა. ღობე კი მაღალი აღმოჩნდა და ხელი მოიტეხა საწყალმა.

**– წავიკითხე, რომ ბიძინა ივანიშვილს ნახატი აჩუქეთ.**

– მადლიერების ნიშნად ვაჩუქე. შეიძლება, ეს ნახატი იმდენი არ ღირს, რა სიკეთეც მან მამაჩემსა და დედაჩემს გაუკეთა, მაგრამ ვეცადე, რამით გადამეხადა მადლობა. იმედი მაქვს, ეს ნახატი კარგ მდგომარეობაშია მის ბიზნესცენტრში. არადა, არც გამიფრთხილებია, პირდაპირ მივადექი ორმეტრიანი ნახატით, დაცვა გიჟივით მიყურებდა, ვინაა ეს კაციო ***(იცინის).*** ოჯახი ჰქვია ამ სურათს და ქალი აზის ზევიდან კაცს. ამას ვჩუქნი კონსერვატორ ბიძინა ივანიშვილს, წარმოიდგინე ***(იცინის).*** გარდა ამისა, ჩვენ ჭორვილაში რაღაც ფილმს ვიღებდით და მისი დედის სახლში ვიყავი, სადაც ქართველი მხატვრების ნამუშევრები ვნახე. ეს კაცი ხელოვნების დიდი დამფასებელია. ეგრე ბენდუქიძეცაა მილიონერი, მაგრამ არასოდეს მსმენია, ბენდუქიძე ვინმეს დახმარებოდა. გიორგი მარგველაშვილსაც კარგად ვიცნობ ბავშვობიდან. არაჩვეულებრივი ადამიანია და ხელოვნება ძალიან უყვარს. უამრავი ნიჭიერი მხატვარია და ყველა ქართველ ბიზნესმენს ვთხოვ, დაეხმარონ და ნუ მოკვდება ეს ხალხი შიმშილით ფიროსმანივით.

**– ცოლი არ გასწავლიდათ თვითმფრინავის მართვას?**

– მაგის სწავლა ძალიან ძნელია, 10 წელი მაინც უნდა. გგონია, რა უნდა თვითმფრინავის ტარებას – ამას დააჭერ, იმას დააჭერ... არაა ეგრე. რომ დავჯექი კაბინაში, იმდენი ნათურა აინთო, პროჟექტორები მეგონა. ჩემი ცოლი ხელს მიწევდა. წარმოიდგინე, არადა ფიზიკურად მასზე ძლიერი ვარ. იმდენად დიდი ძალა სჭირდება თვითმფრინავის მართვას. ჩემი ცოლი 16 წლის ასაკში სამხედრო პილოტი იყო და ამერიკის სამხედრო ავიაციაში მსახურობდა.

**– შაკირას ნათესავი იყო?**

– შაკირას დეიდაშვილია, მაგრამ ხშირად ვერ ვხედავდით, ძალიან მოძრავია. ხან სად იყო, ხან სად. გარეგნობითაც წააგვანან ერთმანეთს.

**– ქართულ-ჩინური რესტორანი უნდა მოგეხატათ, მგონი?**

– ქართველ-კორეელი იყო მეპატრონე. უფრო სწორად – მეგრელ-კორეელი, ნახევრად მეგრელი, ნახევრად კორეელი ***(იცინის).*** კორეული სახე ჰქონდა და მეგრული აქცენტით ლაპარაკობდა, ძალიან სასაცილო იყო. სოსო ერქვა, მგონი.

**ქეთი დიდებულიძე**


გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



# რას განიცდის მამაკაცი ღალატისას და როდის არის ის გაორებული

**ადამიანები ერთად ცხოვრებას იწყებენ სურვილით, თავი იგრძნონ კარგად, კომფორტულად, დაცულად; გრძნობდნენ, რომ მათზე ზრუნავენ და მძიმე წუთებში ყოველთვის გამოჩნდება მხარდამჭერი, ისე, რომ არსად წასვლა არ იქნება საჭირო, ანუ... სიყვარული აუცილებლად უნდა გასცე და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცხოვრება სიხარულით სავსე. ფსიქოლოგების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პრობლემები წყვილების ურთიერთობაში მაშინ იწყება, როცა ჩნდება სიყვარულის დეფიციტი. ფაქტია, რომ, თუ ადამიანი გიყვარს, მას ყველაფერს აპატიებ და, ვერ ხედავ, ან, უბრალოდ, არ ხედავ მის ნაკლოვანებებს.**

სერგი *(39 წლის)*: ცუდი ტონია ჩემი მხრიდან ამ ყველაფერზე ლაპარაკი. მამაკაცი უფრო უნდა დუმდეს, ვიდრე ენას ატლიკინებდეს, მაგრამ აგიხსნით, რატომ გადავწყვიტე, მომეყოლა ჩემი ცხოვრების ერთი მთავარი ეპიზოდის შესახებ. ქალები მუდმივად ცდილობენ, ყოველთვის და ყველაფერში მამაკაცები დაადანაშაულონ. ღალატია?! – რა თქმა უნდა, კაცის ბრალია. ჩვენ გამოვყავართ უგულო, უსინდისო, დაუნახავ და უმადურ არსებებად. არადა, არ არის ასე.

**– ფაქტია, რომ მამაკაცების, ქმრების უმრავლესობა „გაგულავებას“ კანონზომიერად მიიჩნევს, თითქოს მეძავთან წასვლა ღალატი არ იყოს.**

– ვერ დაგეთანხმებით, რომ კაცების უმრავლესობა გარყვნილია და უსინდისო, მეძავებზე, „ნაშებზე“ გადაყოლილი და ოჯახი მხოლოდ თავშესაფრად გვჭირდება, ცოლი კი – მოსამსახურედ. საზიზღარი სტერეოტიპია, რომელიც უნდა დაიმსხვრეს. ამისი გაკეთება აუცილებელია, თუ გვინდა, რომ ჯანსაღი ურთიერთობები გვქონდეს და, თუ, ბოლოს და ბოლოს, გვაქვს სურვილი, ვიპოვოთ ბედნიერება. ჩვეულებრივი კაცი ვარ, არაფრით გამორჩეული და განსაკუთრებული. შემიყვარდა და ცოლად შევირთე. მაშინ დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ის იყო ჩემი ცხოვრების ქალი.

**– თუმცა, გავიდა დრო და მაინც უღალატეთ...**

– ასე მარტივად არ არის საქმე. რატომ ცდილობთ, ისე შეფუთოთ ჩვენი საუბარი, რომ მაინც მონსტრად გამომიყვანოთ?! აბსოლუტურად გულწრფელად გელაპარაკებით, არ ვცდილობ, მოგატყუოთ და არც ვთამაშობ. ვერ შევგუებივარ იმ აზრს, რომ ოჯახი დავანგრიე. ხომ ხედავთ, არ ვამბობ – დამენგრა-მეთქი. ჩემი ინიციატივით დავანგრიე და ამ პასუხისმგებლობას ვიღებ საკუთარ თავზე. ერთი წუთითაც არ ვიტყვი, რომ ვილაცამ მაიძულა, ან, არ გავაცნობიერე, რას ვაკეთებდი. შვილი მყავს პირველი ქორწინებიდან და, როგორი მონდომებულიც არ უნდა ვიყო, მე ისეთი მამა ვერ ვიქნები, როგორიც ვიქნებოდი, ისევ ერთ ოჯახად რომ ვეცხოვრა – ესეც სრულად მაქვს გაცნობიერებული. ვწუხვარ, რომ ჩემს შვილს ბევრი დავაკელი, მაგრამ, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და გმირად ვერ ვივარგე.

**– ანუ, ნანობთ, რომ ცოლს უღალატეთ და ოჯახი დაანგრიეთ?**

– არა, არ ვნანობ, თუმცა, კარგი იქნებოდა, თავიდანვე მეპოვა ჩემი ნამდვილი მეორე ნახევარი და ბავშვისთვის სტრესი არ მიმეყენებინა – აი, ამის თქმა მინდა. მინდა, კარგად გამიგოთ – არ ვაყენებ შეურაცხყოფას ჩემს ყოფილ მეუღლეს. შესანიშნავი ადამიანია და თავისი ცხოვრება აქვს. თუ ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ, ეს არავის ბრალი არ არის. ჩვენი რეალობაა ასეთი.

**– ყველა კაცი ასე ამბობს, რომ არავის ბრალია, ცოლს რომ უღალატა. ამან ერთგვარი ალიბის სახე მიიღო.**

– მესმის, რატომაც ლაპარაკობთ ასე – განაწყენებული ქალების გავლენის ქვეშ ხართ. სხვათა შორის, მათაც ვუგებ. ძნელია, როცა ადამიანი გიყვარს და გტოვებს. მაგრამ, იქნებ, ჩემს მდგომარეობაშიც შეხვიდეთ? სიყვარული არ გვეკითხება, როდის მოვიდეს, მით უფრო, რომ, ის, რაც ამ ქალის მიმართ მაქვს, სიყვარულზე გაცილებით მეტია.

**– სიყვარულისთვის მზად უნდა იყო, რომ „დაგემართოს“; გახსნილი უნდა დახვდე მას. ანუ, თქვენ გყავდათ ცოლი, მაგრამ, მზად იყავით ახალი სიყვარულისთვის და ეძებდით მას. ასეა?**

– უნდა დაგეთანხმოთ? ალბათ, ასე იყო. შეიძლება, მეგონა, რომ ცოლი მიყვარდა და თავს ვიტყუებდი. ცუდია, ამას რომ ვამბობ. წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილება დაგრჩებათ ჩემზე, მაგრამ, ადამიანები ვართ და ყველას შეიძლება, ასეთი რაღაც დაემართოს.

**– უკაცრავად, ამას რომ გეკითხებით, მაგრამ რამდენი წლის დაოჯახდით?**

– ვხვდები, რატომაც მეკითხებით. ანუ, ვიყავი თუ არა ჩამოყალიბებული ადამიანი, ხომ? ფიქრობთ, შეცდომას მარტო ოცი წლის ბიჭი უშვებს? მართალია, მე 24 წლის ვიყავი, მაგრამ, ოჯახს სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდე. უბრალოდ, სიყვარულიც ცვდება და ზოგჯერ კვდება კიდეც.

**– თქვენს ცოლს რომ დამართნოდა იგივე – გაქცეულიყო სხვა კაცთან და ასეთივე არგუმენტები მოეტანა თავის გასამართლებლად, რას იტყოდით?**

– უცნაურ მდგომარეობაში მაყენებთ. რა უნდა მეთქვა? ნამდვილად არ გამიხარდებოდა.

**– „არ გამიხარდებოდა“ – რბილად ნათქვამია.**

– აბა, რა გინდათ, ვთქვა, რომ სკანდალს მოვუწყობდი და კარს ჩავუკეტავდი, ოღონდ ჩემგან არ წასულიყო? გულწრფელად გეუბნებით, ამაზე საერთოდ არ მიფიქრია.

**– უზნეო, უწესო ქალის იარლიყს არ მიაწებებდით?**

– მე არაფერს არ „მივაწებებდი“, შეუგნებელ კაცად არ მიმაჩნია თავი, მაგრამ, რას იფიქრებდა მასზე საზოგადოება, ამაზე მე ვერ ვილაპარაკებ. ისედაც საკმაოდ უხერხულად ვგრძნობ თავს. ეს მამაკაცისთვის შეუფერებელი თემაა და, იძულებული რომ არ გავმხდარიყავი, საერთოდ არ ამოვიღებდი ხმას.

**– იძულებული რამ გაგხადათ? ცოლმა ვერ გაიგო თქვენი კეთილშობილური ზრახვები?**

– რატომ ასე ირონიულად?! თუ ფიქრობთ, რომ მე კომფორტულად ვგრძნობ თავს ასეთ ვითარებაში, ცდებით. მოღალატე კაცი არ ვარ. დავიფიცებ, რომ თხუთმეტი წელი პატიოსანი და ერთგული ქმარი ვიყავი, თუმცა, საცდური საკმარისზე მეტი იყო და „მომენტიც“ არაერთხელ ჩამვარდნია ხელში. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი „მაგარი ტიპობა“ დავამტკიცო, უბრალოდ, ფაქტს ალვნიშნავ. ჩემმა ცოლმა ხომ იცის, როგორი ქმარი ვიყავი. რატომ არ შეუძლია, გამიგოს, მაპატიოს და ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ჩემთან?!

**– საყვარელიც გინდათ და ცოლიც – მეგობრის სტატუსით?**

– მე მინდა ნორმალური ურთიერთობები შვილთან და იმ ქალთან, რომლის გვერდითაც თხუთმეტი წელი გავატარე. მართლა კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ, მოხდა მოსახდენი და რა ვქნა? უარი ვთქვა ბედნიერებაზე?! უარი ვთქვა ჩემს ჭეშმარიტ მეორე ნახევარზე?! რატომ? როგორც კი დავინახე, მაშინვე ვიგრძენი, რომ მთელი ცხოვრება მას ველოდებოდი.

**– საინტერესოა, ასეთ რაღაცას როგორ გრძნობენ?**

– მეც მიკვირდა და ველოდი თქვენგან

**შემიყვარდა და ცოლად შევირთე. მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ის იყო ჩემი ცხოვრების ქალი**

ასეთ შეკითხვას. იცით, როგორ მიყვარს? მზად ვარ, მისი ყველა სურვილი და მოთხოვნა დავაკმაყოფილო, ყველა კაპრიზი აუსრულო; ისიც ჩემს ყველა ნაფიქრს ერთი გამოხედვით გრძნობს. ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულები. მე პატიოსნად ვუთხარი ჩემს ცოლს, რაც მჭირდა და, სახლიდან რომ წამოვედი, მერე დავიწყე ახალი ურთიერთობა სრულფასოვნად.

**– მიხვედით ცოლთან და უთხარით, სხვა ქალი შემიყვარდაო?**

– დიახ. თქვენ, შეიძლება, არ გჯერათ, მაგრამ, მართლა ასე იყო. მანამდე რამდენჯერმე შევხვდი ჩემს სიყვარულს და მისთვის არ დამიმალავს, რომ ოჯახი მყავდა. ორგული, გაქნილი და გარყვნილი კაცები ასე პატიოსნად არ თამაშობენ. ჩემზე კარგად იცით, როგორც იქცევიან. ჩემი მეორე მეულლე თქვენი პროფესიის არის და საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს, მაგრამ, ჩემთვის დრო ყოველთვის რჩება. იცით, როგორ ვებრძოდი თავს, რომ არ შემეყვარებოდა?! ისიც არ შემეძლო, რომ საერთოდ არ მენახა. თავიდან

# 20 წლის ბიჭი ბიოლოგიურ დედას თბილისში ეძებს

*20 წლის გიორგი ვახტანგის ძე ჭანტურია ეძებს 39 წლის ნინო ჩიტაიშვილს (სინჩენკოს).*

**ისტორია**: ვეძებ დედაჩემს – 39 წლის (1974 წელს დაბადებული) ნინო ჩიტაიშვილს. სამწუხაროდ, დედა არც კი მახსოვს, მხოლოდ მისი სურათი მაქვს. პატარა ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს. ამჟამად მე საგურამოში ვცხოვრობ. დედის პოვნა ყოველთვის მინდოდა. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი (ინფორმაცია დაუზუსტებელია), რომ ის თბილისში უნდა ცხოვრობდეს, სავარაუდოდ, საბურთალოზე. ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ მის პოვნაში.



**– როგორ დაკარგეთ დედა-შვილმა ერთმანეთი?**

– მე დავიბადე 1993 წლის 21 აგვისტოს. დედაჩემი, ნინო ჩიტაიშვილი და მამაჩემი ერთმანეთს დაშორდნენ, როდესაც მე სულ პატარა ვიყავი და დედა არც კი მახსოვს. მთელი ჩემი ცხოვრება მინდოდა დედის მოძებნა, სულ მაინტერესებდა, როგორი ადამიანია დედაჩემი და, მინდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვნახო. ეს, ალბათ, ყველა იმ ბავშვის ოცნებაა, რომელიც რაღაც მიზეზის გამო არ იცნობს თავის დედას. მშობლების დაშორების შემდეგ მე მამასთან დავრჩი, შემდეგ კი საგურამოში გადავედი საცხოვრებლად. საკმაოდ ცოტა ნათესავი მყავს მამის მხრიდან და თითქმის ყველას ვეკითხებოდი დედაჩემის შესახებ, მაგრამ, არავინ არაფერს მეუბნებოდა. საერთოდ, ამ საკითხზე არავინ მესაუბრებოდა. გავიზარდე საგურამოში და ამჟამადაც საგურამოში ვცხოვრობ.

**– მამასთან თუ გაქვს ურთიერთობა და მან თუ იცის, რომ დედას ეძებ?**

– მამას იშვიათად ვნახულობ. მამაჩემის თქმით, მე დედას არ ვაინტერესებ და მას ჩემი ნახვა არ უნდა. მინდა, ვიპოვო დედაჩემი და მისგან გავიგო სიმართლე. მამაჩემი აბაშის რაიონის სოფელ ქვატანიდანაა. ჩემი მშობლებიც თავიდან იქ ცხოვრობდნენ. შემდეგ კი საცხოვრებლად თბილისში გადმოსულან, სადაც დაშორდნენ კიდეც ერთმანეთს. მონაცემები, რაც შევძელი და დედის შესახებ მოვიძიე, მოძველებული გამოდგა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ის თბილისში უნდა ცხოვრობდეს. როგორც იქნა, მისი ფოტოც მაქვს და ახლა კი მომეცა დიდი იმედი, რომ, იქნებ, თქვენ მაინც მაპოვნინოთ დედა. ვიცი, რომ უამრავ ადამიანს დაეხმარეთ და, მინდა, რომ მეც მათ სიაში ვიყო. მინდა, დედა ერთხელ მაინც ვნახო.



**– როგორ ფიქრობ, დედაშენი თუ გეძებდა?**

– არა მგონია, რომ დედაჩემი მეძებდა, რადგან, აქამდე მიპოვიდა კიდეც. თუმცა, ვერ წარმოვიდგენ იმას, რომ მას თავისი შვილის ამბავი მთელი ამ წლების განმავლობაში არ აინტერესებდა. პირადად მე უკვე დაოჯახებულიც ვარ და მყავს მეუღლე და ორი შვილი. ჩემი მეუღლე მგულშემატკივრობს დედის პოვნის საკითხში და ყველანაირად მხარში მიდგას. თბილისი არც ისე დიდი ქალაქია და დედის პოვნის იმედს არ ვკარგავ.

**– კიდევ რა იცი დედის შესახებ?**

– ვიცი, რომ დედის გვარი სინამდვილეში სინჩენკოა, უბრალოდ, ის თავისი დედის გვარზეა გადასული. ვიცი, რომ ის 1974 წელსაა დაბადებული და მაქვს მისი ფოტო, რომელსაც თქვენ გიგზავნით. ძალიან მინდა, რომ ვიპოვო დედა და დედაშვილური ურთიერთობა მეც მქონდეს ცხოვრებაში ერთხელ მაინც. იმედი მაქვს, რომ ის კარგადაა და აუცილებლად გამომეხმაურება.

*თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნათალია მახარაშვილი**

---

შევთანხმდით, რომ მხოლოდ მეგობრები ვყოფილიყავით. ვიხლიჩებოდი შუაზე ჩემს ცოლსა და მას შორის. საკუთარ თავთან ბრძოლა ურთულესი და უმძიმესი იყო. ყველაფერი გადავიტანე, არაფერი ამცდენია – სკანდალი, ისტერიკა. ჩემი ყოფილი ცოლი ორი თვის განმავლობაში სრულიად შეურაცხადი იყო... სახლიდან საკუთარი ტანსაცმლის მეტი არაფერი წამომიღია. სახლიც დავუტოვე და მანქანაც... კიდევ ერთი სამსახური ვიშოვე, რომ მეტი შემოსავალი მქონოდა და ყოფილ ცოლსა და ჩემს შვილს არაფერი მოჰკლებოდათ. არ ვტყუი და გული მტკივა, რომ ეს ყველაფერი

**ჩემმა ცოლმა ხომ იცის, როგორი ქმარი ვიყავი. რატომ არ შეუძლია, გამიგოს, მაპატიოს და ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ჩემთან?!**

წყალში მეყრება. არ არის ჩემთვის სულერთი, რას ილაპარაკებენ ჩემს პიროვნებაზე. არ ვარ უსინდისო და, არ მინდა, ჩემს შვილს უთხრან, რომ, მე – ეგოისტმა, ვიღაც ქალისადმი ლტოლვას გადავაყოლე მისი და ოჯახის ინტერესები.

**– თქვენი ყოფილი ცოლი ეუბნება ამას?**

– არ ვიცი, ვინ ეუბნება, მაგრამ, ფაქტია, რომ მე მისთვის ავტორიტეტი არ ვარ. შემიყვარდა, ძალიან შემიყვარდა და მხოლოდ ამიტომ ვარ ნაძირალა?! მჭირდება, გვერდით მყავდეს და მუდმივად ვგრძნობდე მის სიახლოვეს. მთელი თხუთმეტი წელი მყავდა ცოლი, მაგრამ, მასთან არ მიგრძნია ის სიახლოვე, ის სულიერი თუ ფიზიკური ერთიანობა, რასაც ახლა განვიცდი. ერთი საათი ვერ ვჩერდები მის გარეშე. ვხვდები, რა მაკლდა და რისი დეფიციტი მქონდა. მარტო ცოლის ყოლა არაფერს ნიშნავს, თუ ის შენი მეორე ნახევარიც არ იქნება. „მეორე ნახევარი“ – ეს ხომ უბრალოდ გამოთქმა არ არის! ამას მაშინ მივხვდი, როცა ჩემი ერთადერთი და შეუდარებელი გავიცანი.

**– იქნებ, ცდებით და ამჟღერადაც თავს იტყუებთ?**

– არა, არ ვიტყუებ თავს. ჩემი ცოლის მიმართ ასეთი გრძნობა, ასეთი ლტოლვა და ერთიანობა არასდროს მქონია. არ ვაჭარბებ და არ ვცდილობ, თავი უცოდველად მოგაჩვენოთ, ეს არაფერში მჭირდება. უბრალოდ, არ მინდა, მლანძღავდნენ და იმ მამაკაცებთან მაიგივებდნენ, „ჯოხზე წამოცმულ კაბაზეც“ რომ მუხლები უკანკალებთ და კბილები უკაწკაწებთ. მოვიდა სიყვარული, რომლის წინაშეც უძლური აღმოვჩნდი და წამოვედი ოჯახიდან. ვნებას არ ავყოლივარ. არ ავმჩამტებულვარ, თუმცა, თავი კი დავკარგე – ამას ვაღიარებ და არც მრცხვენია და არც მეთაკილება. სხვათა შორის, აცუნცრუკებული, უწესო და ვნებას აყოლილი მამაკაცები ოჯახებს არ ტოვებენ და არც პირდაპირ ეუბნებიან ცოლს, სხვა შემიყვარდაო.

**– ანუ, თქვენ გქონდათ სიყვარულის დეფიციტი ცოლთან თხუთმეტწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში?**

– ასე გამოვიდა. გულწრფელად ვწუხვარ, მაგრამ, არჩევნის საშუალება რომ მქონდეს, მაინც არაფერს შევცვლიდი.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მეც და ჩემი ქმარიც მეტისმეტად პრინციპული ადამიანები ვართ. ძალიან ბევრ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები გვაქვს. ცუდი ის არის, რომ, საკმარისია, კამათი წამოვიწყოთ, მაშინვე ხელჩართულ ბრძოლაზე გადავდივართ – „მუხრუჭები“ გვღალატობს და სკანდალებს ვაწყობთ. ძალიან არ მინდა, ასე რომ იყოს. გულწრფელად ვწუხვარ. როგორ ვისწავლო დროულად გაჩერება?!**

გამოხმაურება: ცუდია, რომ აზრთა სხვადასხვაობას სკანდალამდე მიჰყავხართ. ჯანსაღი კამათი, პირიქით, პოზიტივია ოჯახის მთლიანობისთვის. ჰკითხეთ საკუთარ თავს: თუ ქმარს ყველაფერზე არ შეეკამათებით და არ აუშარდებით, ამით რამე დაგაკლდებათ? თუ ამ კითხვას პასუხს გულწრფელად გასცემთ, პრობლემა აუცილებლად მოგვარდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# რით მონუსხა ნინო წიკლაურმა მომავალი მეუღლე და რომელ რუს ოლიგარქს გაჰყვა ის ცოლად



***პროდიუსერი ნინო წიკლაური უკვე რამდენიმე წელია, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და იქ განაგრძობს საქმიანობას. 15 დეკემბერს კი მოსკოვის პრესტიჟულ უბანში, სახლთან ახლოს, თავისი ხმის ჩამწერი სტუდიის პრეზენტაცია აქვს დაგეგმილი, რომელიც საყვარელმა ადამიანმა სიურპრიზად გაუკეთა. ჩვენი რესპონდენტის ცხოვრებაში კიდევ ერთი და მთავარი სიახლეა, გათხოვდა და თავისი ბედი, რუს ოლიგარქს, ალექსანდრ იაცკოვს დაუკავშირა.***

**ნინო წიკლაური**: ჩემი მეუღლე, უპირველეს ყოვლისა, ძალიან კარგი ადამიანია. ძალიან მორწმუნეა და სამი უზარმაზარი მონასტრის მზრუნველი. ასევე, არის მოსკოველი ბიზნესმენი და ერთ-ერთი ნავთობკორპორაციის დირექტორი.



**– გაცნობიდან რამდენ ხანში გთხოვა ცოლობა?**

– გაცნობიდან ზუსტად 6 თვის შემდეგ. რა თქმა უნდა, უცებ არ დავთანხმდი. პირველ ყოვლისა, ეროვნებამ დამაფიქრა, თუმცა, მას იმდენი ქართული თვისება აქვს, რომ, საბოლოოდ, გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია. მისთვის პირველ ადგილზე ოჯახის ღირსება დგას. მოკლედ, ნამდვილი ჯენტლმენია. თან, მიმაჩნია, რომ მორწმუნე ადამიანი ძლიერია. საქართველო იმდენად უყვარს, რომ ჩვენს ჯვრისწერას საქართველოში გეგმავს – ეს მართლა მისი პირადი სურვილია. სიმართლე გითხრა, იმდენად მომწონს აქაური ტაძრები, დიდი სიამოვნებით დავიწერდი ჯვარს, მაგრამ ჩემი მეუღლის სურვილს ვერ უარვყოფ და ჯვარს აუცილებლად თბილისში დავიწერთ.



**– როდისთვის გეგმავთ?**

– ნოემბერში. თუ მარხვამდე მოვასწარით, ხომ კარგი, თუ არა და, ალბათ, ერთი თვით გადავდებთ.

**– ხელი მოსკოვში მოაწერეთ. ვინ იყვნენ მეჯვარეები?**

– ჩემი მეუღლის მეჯვარე მისი ბიზნეს-პარტნიორი იყო, ხოლო ჩემი – ხატია გადელია. ჯვრისწერის დროს ხატიას გარდა კიდევ ორი მეჯვარე მეყოლება: გვანცა ხვიჩია და ნინო გიორგობიანი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც ყველაზე ძალიან გაუხარდათ ჩემი ბედნიერება და გულით მომილოცეს.

**– გავიგე, რომ ჯვრისწერის გრანდიოზულად აღნიშვნას გეგმავთ.**

– პატარა გოგო არ ვარ, ასეა თუ ისე, შვილიშვილი მყავს. მიუხედავად ყველაფრისა, ქორწილი არ მქონია. რამდენი სტუმარი დაესწრება ჩვენს ქორწილს, ჯერ არ ვიცი; შეიძლება, იყოს 100 ან 200 კაცი, თუმცა, ნამდვილად ვიცი, რომ ძალიან განსხვავებული იქნება. ქორწილის წინა დღეს აუცილებლად მოვაწყობ „ძევიშნიკს." მინდა, „რედისონის" ან „მარიოტის" კოქტეილ-ბარი დავხურო აუზთან. ქორწილამდე მთელი საქართველოს ჭორები უნდა გავიგო, რასაც უკვე ხუთი წელია, მოვწყდი. რაც შეეხება ქორწილს, მინდა, ყველა სტუმარი კმაყოფილი დარჩეს და თითეულ მათგანს საჩუქარი გავუკეთო. ჯერ ვერ გავახმაურებ, მაგრამ, დაგეგმილი მაქვს მოსკოვიდან ცნობილი მომღერლების ჩამოყვანა. რა თქმა უნდა, იქნებიან ქართველი მომღერლები და სხვა ცნობილი სახეები. მოკლედ, რაც კი შეიძლება რომ მაქსიმალურად გაკეთდეს საქართველოში, ყველაფერს გავაკეთებთ. ღმერთის წყალობით, არ მგონია, ამის გაკეთებაში რამემ ხელი შეგვიშალოს. მართალია, ჩემი ქმარი რუსეთშიც კი არ იძლევა ინტერვიუს, მაგრამ, თბილისელებისთვის დამთანხმდა. ეს კიდევ ერთხელ არის იმის დასტური, თუ როგორ უყვარს მას საქართველო.

**– რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ჯვრის დაწერა?**

**ალექსანდრ იაცკოვი**: საქართველო ძალიან მიყვარს და მასზე წმინდა მიწა არ მეგულება არსად. ღვთისმშობლის ხვედრი პირველი საბერძნეთია, მეორე კი – საქართველო. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემს ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი დღე მანდ გავატარო.



**– რით მოგაწონათ ნინომ თავი?**

– ნინომ თავისი სიწმინდითა და გულწრფელობით მომნუსხა. სხვათა შორის, მას წმინდა ნინოს ვამსგავსებ. ნინო მე კი არ ვიპოვე, ღმერთმა თვითონ მაპოვნინა, ჩვენი შეუღლება კი ღვთის საჩუქარია.

**– სხვადასხვა ტრადიციების ადამიანები ხართ, ეს პრობლემა ხომ არ ყოფილა თქვენთვის?**

– ჩემთვის საქართველო მეორე სახლია, ასე რომ, თქვენი ტრადიციები კარგად ვიცი და, ამიტომ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ მქონია.

**– თქვენმა ოჯახმა როგორ მიიღო ქართველი რძალი?**

– ძალიან კარგად. უფრო მეტიც – მათ ნინო პირველი შეხვედრისთანავე შეუყვარდათ.

**– თქვენზე ამბობენ, ოლიგარქიაო, მართალია?**



– უმჯობესია, ეს იმ ქართველ ოლიგარქებს ჰკითხოთ, რომლებთანაც ერთობლივ ბიზნესს ვაწარმოებ.

**ნინო**: ქართველ ოლიგარქებთან თუ საერთო ბიზნესი ჰქონდა, არ ვიცოდი, პირველად მესმის.

**– ანუ, გამოდის, რომ ოლიგარქი ხართ.**

**ალექსანდრ იაცკოვი**: ვისაც როგორ უნდა, ისე ილაპარაკოს.

**– ნინო, როგორც ვიცი, შენს მეუღლეს კარგი იუმორის გრძნობა აქვს. ყოველთვის გესმის მისი ხუმრობა?**

**ნინო**: ისეთი იუმორი აქვს, როდის ხუმრობს და როდის სიმართლეს მეუბნება, ზოგჯერ მართლა ვერ ვხვდები. მაგალითად, ეგეოსის ზღვაზე ვილა ვიყიდე ჩვენთვისო, რომ მითხრა, ხუმრობა მეგონა.



**მარიკა ხიდურელი**

# როგორ ატარებდნენ დროს აბანოში თბილისელი ქალები და როგორ დაახასიათა თბილისის აბანოს მექისე პუშკინმა

***აბანოს განსაკუთრებული ადგილი უკავია თბილისის ისტორიაში. თბილისურ აბანოებს არაერთი საინტერესო ისტორია უკავშირდება, რომლებსაც იოსებ გრიშაშვილმა თავის წიგნში – „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა" – ცალკე თავი დაუთმო. გთავაზობთ ყველაზე საინტერესო ნაწყვეტებს ძველი თბილისის მეხოტბის ნაშრომიდან.***

## თბილისური აბანო

„წინათ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო; არც ბანაობის დრო იყო შეზღუდული; ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო, ზოგჯერ, სოფლიდან ჩამოსულ გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა: საქონელს ბაკში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორ შაურად მთელ ღამეს არხეინად ეძინა აბანოში. რასაკვირველია, ზამთარში ეს იაფფასიანი თავშესაფარი უფრო სასიამოვნო ხდებოდა. ქალებს საბანაოდ კვირაში რამდენიმე დღე ჰქონდათ დათმობილი. ერთ დღეს რომ ქალები ბანაობდნენ, მეორე დღეს – კაცები. ეს ის დრო იყო, როცა აუზების ნაცვლად კლდე იყო ამოღრმავებული, აბანოში კი მაშხალები ენთო. ძველად ქალ-ვაჟუნი აბანოში ერთად არ დადიოდნენ, პირიქით, ქალები ცდილობდნენ, რომ მათი აბანოში გამგზავრება კაცის თვალს არ დაენახა. ამიტომ იყო, რომ



ორბელიანების აბანო, იგივე „ჭრელი აბანო" მეცხრამეტე საუკუნეში



აბანოთუბანი, აბანოები

აბანოში წამსვლელი ქალები დილა-ადრიანად, სისხამზე მიდიოდნენ და საღამოთი ბინდისას ბრუნდებოდნენ.

ქალები აბანოში მარტო საბანაოდ არ მიდიოდნენ, თან სარეცხიც უნდა წაეღოთ. აბანოში ყოველთვის ალიაქოთი იყო. ადგილებისთვის ატყდებოდა ჩხუბი, დავიდარაბა; ჩხუბობდნენ ტოლჩებით, ქობინებით, ერთმანეთს ბუწუწებს აგლეჯდნენ, იწყევლებოდნენ, არ ივიწყებდნენ წინაპრებსაც: მკვდრებს საფლავიდან თხრიდნენ, ცოცხლებს ქოქოლას აყრიდნენ. ქალების საერთო აბანოდ მხოლოდ ეგრეთ წოდებული „ციხის აბანო" ითვლებოდა და, არსად არ იყო ისეთი უწესობა, სივიწროვე და სიბინძურე, როგორც იქ. ძველად, ტფილისში სადმე ჩხუბი და ყაყანი თუ ატყდებოდა, იტყოდნენ: ხოჯას აბანოაო?! ამ „ციხის აბანოს" უწოდებდნენ, აგრეთვე, საჭურის ხოჯა აღა-მაჰმად-ხანის აბანოს. თბილისის აღების დროს, ეს ხოჯა შევიდა ამ აბანოში, „გაუკვირდა სიკეთე ტფილისისა, მოეწონა წყალნი წმინდანი ყოველითურთ, აღუმღვრეველნი და მარგებელნი", მაგრამ, სენისგან, რომ ვერ განიკურნა, გაბრაზდა და ბრძანება გასცა, აბანოებიც ძირიანად დაენგრიათ."

აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდეც. მზრუნველი ქმარი თავის ცოლს აბანოში უგზავნიდა სადილს: განსაკუთრებით ამ დღისთვის შეკვეთილ ფურნის თავას ან ქაფქოთანით ბუღლამას. აბანოში მთელი დღე მიდიოდა ჩაის სმა: იდგა უშველებელი სამოვარი და მის გარშემო მთელი დღე ჩაით ლოთაობდნენ. ქალებსაც კი ჰყავდათ თავიანთი აშული – გერაგერმიშაანთ უსინათლო მაია, რომელიც თავისი სიმღერითართობდა დასაპნილ და ინადადებულ ქალთა მარაქას. აბანო იყო ტფილისელი ქალებისთვის კლუბიც და თეატრიც. ქალს ახალი ტანსაცმელი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა. რასაკვირველია, მაჭანკალა ქალები არც აბანოში ივიწყებდნენ თავიანთ პროფესიას და ბევრი ლამაზი ქალის ბედი გაადწყვეტილა აბანოში, ბევრის სანდომიანი „ქალი და რძალი" გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოსჩენია გატიტვლებულ ქალს.

ყოველი ყარაჩოხელი ქეიფის შემდეგ გამოსაფხიზლებლად უეჭველად აბანოში უნდა წასულიყო. ზურნა მიაცილებდა აბანოს კარამდე და მექისენი ძმაბიჭურად ეგებებოდნენ. აბანოში ქეიფი უძველესი ჩვეულება იყო, მაგალითად, „შაჰნამეს" პროზაულ ვერსიაში აბანოში ქორწილის გაგრძელებაა აღწერილი. მოგზაური ტურნეფორი თბილისურ აბანოებზე წერდა: „აბანოები თბილისის მოქალაქეთათვის ერთადერთ გასართობს წარმოადგენს". აღმოსავლური ხალხის ყოფა-ცხოვრებაში აბანოს დიდი ადგილი ეჭირა. ძველი ხალხი, ვიდრე აბანოში არ განიბანებოდა, ოჯახის წინაშე ვერ წარდგებოდა. სიძესაც ქორწილის ღამეს ამფსონები აბანოში წაიყვანდნენ და განბანდნენ. აბანოში ქეიფს განსაკუთ-



ხედი აბანოთუბანზე, გოგირდის აბანოები (მეცხრამეტე საუკუნე)

რებული გემო ჰქონდა და თბილისის არაერთი აბანო ქცეულა „დიონისეს ტაძრად". ხშირად მომხდარა, რომ ეს მოქეიფენი შუაგულ



თბილისელი მექისე (ერმაკოვის ფოტო, მეცხრამეტე საუკუნე)

ზამთარში სანაძლეოზე აბანოდან ტიტლიკანები გამოსულან და რომელიმე მიკიტნის დუქანში ღვინის სმა გაუგრძელებიათ.

ყოველი მგზავრი, თბილისის ყოველი სტუმარი, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო მოსული, რა საშური საქმეც არ უნდა ჰქონოდა, თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა, რომ თბილისის აბანოებიც ენახულა და განბანილიყო

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



ორბელიანების აბანო (რომელსაც ესტუმრა პუშკინი)

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**საქართველოში ქრისტიანობის პირველი ბურჯები, მოწამეები, არაქართველი ქრისტიანები იყვნენ: სიდონია, შუშანიკი, რაჟდენ პირველი მოწამე, ევსტათი მცხეთელი და აბო თბილელი. ეს მართლმადიდებლური სწავლების დიდი ქადაგებაა და ნიშნავს იმას, რომ ეკლესია არ არის ნაციონალური წარმონაქმნი; რომ ყველას აქვს უფლება, გახდეს მართლმადიდებელი, დაიცვას ქრისტიანული სარწმუნოება; რომ ცხონების კარი ყველასთვის ღიაა. რისი ცოდნა გვაკლია ქრისტიანებს, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როგორ ვრცელდება საქართველოში თანამედროვე ერესი და რატომ სჭირდებათ ქრისტიანებს საკუთარი არცოდნის აღიარება

– როცა მეოთხე საუკუნეში საქართველოში მართლმადიდებლობა ფეხს იდგამდა, პირველი მართლმადიდებლები სწორედ არაქართველები ხდებოდნენ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები არ იყვნენ მოწამეები, მარტვილები, უბრალოდ, ჰაგიოგრაფებმა, უპირველეს ყოვლისა, დააფიქსირეს არაქართველი ადამიანების მარტვილობა, რათა ეს ჩვენთვის მაგალითი ყოფილიყო. დღეს, სამწუხაროდ, მართლმადიდებელი ქრისტიანები სხვადასხვა სექტაში ერთიანდებიან და გაბრწყინებული სახეებით ქადაგებენ. რამდენიმე თვის წინ მართლმადიდებელმა ქრისტიანმა მართლმადიდებლობაზე უარი თქვა და ისლამი მიიღო, ამაზე კი ყველა დუმს – ეკლესიაც, პრესაც. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ვინმე უნდა გაუსწორდეს, უბრალოდ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ქრისტიანი ადამიანი ისლამს იღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ კარგი ქრისტიანები, კარგი მქადაგებლები, ყველაფერი ხიბლის მდგომარეობაშია. ამიტომაც, ჩვენ მართლმადიდებლებმა, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი რწმენა, ქადაგება, რათა ასეთი რამ კიდევ არ განმეორდეს. ამისთვის კი საჭიროა, დავფიქრდეთ ერთ რამეზე: თუ გვგონია, რომ რაღაც ვიცით, კარგად დავფიქრდეთ, ეს ნამდვილად ვიცით თუ არა. თუ ხარ მართლმადიდებელი, რამდენად იცი, რას გასწავლის ეკლესია, ვინ ხარ და რა გევალება, საიდან მოდიან შენი წინაპრები, რა არის კეთილი და ბოროტი...

**– რატომ არის დღეს ჩვენი ცნობიერება შორს ამ ყველაფრისგან?**

– ყველაფერი ღმერთისგან მოდის, ხოლო სრული სისავსით საღვთო სიბრძნე მხოლოდ იესო ქრისტეშია, ისევე, როგორც ცხონების გზა იესო ქრისტეში, მისგან ნასწავლები კი – დედაეკლესიაში. მინდა, წაგიკითხოთ ერთი ასეთი სწავლება: ის, ვინც არ იცის და არ იცის, რომ არ იცის, ბრიყვია და მოერიდე მას. ვინც არ იცის – ასეთი ადამიანი ბევრია, თან, იცის, რომ არ იცის და არც არაფრის სწავლა არ უნდა. ამის შესახებ ეკლესია ქადაგებს: ძაღლებსა და ღორებს მარგალიტებს ნუ დაუყრით, რადგან, მათ არც უნდათ და, რომ უთხრათ, მაინც არ გაიგებენ. ეკლესიას ასეთი სწავლება აქვს: ეშმაკში არის გარკვეული ცოდნა, ეშმაკი შედარებულია ქვას, რომელიც მზეზე გდია, გარედან თბება მზის სხივებით, მაგრამ, შიგნით სიბნელეა. ასეა ბევრი უმეცარი. რამდენი ქადაგება, რამდენი წიგნი გამოდის, მაგრამ, ადამიანების დიდ ნაწილს ეს არ აინტერესებს. რაში გჭირდებათ ის ბიბლია, ლოცვების წიგნი, ხატები, თუ არც წაიკითხავთ, არც ილოცებთ და არ იღებთ ცოდნას?! თუ ადამიანს არ გააჩნია ცოდნა და არც უნდა, რომ გაიგოს, ისწავლოს რამე, მაშინ, ჯობია, ასეთ ადამიანს გაერიდოთ, რადგან, ყველასთვის არ არის სიბრძნე. სიბრძნე იმისთვის არის, ვინც ეძებს, რადგან, ვინც ეძებს, ის პოულობს. მეორე, შედარებით საინტერესო სწავლება ასეთია: ის, ვინც არ იცის, მაგრამ, იცის, რომ არ იცის, გულმართალია და ასწავლე მას.



**ჩვენი მტერი აღარ მოდის მორკალური ხმლებით, პირიქით, მოდის იდეოლოგიით, მწვალებლობით; გარკვეული სწავლებებით, რომლებიც კარგადაა შენიღბული**

**– როგორი ადამიანები იგულისხმებიან?**

– ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ არ იციან რაღაც, მაგრამ, შეუძლიათ ამის აღიარება და სურთ, რომ ისწავლონ. ასეთი ადამიანი გულმართალია; არ რცხვენია იმის აღიარების; რომ რაღაც არ იცის, რომ უმეცარია და იწყებს სწავლას. იმას კი არ ამბობს, რომ ათი თუ 20 წელია ეკლესიაში დადის, ამდენჯერ ეზიარა, ამდენჯერ თქვა აღსარება, პირიქით, ამბობს: ვკითხულობ ბიბლიას, საეკლესიო სწავლებებს და, ვხვდები, როგორი უმეცარი ვარ, ამიტომ მასწავლე. ეს არის გულმართალი მდგომარეობა. ხშირად ადამიანები ბევრ რამეში ვერ ერკვევიან, მაგრამ ამას ხმამაღლა არასდროს ამბობენ, რადგან, ამპარტავნები არიან და რცხვენიათ იმის ხმამაღლა აღიარების, რომ რაღაც არ იციან ან ვერ გაიგეს. ჩვენ, ქართველები ხომ „განათლებული“ ხალხი ვართ, „ყველაფერი ვიცით“, მაგრამ, არ ვიცით სარწმუნოების სიმბოლო, „მამაო ჩვენო“, პირჯვრის გადაწერა და სწორედ ეს არის ჩვენი უმეცრება. ყოველთვის იყავით მოწაფის სტატუსით და ეძებეთ მასწავლებელი. წმიდა მამებმა ჩვენთვის დაწერეს მარგალიტები, რომ ვისწავლოთ, გავიგოთ და უფრო მეტი ცოდნა შევიძინოთ. ჩვენი მტერი აღარ მოდის მორკალური ხმლებით, პირიქით, მოდის იდეოლოგიით, მწვალებლობით, გარკვეული სწავლებებით, რომლებიც კარგადაა შენიღბული. ჩვენ ხშირად ვამაყობთ ჩვენი ქართველობით – რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ, თუ ქართველი ხარ, მადლიერი უნდა იყო ღმერთის, რომ საქართველოში მოგავლინა, მოგცა სჯული დაბადებიდანვე, ამას კი მოფრთხილება სჭირდება. დღეს, როგორც ეკლესიაში, ისე ერში, ძალიან ბევრი რამ არის სამარცხვინო და ეს უნდა ვიცოდეთ, ვიფიქროთ ამაზე. თუ ამ ცოდნას არ ჩავწვდებით, არ გავიაზრებთ იმას, რაც იყო წარსულში, მოტყუებულები დავრჩებით აწმყოშიც და მომავალშიც. დასაფიქრებელია ის, თუ როგორ იქცევიან თანამედროვე მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, სასულიერო პირები: არ უყვართ საქართველო, ქადაგებენ საკუთარ აზრს, სისულელეს, ეჭვქვეშ აყენებენ წმიდა მამების სიწმიდეებს; ხოლო მართლმადიდებელი ქრისტიანები სჩადიან მკრეხელობას, მრუშობის ცოდვაში არიან და ეს უარესია, ვიდრე რომელიმე სექტაში ყოფნა. ამიტომაც, უნდა ამხილო ის, ვინც შენსავით არის შემოსილი, გაბრწყინებული პანაღია უკეთია და მკრეხელობას ქადაგებს – ეს ცუდი კი არ არის, რადგან, სანამ ის ჯოჯოხეთში აახელს თვალს, მანამდე უნდა დაისაჯოს, შეინანოს; უნდა ილოცო მისთვის, რომ მისი სული გადარჩეს და ერი არ გაირყვნას ბოლომდე. ეს არის ჩვენი უმეცრების ნიშანი, რასაც კიდევ არაერთხელ გამოვცდით საკუთარ თავზე. ჩვენი მთავარი ღირსება არის ეროვნულობა, მართლმადიდებლობა, ქართველობა, ამისთვის კი შესაბამისი ცოდნა უნდა გაგვაჩნდეს.

**დღეს, როგორც ეკლესიაში, ასევე ერში ძალიან ბევრი რამ არის სამარცხვინო და ეს უნდა ვიცოდეთ, ვიფიქროთ ამაზე. თუ ამ ცოდნას არ ჩავწვდებით, არ გავიაზრებთ იმას, რაც იყო წარსულში, მოტყუებულები დავრჩებით**

**– როგორია მესამე მდგომარეობა?**

– ვინც იცის და არ იცის, რომ იცის – მას სძინავს. სამწუხაროდ, ასეთები ბევრნი არიან. ღმერთმა მათ მისცა ნიჭი, განათლებული მშობლები, ბევრი რამ იცის, მაგრამ, თავადაც არ იცის, რომ იცის და თავის ტალანტებს მიწაში ინახავს. ღმერთი რომ მოვა, ეტყვის: „მე ქართველი ვიყავი, მართლმადიდებელი, რაც მომეცი, იმისთვის არაფერი მიმიმატებია და, აჰა, უკან წაიღე!“ მაგრამ, უფლისგან მოისმენს: უგუნურო მონავ, 5 ტალანტი მოგეცი, რომ კიდევ 5 მიგემატებინა მისთვის! იცი, რომ ქართველი ხარ, მართლმადიდებელი ხარ, იცი, ამხელა სიბრძნეა შენი ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ, გძინავს, არაფერს აკეთებ მისთვის, მის გადასარჩენად. უნდა გავაღვიძოთ ერთმანეთი წირვა-ლოცვით, რომ არ ჩავცვივდეთ ხრამში. სახარებაში წერია: „გაიღვიძე, მძინარევ, ნათელი მოვიდა!“ იესო ქრისტე არის ნათელი სოფლისა და, თუ შენ გძინავს, ძილშივე გარდაიცვლები და, რომ გაახელ თვალს, აღმოჩნდები ჯოჯოხეთის წიაღში. მეოთხე მდგომარეობა: ვინც იცის და იცის, რომ იცის, ბრძენია და მისდიეთ მას. ასეთი ადამიანები არ მეგულება ცოცხლებს შორის. სამაგიეროდ, ეკლესიამ იცის და, იცის, რომ იცის, ამიტომ, მივსდიოთ მას, ანუ: იოანე ოქროპირს, ბასილი დიდს, პავლე მოციქულს და ასე შემდეგ. ჩვენ არაფერი ვიცით, სამაგიეროდ ეკლესიამ იცის, რომელიც იესო ქრისტეს მისტიკური სხეულია და, რადგანაც ღმერთმა ყველაფერი იცის, შენ კი ვერ ხედავ, ამიტომ, მან ეს გადმოგცა სამოციქულო ეკლესიის წიაღში, წმიდა მამების სწავლებით. ჩვენი ერის მთავარი ღირსება ის არის, რომ, რაკი ერთხელ გვიცნობიეს მართლმადიდებლობა, არასდროს გვიღალატია. ქართველი ერეტიკოსები არ არსებობდნენ – არანაირი ერესი არ წარმოშობილა საქართველოში და ეს ღვთის ძალიან დიდი წყალობაა. თუმცა დღეს ჯერ აღიარებული არ არის, მაგრამ, არსებობს თანამედროვე ერესი, ეკლესიაში ფეხი მოიკიდა ძალიან ბევრმა ცრუ სწავლებამ, რომელიც, დიდ მასშტაბებს თუ მიიღებს, მერე გავხდებით რაღაც გარკვეული ერეს-იარქები. ღმერთმა დაგვიფაროს ამ ყველაფრისგან. ქართველი ერი პირველი საუკუნიდან დაწინდული იყო ქრისტეზე, ეს იქნება მანამდე, სანამ არ მოვა იესო ქრისტე და მერე გვეცოდინება, გაბრწყინდება თუ არა ივერია; რა ვიცით, რა არ ვიცით; თუ იმ დედა-ეკლესიის წიაღში ვმოღვაწეობდით, რომელმაც ყველაფერი იცის და ეს ცოდნა არ არის მღვდელში, არ არის ეპისკოპოსში, არა რაიმე ორგანიზაციაში, არამედ არის ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში. ამიტომ, დროა, ერთად ვაღიაროთ ჩვენი უმეცრება, დავიწყოთ სწავლა, რადგან, სწავლა ყოველთვის აუცილებელია და ეს მარადიული პროცესია, რომელიც მუდმივად გრძელდება.

**ნათია უტიაშვილი**

# ხატების საოცარი გამოჩინება-განახლება

ძველ კურსკში ძველთაგანვე იდიდებოდა კორენის უდაბნოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. 1383 წელს ვიღაც თათარმა, რომელიც ამ მიწიდან გაიქცა, ხატი ორ ნაწილად გააპო. რუსი ჟამთააღმწერელი წერს, რომ მისი ნაწილები მრავალი თვის შემდეგ აღმოაჩინეს და, როდესაც ისინი ერთმანეთს მიადეს, სასწაულებრივად შეერთდა.

... 1840 წელს ხერსონის გუბერნიის ოლვიოპოლის ოლქში, სოფელ ნოვოივანოვსკში მემამულე კასპეროვას სახლში მოულოდნელად გაბრწყინდა და განახლდა ძველი და დროისაგან დაბინდული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი (მანამდე მასზე გაჭირვებით გაირჩეოდა ნაკვთები). ეს მოხდა მაშინ, როდესაც კასპეროვა, ხატის პატრონი, მის წინაშე ლოცულობდა. შემდგომში ეს ხატი სასწაულთმოქმედად აღიარეს და ოდესის საკათედრო ტაძარში დააბრძანეს.

... 1885 წელს ნიჟეგოროდის გუბერნიის არზამასის ოლქის სერაფიმო-პონეტაევის დედათა მონასტერში განახლდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. ეს მოხდა 14 მაისს, საღამოს 9 საათზე, იღუმენიის სამყოფელ სენაკში. ღვთისმშობლის გამოსახულება უფრო ცოცხალი და ნათელი გახდა.

ასე რომ, ძველი და დაბინდული ხატები ნათლდებიან, საღებავები სიმკვეთრეს იძენენ, გამოსახულებებზე თავისთავად მთელდება დაზიანებები და ბზარები – სწორედ ეს არის სასწაულებრივი განახლება.

1920-იან წლებში რუსეთში ამის მსგავსი მრავალი შემთხვევა ხდება და ახლდება არა მხოლოდ ხატები და ფრესკები, არამედ, წმიდა ჭურჭელი, ჯვრები, საეკლესიო ნივთები, მაგრამ, ამ დროს ყველაზე გასაოცარი სასწაული იყო გუმბათების გაბრწყინება.

ამის მსგავსი ერთ-ერთი პირველი შემთხვევა აღინიშნა 1923 წლის 29 ივნისს, პრიმორიეში, ვლადივოსტოკის ეპარქიაში.

„ლიტურღიის დასასრულსა და წმიდა ნაწილების მიღების დროს სამადლობელ ლოცვებს ვკითხულობდი, – გვიამბობს ტაძრის წინამძღვარი, – ჩემთან, ტაძარში შემოდის კაზაკი ივან სიმონის ძე პონიავკინი, მორწმუნე ადამიანი, მართლმადიდებლობის მკაცრი დამცველი და მეუბნება, რომ ჩვენს ტაძარზე ჯვრები და გუმბათები გაბრწყინდა და ბევრი ხალხია შეკრებილი. იგი კი იდგა და უყურებდა ამას. ერთი ჯვარი ყველას თვალწინ განახლდა, სულ კი ხუთი იყო. ზოგიერთ ადგილას გუმბათებიც კი გაბრწყინდა, რომელზეც მწვანე საღებავი გათეთრებული იყო.

1925 წლის ივნისის დასასრულს ბლაგოვეშჩენსკში რამდენიმე სახლში მოხდა ხატების გაბრწყინება. ამ სასწაულმა ფეხზე დააყენა ქალაქის მცხოვრებნი. 28 ივნისს ქალაქში მთელი დღის განმავლობაში რეკავდნენ ზარებს. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ, უამრავი ადამიანის თვალწინ, წმიდა ნიკოლოზის ტაძრის გუმბათზე ჯვრები გაბრწყინდა. ამ დროს ნიკოლსკის ქუჩაზე გამოჩნდა ქალაქის ერთი აქტიური კომუნისტი. იგი კასრზე ახტა და ხმამაღლა ადანაშაულებდა ეკლესიის მსახურებს შარლატანობაში, მაგრამ, მისი სიტყვა მოულოდნელად შეწყვიტა ხმამაღალმა ხმაურმა: სწორედ ბოლშევიკის წინ, გაბრწყინება დაიწყო წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხატმა, რომელიც ტაძრის ჭიშკარზე იყო გამოსახული. ორატორი გაჩუმდა, უყურებდა თავის წინ არსებულ გამოსახულებას, შემდეგ სახე შეეცვალა, კასრიდან ჩამოხტა და ხალხში მიიმალა. ყველა ხედავდა, რომ ხატზე დადებული მტვერი ხელუხლებელი დარჩა, ხატი და შესამოსელი კი ახალივით გამოიყურებოდა. უხილავმა ხელმა განაახლა წმიდა ხატი ისე, რომ არც კი შეეხო მსუბუქ მტვერს, რომელიც მასზე იდო.

მალე წმიდა ნიკოლოზის კიდევ ერთი ხატი განახლდა კარიბჭეზე, ამჯერად უკვე სხვა ქუჩაზე. წმიდა ნიკოლოზის ტაძარში უამრავი ხალხი მიდიოდა, აღესრულებოდა კურნებები. ერთმა გოგონამ, რომელსაც თვალები სტკიოდა, ტაძარში კაზანცევების ოჯახიდან მობრძანებულ მაცხოვრის ხატს თაყვანი სცა და მხედველობა სრულიად დაუბრუნდა.

ხელისუფლებამ არ იცოდა, როგორ შეეჩერებინა რელიგიური აღმავლობა, რა ზომები მიეღო ამისთვის და მათ ქალაქში დაპატიმრებები დაიწყეს.

განახლების სასწაულები ჩვენს დროშიც აღესრულება, თუმცა, არცთუ ისე დიდია, როგორც 1920-იან წლებში, მაგრამ, მართლაც რომ გასაოცარი მოვლენებია დაკავშირებული პეტერბურგში მაცხოვრის გამოცხადების ტაძართან, რომელიც გუტუევის კუნძულზე მდებარეობს (დვინის ქუჩა №2).

1935 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია დაკეტა. ტაძარში მოაწყვეს საწყობი. ფრესკებს საღებავი გადაუსვეს. ტაძარში საპნის სახარში მოაწყვეს, რომელმაც ეკლესია მალე ისე შემურა, რომ შიგნიდან და გარედან მთლად გაშავდა. დაბრუნებულ ტაძარში პირველი ლიტურღია 1992 წლის 2 თებერვალს ჩატარდა და, აი, სულ მალე კედლებზე გამოსახულებებმა „გამოჟონა". პირველად განახლდა ფრესკა „მაცხოვრის საუბარი ტაძარში" და „მოციქულ თომას მიერ გვერდის განხილვა".

ტაძარი მოინახულეს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლებმა. ისინი მკაცრად ადანაშაულებდნენ ტაძრის მამებს იმაში, თითქოს მათ „კედლები წყლით ჩამორეცხეს," მაგრამ, მალე დაინახეს, რომ ფრესკები განახლდა ისეთ ადგილებშიც, სადაც რთული სპეციალური მოწყობილობის გარეშე შეუძლებელი იყო მიდგომა. ისინი იძულებული იყვნენ, მხრები აეჩეჩათ. ფრესკები კი განახლებას განაგრძობდნენ!

რაც შეეხება ტაძარში მომსვლელებსა და ყველა სხვას, ვინც იქ მუშაობდა, სასწაულში ეჭვი არავის ეპარებოდა. „ღმერთი გვეხმარება და ამოწმებს, რომ ჩვენი შრომა ღვთის სადიდებლადაა", – ამბობდა არქიტექტორი სერგეი ივანეს ძე უჩურუსკაევი.

1992-1994 წლებში განახლება კედლებზე ქვემოდან ზემოთ გაგრძელდა. „საიდუმლო სერობა" საკურთხეველში სრულებით დაბინდული იყო, მაგრამ, 1994 წელს მაცხოვრის გამოსახულება გაბრწყინდა. 1998 წლის მარტში ტაძარში კიდევ ერთი სასწაული მოხდა: მაცხოვრის შობის ხატი განახლდა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ გადავეჩვიოთ წყენის გულში ჩადებას, რომელიც ტრავმას მაყენებს და სიმშვიდეს მიკარგავს?**

**პასუხი**: უფალს არ უყვარს ქედმაღალი, მრისხანე გულისა და ბოროტი მეხსიერების ადამიანები. ბევრი ქრისტიანული სათნოებით რომ იყოს შემკული ადამიანი და ბოროტი მეხსიერება ჰქონდეს, მისგან შექმნილი ყოველივე ამაოა. ამიტომ, უნდა ამოიკვეთოს მან გულიდან მტრობის ფესვები და ყველასთან მშვიდობა დაამყაროს.

**კითხვა: როგორ მოვიქცეთ, გაჭირვებულს უთხოვნელად უნდა დავეხმაროთ, თუ დაველოდოთ შემოტირებას?**



**პასუხი**: ადამიანის ქცევას ასეთ დროს მისივე სინდისი და ზნეობა განსაზღვრავს. შეიძლება, გაჭირვებული კაცი მორიდების გამო ვერ ბედავს წუწუნს და დახმარების თხოვნას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ უნდა დავეხმაროთ. უფალი ყოველი ადამიანის მოვალეობად თვლის გულმოწყალებას, რისთვისაც სასუფეველს აღუთქვამს.

**კითხვა: უთანხმოების გამო შევწყვიტე ურთიერთობა ჩემი შვილის ნათლიასთან. შეიძლება თუ არა ბავშვის ხელმეორედ მონათვლა?**

**პასუხი**: ბავშვის მეორედ მონათვლა კატეგორიულად არ შეიძლება. თქვენ უნდა ილოცოთ თქვენი შვილის ნათლიისთვის, რათა გაუნათდეს გონება და აღდგეს თქვენ შორის კავშირი.

**კითხვა: ჩემი მშობლები დიდი ხნის წინ დაშორდნენ ერთმანეთს. ახლა ისინი გარდაცვლილები არიან და სხვადასხვა ადგილზე არიან დაკრძალულნი. შეიძლება თუ არა ლოცვებში მათი ერთად მოხსენიება და პანაშვიდის გადახდა?**

**პასუხი**: თქვენ შეგიძლიათ, ლოცვებსა და პანაშვიდის დროს მათი ერთად მოხსენიება, რადგან ისინი, ორივენი თქვენი მშობლები არიან, მიუხედავად მათი ურთიერთდამოკიდებულებისა.

# პატერიკები

## ღმერთი ეხმარება მორჩილთ ვნების დამარცხებაში

ერთხელ ვიღაც მოგზაური სავანეში მივიდა და ბერობა გადაწყვიტა. მას ჩვილი ბავშვი ჰყავდა. როდესაც პატარა გაიზარდა და ყმაწვილკაცობის ასაკს მიაღწია, ბოროტმა ძალამ შეუტია და მოსვენებას აკარგვინებდა. ბიჭმა მამას მიმართა: ამქვეყნიურ ცხოვრებას უნდა დავუბრუნდე, ხორციელი ვნების მოთოკვა აღარ შემიძლიაო. მამამ დააწყნარა შვილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ყმაწვილმა კვლავ შესჩივლა: „გამიშვი, ძალა აღარ მყოფნის ვნების დასამორჩილებლად". მამამ მიუგო: „მომისმინე. ორმოცი პური და პალმის ტოტები წაიღე, 40 დღე უდაბნოში დასახლდი და იყოს ნება ღვთისა". შვილი მამას დაემორჩილა: უდაბნოში წავიდა, დრო შრომით გაჰყავდა, პალმის ტოტებისგან კალათებს წნავდა და მშრალი პურით იკვებებოდა. ოცი დღის შემდეგ დაინახა, რომ, რაღაც ეშმაკეული მოჩვენება უახლოვდებოდა. იგი შორიახლოს გაჩერდა. ეთიოპიელ ქალს წააგავდა, საკმაოდ შეუხედავი იყო და მყრალი სუნი ასდიოდა. ყმაწვილი ახლოს არ იკარებდა შორდებოდა და დაღწევას ცდილობდა. ამყრალებულმა არსებამ კი მას მიმართა: „მე ის ვარ, რაც ადამიანებს ასე მომხიბვლელი და ტკბილი ჰგონიათ. შენი მორჩილებისა და ღვაწლის გამო, ღმერთმა შენთან საცდუნებლად არ მომიშვა, სამაგიეროდ, დაგანახვა, როგორიცა ვარ". ყმაწვილი უფალს ადიდებდა და ჰმადლობდა. შემდეგ მამასთან დაბრუნდა და უთხრა: „აღარ მინდა აქედან წასვლა, რადგან, ჩვენებით უფალმა ეშმაკი და მისი სიმყრალე წარმომიდგინა". მამისათვის უკვე ყველაფერი ცხადი იყო და შვილს მიუგო: „ჩემთვის რომ დაგეჯერებინა და უდაბნოში 40 დღე დარჩენილიყავი, უფრო მეტს დაინახავდი და გაიგებდი".

## ალექსანდრიის პატრიარქის, იოანე მოწყალეს ცხოვრებიდან

ერთხელ ერთმა დიდგვაროვანმა შემთხვევით წმიდანის საწოლი იხილა, რომელსაც მხოლოდ თხელი საბანი ეხურა. შეწუხებულმა პატრიარქს 30 ფუნტის ღირებულების საბანი გაუგზავნა. წმიდანმა არ შეურაცხყო იგი და ერთი ღამით საბანი დაიხურა, თუმცა ეს ფუფუნება ძლიერ აწუხებდა. მეორე დღესვე მან საბანი გასაყიდად გაატანა. დიდგვაროვანმა გასაყიდად გამოტანილი საბანი რომ ნახა, იყიდა და ისევ პატრიარქს დაუბრუნა. ასე განმეორდა მრავალგზის. ამგვარად, წმიდა იოანემ დიდგვაროვნისგან უამრავი ოქრო შეიძინა, რომელიც გლახაკებს დაურიგა.

**ჩაწერილია არქიმანდრიტ დიმიტრი ტელიანიდის მონათხრობის მიხედვით**
**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ვინ არის ბრაზილიელი ვარსკვლავის – ნეიმარის შვილის დედა და რომელი ბრიტანელი ფეხბურთელი უწოდებს მას „ფეხბურთის ჯასტინ ბიბერს"

***„ბარსელონის" ბრაზილიელი ახალწვეული ნეიმარი ნელ-ნელა გაუშინაურდა გუნდს და, ლიონელ მესისთან ერთად, თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დუეტი შექმნა, რომელიც შიშის ზარს სცემს მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს. ნეიმარზე, ასევე, დიდ იმედებს ამყარებენ სამშობლოში. 2014 წელს ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს და, გასაგებია, რომ, ჩემპიონობის გარდა, ამ ქვეყანაში ყველა დანარჩენი წარუმატებლობად შეფასდება. ამ ნომერში ახლოდან გაგაცნობთ ფეხბურთის აწ უკვე მოქმედ ვარსკვლავს – ნეიმარს.***

* ნეიმარ დასილვა სანტოს ჟუნიორი დაიბადა 1992 წლის 5 თებერვალს, სან-პაულოს შტატის ქალაქ მოჟი-დას-კრუზისში.

* ნეიმარის სიმაღლეა 174 სანტიმეტრი, ხოლო წონა – 64 კილოგრამი.

* 2013 წლის ივლისში ნეიმარმა გააკვირვა პლანეტის ტოლერანტული ნაწილი, როდესაც მონაწილეობა მიიღო მამაკაცებისთვის განკუთვნილი თეთრეულის ბრენდის – „ლუპოს" სარეკლამო რგოლში. რეკლამა ჰომოფობიურად შეფასდა, მასში ტრუსებში გამოწყობილი ნეიმარი ქუჩაში გამვლელ გოგონებს უცინოდა, ხოლო, როდესაც მამაკაცმა სთხოვა მას გაცინება, ნეიმარმა ზურგი შეაქცია.

* „სანტოსის" აკადემიაში ნეიმართან ერთად კიდევ ორი ვარსკვლავი იზრდებოდა: განსო და ალან პატრიკი. ნეიმარს გაცილებით დიდი გავლენა ჰქონდა გუნდში და, როდესაც მას ორივე ფეხბურთელთან გაუფუჭდა ურთიერთობა, კლუბის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ალან პატრიკი „შახტარში" გაეყიდა, ხოლო განსო – „სან-პაულოში".



* „ბარსელონაში" ტრანსფერის შემდეგ, ნეიმარში გადახდილი თანხიდან 40 მილიონი ევრო მიიღო ნეიმარის მამამ, 9,4 მილიონი ევრო კი – კლუბმა „სანტოსმა". ნეიმარის გარეშე ჩატარებულ პირველივე მატჩში „სანტოსი" განადგურდა, ანგარიშით 0:8.

* 2011 წელს ნეიმარი ფერენც პუშკაშის სახელობის პრემიის მფლობელი გახდა, „ფიფას" ვერსიით მან წლის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდეგ ნეიმარმა ზუსტად ისეთივე გოლი გაიტანა, თუმცა, პრემია მას აღარ გადაეცა – უბრალოდ, ყველა შეეგუა იმ ფაქტს, რომ ნეიმარს ლამაზი გოლები გააქვს.

* ნეიმარი 19 წლის ასაკში გახდა მამა. მის ვაჟს დავი ლუკა ჰქვია. საზოგადოება ინტერესდებოდა, ვინ იყო ბავშვის დედა. ხანგრძლივი ძიების შედეგად დადგინდა, რომ დედა 17 წლის კაროლინაა, რომელთანაც ნეიმარს მცირეხნიანი რომანი ჰქონდა. ცნობისთვის, ბავშვის ნათლია „სანტოსიდან" ნეიმარის მიერ გაძევებული განსოა.

* „სიხარული და „დერზკობა" – ეს ის სიტყვებია, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებს ნეიმარი. ამავე სახელწოდების სიმღერა აქვს შესრულებული მას ცნობილ ბრაზილიელ მომღერალთან, ტიაგინიოსთან და იმავე სიტყვებს იყენებს ის „მენტოსის" სარეკლამო რგოლშიც.

* „ბარსელონაში" გადასვლის შემდეგ ნეიმარმა 7 კილოგრამით დაიკლო წონაში ანემიის გამო (რკინის ნაკლებობა სისხლში). მამამ-



ისის ვერსიით, ანემია ყელზე ჩატარებული ოპერაციის ბრალი იყო.

* ნეიმარის ამჟამინდელი მეგობარი გოგონა 18 წლის ბრუნა მარკეზინია. ბრუნა იმით არის საინტერესო, რომ მოდელობა 5 წლის ასაკიდან დაიწყო, ხოლო კინოში თამაში – 7 წლის ასაკიდან. ბრუნა ბრაზილიური ტელესერიალების ვარსკვლავია.

* როგორც გასული წლის აგვისტოში ამტკიცებდნენ ბრაზილიელი პაპარაცები, მათ აქვთ მტკიცებულებები, რომ „გრემიოსთან" გამარჯვება ნეიმარმა მეძავების საზოგადოებაში აღნიშნა. „სანტოსის" პრეზიდენტმა პაპარაცების ბრალდებას უპასუხა, რომ მათი მიზანია, ნეიმარის სახელს შეურაცხყოფა მიაყენონ და ქვეყნიდან წასვლა აიძულონ.

* 2012 წელს ნეიმარმა ექვსი ჰეთთრიკი შეასრულა, მათ შორის ერთი – ბრაზილიის ნაკრების რიგებში.

* ნეიმარის პრეზენტაციას „კამპ ნოუს" სტადიონზე ბარსელონაში, კატალონიური გუნდის 56 499 ფეხბურთის მოყვარული დაესწრო.

* ნეიმარის საყვარელი გართობაა მეგობრებთან ერთად კლუბში სიარული ან სოციალური ქსელები.

* ნეიმარის „ტვიტერის" გვერდს 8 074 036 ხელმომწერი ჰყავს.

* კარიერის დასაწყისში ნეიმარს „ახალ რობინიოს" უწოდებდნენ. მოგვიანებით ისინი ერთად თამაშობდნენ „სანტოსში" და ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს „სამბის" ვარიაციას – „პაგოდეს" უკრავდნენ. ნეიმარი დღემდე უწოდებს რობინიოს თავის კერპს.

* „გუგლში" რომ ჩაწეროთ ფრაზა: „ნეიმარ სკანდალ" საძიებო სისტემა 36 700 000 გვერდს ამოაგდებს.

* პელეს ვერსიით, ნეიმარი არ მიიჩნევა „სანტოსის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად. პელეს აზრით, საუკეთესო ფეხბურთელების სამეული ასე გამოიყურება: პელე, ვასკონსელოსი და კოუტინია.

* 2009 წელს ნეიმარის სატრანსფერო ფასი 8 მილიონ ევროს შეადგენდა. იმის გამო, რომ იმ წელს ბრაზილიამ ვერ მოახერხა იუნიორების მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფიდან გასვლა.

* 15 წლის ნეიმარის პირველი ხელფასი „სანტოსში" 10 ათას რეალს შეადგენდა. იმ პერიოდში ნეიმარის ოჯახი – დედა, მამა და და, რაფაელა, სიღარიბეში ცხოვრობდნენ სან-ვინსენტის გარეუბანში, მცირე ზომის ქოხში. ერთი წლის შემდეგ ოჯახმა პირველი ბინა იყიდა „სანტოსის" ბაზასთან ახლოს, ხოლო წლების შემდეგ, ნეიმარის ხელფასის დამსახურებით, ისინი უკეთეს საცხოვრებელ პირობებში გადავიდნენ.

* ჯოუი ბარტონი, ბრიტანული ფეხბურთის ექსცენტრიკული ვარსკვლავი და ნეიმარი, სავარაუდოდ, არ იცნობენ ერთმანეთს და მოედანზეც არ შეხვედრიან, მაგრამ, ნეიმარი ბარტონის ნამდვილი მუზაა, იგი მუდამ „კბენს" ბრაზილიელს ეპითეტებით: „ჯასტინ ბიბერი", „კატის ფსელი" ან „შოუ-პონი".

* ნეიმარი რელიგიური სკანდალის ეპიცენტრშიც მოექცა: ფეხბურთელმა ჟურნალ „პლასარისთვის" ჯვარზე გაკრული ქრისტეს სტილში იპოზიორა, რითაც კათოლიკური ეკლესიის პროტესტი გამოიწვია. ინტერნეტის საშუალებით ათი ათასამდე ხელმოწერა შეგროვდა, რომ ჟურნალის ეს ნომერი გაყიდვიდან ამოეღოთ, მაგრამ, უშედეგოდ.



* „ფრანს ფუტბოლის" ვერსიით, ნეიმარი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ფეხბურთელების რეიტინგში მეშვიდეა. მისი თანაგუნდელი ლიონელ მესი კი რეიტინგს სათავეში უდგას.

* 2013 წელს კარიკატურისტმა მაურისიო დე სოუზამ ნეიმარი კომიქსების გმირად აქცია. ნეიმარის გმირს კომიქსებში „უმცროსი ნეიმარი" ჰქვია.

* ოთხწლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში ნეიმარს 43 ინდივიდუალური პრიზი აქვს მოგებული.

* ბრაზილიის ნაკრებში ჩატარებული პირველი მატჩის დროს ნეიმარი რასისტული ქმედების მსხვერპლი გახდა – მავანმა ქომაგმა ტრიბუნიდან მას ბანანი ესროლა.

* ნეიმარი მსოფლიოში ცნობილი რამდენიმე ბრენდის სარეკლამო სახეა: „ნაიკის," „სონის", „რედ ბულის," „ფოლკსვაგენისა" და „სანტანდერის."

**უშანგი რუხაძე**

## მარათონელი დევიდ ბექჰემი



ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი მომავალ წელს მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ მარათონში, რომელიც „აირონ მენის" ანუ „რკინის კაცის" სახელით არის ცნობილი. წელს მარათონში ცნობილმა მზარეულმა გორდონ რემზიმ მიიღო მონაწილეობა და ბექჰემი აპირებს, რომ სწორედ მას მიჰბაძოს. 38 წლის დევიდ ბექჰემს, რომელმაც აქტიური საფეხბურთო კარიერა ზაფხულში დაასრულა, მარათონის ფარგლებში მოუწევს 3,8 კილომეტრის გადაცურვა, 180 კილომეტრის დაფარვა ველოსიპედით და 42 გარბენა, ამ ყველაფრისთვის მას 17 საათი ექნება მიცემული და, საინტერესოა, როგორ გაართმევს თავს „მანჩესტერისა" და „რეალის" ვარსკვლავი დასახულ ამოცანას.

## პორნომსახიობი ასპრილია

წარსულში ცნობილ კოლუმბიელ ნახევარმცველს, „ნიუკასლისა" და „პარმას" ფეხბურთელს, ფაუსტინო ასპრილიას, პორნოფილმში მთავარი როლის შესრულება შესთავაზეს. სტუდია „სანტალატინა" მზად არის 20 მილიონი პესო (7,8 ათასი დოლარი) გადაუხადოს ასპრილიას ერთკვირიან გადაღებებში. სტუდიის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ასპრილიას, როგორც პორნომსახიობის ნიჭი, აუცილებლად გაიხსნება. „უნიკალური შემოთავაზებაა და გვჯერა, რომ ფაუსტინო ჩვენთან იქნება," – აცხდებენ პორნოსტუდიის ბოსები. საგულისხმოა, რომ 43 წლის ვეტერანი ფეხბურთელი კოლუმბიაში სექს-სიმბოლოს სტატუსით სარგებლობს და ამჟამად ადგილობრივ მედიაშია დასაქმებული სპორტულ ექსპერტად.

## ირინა შეიკის გულახდილი ფოტოსესია

სანამ კრიშტიანუ რონალდუ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე გამგზავრების პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული, მისი რჩეული, ლამაზმანი ირინა შეიკი, ქალის თეთრეულის – „ლა კლოვერის" სახე გახდა.



ირინამ ბრენდის ახალი პროდუქციის, სექსუალური თეთრეულის სარეკლამო ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და თავის სექსუალურ სხეულზე მოირგო „ლა კლოვერის" საუკეთესო მოდელები. საგულისხმოა, რომ „ლა კლოვერის" მენეჯმენტმა ზუსტად ათიანში გაარტყა, როდესაც ირინა შეიკს ანდო თავისი პროდუქციის რეკლამირება, რადგან, დღეს ძნელად მოიძებნება მსოფლიოში მოდელი, რომელსაც მსგავსი ფიზიკური მონაცემები ჰქონდეს და ასე იდეალურად მოირგოს ნებისმიერი თეთრეული.

## პელეს წიგნი

ფეხბურთის ბრაზილიელმა ლეგენდამ, „ფეხბურთის მეფედ" წოდებულმა პელემ, თავისი მორიგი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო და შეკრებილი სტუმრები შოკში ჩააგდო წიგნის ზომითა და ფასით. პრეზენტაცია ჩატარდა სან-პაულოში, გამოსახულებისა და ხმის მუზეუმის შენობაში, სადაც 72 წლის ლეგენდამ 15 კილოგრამიანი და 1 225 ევროს ღირებულების წიგნი წარადგინა. წიგნის სახეწლოდებაა „1268", რაც პელეს მიერ კარიერის განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობას შეადგენს. 500-გვერდიან წიგნს 500 დიდი ფოტო ამშვენებს, რომლებსაც ახლავს ტექსტები დიდი ფეხბურთელის ცხოვრებაზე. ბრაზილიის გარდა, წიგნის შეძენა შესაძლებელია ლონდონში, ნიუ-იორკსა და დუბაიში.

## აზარენკო თავისმა ბოიფრენდმა კლიპში გადაიღო

ბელარუსმა ჩოგბურთელმა ვიქტორია აზარენკომ, თავისი ბოიფრენდის, ამერიკელი მუსიკოსის, სტეფან გორდის მუსიკალურ ვიდეორგოლში შეასრულა პატარა როლი. „არ მინდოდა თამაში, მაგრამ გორდის თხოვნამ გაჭრა. თავიდან სურდა, რომ ქალთევზას როლი შემესრულებინა, მაგრამ ციოდა და წყალში ჩასვლა ვიუარე, თუმცა, პატარა როლი მაინც მათამაშეს, თვითმფრინავის სცენაში სტიუარდესა განვასახიერე," – განაცხადა პლანეტის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა, მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერმა, ვიქტორია აზარენკომ.

## ციხეში მყოფი ტერორისტი ქალი ესპანეთის მთავრობას სასამართლოში უჩივის

ძალიან მალე ციხიდან გამოვა საშიში ტერორისტი ქალი, ინეს დელ რიო, რომელსაც 3828 წელი ჰქონდა მისჯილი ბასკთა შეიარაღებული დაჯგუფების (ეტა) მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე მოწყობილ 23 ტერაქტში მონაწილეობისთვის.

დამნაშავის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება ესპანეთის სასამართლომ მიიღო, რასაც საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დადგენილება: ინესს განაჩენი 1987 წელს გამოუტანეს, როცა, ესპანეთის კანონით, თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 30 წელზე მეტი არ უნდა ყოფილიყო – ასე რომ, დარღვეულია ადამიანის უფლება.

სხვადასხვა დამსახურებისთვის, მათ შორის, ციხეში კეთილსინდისიერი მუშაობისა და წესიერი მოქცევისთვის, დელ რიო 2008 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ, ხელისუფლებამ კანონში შეიტანა შესწორება, რომელსაც „პაროტის დოქტრინა" უწოდეს – „ეტას" პირველი მებრძოლის ჰენრი პაროტის გვარის მიხედვით, ვის მიმართაც ეს შესწორება პირველად გამოიყენეს. დოქტრინის თანახმად, სასჯელის ვადის შემცირება 30 წლიდან კი არა, 3828 წლიდან უნდა ეანგარიშათ.

ევროპული სასამართლოს დადგენილებით, ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, ეს შესწორება განაჩენის გამოტანის შემდეგ გამოეყენებინა. სტრასბურგმაც ესპანეთს დამნაშავის მოკლე დროში გამოშვება მოსთხოვა, ხელისუფლება კი დაავალდებულეს, მორალური ზარალის მიყენებისთვის დელ რიოსთვის 30 ათასი ევრო (41 ათასი დოლარი), ხოლო სასამართლო ხარჯებისთვის 1,5 ათასი ევრო გადაეხადა.




ევროსასამართლოს გადაწყვეტილებამ ესპანეთში მწვავე პოლემიკა გამოიწვია. პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მთავრობას მოუწოდეს, არ შეასრულონ ეს დადგენილება, რათა არ შეიქმნას საშიში პრეცედენტი – თუ დელ რიო გათავისუფლდება, მას მოჰყვებიან სხვა ტერორისტებიც. მხოლოდ „ეტას" ყოფილი მებრძოლები 600 ადამიანია. სულ, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, 100 ესპანელი დამნაშავე დატოვებს ციხეს, მათ შორის, ტერორიზმში, მკვლელობასა და გაუპატიურებაში ბრალდებულებიც.

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



## ცივი ამინდი შაკიკის პროვოცირებას იწვევს

შაკიკი მეტად თავისებური დაავადებაა და ბევრ ფაქტორს უკავშირდება, კერძოდ, ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას, პერიფერიული სისხლძარღვების მოშლას. ხშირად ეს დაავადება საფეთქლის არტერიის ანთებას მოსდევს. მედიცინაში არსებობს, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული კისრის შაკიკიც, რომლის მიზეზიც ისევ სისხლძარღვების პათოლოგია ხდება. გამოყოფენ ბირთვულ და პერიფერიულ შაკიკებსაც, ეს უკანასკნელი კი პერიფერიული სისხლძარღვების შეკუმშვას ან გაფართოებას უკავშირდება.

ბირთვული შაკიკი შეიძლება გამოიწვიოს ნერვის დაზიანებამ. ამ დაავადებას მკვეთრად გამორჩეული კლინიკური სურათი აქვს. ეს გახლავთ პერიოდული შეტევითი ხასიათის ნევრალგიური ტკივილი, რომელიც განსაზღვრულ დროს იწყება, განსაზღვრულ დროს მთავრდება და ისე უკვალოდ ქრება, თითქოს არც ყოფილა. შეტევის დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ ტკივილი პიკს აღწევს და ისეთი ძლიერი ხდება, თუ გაგრძელდა, შეიძლება, შოკიც გამოიწვიოს.

შაკიკის დროს ტკივილი სახის მხოლოდ ერთ ნახევარზე ვრცელდება. ყველაზე ხშირია თვალბუდისა და შუბლ-საფეთქლის ტკივილი. ამ დროს პირში ჩნდება ლითონის გემო, უარესდება მხედველობა, თუმცა შეტევის გავლის შემდეგ მხედველობა აღდგება. ტკივილის შეტევა, შესაძლოა, რამდენიმე საათის განმავლობაში ბევრჯერ განმეორდეს.

ზოგიერთ ადამიანს შაკიკი მხოლოდ ცივ დღეებში ემართება, ზოგს კი ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სტანჯავს. მისგან სრული განკურნება არ ხდება, თუმცა, მედიკამენტური მკურნალობა მდგომარეობას საგრძნობლად აუმჯობესებს.

შაკიკმა რომ არ შეგაწუხოთ, ნუ გახვალთ სიცივეში თავდაბანილი, სველი თმით. თუ ამ დაავადების მიმართ მიდრეკილება გაქვთ, არ იაროთ ქუჩაში თავდაუხურავი, თბილ ოთახში კი არ იჯდეთ ქუდით. მოვლითი ტკივილის დროს შუბლის არე მჭიდროდ გაიკარით ხილაბანდით, საფეთქლების არე კი თითებით დაიზილეთ.

## თუ სიცხემ აგიწიათ, წამლის დალევის სანაცვლოდ, ხალხურ მედიცინას მიმართეთ

ცივ ამინდში ხშირია სხეულის ტემპერატურის მკვეთრი აწევა. ნუ იჩქარებთ სიცხის დამწევი პრეპარატების მიღებას. ხალხური მედიცინიდან რეკომენდებულია შემდეგი უებარი და ეფექტური საშუალებები:

*შეურიეთ ერთმანეთს 20 გრამი ცაცხვის ყვავილი და 20 გრამი გამხმარი ჟოლო. დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ 10 წუთით, შემდეგ გადაწურეთ და სვით ცოტ-ცოტა და ხშირ-ხშირად. შეგიძლიათ, გამხმარი ჟოლოს ნაცვლად ჟოლოს მურაბაც გამოიყენოთ.

*100 გრამი შავი ბოლოკი და 100 გრამი სტაფილო გახეხეთ, გაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი ნაზავი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

*ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 50 გრამი ხახვი, დაუმატეთ 1 სადილის კოვზი ვაშლის ძმარი. აურიეთ კარგად და მიიღეთ თითო სადილის კოვზით, ნახევარ საათში ერთხელ.

*1 ცალ სტაფილოს წვენს შეურიეთ ამავე რაოდენობის თაფლი. მიიღეთ ერთი ან ორი კოვზი, დღეში 3-ჯერ. თუ ტემპერატურა მაინც არ იკლებს, ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურები:

*დაიზილეთ სხეული ძმარში გაზავებული წყლით, შუბლზე კი ძმრიან ხსნარში დასველებული და კარგად გაწურული ტილო დაიდეთ (2 სადილის კოვზი ძმარი გახსენით ნახევარ ლიტრ წყალში).

*2 სადილის კოვზ ცხელ რძეს შეურიეთ 2 სადილის კოვზი კონიაკი და დალიეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში 3-ჯერ.

*1 სადილის კოვზ ჟოლოს მურაბას შეურიეთ 1 სადილის კოვზი კონიაკი ან არაყი, ჩააწურეთ ნახევარი ლიმონი, დაასხით 1 ჩაის ჭიქა ანადუღარი გრილი წყალი და დალიეთ ყლუპ-ყლუპად. ორი საათის შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ.

აქვე გეტყვით, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ხალხურ რეცეპტებს უკუჩვენება არ გააჩნია.

## რა დაავადებაა ართროზი და როდის ვითარდება ის

ართროზი ძვლებში მიმდინარე დისტროფიული პროცესების შედეგია. მის განვითარებას ხელს უწყობს სახსრის კაფსულასა და იოგებში არსებული ცვლილებებიც, რასაც მარილებისა და შარდმჟავას დალექვა იწვევს. ამის გამო, ძნელდება ხრტილის კვება და ის თანდათანობით იშლება. ჯანმრთელ სახსარში ცვეთისა და აღდგენის პროცესები, როგორც წესი, დაბალანსებულია, დაავადებულში კი ხრტილის ქსოვილის ცვეთა არ კომპენსირდება, შედეგად, ხრტილი თხელდება და ხდება არათანაბარი. მის შიგნით წარმოიქმნება კალციუმის კრისტალები, რომლებიც მოძრაობისას აღიზიანებს ნერვულ დაბოლოებებს და იწვევს ტკივილს.

ართროზი უმეტესად 50 წლის ასაკის შემდეგ ვითარდება. მისი კლინიკური სურათი ასეთია: ღამით იწყება სახსრების ტკივილი. სახსარი ტკაცუნობს, დილით კი ადამიანი შებოჭილად გრძნობს თავს.

ართროზი სისტემური დაავადებაა. ამ დროს ზიანდება ყველა სახსარი და ხრტილი, ამიტომ, საჭიროა არა ადგილობრივი თერაპია, რომელიც ერთი რომელიმე სახსრისკენ არის მიმართული, არამედ, ზოგადი მკურნალობა, რომელიც ანთებას მთელ ორგანიზმში მოხსნის.

ართროზის დროს ორგანიზმმა აუცილებლად უნდა მიიღოს ტუტოვანი საკვები (ერთ წილ მჟავა-პროდუქტზე ორი წილი ტუტოვანი უნდა მოდიოდეს). მჟავა-პროდუქტებია: ხორცი, რაფინირებული და თერმულად დამუშავებული საკვები, რომელიც ნაკლებად შეიცავს მინერალურ და ტუტე მარილებს.

ტუტოვანი საკვებია: თხის რძე, ხბოს უხორცო ძვლის ბულიონი, კომბოსტოს წვენი, ნიახური, ტყის კენკრა, თაფლი.

## სანელებლები აუცილებელი საკვები დანამატია მამაკაცებისთვის

გარდა იმისა, რომ სანელებლები კერძს განუმეორებელ და მაგიურ გემოს აძლევს, ის აუცილებელი საკვები დანამატია მამაკაცებისთვის.

***ქინძი*** კარგი საშუალებაა მამაკაცის სექსუალური პრობლემების მოსაწესრიგებლად. ის ამაღლებს სექსუალურ პოტენციას, ხელს უწყობს სპერმატოზოიდების გააქტიურებას.

***მიხაკ-დარიჩინი*** სანელებელთა შორის ყველაზე ძლიერია სექსუალურობის ასამაღლებლად. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ მისი გადამეტებული მიღება სახიფათოა, რადგან, შესაძლებელია, გამოიწვიოს სექსუალური აგრესია და აგზნება.

***მუსკატის კაკალიც*** სასიკეთო ძვრებს იწვევს მამაკაცის ორგანიზმში, თუმცა, მისი გადამეტება საპირისპირო შედეგს იძლევა, კერძოდ, ადუნებს ორგანიზმს და იწვევს ჰალუცინაციებს.

***ვანილი*** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სე-

ქსუალურ ცხოვრებაში. მამაკაცი მისი მიღების შემდეგ განსაკუთრებით აქტიური პარტნიორია. ამიტომ, ვინც ბევრ ტკბილეულს მიირთმევს, მას ნაკლებად შეექმნება სექსში პრობლემები.

**გულის არითმიის, შეკრულობისა და უძილობის დასამარცხებლად ხშირად სვით ცხელი წყალი**

სიცივეში ყოფნისას, დაახლოებით 40 მილილიტრი ალკოჰოლის მიღების დროს ადამიანი სითბოს შეიგრძნობს და ეს შეგრძნება განსაკუთრებით მძაფრია კიდურებში. ალკოჰოლის მიღების შედეგად, მაღალი არტერიული წნევით დაავადებულებიც უკეთ გრძნობენ თავს, რადგან, ამ დროს სისხლის გადანაწილება უმჯობესდება, რაც კაპილარების გაფართოების ხარჯზე ხდება. ანალოგიური ეფექტით ხასიათდება ცხელი წყლის რამდენიმე ყლუპიც. მართალია, ის უფრო ნაკლები ხანგრძლივობისაა, მაგრამ, შეგიძლიათ, რამდენიმეჯერ დალიოთ. მით უმეტეს, რომ ეს არანაირ ზიანს არ მოგაყენებთ. თუ ამ პროცედურას მუდმივად გაიმეორებთ, ეს ნაწლავების გააქტიურებასა და შარდის ბუშტის ტონუსის მომატებასაც გამოიწვევს. ამ გზით მიღებული ცხელი წყლით ჭარბი წონისგანაც ადვილად გათავისუფლდებით.

ასევე, ცხელი წყლით ადვილად შეძლებთ გულის არითმიის, ტკივილის, ქოშინის, შეკრულობისა და უძილობის დამარცხებას. მისი რეგულარული მიღება ორგანიზმს ენერგიას ჰმატებს და საერთო მდგომარეობის ნორმალიზების საფუძველი ხდება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, გულში ჩადგმულ სტენტს ვადა რომ გაუვა, მერე რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს პაციენტი? ემუქრება თუ არა მის სიცოცხლეს საფრთხე?**

**პასუხი**: სტენტს შეუძლია, გემსახუროთ ათეული წლები თუ დაიცავთ ექიმის რჩევა-დარიგებებს.

**კითხვა: რა დაავადებაა ვპვ-ს სინდრომი?**

**პასუხი**: ვპვ-ს სინდრომი, ანუ wolf-parkinson-uait-ის სინდრომი არის – გულში დამატებითი გამტარი გზის არსებობა, რაც ხშირად ტაქიკარდიას იწვევს.

**კითხვა: სამი კვირაა, ყოველდღე ვსვამ ვაშლის ახალგამოწურულ ერთ ჭიქა წვენს, საზიანოა მისი ასეთი სიხშირით მიღება? რამდენიმე დღის წინ მქონდა თავბრუხვევა და გულისრევის შეგრძნება. შეიძლება, ამის გამომწვევი მიზეზი იყოს ვაშლის წვენი?**

**პასუხი**: თავისთავად, ვაშლის წვენი ძალიან სასარგებლო პროდუქტია. მაგრამ, თუ მსგავსი მოვლენები გაგრძელდა, შეწყვიტეთ მისი ასეთი ინტენსივობით მიღება და დააკვირდით შედეგებს. თუ გაგიარათ, მაშასადამე, ვაშლის წვენმა გაგიღიზიანათ კუჭი და შემდგომში ის შედარებით უფრო ფრთხილად მიირთვით.

**კითხვა: მაინტერესებს, ძუძუთი კვებაზე უარყოფით ზეგავლენას ხომ არ მოახდენს მშობიარობიდან 40 დღის შემდეგ ტრენაჟორებსა და აუზზე სიარული?**

**პასუხი**: მშობიარობიდან 2-3 თვის შემდეგ ქალი ფიზიოლოგიურად მზად არის ვარჯიშისთვის. თავდაპირველად, შეასრულეთ მარტივი ვარჯიშები. მოგვიანებით, შეგიძლიათ, დატვირთვა გაზარდოთ.

**კითხვა: ვარ 20 წლის გოგო. ბოლო 6 თვის განმავლობაში სახეზე თმიანობა მომემატა. ტანზე არ მომმატებია. შეიძლება, რომ ეს ჰორმონების ბრალი იყოს? ციკლი წესრიგში მაქვს ყოველთვის.**

**პასუხი**: არ არის გამორიცხული, ეს ყოველივე ჰორმონული დისბალანსის შედეგი იყოს, მაგრამ საქართველოს სამხრეთული მდებარეობის გათვალისწინებით, ჩვენთან თმიანობა საკმაოდ ხშირია ჰორმონული დარღვევის გარეშეც. გამოკვლევისთვის მიმართეთ გინეკოლოგს ან ენდოკრინოლოგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



ასე რომ, გადაადუღეთ ონკანის წყალი, შემდეგ შეაგრილეთ და ისევ გააცხელეთ. დალიეთ ყოველ ნახევარ საათში ერთხელ, 4-5 ყლუპი – ეს ორგანიზმში უვარგისი ნივთიერებების დაგროვებას უშლის ხელს და ჯანმრთელობის გაკაჟება-შენარჩუნებაშიც გვეხმარება ზამთრის ცივ სეზონზე.

**მანდარინი კუჭის წამალია, ხურმა კი – თვალების**

მანდარინი სასიამოვნო, ნატურალური „წამალია". მისი მიღება ჭამის შემდეგ კუჭს სიმძიმის შეგრძნებისგან ათავისუფლებს. ის C ვიტამინის წყაროა, ამიტომ, მისი ჭამა აუცილებელია იმუნიტეტის გასაძლიერებლად გაციებისა და გრიპის პერიოდში. ის აუმჯობესებს ადამიანის გუნება-განწყობასაც.

მანდარინის ზომიერად მიღება ადამიანს დეპრესიისგან ათავისუფლებს და ადვილად უმკლავდება ზამთრით გამოწვეულ აპათიას. ამ ციტრუსს არაფრით ჩამოუვარდება ხურმაც.

მწიფე ხურმას არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებები აქვს. მასში ბევრია ნახშირწყალი, კერძოდ, გლუკოზა და ფრუქტოზა. ადამიანს მთელი დღის განმავლობაში კარგი განწყობა ეუფლება, როცა ხურმას მიირთმევს. 1 ცალ საშუალო ზომის ხურმაში 80 კილოკალორიაა, ვიტამინების შემცველობით კი ეს ხილი ოდნავ ჩამოუვარდება მანდარინს. სამაგიეროდ, მასში ბევრია ბეტა-კაროტინი, რომელიც აუმჯობესებს მხედველობას და ანელებს სიბერის პროცესს. გარდა ამისა, ხურმა დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებსა და კალიუმს. ამიტომ, დღეში ორი ცალი ხურმის მიღება სავსებით საკმარისია.

ხურმაში, აგრეთვე, დიდი რაოდენობითაა მაგნიუმი. ეს ელემენტი ამაღლებს კუნთების ტონუსს, მისი მარილები კი ხელს უშლის თირკმელებში კენჭების წარმოქმნას. ხურმა კარგად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის დროს კი ეს ხილი შეუცვლელია, რადგან, დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა გაიბა ლანა ღოლობერიძესა და ფრენსის ფორდ კოპოლას შორის და როგორ დაშორდნენ ერთმანეთს ლანა ღოლობერიძე და რეზო თაბუკაშვილი

*„ასე გავიგე ადრეულ ბავშვობაში, რომ ცხოვრებაში სულ რაღაცას კარგავ, უფრო ხშირად – სამუდამოდ. იმ დროიდან თან მსდევს ფრაზა: „ცხოვრება დანაკარგების ჯაჭვია.“ ბევრად უფრო გვიან მივხვდი, რომ ის შენაძენების ჯაჭვიც არის და რომ ამ შენაძენების გამოა ასეთი განუმეორებელი ცხოვრების გემო...” ჩვენს ჟურნალში უამრავი ცნობილი ადამიანის საოჯახო ალბომი გადაგითვალიერებიათ, თვითოეულ მათგანს თავისებურად საინტერესო ისტორიები ახლავს, რომელთა წაკითხვაც, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის სიამოვნებას გგვრით. ამჯერად ლანა ღოლობერიძის დღიურს გადაგიშლით. ქალბატონ ლანას 13 ოქტომბერს 85 წელი შეუსრულდა და ვარსკვლავი გაუხსნეს. დღეს გიამბობთ სიყვარულის ისტორიას რეზო თაბუკაშვილთან, შემდგომში – მომავალ მეუღლესთან, ლადო ალექსი-მესხიშვილთან და სხვა ეპიზოდებს რეჟისორის ცხოვრებიდან.*



„1942 წლის ზაფხულია. მე პატარა ცემის პიონერთა ბანაკში ვარ, ვზივარ მდელოზე და კუკუშკას ველოდები. ველოდები ერთი დღე, ორი დღე, ხუთი დღეე... მაშინ 13 წლის ვიყავი და ველოდებოდი ჩემზე ერთი წლით უფროს რეზო თაბუკაშვილს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მართლაც ჩამოვიდა და ჩვენ მთელი დღეები დავდიოდით ტყეში, ავდიოდით მთის წვერზე, ვისხედით მდინარის პირას და ვლაპარაკობდით... ვლაპარაკობდით ყველაფერზე, გარდა ჩვენი გრძნობებისა, ვინაიდან, მაშინ, ბავშვის ასეთი მშვენიერი მიამიტობის გამო, ვერც რეზო ხვდებოდა, რომ ჩემი ფარული ოცნებების ობიექტი იყო და, მე ხომ საერთოდ ვერ წარმომედგინა, რომ მისი ლექსები რამენაირად მე მეხებოდა. ეს მოხდა მერე, როცა თბილისში ჩამოვედით. იმ დღეს სკოლაში არ წავსულვარ. რაღაც გაურკვევლად ვგრძნობდი თავს, ლოგინში ვიწექი, ვერც ვკითხულობდი, ვერც ვერაფერზე ვფიქრობდი და, უცებ, მოვიდა რეზო, გვერდით დამიჯდა და საბანზე თავისი ხელით დაწერილი ლექსები დამიყარა, საერთო სათაურით – „ისევ შენ.“ მე ფრთხილად ავიღე ფურცლები და კითხვა დავიწყე... წავიკითხე და ისე ავტირდი, თითქოს რაღაც დიდი უბედურება დამატყდა თავს. ბოლოს სიტყვების გარჩევაც კი გამიჭირდა. რეზოს ვერ ვუყურებდი. მე ამდენს გეუბნები, შენ რამე მაინც მიპასუხეო, – მითხრა ჩუმად. ის უჯრა გახსენი და ფურცლები ამოიღე-მეთქი, – ძლივს ამოვილუღლუღე. რეზო უჯრას მივარდა, გახსნა, უცებ იპოვა ის ფურცლები, ამოიღო და კითხვა დაიწყო... რეზო, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა, ვის ეკუთვნოდა ის პაპიროსის ნამწვავები, რადგან, სწორედ აქ, ჩემი სახლის რკინის აივანზე, საათობით ვისხედით ხოლმე ყოველ საღამოს რეზო და მე – და ის, მარად მღელვარე, პაპიროსს პაპიროსზე ექაჩებოდა... რეზო 16 წლის იყო, როცა მოსკოვში წავიდა საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში სასწავლებლად და, ეს, რა თქმა უნდა, დასასრულის დასაწყისი იყო. დაშორებისკენ ორივე ჩვენი გზით მივდიოდით; რეზო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის (ჩვენთან შედარებით) ბრწყინვალე ცხოვრებაში ჩაერთო და თავისი დახვეწილი და, რატომღაც, სევდის მომგვრელი გარეგნობით, თავისი ნიჭიერებით, ტემპერამენტით, მჭევრმეტყველებით, მაშინვე მიიპყრო რუსი ქალების ყურადღება. ეს კი თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ მე, ჩემი პროვინციული გულუბრყვილობითა და მიდრეკილებებით, სრულებით აღარ შევესიტყვებოდი მის ახალ წარმოდგენებს ცხოვრებაზე, თუმცა, ერთ-ერთი ბოლო წერილი, რომელიც რეზომ მომწერა მოსკოვიდან, ასეთი იყო: „დღეს მე ვუთხარი ჩემს თავს ის, რაც შტრაუსმა თქვა თავის ქორწილში, სადღეგრძელოში. თუ გაიხსენებ, კარგია.” მე, ცხადია, მშვენივრად მახსოვდა, რა თქვა შტრაუსმა პოლდის ფილმში „დიდი ვალსი”... ახლა, ცხადია, მეცინება, მაგრამ, მაშინ აბსოლუტური სერიოზულობით აღვიქვი რეზოს შემობრუნება ჩემი ღარიბი ქოხისკენ, რომელსაც, სხვათა შორის, მთლად ქოხიც არ ეთქმოდა, ვინაიდან, ის რაჟდენ ხუციშვილის მაღალჭერიანი და დიდფანჯრებიანი ბინა იყო. მაგრამ, ამ ვითომ შემობრუნების მიუხედავად, ჩვენი დაშორების გარდაუვალობა მაინც ფარფატებდა ჰაერში და ყველაფერი მისი აუცილებლობით იყო გამსჭვალული... ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, ეს „მშვიდობით“, უკვე ნათქვამი იყო. ჩვენ ცალ-ცალკე, სხვადასხვა გზით შევუდექით ცხოვრებას და, როგორც ჩანს, ესეც ბედისწერით იყო განსაზღვრული, ვინაიდან, სულ ცოტა ხნის მერე რეზოს შეხვდა ქართული მშვენიერების სიმბოლო – მედეა ჯაფარიძე, რომელთანაც მთელი სიცოცხლე გაატარა, მე კი – ლადო მესხიშვილი...



შვილი – ნუცა



ლანა ღოლობერიძე ქმარ-შვილთან ერთად

...1953 წელი. ლიძავაში ვართ დედაჩემი, მე, ჩვენი ახლობლები. ვცხოვრობთ ზღვისპირა ტყეში, თეთრ, ორსართულიან სახლში. მე თაგორს ვთარგმნი, თაგორს, რომელიც ლადომ აღმომაჩენინა. ჩამოდის ლადო. ამბობს, რომ აქეთ საქმე ჰქონდა, რომ ისე გამოიარა; დედა სევდიანად უყურებს, მას არაფრით არ ვემეტები ჩემზე 13 წლით უფროს, ცოლშვილიან, ბობოქარი წარსულით დამძიმებულ კაცთან ამ რთული და დრამატული ურთიერთობისთვის, მაგრამ, არაფერს ამბობს, ვინაიდან, ხედავს ჩემს ბედნიერებას და, თვალებიდან აშკარად მომზირალი ნაღველის მიუხედავად, ვერ მეწინააღმდეგება, ლადოს აივანზე სთავაზობს ადგილს დასაძინებლად და იწყება რაღაც ზღაპრული ცხოვრება. „ისე“ ჩამოსული ლადო უსასრულოდ რჩება ჩვენთან, ყოველ შემთხვევაში, მე უსასრულოდ აღვიქვამ იმ რამდენიმე კვირას. ჩვენ მთელი დღეები ვცურავთ თავდაუზოგავად ან ვსხედვართ ზღვისპირა ტყეში, ან, სანაპიროზე, ნახევრად ზღვაში. მე ვთარგმნი, ვინაიდან, ხელშეკრულება მაქვს შესასრულებელი. ლადო ყოველ ახლად ნათარგმნ სტრიქონს კითხულობს და, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ჩვენ ერთად ვთარგმნით თაგორს ინგლისურიდან (რომელიც ლადომ არ იცის)... ეს სიტყვები მხოლოდ ჩვენ – მე და მას გვეკუთვნის... ხშირად ლიძავისგან ხუთი კილომეტრით დაშორებულ ოქროსფერქვიშიან პლაჟზე მივცურავთ. ის ველური, უკაცრიელი სანაპირო ჩვენს ნამდვილ სამფლობელოდ იქცა. იქ გვავიწყდებოდა, რომ მარტო არ ვიყავით ამქვეყნად,



შვილი – ნუცა



ლანა ღოლობერიძე ქმარ-შვილთან ერთად



ქმართან ერთად

რომ ძალიან ჩქარა უნდა გათავებულიყო ეს ჩვენი დიდი მოპარული განმარტოება და თბილისის მტრულ გარემოში აღმოვჩენილიყავით... ბოლოს და ბოლოს, ლადო მაინც წავიდა და მე, მარტო დარჩენილი, ვწერდი... მერე ისევ თბილისში შევხვდით ერთმანეთს. იქ, ჩემი მეგობრების გარდა, სულ რამდენიმე ოჯახი არსებობდა, სადაც მიგვესვლებოდა ერთად. მათ შორის ერთი, ყველაზე მიმზიდველი და სასიამოვნო იყო ნინო რამიშვილის სახლი ბარნოვის ქუჩაზე. იქ ხშირად სოლიკო ვირსალაძეც გვხვდებოდა. ისინი ახალგაზრდობიდან მეგობრობდნენ, ეს სამი უაღესად საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი: მარად აჟიტირებული და აქტიური ლადო, სკეპტიკურად მომღიმარი სოლიკო და დახვეწილი და უკიდურესად ელეგანტური, მუდამ ჩალმიანი, ქართულ ცეკვას შეწირული ნინო... ლადო ნინოს ცეკვას ჰბაძავდა – წამოხტებოდა და დიდი გატაცებით აკეთებდა „ჯეირანის“ ილეთებს, ნინო სიცილით კვდებოდა, სოლიკო სერიოზულად უკრავდა ტაშს და ნინოს „ბისზე“ იწვევდა... მე აღფრთოვანებით შევცქეროდი ამ უფროსი და სახელმოხვეჭილი ადამიანების გართობას... მაგრამ, რეალობა უფრო და უფრო ძლიერად იჭრებოდა ჩვენს ურთიერთობაში და თანდათან ისე საშინლად დამძიმდა ყველაფერი ირგვლივ, რომ არსებობა შეუძლებელი გახდა და ჩვენ მივიღეთ უაღრესად გონივრული გადაწყვეტილება – სამუდამოდ დავშორებოდით ერთმანეთს. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო გამაოგნებელი?.. უცებ სიცოცხლე კარგავს ყოველგვარ აზრს, საშინელი სიცარიელე გეუფლება, არავინ და არაფერი არ გაინტერესებს... ვერ ვპოულობდი ნუგეშს ვერც ჩემს შიგნით და ვერც ჩემს გარეთ. ვიყავი გამომშრალი, როგორც წვიმას მოწყურებული მიწა. მერე, მხოლოდ იმის გამო, რომ სრული უძრაობისთვის თავი დამეღწია, გადავწყვიტე ბაკურიანში წასვლა, მარტო, ლადოსა და მეგობრების გარეშე. ჩვენი დაშორების მომენტში ლადომ ბაკურიანი მე დამითმო, ანუ, ფიცი დადო, რომ არ ჩამოვიდოდა... და აი, მეორე თუ მესამე დღეს, უსაზღვრო სევდით შეპყრობილი, მოვსრიალებ ტრასაზე და, უცებ, მესმის ისეთი მშობლიური შეძახილი, შეძახილი კი არა, ყვირილი, რომელიც ფარავს ყველა სხვა ხმას... სულს ველარ ვითქვამ, მუხლების წინ გაწევის ნაცვლად, ფეხი მიშეშდება და ვვარდები ზუსტად იქ, სადაც დგას ლადო, თავის მუდმივ შავ ანორაკაში გამოწყობილი, დგას და დაჟინებული მზერით შემომცქერის. მე კარგა ხანს ვწევარ ულონოდ, მიწაზე გართხმული; ლადო მიახლოვდება, თავის მძლავრ ხელებს შემომხვევს, ადგომაში მეხმარება და... უცებ, სიცილი უტყდება... დავბრუნდით თბილისში... ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი საბედისწერო ჟამი დადგა. პროფესიული თვალსაზრისით, გარეგნულად, თითქოს ყველაფერი აწყობილი და დალაგებული მქონდა: წარჩინებით დავამთავრე ასპირანტურა, დასაცავად წარვადგინე დისერტაცია უიტმენის ლექსის ბუნების შესახებ, მთელი წელი დიდი გატაცებით ვკითხულობდი ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ბევრი ომგამოვლილი და ჩემზე უფროსი სტუდენტი მყავდა. იმ წლიდან თბილისის უნივერსიტეტში უნდა დამეწყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ზოგადი კურსისა და მეცხრამეტე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის სპეცკურსის კითხვა... და, აი, დადგა წამი, როცა ბევრი ფიქრისა და წვალების შედეგად, აღარ შევეპუე არავის და არაფერს და მივიღე გადაწყვეტილება, შევსულიყავი მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე – გადაწყვეტილება, რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა ჩემი ცხოვრება. ასე წავედი მოსკოვში, „ვგიკში,“ ბედის საცდელად და ეს იყო ლადოსთან უკვე აღარ ვიცი, მერამდენე – სამუდამოდ დაშორება.



...ზუსტად არ მახსოვს, რომელ წელს, მოსკოვის ერთ-ერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე, შევხვდით ფრენსის ფორდ კოპოლას – ის მაშინ უკვე მსოფლიოში აღიარებული რეჟისორი იყო. მთელი საღამო ვისხედით რესტორანში ელდარ შენგელაია, კოპოლა და მე. კოპოლას ერთი ქართული ფილმი ჰქონდა ნანახი, ზუსტად არც კი ახსოვდა, რომელი, ის კი ახსოვდა, რომ ფილმი ძალიან მოეწონა; გარდა ამისა, თავისი ნაცნობებისგან, რომლებიც იყვნენ საქართველოში, იცოდა, რომ საქართველო მხიარული და მიმზიდველი ქვეყანაა და დიდი სურვილი ჰქონდა, ფესტივალის მერე ჩვენთან ჩამოსულიყო. სამწუხაროდ, მისი ეს სურვილი ვერ განხორციელდა, ვინაიდან, სახკინოსა თუ უფრო მაღალ ინსტანციებს საკუთარი მოსაზრება ჰქონდათ, ვისთვის უნდა მიეცათ ვიზა რომელიმე რესპუბლიკაში წასასვლელად და ვისთვის – არა. კოპოლა საქართველოში არ გამოუშვეს, მაგრამ, მაშინ ჩვენ ეს ჯერ არ ვიცოდით და გულუბრყვილოდ ვაწყობდით გეგმებს, სად წავიყვანდით ჩვენს სტუმარს და რას ვაჩვენებდით... იმ საღამოს ჩვენსა და ამ სულ სხვა სამყაროდან მოსულ ამერიკელ რეჟისორს შორის გაიბა ის, რასაც, შეიძლება, კინემატოგრაფიული მეგობრობა ეწოდოს... მას მერე კიდევ ერთხელ შევხვდი კოპოლას ამერიკაში, ნიუიორკის ფესტივალზე – ეს უკვე „პერესტროიკის“ ხანა იყო – და მე გამიკვირდა, როგორ აინტერესებდა მას ყველაფერი, რაც ჩვენთან ხდებოდა. ბოლოს სიცილით მითხრა: მე თქვენი „პერესტროიკის“ დიდად არ მჯერა, მაგრამ, იქნებ მას ის შედეგი მაინც მოჰყვეს, რომ მე საქართველოში გამომიშვანო.



შვილიშვილებთან ერთად

**ეკა პატარაია**

# როგორ ატარებდნენ დროს აბანოში თბილისელი ქალები და როგორ დაახასიათა თბილისის აბანოს მექისე პუშკინმა

(23-ე გვერდიდან)

მის მადლიან კამკამა წყალში. თბილისური აბანოები, სხვათა შორის, იმითაცაა შესანიშნავი, რომ, ისეთი მექისენი, როგორებიც აქ არიან, სხვაგან ძნელად მოიძებნებიან. ტფილისში სტუმრად მყოფი პუშკინი სიამოვნებით იგონებდა იმ უცხვირო მექისე ჰასანას, რომლის შესახებაც პოეტი თავისებური ირონიით დასძენდა: უცხვირობა ხელს არ უშლიდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინაო. პუშკინი ტრადიციული „მაჩალკის” უარსაყოფად, თავისიანებს უთითებდა ჩვენს ქისაზე და ამბობდა: ქისა რუსულ აბანოებში უეჭველად უნდა შემოვიღოთ, ეს იქნება ჩვენი ახალი აღმოჩენაო.



„ჭრელი აბანო” საბჭოთა დროს

უცნაური და საინტერესოა, რომ უკვე ნახსენები პუშკინი და თბილისში ასევე სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმა აბანოში სამშაბათ დღეს ყოფილან, სამშაბათი კი ქალთა დღედ ითვლებოდა. უცნაურია, რომ თბილისის ქალები, რომლებიც აბანოში გამგზავრებისას თავის დასამალავად ათასნაირ ხრიკს მიმართავდნენ, ისე გათამამდნენ, რომ უცხო კაცის დანახვაზე არც ერთი არ წაეტანა ფუთას და „არც ერთმა არ შეაჩერა ტანისხდა”. დიუმა იხსენებდა: უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა გასეირნებამ აბანოში ქალებს შორის არავითარი აღშფოთება არ გამოიწვია; მხოლოდ ორი თუ სამი ქალი, საუბედუროდ ბებრები, მოგვერიდნენ და სახეზე ზეწრები აიფარესო.



თანამედროვე ხედი „ჭრელ აბანოზე”

აბანო ყარაჩოხელთათვის ბოჰემის ის შემადგენელი ნაწილი გახლდათ, ურომლისოდაც ქეიფი ქეიფად არ მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ მათი ქეიფი, ბაღებში დაწყებული, უეჭველად აბანოთი მთავრდებოდა.“

**უშანგი რუხაძე**

**ეზოთერიკოსები ამტკიცებენ, რომ ავადმყოფობა ზემოდან მოვლენილი სასჯელია. თუმცა, ისმევა კითხვა: როგორ ავხსნათ ის ავადმყოფობები, რომლებითაც ბავშვები იტანჯებიან? როგორც ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნინო ამბობს, ავადმყოფობა სწორედ მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი თავის ენერგიას არასწორად ხარჯავს.**

# როგორი ადამიანები „ინფიცირდებიან" შთაგონებით, „ზემოდან" გამოგზავნილი სასჯელით



**ნინო**: 23 წლის ასაკში ექიმებმა საშინელი სენის დიაგნოზი დამისვეს. ფაქტობრივად, ჩემი გადარჩენა შეუძლებელი იყო. სამი წლის განმავლობაში ვიტანჯებოდი, შემდეგ კი თანდათან გამოვედი მდგომარეობიდან. ჩემი ავადმყოფობის მიზეზი არასწორად დახარჯული ენერგია გახლდათ, კერძოდ, ადამიანები უზარმაზარ ენერგიას ვფლობთ, რომლის დახარჯვასაც, ძირითადად, ვერ ვახერხებთ. თუ მოჭარბებულმა ენერგიამ გამოსავალი ვერ პოვა, ის ერთ ადგილას გროვდება და ბრძოლას იწყებს. მადლობა ღმერთს, ეს კარგად იცოდა ბებიაჩემმა – სწორედ მან დამაწყებინა ენერგიის სწორი ხარჯვა და ფეხზე წამომაყენა.

**– როგორ უნდა მივხვდეთ, როდის ხდება ჩვენივე ენერგია საშიში და რა მეთოდით უნდა ვხარჯოთ ის სწორად, რომ რაიმე დაავადების საწინდარი არ გახდეს?**

– ბებიას აღმოსავლეთში ჰქონდა მიღებული ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ხარჯოს ადამიანმა მოჭარბებული ბიოენერგია, რათა მან ზიანი არ მიაყენოს თავის პატრონს. მაგალითად, მე, როცა რკინის საგნებს ვეხებოდი, დენი მარტყამდა, ამ დროს ვიმუხტებოდი და ყველაფერი მტკიოდა. საკმარისი იყო, მაცივრის სახელურისთვის მომეკიდა ხელი, რომ იმ წუთას დენი დამარტყამდა. ეს ჩემს მშობლებს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ – სტატიკური დენიაო, ამბობდნენ. მოგვიანებით კი, როცა საყოველთაოდ ალაპარაკდნენ ადამიანის ბიოენერგეტიკაზე და გაჩნდა ცნება „ექსტრასენსული მონაცემები", ბებიაჩემიც ჩამოვიდა საქართველოში. სწორედ მან შემიმოწმა ბიოველი. აღმოჩნდა, რომ ის ძალიან ჭარბად მქონდა და მანვე მასწავლა, როგორ დამეხარჯა ის სწორად. როგორც გითხარით, მაშინ მძიმე სენით ვიყავი დაავადებული და, თუკი რაიმე მეთოდი არსებობდა, ჩემი მშობლები არც ფულს და არც ძალას არ იშურებდნენ. მახსოვს, ბებიამ უთხრა, მენდეთ და ამ ბავშვს მე ვუმკურნალებო. მართალია, მოჭარბებულ ენერგიას ვიშორებდი, მაგრამ ფიზიკური ტკივილი არ ქრებოდა. საერთოდ, ყველა დაავადება ბიოველის დაზიანებით იწყება, შემდეგ გადადის ასტრალურ სხეულზე, შედის ფიზიკურ სხეულში და ფიქსირდება, როგორც დაავადება. ასევე მოქმედებს ჯადო. ჯადო უარყოფითი ფსიქოენერგოინფორმაციაა, რომელიც აზიანებს ადამიანის ველს, შედის მასში და იქ იბუდებს. ენერგიის სწორი ხარჯვა კი სწორი ცხოვრების წესია. სხვათა შორის, წლების წინ ჩატარდა კვლევა, რომელშიც ცნობილი უცხოელი პარაფსიქოლოგები და მედიკოსები ილებდნენ მონაწილეობას. მათ არაერთი პაციენტი გამოიკვლიეს და მიღებული შედეგების შემდეგ, ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით, ყველანაირი დაავადება სამ კატეგორიად დაყვეს, კერძოდ: შთაგონება „ზემოდან", ანუ, როცა ადამიანი იღებს ზემოდან გამოგზავნილ სასჯელს, განსაცდელს, რომელმაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა აარიდოს მძიმე დანაშაული. ჩვენს დროში ასეთი სახის დაავადებებით ხშირად „ინფიცირდებიან" არა მხოლოდ დიდები, არამედ, ბავშვებიც. თუ კარგად გავერკვევით, პირდაპირი გაგებით, ეს არც კი არის სასჯელი. ასეთი დაავადება არა მარტო გარშემო მყოფთ აშორებს ხიფათს, არამედ, კონკრეტულ ადამიანსაც იცავს უარესისგან. ეს ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო; მეორე კატეგორიაში შედის ისეთი დაავადებები, რომლებიც ჩვენი სულის თვისებების პროვოცირებას ახდენს. ეს არ არის მემკვიდრეობით მიღებული სნეულებები. ადამიანები, უბრალოდ, ამ ავადმყოფობებისკენ მიდრეკილებით იბადებიან, ხოლო, დაავადდებიან თუ არა ამით, ეს დამოკიდებულია აღზრდაზე და შემდეგ იმაზე, თუ ცხოვრების როგორ წესს აირჩევენ ისინი. დაუკმაყოფილებელი სურვილი ყოველთვის გზავნის ტვინში დამახინჯებულ, ავადმყოფურ სიგნალებს, რასაც ორგანიზმი განადგურებამდე მიჰყავს. საუკეთესო შემთხვევაში, შედეგი, გარკვეული სახით, ნევროზი იქნება, რომელიც შემდეგ დეპრესიითა და ფიზიოლოგიური დაავადებით მთავრდება; მესამე კატეგორიის დაავადების გამომწვევი კი, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა ასთმა, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული და ალერგია, ადამიანს „ორ სკამს შორის ჯდომის" დროს უჩნდება, როცა ერთ მხარესაა პრინციპები, რომლებიც არცთუ ისე მტკიცეა და, მეორე მხარეს – ამ პრინციპებისადმი წინააღმდეგობების გაწევის სურვილი, რომლის დაკმაყოფილებაც გვინდა, მაგრამ არ გამოგვდის.

**ენერგოვამპირებს ახასიათებთ აგრესიულობა, ფეთქებადი ხასიათი, ჟინიანობა, უხეშობა, ზეწოლა მოსაუბრეზე – ამით ისინი ყურადღების მიქცევას ცდილობენ**

**– ნათქვამია, მშობლების ცოდვათა გამო შვილები იტანჯებიანო, თქვენ რას იტყვით ამაზე?**

– ჭეშმარიტებას არ შეესაბამება პრიმიტიული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ, თუ მოზრდილი ადამიანი აშავებს, პასუხი შვილმა უნდა აგოს. ბევრჯერ თქმულა, რომ ჩვენი მშობლებისგან მემკვიდრეობით ვიღებთ არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ, სულიერ თვისებებსაც, მათ შორის – მიდრეკილებასაც ამა თუ იმ ვნებისკენ. შვილები იტანჯებიან არა მშობლების მიერ ჩადენილი კონკრეტული ცოდვის გამო, არამედ, იმიტომ, რომ მათმა მშობლებმა ცოდვის ჩადენით დაიზიანეს სული და სხეული, შემდეგ კი არ მოინანიეს და ეს ფაქტი მათ შვილზე აისახა. სული უხილავი მაგნიტივით აკავშირებს ერთმანეთთან ჩვენი ორგანიზმის ატომებსა და მოლეკულებს, სტიმულს აძლევს ცილების სინთეზს ცოცხალ უჯრედებში, აძლევს მას სიცოცხლისუნარიანობის პროგრამას, უზრუნველყოფს ნივთიერებათა ცვლასა და თვითრეგულირებას. სულისა და სხეულის ერთმანეთისგან დაშორებისას ცილების სინთეზი უცბად წყდება. ენერგიას მოკლებული სხეული ცივდება და, როგორც კი მისი ელემენტები მაკავშირებელ ძალას კარგავენ, „იშლება" და სიკვდილით „ავადდება". ამიტომ, საკუთარ სულში უნდა ვეძებოთ იმ ყველაფრის მიზეზი, რაც ჩვენ და ჩვენს შვილებს გვჭირს, მათ შორის, ის დაავადებებიც, რომელთა მიმართაც გვაქვს მიდრეკილება.

**– მართებულია თუ არა ის აზრი, რომ გვერდიგვერდ მყოფი ადამიანები ერთმანეთზე ენერგიის ხარჯზე ურთიერთქმედებენ?**

– რასაკვირველია, გვერდიგვერდ მყოფი ადამიანები, მათდაუნებურად, ერთმანეთზე ურთიერთმოქმედებენ მაშინაც კი, როცა სძინავთ ან ჩუმად არიან. ენერგიის გაცვლა მიმდინარეობს პერმანენტულად. ქალისგან განსხვავებით, მამაკაცი გაცილებით მეტ ენერგიას იღებს და ნაკლებს გასცემს. თუ ქალი მამაკაცის მიმართ დადებითად არის განწყობილი და მის გვერდით თავს კომფორტულად გრძნობს, ენერგიების გაცვლა ნორმალურად მიმდინარეობს და „ვამპირის" როლი არავის აკისრია; მაგრამ, თუ რომელიმე მათგანს განწყობა არასასურველი აქვს, ესე იგი, მეორემ მეტი ენერგია „მიითვისა". სხვისი ენერგია ეგრეთ წოდებული „დიეტური პროდუქტია", ანუ, ძალიან ადვილად ასათვისებელი. ენერგოვამპირებს ახასიათებთ აგრესიულობა, ფეთქებადი ხასიათი, ჟინიანობა, უხეშობა, ზეწოლა მოსაუბრეზე – ამით ისინი ყურადღების მიქცევას ცდილობენ. სკანდალების მოყვარული ადამიანი კი ყველაზე მეტ ენერგიას „შეიწოვს". ენერგია მუდმივად უნდა გაედინებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აუცილებლად შეაწუხებს ადამიანს. როცა მამაკაცი მოიწყენს, იცოდეთ, რომ მას თქვენი ენერგია მოაკლდა. იგივე ითქმის ქალებზეც, მაგრამ მამაკაცი უფრო გამოხატავს ამას, ქალს კი შეუძლია, შეინიღბოს. სასიცოცხლო ძალები რომ აღიდგინოთ და შეივსოთ, ამისთვის ყველაზე კარგია იმ ადამიანებთან კონტაქტი, რომლებიც დადებითი ემოციებით გავსებენ.

**ნონა დათეშიძე**

## ჰკითხე საკუთარ თავს

კომუნიკაციის პრობლემა, კონფლიქტური ხასიათი, მტანჯველი კომპლექსები და შებოჭილობა... ეს ყველაფერი მარტო თქვენს ახლობლებს კი არ უქმნის პრობლემებს, თავადაც სერიოზულ სტრესს გაყენებთ. ამიტომ სხვებზე სანამ გაბრაზდებით და იტყვით იმას, რომ ყოველთვის ისინი სტყუიან, დაფიქრდით და შეეცადეთ საკუთარ თავს გვერდიდან შეხედოთ. დაივიწყეთ ფრაზები: „მე ყოველთვის“ და „მე არასოდეს“. ნუ იფიქრებთ იმასაც, რომ ახლობელ ადამიანს თქვენი ცუდად ყოფნა გაუხარდება. თქვენ თავად ნუ დაამცირებთ საკუთარ თავს და ნუ მიაყენებთ, მით უმეტეს დაუმსახურებელ შეურაცხყოფას სხვას.

ერთი სიტყვით, თუ არ გინდათ, მდგომარეობა დაიმძიმოთ და კიდევ არაერთი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღოთ, დაიწყეთ საკუთარი თავის კონტროლი. მართეთ ემოციები. გახსოვდეთ, როცა სხვას ეჩხუბებით, თქვენ უფრო დიდ და სერიოზულ სტრესს იღებთ.

ნუ მიაქცევთ ყურადღებას ყოფით წვრილმანებს. იცოდეთ, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო გაღიზიანებაც კი სტრესია, რომელსაც შემდეგ დაემატება უძილობა, თავის ტკივილი, უგუნებობა, უმადობა... განწყობაც გაგიუარესდებათ და ცხოვრება, რომელიც მართლაც მშვენიერია, გვერდით უსიხარულოდ ჩაგივლით.

## კაცები... კაცები...

ისინი უხეშები არიან, ხშირად, სრულიად მოკლებულნი რომანტიკას... მოკლედ, რადგან მამაკაცებად დაიბადნენ, მიაჩნიათ, რომ ბევრის უფლება აქვთ... სამწუხარო რეალობაა ის, რომ მამაკაცური ჰორმონი ზოგჯერ ძალიან ცუდად „იქცევა“. „მე ასეთი ვარ“, „მოგწონვართ? – კარგი, არა? – მაინც უნდა ამიტანოთ“, – ხშირად ასეთია მამაკაცური ლოგიკა. ისინი იმაშიც დარწმუნებულები არიან, რომ კაცის გარეშე გაძლება ქალს არ შეუძლია, ამიტომაც ყოველთვის ყველაფერს აპატიებენ. თუ ქალბატონები უფრო ხშირად ცდილობენ, არ გადალახონ საზღვარი და არ გასცდნენ იმ ჩარჩოებს, რომლებსაც მათ საზოგადოება უდგენს, კაცები ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევენ. ბუნებრივია, რომ სუსტ სქესს არ ესმის მათი გულგრილობა, მაგრამ, ვერც ნერვების მოშლით გახდებით რამეს, ვერც წუწუნითა და ტირილით. აჯობებს, ზოგჯერ თქვენც „გაგიჟდეთ“ – ეს აუცილებელიც კია. ცოტათი უხეშობაც გეპატიებათ და უარის თქმაც პატარ-პატარა თხოვნებზე, ასევე, გაჯიუტებაც და ცინიზმიც, მთავარია, დროულად დაამუხრუჭოთ. თამამად მოახდინეთ თქვენი სურვილებისა და მოთხოვნების დეკლარირება. დაანახვეთ ყველას, რომ ხართ დამოუკიდებელი, პრინციპული და, როცა საჭიროა – კატეგორიულიც. თანაც, ეს ყველაფერი ურთიერთობის დასაწყისში უნდა მოხდეს, თორემ, თუ თავიდან ფისო იქნებით და კლანჭებს მერე გამოაჩენთ, სიტუაცია, შესაძლებელია, გართულდეს.

ერთი სიტყვით, კაცები არიან კაცები და ამას უნდა შევეგუოთ. მათ ხელჩართულ ჩხუბში ჩაბმაც თვალის დახამხამებაში შეუძლიათ და პასუხსაც ვერავის მოვთხოვთ – ჩვენ ხომ მუშტი-კრივით ვერ გავურჩევთ საქმეს?! ისევ სითბოს, ტკბილი სიტყვისა და ზოგჯერ მსუბუქი გაკაპასების ხარჯზე თუ მივაღწევთ მიზანს...

## ამბობენ, რომ...

ამბობენ, რომ კაცებს ძალიან მოსწონთ საკუთარი გარეგნობა, მაშინაც კი, როცა ხვდებიან, რომ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ. მაქსიმალურად ცდილობენ, არ დაინახონ ნაკლოვანებები. ხოლო, თუ ქალი მიუთითებს მათზე და გაამახვილებინებს ყურადღებას, საშინლად ცოფდებიან. ასე, შესაძლოა, საყვარელი მამაკაციც დაკარგოთ – თვალის დახამხამებაში, სულ რაღაც ერთ წუთში... შემოგხედავთ, შებრუნდება და ისე გაიხურავს კარს, სიტყვასაც კი არ იტყვის დასამშვიდობებლად...



არსებობს გამოსავალი?! აუცილებლად. ამბობენ, რომ კაცის მეტისმეტ თავდაჯერებულობას ქალმა საკუთარ პერსონაზე ზრუნვა უნდა დაუპირისპიროს: გემოვნებით ჩაცმა, თავის მოვლა, კარგი მაკიაჟი – ყველაფერი ის, რაც თვითშეფასების კრიტერიუმს აგვიმაღლებს. არაფრით არ დაუთმოთ კაცებს, დაანახვეთ მათ, რომ თქვენ ყოველთვის მომხიბვლელი და გამარჯვებული იქნებით. თქვენს გარეგნობაში რამე არ მოსწონთ? არ არის პრობლემა, თქვენ მაინც მომხიბვლელი ხართ, ამიტომ, დაუწერეთ უმაღლესი ქულა საკუთარ თავს. თუ, როგორც ამბობენ, კაცები არასდროს დარდობენ წარსულ შეცდომებზე, ან, თუ დარდობენ, არ აჩვენებენ ამას, რატომღა უნდა ინერვიულოთ თქვენ და თვითგვემით თავი რატომ უნდა გაიწვალოთ?! შეცდომებს თუ ყველა უშვებს, როგორც ამბობენ, ერთი შეცდომა თქვენც გეპატიებათ.

## ტირილი?! – დასაშვებია

თუკი გაწყენინეს, ტირილისთვის არავინ განგსჯით. პირიქით, ზოგჯერ ტირილს მხოლოდ პოზიტივი მოაქვს. თუ ხშირად აღიარებთ საკუთარ შეცდომებს, მშვიდობის მოყვარული ხართ, ღიად გამოხატავთ საკუთარ ემოციებს, გახარებთ სხვა ადამიანების წარმატება, მათ შორის უცნობებისაც – ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი წყენინება ძალიან ადვილია. საკმარისია, ვინმემ მოინდომოს, გული გატკინოთ, რომ მას ეს შესანიშნავად გამოუვა. ეგოიზმი საშინელება ნამდვილად არ არის. ნორმის ფარგლებში ის სასარგებლოა. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ჯანსაღი ეგოიზმი გააჩნიათ, შესწევთ უნარი, იმუშაონ საკუთარ შეცდომებზე: იტირონ მაშინ, როცა ეს აუცილებელია; გაიზარდონ პიროვნულად; არ დაემორჩილონ ცუდ, ნეგატიურ მოვლენებსა და ინფორმაციას. ეგოისტები გაცილებით ხშირად ტირიან და იციან ამ ცრემლების ჭეშმარიტი ფასი. როცა ეგოიზმი ნორმაშია, ურთიერთობებიც კარგად ეწყობა. მართალია, მამაკაცებს მტირალა ქალები არ მოსწონთ, მაგრამ, თუკი ცრემლებს მომხიბვლელად, ზუსტად თავის დროზე გადმოღვრით, თქვენი პარტნიორი ამით მხოლოდ მოიხიბლება.

არასოდეს გამოიტიროთ საკუთარი თავი – ეს აბსოლუტურად სხვა რამეა და არაფერი საერთო არ აქვს ტირილთან. ცრემლმა შვება უნდა მოგგვაროთ და არა უარყოფითი ენერგეტიკით დაგმუხტოთ. საკუთარი თავის გლოვა და იმედის გადაწურვა დაუშვებელია, სლუკუნი და ცოტა წატირება კი – დასაშვები, ოღონდ, ეს წატირება ნეგატივისგან გათავისუფლებისკენ უნდა იყოს მიმართული.

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მ ი ი ღ ე თ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# რას ცდილობს უშედეგოდ ჰოლივუდის ვარსკვლავი კიანუ რივზი და როგორ იშიფრება მისი სახელი ჰავაურ ენაზე

***2014 წელს მსოფლიო კინოთეატრების დიდ ეკრანებზე იაპონური ლეგენდების მიხედვით გადაღებული ბლოკბასტერის – „47 რონინის" პრემიერა შედგება, სადაც მთავარ როლს ასრულებს ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი კიანუ რივზი, მსახიობი, რომელსაც, დიდი ხანია, აღარ მიუღია მონაწილეობა ამ მასშტაბის ფილმებში.***

* კიანუ რივზი დაიბადა 1964 წლის 2 სექტემბერს, ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში. ის არის კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.

* კიანუს დედა პატრისია ტეილორი, ინგლისელია, მამა – სემუელ ნოულინ რივზი კი, წარმოშობით ნახევრად ჰავაელი და ნახევრად ჩინელი. კიანუ 3 წლის იყო, როდესაც მამამ ოჯახი მიატოვა და ამჟამად მას მამასთან არანაირი კონტაქტი არ აქვს.



* თავისი ბავშვობის დიდი პერიოდი კიანუს ტორონტოში აქვს გატარებული. ის საკმაოდ კარგად თამაშობდა ჰოკეის და კანადის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადაზე თამაშზე ოცნებობდა, თუმცა, ტრავმის გამო მისი სპორტული კარიერა არ აეწყო.

* კიანუს სრული სახელი და გვარია კიანუ ჩარლზ რივზი, ხანდახან იგი ფსევდონიმებით სარგებლობს: ნორმან კრივზი ან ჩაკ სპაიდენი.

* უჩვეულო სახელი კიანუმ ჰავაელი ბაბუის პატივსაცემად მიიღო. მისი სახელი ჰავაური ენიდან ასე ითარგმნება: „გრილი ნიავი მთის თავზე."

* სკოლაში სწავლის პერიოდში კიანუს მეტსახელი იყო „კედელი," რადგან, ჰოკეის თამაშის დროს ის კარში იდგა და, პრაქტიკულად, კედელივით გაუვალი იყო.

* კიანუს პროფესიით გეოლოგი მამა ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების ფაქტის გამო იხდიდა სასჯელს. დედა მოცეკვავე და კოსტიუმერი იყო.

* 17 წლის ასაკში კიანუ რივზი მაკარონების მაღაზიაში მუშაობდა მენეჯერად.

* კიანუ რივზს სიბნელის ეშინია. ის, ასევე, ნაკლებად კონტაქტურია ჟურნალისტებთან და კითხვის დასმის შემდეგ რამდენიმე წუთი ფიქრობს პასუხზე.

* რივზი სამეჯლისო ცეკვების, სერფინგისა და ჯირითის მოყვარულია.

* 1993 წელს კიანუ რივზი ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის ფაქტზე დააკავა პოლიციამ.

* კიანუ რივზი მოტოციკლების დიდი მოყვარული და რარიტეტული მოდელების კოლექციონერია. ის რამდენჯერმე გადაურჩა ავარიაში სიკვდილს. მას ხერხემალში ფოლადის ფირფიტა აქვს ჩადგმული – ერთ-ერთი ავარიის შედეგი.

* კიანუ რივზი კიბერპანკის ჟანრის დიდი თაყვანისმცემელია, სწორედ ამის გამო ითამაშა მან ნაკლებად მომგებიან ფილმში – „ჯონი მნემონიკი", რომელიც მისი საყვარელი მწერლის, უილიამ გიბსონის წიგნის მიხედვით გადაიღეს.

* 1983 წელს კიანუ რივზი „კოკა-კოლას" სარეკლამო სახე იყო; მას, აგრეთვე, მონაწილეობა აქვს მიღებული პოლა აბდულის კლიპში – „რაშ რაშ".

* კიანუ რივზი პროფესიონალურად უკრავს გიტარაზე. მას ჰყავდა საკუთარი ჯგუფები: „დოგსტარი" და „ბეკი".

* კიანუ არასდროს კითხულობს თაყვანისმცემლების მოწერილ წერილებს. წერილების კითხვის ნაცვლად, მას ურჩევნია, თავისუფალი დრო ახლობელ ადამიანებთან ერთად გაატაროს.

* ბავშვობაში კიანუსასა და მის დას, კიმს, დისლექსია სჭირდათ. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ კიანუს არ უყვარს ხალხთან ურთიერთობა.

* კიანუ რივზს არასდროს ჰქონია საკუთარი კომპიუტერი. თუკი მას უწევს ურთიერთობა კომპიუტერთან, ის ხელოვნურ ინტელექტს ჭადრაკს ეთამაშება.

* კიანუ რივზს შვილის ყოლის პანიკური შიში აქვს.

* კიანუ რივზი ცაციაა.

* 2005 წლის 31 დეკემბერს კიანუ რივზს ვარსკვლავი გაუხსნეს ჰოლივუდის დიდების ხეივანში.

* კიანუ რივზს სამი და ჰყავს: კიმ რივზი, კარინა მილერი და ემა როუზ რივზი.

* 1997 წელს კიანუ რივზს „სიჩქარის" მეორე სერიაში თამაშის სანაცვლოდ ჰონორარის სახით 11 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, თუმცა მან იუარა და „ეშმაკის ადვოკატში" ალ პაჩინოსთან ერთად თამაში არჩია. „სიჩქარე 2" კინოგაქირავებაში ჩავარდა და ჰოლივუდში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ფილმად ითვლება.

* კიანუ რივზის ეკრანული დებიუტი კანადის ტელევიზიაში შედგა 1979 წელს. მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებდნენ სარეკლამო რგოლებში. 1985 წელს მან პირველი როლი შეასრულა კინოში – რობ ლოუის ფილმში „ახალი სისხლი" კიანუმ ჰოკეის მეკარის როლი განასახიერა.

* კიანუ რივზის საყვარელი მუსიკალური ჯგუფებია: „ზი რამონეს" და „სექს პისტოლზი".

* კიანუ რივზის სიმაღლე 186 სანტიმეტრია.

* კიანუ რივზი ფასტფუდის და შოკოლადის მოყვარულია.

* ხანგრძლივი დროის განმავლობაში კიანუ რივზს არ ჰქონდა საკუთარი სახლი. იგი ლოს-ანჯელესში, ფეშენებელურ სასტუმრო „შატო-მორმონში" ცხოვრობდა და მხოლოდ 2003 წელს შეიძინა საკუთარი სახლი ჰოლივუდის ბორცვებზე. რივზს, ასევე, აქვს საკუთარ ბინა ნიუ-იორკში.

* ბუდიზმით გატაცების მიუხედავად, კიანუ რივზი საკუთარ თავს ათეისტს უწოდებს.

* კიანუ რივზი არასდროს ყოფილა დაქორწინებული. მას ჰყავდა საცოლე – ჯენიფერ საიმი. 1999 წელს ჯენიფერსა და კიანუს ახალშობილი ქალიშვილი გარდაეცვალათ, 2001 წელს კი თავად ჯენიფერი დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

* 2010 წელს გავრცელდა ფოტო, რომელზეც კიანუ რივზი მოწყენილი სახით მიირთმევდა სენდვიჩს პარკში. ამ ფოტომ ინტერნეტში კიანუს შესახებ იუმორისტული ისტორიების გამოქვეყნებას დაუდო სათავე.

* კიანუ რივზს ბეტმენის როლის შესასრულებლად იწვევდნენ ფილმში „ბეტმენი სამუდამოდ", მაგრამ, მან იუარა და როლი ველ კილმერს გადაეცა. ასევე, ველ კილმერს მისცეს როლი ფილმში „შეტაკება", სადაც კიანუ რივზს ალ პაჩინოსთან და რობერტ დენიროსთან ერთად უნდა ეთამაშა.

* პირველად თეატრის სცენაზე კიანუ რივზი 9 წლის ასაკში ავიდა. მან მონაწილეობა მიიღო სკოლაში დადგმულ სპექტაკლში – „დაწყევლილი იანკები".

* კიანუს და, კიმი, 2003 წლიდან ლეიკემიის ურთულესი ფორმით არის ავად. კიანუს არაერთხელ შეუჩერებია გადაღებები და თავის დასთან გამგზავრებულა, როდესაც მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე ხდებოდა. ამბობენ, რომ ამჟამად კიმ რივზი თავს უკეთ გრძნობს.

* კიანუ რივზი საკუთარ თავს ჰოლივუდის პინგ-პონგის ჩემპიონს უწოდებს. მსახიობი პროფესიონალურ დონეზე თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს.

* უკანასკნელი რამდენიმე წელია, კიანუ რივზი უშედეგოდ ცდილობს სიგარეტისთვის თავის დანებებას.

* კიანუ რივზის მენეჯერი ერვინ სტოფი ერთადერთი აგენტია ჰოლივუდში, რომელიც თავის კლიენტს კარიერის დაწყების დღიდან გვერდში უდგას.

*2013 წლის 5 ივლისს კინოეკრანებზე გამოვიდა კიანუ რივზის სარეჟისორო დებიუტი „ოსტატი ტაი-ცზი". ესაა აღმოსავლურ ორთაბრძოლებზე გადაღებული ფილმი.

**უშანგი რუხაძე**

ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................
მარიკა 599 24 28 31

# სად და რა ვითარებაში გარდაიცვალა სტალინის მამა

იოსებ სტალინი ამაყობდა თავისი ქართული წარმოშობით, რაც არაერთხელ აღუნიშნავს ჩერჩილთან, რუზველტთან, დე გოლთან და სხვა პოლიტიკოსებთან შეხვედრებისას. რაც შეეხება ოჯახს, სადაც ბელადი იზრდებოდა, იოსებს განსაკუთრებით დედამისი უყვარდა. გარეგნობით კი სტალინი მამას ჰგავდა. ჩვენს დღევანდელ სტატიაში სწორედ სტალინისა და მისი მშობლების შესახებ ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიაქროს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

იოსებ სტალინის მშობლებმა, ბესო ჯუღაშვილმა და ეკატერინე, იგივე კეკე გელაძემ გორში იქორწინეს. ეს მოხდა 1874 წელს. წყვილის მეჯვარეები იყვნენ იაკობ ეგნატაშვილი და მიხა ციხითათრიშვილი.

მამის გარდაცვალების შემდეგ, ძმებმა, ბესარიონ და გიორგი ჯუღაშვილებმა, ქონება გაიყვეს. გიორგი მანგლისში დასახლდა და სამიკიტნო გახსნა. მოგვიანებით სამიკიტნო ყაჩაღებმა გაძარცვეს, გიორგი კი მოკლეს. რაც შეეხება ბესოს, ის თბილისში ჩამოვიდა, სადაც ხარაზთა საამქროს მიეკედლა და ხელობაც შესანიშნავად შეისწავლა. მოგვიანებით ვინმე აბრამოვმა გორში სახარაზო სახელოსნო გახსნა, სადაც 30 ხელოსანი ჩაიყვანა. მათ შორის იყო სტალინის მამაც, რომელმაც მალე ხელოსნებში პირველი ოსტატის სახელი გაითქვა. ახლომახლო სოფლების აზნაურობა მასთან იკერავდა ჩექმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბესოს ჯიბე არასდროს ჰქონდა ცარიელი, კარგადაც იცვამდა და ჰყავდა მეგობრები, რომლებთანაც უყვარდა ქეიფი და დროსტარება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბესარიონი გორშივე დაქორწინდა ეკატერინე გელაძეზე. ეკატერინეს მამა, გლახო, თიხის ოსტატი (მეთუნე) გახლდათ, თავად ამილახვრის ყმა. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, გლახო გორში ჩავიდა ოჯახითურთ, ქალაქის განაპირას დასახლდა და კვლავ მეთუნეობას მიჰყო ხელი. კეკესა და ბესოს სამი ვაჟი შეეძინათ: უფროსი, გიორგი, რომელსაც სახელი ბიძის პატივსაცემად დაარქვეს, ერთი წლის ასაკში გარდაიცვალა. მწუხარებით შეპყრობილმა ბესომ სმას უმატა. მეორე ვაჟმა, მიხეილმა, მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა. 1978, ზოგიერთი ვერსიით კი 1879 წლის 21 დეკემბერს ჯუღაშვილების ოჯახში მესამე ვაჟი დაიბადა, რომელსაც იოსები დაარქვეს. იოსები სუსტი ბავშვი იყო. 5 წლის ასაკში მას ყვავილი შეეყარა და სასწაულებრივად გადარჩა.

ბესარიონი ენამოსწრებული, იუმორითა და სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული კაცი გახლდათ, თუმცა, გალოთების გამო, მას ხასიათი გაუფუჭდა, ხშირად ჩხუბობდა და ტეხდა აყალმაყალს როგორც სუფრაზე, ასევე, ოჯახში. როგორც თანამედროვენი აღწერენ, ბესო ჯუღაშვილი იყო გამხდარი კაცი, შავი თმითა და წვერ-ულვაშით. იგივენი დასძენენ, რომ იოსები ძალიან ჰგავდა მამას ახალგაზრდობაში. ჩანს, გარდა გარეგნობისა, ბელადი სიმღერის ნიჭითაც დაემსგავსა მამას. სტალინი სიცოცხლის ბოლო წლებამდე მღეროდა. განსაკუთრებით ორი სიმღერა უყვარდა – „ხასანბეგურა" და „გაფრინდი, შავო მერცხალო". ცნობილია ისიც, რომ სემინარიაში სწავლის პერიოდში იოსებ ჯუღაშვილი სემინარიის მგალობელთა გუნდში მღეროდა მეორე ხმას. ამ გუნდის შედგენისას მასწავლებლებმა საგანგებოდ შეამოწმეს მოწაფეების სმენა და ხმა. ცნობისთვის, ჯუღაშვილი ერთნაირი წარმატებით გალობდა როგორც ქართულად, ისე რუსულად.

ისიც ცნობილია, რომ, როდესაც კეკემ იოსები სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა, ის ქმრის სურვილის წინააღმდეგ წავიდა. მოგონებების მიხედვით, სოსო სასულიერო სასწავლებელში ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. სემინარია მომავალმა ბელადმა წარჩინების დიპლომით დაასრულა, რაც ოქროს მედალზე დამთავრებას ნიშნავდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი დიპლომები ძალიან იშვიათად გაიცემოდა ღარიბი ოჯახების შვილებზე.

გორში გატარებული რამდენიმეწლიანი ცხოვრების შემდეგ, ბესარიონი თბილისში მიდის და ადელხანოვის ფაბრიკაში იწყებს მუშაობას. პირველ ხანებში ის საკმაოდ იშვიათად ჩადიოდა გორში ცოლ-შვილის მოსანახულებლად და, ამ ვიზიტების რაოდენობა თანდათან სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბესომ სმას უმატა და, შედეგად, სამსახურიც დაკარგა. ამის შემდეგ მან ქუჩაში, ფეხსაცმლის შემკეთებლად დაიწყო მუშაობა და, რასაც შოულობდა, სასმელში ხარჯავდა. 1909 წლის 7 აგვისტოს ბესარიონ ჯუღაშვილი თავისი ფეხით მისულა მიხეილის საავადმყოფოში, ანუ, დღევანდელ მეხუთე საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. საავადმყოფოს მასალებიდან ირკვევა, რომ ბესარიონ ჯუღაშვილი 55 წლის ასაკში გარდაცვლილა.

მართალია, სტალინი ძირითადად დედასთან იზრდებოდა ხელმოკლედ, არ ჰქონდა სათანადო კვება და პირობები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ფიზიკურად ძლიერი პიროვნება გახლდათ. მამას ბელადის ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია, რასაც ვერ ვიტყვით მის დედაზე. ბესოს სურდა, სოსო მეწაღედ გაეზარდა, კეკე კი ოცნებობდა, მისი შვილი სასულიერო პირი გამოსულიყო. როდესაც იოსები 5 წლის ასაკში ავად გახდა, დედამისი ფეხით ავიდა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში და შესთხოვა: თუ შვილს გადამირჩენ, სოსო შენი მსახური გახდებაო. ქმრის თბილისში წასვლის შემდეგ კეკემ მუშაობა დაიწყო დების, დარია და ლიზა ყულიჯანოვების სამკერვალო სახელოსნოში. იქ 17 წელიწადს მუშაობდა და საუკეთესო მკერავად ითვლებოდა. მოგვიანებით, როცა უკვე მხედველობის პრობლემამ იჩინა თავი, კეკემ მატყლის საბნების კერვა დაიწყო. შვილისა და ღირსების შესანახად იგი არავითარ სამუშაოს არ ერიდებოდა. იყო ისეთი პერიოდებიც, როდესაც მდიდარ ოჯახებში რეცხავდა და ალაგებდა.

სტალინის დედამ საკმაოდ დიდხანს იცოცხლა. ის მოესწრო, როგორ გახდა მისი შვილი უზარმაზარი იმპერიის პირველი პირი, რომელსაც ყველა აღტაცებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. თვითონ კეკე მოკრძალებულად ცხოვრობდა საქართველოში, თუმცა, შვილის თხოვნით, გარკვეული ხნით კრემლშიც გადასახლდა. ეკატერინე გელაძე სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა ქართველი ქალის ტრადიციულ სამოსს. სტალინის ქალიშვილის, სვეტლანას მოგონებების მიხედვით, ბელადი ხშირად უყვებოდა მას დედის შესახებ. სტალინს დედამისი ჭკვიან ქალად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ განათლება არ ჰქონდა მიღებული. 1935 წელს სტალინმა თბილისში მოინახულა დედა. სტალინს ძალიან ესიამოვნა, როდესაც დედამ უთხრა: „დასანანია, რომ შენ მაინც არ გახდი მღვდელი." კეკე გელაძე 1937 წელს გარდაიცვალა.



**1935 წელს სტალინმა თბილისში მოინახულა დედა. მას ძალიან ესიამოვნა, როდესაც დედამ უთხრა: „დასანანია, რომ შენ მაინც არ გახდი მღვდელი"**

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მიიღეთ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ცხოვრების თანამგზავრის არჩევისას

ქორწინება ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ქორწინების შემდგომი ცხოვრება კი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ: დაბადების დღეზე, საათზე, წელზე, ეროვნებაზე, განათლებაზე, საგვარეულო ტრადიციებზე. მაგრამ, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ცოლქმრული ურთიერთობის განვითარების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს, მეუღლეთა დაბადების წელია.

როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარდება, მათთვის ირგვლივ მთელი სამყარო იცვლება, ყველაფერი ვარდისფერი ხდება. ამ დროს კი, არ არის გამორიცხული, ნებისმიერმა ჩვენგანმა ისეთი საბედისწერო შეცდომა დაუშვას, რომელსაც ვერასდროს გამოასწორებს და ამით მთელ დარჩენილ ცხოვრებას გაიუბედურებს. ამიტომ, სიყვარულის დროსაც ზომიერება უნდა დაიცვათ და თავი არ დაკარგოთ. ოჯახში დაწყებული უსიამოვნებები და განქორწინებაც კი, უხილავი ენერგეტიკული სამყაროს გავლენის შედეგია, რომელიც თითოეული ადამიანის გარშემო ტრიალებს. ასევე, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველი პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმაა, როცა ორ ადამიანს შორის ერთი საერთო ენერგოველი წარმოიქმნება, რაც მათ აახლოებს და იცავს. თუ შეყვარებული წყვილის ველები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ამას უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. ამიტომ, ყურადღებით უნდა მოეკიდოთ მომავალი სასიყვარულო პარტნიორის ენერგეტიკული ველის თავისებურებას. უმჯობესია, სანამ ერთად ცხოვრებას გადაწყვეტთ, მანამდე ჩასწვდეთ რჩეულის ენერგეტიკულ შესაძლებლობებს და საბედისწერო შეცდომებისგან დაიზღვიოთ თავი.

სულაც არ არის რთული იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა მიხვდეთ, რომელი ადამიანია თქვენთვის ენერგეტიკულად მისაღები, მით უმეტეს, ვინ უნდა აირჩიოთ მომავალ მეუღლედ და სასიყვარულო პარტნიორად. მაგალითად, თუ თქვენს რჩეულთან ინტიმური ურთიერთობის დროს იღლებით, ეს იმის მანიშნებელია, რომ თქვენი ენერგეტიკული ველები შეუსაბამობაშია, ანუ, თქვენი პარტნიორი ენერგეტიკულად აბსოლუტურად განსხვავდება თქვენგან. უფრო კონკრეტულად, ეს იმის დასტურია, რომ თქვენი რჩეული თქვენგან გაცილებით მეტ ენერგიას იღებს, ვიდრე შეგიძლიათ, მას თავად გაუნაწილოთ და მისცეთ. მისგან წამოსული ენერგია კი იმაზე მეტია, ვიდრე შეგიძლიათ, მიიღოთ და ეს თქვენში არასასურველ და არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. საერთო ჯამში კი, ეს ორ ადამიანს შორის ენერგეტიკულ შეუთავსებლობას იწვევს და სწორედ აქედან იწყება კონფლიქტები, გაუგებრობები, ჩხუბი, დაძაბული სიტუაციები და ასე შემდეგ. საერთოდ, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, რომლის დროსაც საერთო ენერგოველი, აურა წარმოიქმნება, რომელიც მათ უფრო აახლოებს და იცავს უარყოფითი ენერგიისგან. ამ დროს ოჯახში მეტი სიმშვიდე, ჰარმონია და გაგებაა მეუღლეებსა და ოჯახის წევრებს შორის.

როცა ცხოვრების თანამგზავრს ირჩევთ, კონკრეტული ადამიანის ენერგეტიკის ცოდნა დაგეხმარებათ, თავი აარიდოთ უსიამოვნებებს და თქვენი შვილებიც ბედნიერ გარემოში აღზარდოთ. როცა საქმე ბედს ეხება, ყველა დეტალი გასათვალისწინებელია, თუნდაც ენერგეტიკული კუთხით – სამყაროში ხომ ყველაფერი კოსმოსთან ურთიერთკავშირშია.

დასავლური ასტროლოგია ადამიანის განზრახვებზე აგებს პასუხს, ხოლო აღმოსავლური – მის შესაძლებლობებზე. ამ შემთხვევაში, ასტროლოგიის დანიშნულებაა, დაეხმაროს ცოლ-ქმარს ჰარმონიული ურთიერთობის მიღწევაში. ის გვასწავლის, რომ, არ შეიძლება, ადამიანისგან მოითხოვო ის, რაც არ აქვს, არ შეუძლია ან არ ესმის. შესაბამისად, უნდა დააფასო ის, რაც აქვს, ანუ რაც მას წილად ერგო კოსმოსისგან, დაბადების თვისა და წლის მიხედვით.

აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, ვეფხვის, ცხენისა და ძაღლის წელიწადში დაბადებული მამაკაცები აღიქმებიან, როგორც ძლიერები და კეთილშობილები; ვირთხის, გველეშაპისა და მაიმუნის წლებში დაბადებულები – როგორც უცნაურები; კატის, თხისა და ტახის წლებში დაბადებულები – მშვიდები, ფლეგმატურები; ხოლო ხარის, გველისა და მამლის წლებში დაბადებულები – როგორც ენერგიულნი და მეომრის სულისკვეთების მქონენი. ამის მიხედვით რამდენიმე ჯგუფი არსებობს:

1. სიყვარულის შემოქმედნი, ანუ, მამაკაცები, რომლებიც დაიბადნენ ვირთხის, გველეშაპის და მაიმუნის წლებში, ძალიან უცნაური ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. სიყვარული, რომელიც არ ემორჩილება არც გონებას და არც ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ემონება ამ ჯგუფის მამაკაცებს, რომლებიც არასდროს ხელმძღვანელობენ სალი აზრით ან მკაცრი ლოგიკით. მათ ძალუძთ, უყვარდეთ მთელი მსოფლიოს ქალები ერთად, ან, მხოლოდ ერთადერთი. მათთვის არ არსებობს ცივი ან ამოუცნობი ქალი და არასდროს აქცევენ ყურადღებას თავიანთი რჩეულის წლოვანებას, ეროვნებასა და გარეგნობას. მათ ყველაზე კარგად ესმით, რომ, სიყვარული, სადაც ორი ადამიანი ერთ მთლიანობად იქცევა, მოითხოვს არა შეზღუდვებს, არამედ თავისუფლებას. ამ ეგრეთ წოდებულ ჯგუფში შემავალ მამაკაცებს რეალურ ცხოვრებაში ცოტა უჭირთ ორიენტირება, თუმცა, ნებისყოფის წყალობით, ადვილად აგვარებენ სირთულეებს.

2. მბრძანებელთა ჯგუფში ერთიანდებიან ვეფხვის, ცხენისა და ძაღლის წელიწადში დაბადებული მამაკაცები. ისინი ბევრად უკეთ ერკვევიან ცხოვრებისეულ საკითხებში, ვიდრე საკუთარ სასიყვარულო ურთიერთობებში. ასეთ მამაკაცებთან ქორწინებისას იოლი ცხოვრების გარანტიას ვერავინ მოგცემთ, მაგრამ, გასათვალისწინებელია მათი უსაზღვრო პასუხისმგებლობა, რაც სასიკეთოდ მოქმედებს ოჯახურ ურთიერთობაზე. მათთვის დამახასიათებელია რომანტიკული სიყვარული და ქალი მუდმივად გამოცანად რჩება. ისინი ხშირად ცდილობენ, „გადააკეთონ“ თავიანთი რჩეულები და საოცნებო იდეალს დაამსგავსონ. მათი სასიყვარულო გზა დანაკარგებითა და იმედგაცრუებით არის სავსე.

3. რაინდების ჯგუფში ერთიანდებიან ხარის, გველისა და მამლის წლებში დაბადებული მამაკაცები. მათ შეუძლიათ თავის გამოჩენა ნებისმიერ სფეროში. ისინი, როგორც წესი, არასდროს არიან გულგრილნი მშვენიერი სქესის მიმართ, განსაკუთრებით კი არაორდინარული ქალები მოსწონთ. ისინი რჩეულს აღმერთებენ, სანაცვლოდ კი ერთგულებასა და სითბოს ითხოვენ. ასეთი მამაკაცები მუდმივ ძიებაში არიან, ამიტომ, ქორწინების შემდეგაც საჭიროებენ მეუღლისგან მხარდაჭერასა და სიყვარულს.

4. ამ ჯგუფის მამაკაცები ეგრეთ წოდებული შარმიანი მამაკაცების წარმომადგენლები არიან და მათ განეკუთვნებიან კატის, თხისა და ტახის წლებში დაბადებული. ისინი ნაკლებად ერკვევიან ქალის ფსიქოლოგიაში, წვრილმანებში, მაგრამ, ცდილობენ სუსტი სქესის ბუნების შესწავლას. მათ არ ძალუძთ, რჩეულს მხურვალე გრძნობები ხანგრძლივად შესთავაზონ, რადგან, მცირე ხნით ინთებიან სიყვარულის ცეცხლით. სხვათა იდეებისა და გეგმების დამუშავება-გამოყენების უნარი ეხმარება მათ წარმატებასა და პირადი ცხოვრების მოწყობაში.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 1997 წლის 30 დეკემბერს, დილის 5 საათზე. რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი**: პროფესიებიდან ძალიან კარგია: ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან საქმიანობა, მედიცინა, პროფესიონალური დიპლომატია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, საკანონმდებლო საქმიანობა, სამართალდამცავი ორგანოები, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საბანკო-ეკონომიკური, სავაჭრო-კომერციული საქმიანობა.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1999 წლის 1 ოქტომბერს, დილის საათებში. რომელი პროფესიები იქნება მისთვის სამომავლოდ მისაღები და წარმატებების მომტანი? უცხოეთის რომელი ქვეყანაა უფრო მისაღები ჩემი შვილისთვის და რა არის მისი კარმულ-კოსმიური მისია?**

**პასუხი**: მისი კარმული მისია უკავშირდება უცხოეთს. იქ დაგროვილი ცოდნა, კაპიტალი და გამოცდილება დაეხმარება სამშობლოში წარმატებების მიღწევაში. გარდა ამისა, მან უნდა გამოავლინოს ორგანიზებულობა, დისციპლინა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა, მოთმინება, შრომისუნარიანობა, ნებისყოფა, პრაქტიკულობა. ფულის ხარჯვაში უნდა იყოს მოწესრიგებული, საქმეს მეტი სერიოზულობით უნდა მიუდგეს. გარემოებები უნდა შეაფასოს სალი აზროვნებით და ყველაფერი კარგად გააანალიზოს. დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას – ეს თვისებები მას ხელს შეუწყობს წინსვლაში. პროფესიებიდან კი კარგი და წარმატების მომტანია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, იურისპრუდენცია, პედაგოგიკა, ტურიზმის ბიზნესი ან შემოქმედება, მედიცინის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული, საფინანსო სფერო, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, სოციოლოგია; ქვეყნებიდან კი მისთვის შედარებით კარგია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, კუნძული კრეტა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი, შვეიცარიის ჩრდილოეთი ნაწილი, თურქეთის დასავლეთი მხარე, ბელორუსია, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სლოვენია, სერბეთი, ესპანეთი, პორტუგალია.

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

5 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.15 წუთი;***

6 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

7 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

10 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„კაცია-ადამიანი?!"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: დავით დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნანუკა ხუსკივაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

5-6 ნოემბერი, **სამშაბათი –ოთხშაბათი** 20.00 - **„პარად ალე!..."** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი როლანდ ქარდავა. მონაწილეობს: ნათია კავსაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6, 9 ნოემბერი, **ოთხშაბათი, შაბათი** 20.00 - **„რეპეტიციის შემდეგ"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი თემო კუპრავა. მონაწილეობენ: ზურა ბეგალიშვილი, ქეთა შათირიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

8 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„კედელი"** - თითების თეატრი - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

9 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

5-6 ნოემბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

5 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

6 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„საქალლე"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

7 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

8 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

9 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

10 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„მშვენიერი ქართველი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

### სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

4 ნოემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„ლივ შტაინი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ნინო ხარატიშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, გია ბურჯანაძე, თამარ მამულაშვილი, კატო კალატოზიშვილი, იაკო ჭილაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ტროელი ქალები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

### ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

7 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

8 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

9 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წუთი;***

10 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

### მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

8 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, ნიკა წერედიანი, თემო ნატროშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

9 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„სუფთა სახლი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნინი ჩაკვეტაძე. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ზაზა ვაშაყმაძე, სალომე მაისაშვილი, ეკა ჩხეიძე, დარეჯან ხაჩიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

10 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. სპექტაკლის ხანგრძლივობა: 1სთ.;

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

7-8 ნოემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილი. მონაწილეობენ: მარი კიტია, რუსკა მაყაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

### გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90.**

8-9-10 ნოემბერი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ორშაბათი 4 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – "ნოსტალგია" – მხ/ფ **"გააღეთ პოლიციაა!"** (ფ.ნუარე) **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.20** მხ/ფ **"კუნძული"** (ს.იოჰანსონი) **01.40** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ **"ნედ კელი"** (ო.ბლუმი) (ტიტ).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.30** მხ/ფ **"ზოლიანი დოლი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"პასტორალი"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **6** სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება"** **16.55** კონცერტი - ი.ს.ბახი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დოკ/ფ "აჩაჩა ურემი" **19.35** მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.30** დოკ/ფ "სამი საქართველო" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე"- პატრიარქის მოგზაურობა მესტიისა და სვანეთის ეპარქიაში **23.45** მოკ/ფ **"ბზიანეთი"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ღიმილის ბიჭები"**.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **10.15** **სერიალი "რთული გზა"** (გამ) **12.50** თოქ-შოუ პოლიტმეტრი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## სამშაბათი 5 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ფანტოცი სამოთხეში"** (პ.ვილაჯო) **17.00** დ/ფ სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.30** დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: **იუვენტუსი – რეალი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"მისტერ ვუდქოქი"** (ს.სარანდონი).

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** მისია სტუდენტი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"შიმშილის თამაშები"** (უ.ბენტლი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** მხ/ფ **"ღიმილის ბიჭები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე"- პატრიარქის მოგზაურობა მესტიისა და სვანეთის ეპარქიაში **11.05** მოკ/ფ **"ბზიანეთი"** **11.20** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** **13.15** დოკ/ფ "აჩაჩა ურემი" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **7** სერ. **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"ქვევრი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.40** დოკ/ფ "ჩუქურთმა" (გ. ჭუბაბრია) **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"თეთრი ქარავანი"**.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**4 – 10 ნოემბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„მოღრუბლული 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

20.00, 22.30 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 20.15, 22.15 - **„გრძელი ნათელი დღეები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.15 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„მოღრუბლული 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

22.30 - **„სიყვარულის დრო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00 - **„გრავიტაცია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ასტრალი 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30, 14.35, 17.10, 19.45, 22.30 - **„სტალინგრადი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„მოღრუბლული 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

20.00, 22.30 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

13.00, 15.00 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30. 20.00, 22.30 - **„სიყვარულის დრო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხბოს ხორცი სოკოთი





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი კარტოფილი, 600 გრამი ხბოს რბილი ხორცი (უძვლო), 250 გრამი ქამა სოკო, 2 თავი ხახვი, 1 კონა ოხრახუში, 100 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 1 სადილის კოვზი ზეთი, 50 გრამი კარაქი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 100 მილილიტრი ნაღები, შავი პილპილი, მარილი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ და მოხარშეთ მარილიან წყალში. ხბოს ხორცი დაჭერით გრძელ ნაჭრებად და მოხრაკეთ კარაქში ძლიერ ცეცხლზე, დაბრაწვამდე. დაუმატეთ დაჭრილი ქამა სოკო, ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი და ერთად შუშეთ 5 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე. უყავით მარილი, შავი პილპილი და მოასხით ლიმონის წვენი. დაასხით თეთრი ღვინო, მოუმატეთ ცეცხლს და მიიყვანეთ ადუღებამდე. მოასხით ნაღები, მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში და ამოურიეთ.

კარტოფილი ჩანგლით დასრისეთ. თეფშებზე ულუფებად მოათავსეთ კარტოფილი და ხორცი, მოასხით გამდნარი კარაქი და ცხელივე მიირთვით.

# ღვეზელი გოგრით






**საჭირო ინგრედიენტები:** 350 გრამი ფქვილი (2 სადილის კოვზი – შიგთავსში, დანარჩენი – ცომში), 200 გრამი კარაქი (150 გრამი – ცომში, დანარჩენი – შიგთავსში), 2 ცალი კვერცხი (1 ცალი ცომში, 1 ცალი – შიგთავსში), 100 გრამი არაჟანი (ცომში), შაქარი (1 ჭიქა ცომში, ნახევარი – შიგთავსში), მწიკვი მარილი, 1/2 ჩაის კოვზი სოდა, 1/2 ჩაის კოვზი ცომის გამაფხვიერებელი, 300 გრამი გოგრის რბილობი, 200 მილილიტრი რძე (შიგთავსში); 2 ცალი ვანილიანი ხაჭოს „სიროკი“, 1 სადილის კოვზი კარტოფილის სახამებელი, ვანილი, შაქრის პუდრი.

**მომზადების წესი:** ფქვილი მოათავსეთ თასში, შეურიეთ სოდა და გამაფხვიერებელი, დაუმატეთ გაციებული დაჭრილი კარაქი ეს ყველაფერი კარგად ასრისეთ ხელით და გააფხვიერეთ. გათქვიფეთ ცალკე კვერცხი, არაჟანი, შაქარი და მარილი. ჩაუმატეთ ამ ნაზავს გაფხვიერებული ფქვილის მასა და მოზილეთ ცომი (უნდა იყოს რბილი, ნაზი ცომი და ხელებზე არ უნდა გეკრობოდეთ). ცომისგან გააკეთეთ ბურთი, შეახვიეთ საკვებ ცელოფანში და მოათავსეთ მაცივარში ცოტა ხნით. გოგრის რბილობი დაჭერით კუბიკებად. დაუმატეთ შაქარი, დაასხით 200 მილილიტრი მდუღარე წყალი დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე, 1 საათის განმავლობაში. სითხე მთლიანად უნდა ამოშრეს. გოგრა გააცივეთ და გააკეთეთ მისგან პიურე. ჩაუმატეთ „სიროკი“ და კარგად ათქვიფეთ. ერთმანეთში შეურიეთ 1 კვერცხი, რძე, შაქარი, ვანილი, ფქვილი და კარტოფილის სახამებელი და კარგად ათქვიფეთ. ეს მასა შეურიეთ გოგრის პიურეს, შეაზილეთ ოთახის ტემპერატურაზე დარბილებული კარაქი და ისევ ძალიან კარგად ათქვიფეთ (შიგთავსი თხევადი გამოდის).

ცომი გააბრტყელეთ. პატარა ნაჭერი მოაჭერით და მოსართავად გადადეთ. ცომი მოათავსეთ ფორმაში და ამოუკეცეთ ნაპირები (ფორმას წინასწარ წაუსვით კარაქი) და ამ ცომში ჩაასხით შიგთავსი. ფორმა მოათავსეთ ცხელ აირღუმელში (180 გრადუს ტემპერატურაზე). 40 წუთის შემდეგ გამოიღეთ და დარჩენილი ცომისგან გაჭრილი „ფოთლები“ ზედაპირზე მოალაგეთ. ამ ფოთლებს ზემოდან გათქვეფილი კვერცხის გული წაუსვით, ისევ მოათავსეთ აირღუმელში და 5-6 წუთში მზად იქნება. რომ გაგრილდება, მოაყარეთ შაქრის პუდრი და დაჭერით.

# ღორის ჩაშუშული









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის რბილი ხორცი, 1 თავი ხახვი, 200 გრამი ქამა სოკო, 20-30 გრამი პურის ქერქი, კარაქი და ზეთი – შესაწვავად. ოხრახუში, მარილი, ახლადდაფქული შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი გარეცხეთ და კარგად შეაშრეთ. მთლიანი ნაჭერი ღრმად ჩაჭერით შუაში (1,5-2 სანტიმეტრი სიღრმის). შეეცადეთ, ჭრილი შუაში იყოს. შედარებით ნაკლები სიღრმის ჩანაჭრები აქეთ-იქითაც გააკეთეთ, ანუ, საბოლოოდ უნდა მიიღოთ ტევადი „ჯიბე“, რომელშიც საკმაო რაოდენობის სატენი ჩაეტევა. ხორცის ნაჭერს გარედანაც და „ჯიბეშიც“ კარგად წაუსვით მარილი და შავი პილპილი.

ცალკე მოამზადეთ სატენი: მწვანილი და ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად, სოკო – მომცრო კუბიკებად. გაცხელებულ ტაფაზე კარაქსა და ცოტა ზეთში მოშუშეთ ხახვი, უყავით ძალიან ცოტა მარილი. ხახვი გადმოიღეთ თასში (ცხიმის გარეშე). იმავე ტაფაზე, ძლიერ ცეცხლზე მოხრაკეთ სოკო, სანამ მთელი სითხე ჩაშრება. დაუმატეთ ცოტა კარაქი, დაუკელით ცეცხლს და შებრაწეთ შეწითლებამდე, თან ურიეთ. ჩააყარეთ ხახვი, უყავით ცოტა მარილი და შავი პილპილი, დაუმატეთ წვრილად დაქუცმაცებული პურის ქერქი, ოხრახუში და კიდევ ამოურიეთ. ეს ფარში მთლიანად მოათავსეთ ხორცის „ჯიბეში“. ზემოდან მოაყარეთ კარაქის ნაჭრები. შეკარით „ჯიბე“ ხის წვრილი ჩხირებით ისე, რომ, ჰაერის სამოძრაოდ ღრიჭოები დარჩეს. ხორცის ნაჭერი მოათავსეთ გამოსაცხობ ტაფაზე, ტაფა კარგად შეფუთეთ ფოლგაში და აცხვეთ 180-200 გრადუს ტემპერატურაზე, დაახლოებით 60 წუთის განმავლობაში. 10-15 წუთის შემდეგ ფოლგა მოხსენით, რომ ხორცი დაიბრაწოს. მზა კერძი დაჭერით 1,5 სანტიმეტრი სისქის ნაჭრებად.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# თევზი სოკოთი და ლორით

**საჭირო ინგრედიენტები:** 600-700 გრამი თევზის ფილე (კანიანად), 1-2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 120 გრამი შებოლილი ლორი, 400 გრამი პომიდორი, 500 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 3-4 სადილის კოვზი ზეთი, 4 სადილის კოვზი ფქვილი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ლორი წვრილად დაჭერით. პომიდორი გარეცხეთ, კანი გააცალეთ და წვრილად დაჭერით, სოკო გარეცხეთ და შუა-შუა გაჭერით. ხახვი წვრილად დაკეპეთ. ლორი ტაფაზე დაყარეთ, უცხიმოდ შებრაწეთ და ცალკე ჭურჭელში ამოიღეთ. იმავე ტაფაზე დაასხით 1 სადილის კოვზი ზეთი, დაყარეთ სოკო, ხახვი, მოაყარეთ მარილი და პილპილი და მოშუშეთ. დაუმატეთ პომიდორი და აურიეთ. დაასხით 6 სადილის კოვზი წყალი და ჩაუმატეთ მოშუშული ლორი. ამასობაში თევზი ამოავლეთ მარილის, პილპილისა და ფქვილის ნარევში. ცალკე ტაფაზე გააცხელეთ 2-3 სადილის კოვზი ზეთი და თევზი ორივე მხრიდან შეწვით (2-3 წუთის განმავლობაში). თევზი სუფრაზე მოშუშულ ბოსტნეულთან ერთად მიიტანეთ.



# ტარტალეტები ხიზილალით

**საჭირო ინგრედიენტები:** ცომისთვის: 125 გრამი მარგარინი, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 1,5 ჭიქა ფქვილი, 2 კვერცხის გული, 1/4 ჩაის კოვზი სოდა. კრემისთვის: 6 ძირი ისპანახი, 2 ცალი სტაფილო, 250 გრამი კარაქი, 2 კბილი დანაყილი ნიორი, 3 სადილის კოვზი წითელი ხიზილალა, მარილი – გემოვნებით. მწვანილის ან სალათის ფოთლები – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ფქვილში აურიეთ სოდა. მარგარინი დაარბილეთ, დაუმატეთ დანარჩენი ინგრედიენტები და მოზილეთ ცომი. გააბრტყელეთ, ჭიქით ამოჭერით წრეები, მოათავსეთ ტარტალეტის ფორმებში და გამოაცხვეთ საშუალო ტემპერატურაზე. სტაფილო და ისპანახი ცალ-ცალკე მოხარშეთ. ისპანახი გაწურეთ და დაჭერით. სტაფილოს გააცალეთ კანი და ჩაზილეთ. 125 გრამ კარაქს შეურიეთ 2 კბილი დანაყილი ნიორი, მარილი და მიქსერით ათქვიფეთ ჩაზელილ სტაფილოსთან ერთად. ცალკე ბლენდერში ათქვიფეთ ისპანახი, დაუმატეთ დანაყილი ნიორი, კარაქი, მარილი და ეს მასაც ათქვიფეთ მიქსერის საშუალებით. შეგრილებულ ტარტალეტებში მოათავსეთ ორივე სახის კრემი და მორთეთ ხიზილალითა და მწვანილის ფოთლებით.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 6 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ვინეტუ - 3"** 17.00 დ/ფ თანამედროვე იარაღი" 18.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 "მეხსიერება" 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.30 დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" 23.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: **ბარსელონა – მილანი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 01.40 მხ/ფ **"რიცხვი 23"** (ჯ.კერი).

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35 ქრონიკა 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25, 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 ღამის შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია 00.00 მხ/ფ **"ოსტატი"** (ფ.ს. ჰოფმანი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"**. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ **"თეთრი ქარავანი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ **"ქვევრი"** 13.20 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ **"ენი მწვანესახურა-ვებიანი მამულიდან"** 8 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -ანდრია ბოჩელი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართ-ლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ფილატელისტის სიკვდი-ლი"** 02.10 ნიამორი.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## ხუთშაბათი 7 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით"** (პ.რიშარი) 17.00 დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" 18.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.20 "უცნობი მუსიკა" 00.20 მხ/ფ **"300"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25, 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** (გ/ჩ) 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 — დღიური 01.15 მხ/ფ **"შავი ორქიდეა"** (ს.იოჰანსონი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 00.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ **"ფილატელისტის სიკვდილი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05,18.05, 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 11.20 ჩვენი ფონდი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. 13.25 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** 9 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -ლილიკო ნემსაძე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"მონანიება"** II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 "ზღვარზე" გად. IV 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ძმა"** 02.10 ნიამორი.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტ-რი" (გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

## პარასკევი 8 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** (ა.ჩელენტანო) 17.00 დ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში" 18.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 "შეხვედ-რები მცხეთაში" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.20 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.15 მხ/ფ **"ჩვენ ერთი გუნდი ვართ"** (მ.მაკონახი).

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.35 ქრონიკა 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25, 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40 იმედის გმირები 15.15 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** (გ/ჩ) 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 — დღიური 01.15 მხ/ფ **"კლდე"** (ნ.კეიჯი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 კომედი შოუ.

18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ **"ძმა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 11.00 "ზღვარზე" გად. IV 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"მონანიება"** II ნაწ. 13.30 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** 10 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - ტრიო "თბილისი" 17.05 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 დოკ/ფ "ზურაბი" 19.35 მხ/ფ **"დილის ნისლივით"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"კუკარაჩა"**.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

### შაბათი 9 ნოემბერი

08.00 ან/ფ "ჭიანჭველების რისხვა" 10.00 "პეპე და მეგობრები" 11.00 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: საქართველოს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი 13.30 "საბავშვო ევროვიზიის დღიური" 14.00 მხ/ფ **"ღამეები როდანტაში"** (რ.გირი) 16.30 რაგბი. ამხანაგური შეხვედრა. **საქართველო–კანადა**. (პ/რ დინამო–არენადან) 18.30 "ეტალონი" 19.30 "გურმანია" 21.00 "სოციალური თოქ შოუ" (პ/ე) 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** 00.50 მხ/ფ **"მიჩივლე"** (სტ.სანდრელი).

08.00 ან/ფ "ავატარი" 08.25 მხ/ფ **"კაროლინა"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13.00 მისია სტუდენტი 14.30 ახალი ქართული ხმა (29.10.13 გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 23.00 კაცების შოუ 00.00 სერ.**"კამორას კლანი"** 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 — დღიური 00.15 მხ/ფ **"ილაის წიგნი"** (გ.ოლდმენი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი. (გ/ჩ) 11.00 იღბლიანი ბორბალი. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 23.00 რა? სად? როდის? 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"დილის ნისლივით"** 13.15 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ვაგნერი **"ლოენგრინი"** (მანანა პაიჭაძე) 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 დოკ/ფ "შიო მღვიმე" 22.40 ჩვენი ფონდი-წმინდა ნეოფიტე ურბნელი (მეუფე იობი) 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** I სერ.

7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტრონი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

### კვირა 10 ნოემბერი

08.00 ან/ფ "პატარა პოლარული დათვი" 10.00 "ეტალონი" 10.55 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.30 ქართული მხ/ფ **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** 16.30 დ/ფ "ფოტო" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 **ფეხბურთი** საქართველოს ჩემპიონატი: **"ზესტაფონი"** – **"დინამო"**/თბილისი/ (პ/ტრ) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ **"ოუშენის 13 მეგობარი"** (ჯ.კლუნი) 01.00 მხ/ფ **"ბეწვი"** (ნ.კიდმანი).

08.00 ან/ფ "ავატარი". 08.25 მხ/ფ **"ასტერიქსი და ობელიქსი ბრიტანეთში"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ **"კეთილი ადამიანები"** 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 — დღიური 00.15 მხ/ფ **"გრინ ქარდი"** (ე.მაკდაუელი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 09.00 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 21.00 P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი-წმინდა ნეოფიტე ურბნელი (მეუფე იობი) 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ბავშვი სასეირნოდ მიდის"** 13.40 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.25 მხ/ფ **"რობინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"** 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.35 დოკ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი" 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** II სერ.

7.00, 23.35, 1.35, 4.05 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 "ფარული კამერა" 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 17.00, 18.00, 20.05 ახალი ამბები 8.05, 9.05 მულტფილმი "ტრონი" (გამ) 9.30, 10.05, 11.05, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.10, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.00 კვირის აზრები 20.50 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 22.05 **სერიალი "სკანდალი"** 23.05 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება (გამ) 0.05, 2.05, 4.35 "კინო მაესტროზე".

## ვერძი



მოერიდეთ ავანტიურებსა და ფარულ საქმიანობას, განსაკუთრებით – უცნობ ადამიანებთან გარიგებებს. არ აიღოთ კრედიტი. ბევრი დრო დაჰყავით მეგობრების გვერდით. დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## კურო



თავს ენერგიულად იგძნობთ. შესაძლოა მცირე რისკზეც წასვლა პროფესიულ საქმიანობაში. კარგია სამსახურის შეცვლა ან ახალი შემოსავლის წყაროს მოძიება. ახალ ნაცნობებთან ურთიერთობით, ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიტყობთ, რაც ახალი იდეების საწინდარი გახდება. სასიყვარულო პარტნიორი კი უფრო მეგობრული გახდება.

## ტყუპები



ეცადეთ, მოიკრიბოთ ძალები, ყველაფერი კარგად გააანალიზოთ და დასახულ მიზანს არ გადაუხვიოთ. მოგიწევთ ბევრ ადამიანთან კონტაქტი, რაც დამღლელი, მაგრამ მომგებიანი აღმოჩნდება. სახლში შეძელით ძალების აღდგენა და მოდუნება. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

## კირჩხიბი



კარგი დროა გეგმების დასახვისა და საქმეების დასაწყებად. თქვენი ენერგოპოტენციალი მოიმატებს და ხელს შეგიწყობთ ბევრი შეხვედრა და მოლაპარაკება წარმატებულად აწარმოოთ. სასიყვარულო ურთიერთობაში მეტად თავშეკავებული იყავით, რათა იმპულსურობა დაპირისპირების მიზეზი არ გახდეს. გამოიჩინეთ მეტი დიპლომატია.

## ლომი



მხოლოდ იმ საქმეებს მოჰკიდეთ ხელი, რომელსაც ნამდვილად გაუმკლავდებით. შეამცირეთ კონტაქტების რაოდენობა. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახს, სახლს და საყვარელ ადამიანს. მეგობრები გვერდით დაგიდგებიან. ენერგოპოტენციალი დაქვეითებულია, ამიტომ, გაგიჭირდებათ ჩანაფიქრის განხორციელება.

## ქალწული



ენერგიით სავსე იქნებით, რის გამოც არაერთ საქმიან წინადადებას მიიღებთ და გაიაზრებთ. ინტუიცია დაგეხმარებათ, სწორი არჩევანი გააკეთოთ. პირადი ამბიციები ნებისმიერი სირთულის საქმეში წარმატებას გიქადით. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომლის მიმართ სიყვარულიც ყველაფერს გადაფარავს და ცხოვრების რადიკალურად შეცვლისკენ გიბიძგებთ.

## სასწორი



ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში დიდ შემოსავალს გპირდებათ. ნაცრობებმა და მეგობრებმა შესაძლოა, ფინანსური დახმარება გაგიწიონ. სასიყვარულო პარტნიორზე ნუ იეჭვიანებთ, რადგან ეს გააუარესებს თქვენს ურთიერთდამოკიდებულებას. ბრმად ნუ ენდობით თქვენამდე მოსულ ინფორმაციას.

## მორიელი



ოპტიმისტური განწყობა და გამბედაობა დაგეხმარებათ ახალი წარმატებების მიღწევაში. შესაძლოა, მოიმატოს თქვენმა შემოსავალმაც. კარგია სამკურნალო პროცედურების ჩატარება და ახალი ნაცნობობა. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გარემოებათა მიხედვით შეიცვლება და შესაძლოა, მტკივნეულადაც აისახოს თქვენს ფსიქიკაზე.

## მშვილდოსანი



მოუსმინეთ ინტუიციას და ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტებს, განსაკუთრებით სასიყვარულო ურთიერთობებში. ასევე, შეინარჩუნეთ ჰარმონია ოჯახში. დროულად შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულებები სამსახურში. კარგია მოგზაურობა.

## თხის რქა



მოიმატებს ენერგია, ხოლო შემოქმედებითი საქმიანობა ბევრ ადამიანთან დაგაახლოვებთ. რაც უფრო მეტ ხალხს გაიცნობთ, მით მეტ წარმატებას მიაღწევთ. გაუმჯობესდება სოციალური მდგომარეობა. არ გარისკოთ და გარშემო მყოფებთან მეტად გულღია იყავით.

## მერწყული



ინფორმაცია კარგად გადაამოწმეთ და იმოქმედეთ თამამად პროფესიულ საქმეებში. ეს წარმატებას მოგიტანთ. შესაძლოა თქვენს ცხოვრებაში ძველი სასიყვარულო პარტნიორი დაბრუნდეს. ოჯახის წევრების მიმართ ნუ იქნებით კრიტიკული და მომთხოვნი. მეგობრები კი ფინანსური საკითხების მოგვარებაში დაგეხმარებიან.

## თევზები



თქვენი იდეები დიდ მოწონებას დაიმსახურებს როგორც ოჯახში, ასევე საქმიან პარტნიორებთან. ერთობლივ ფინანსებთან დაკავშირებული საქმე მომგებიანი აღმოჩნდება. მთავარია, წესრიგში გქონდეთ იურიდიული და ფინანსური საბუთები. ახალი სასიყვარულო კავშირი ღრმა გრძნობებსა და სულიერ სიმშვიდეს გპირდებათ.

**ახალმთვარეობა – 3 ნოემბერი, 12 სთ: 47 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია შემოქმედებითი მუშაობა, სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობები. მოერიდეთ მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სადაზღვევო და სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციებთან კონტაქტს, სესხის აღებას. ატარეთ ყვითელი, შინდისფერი, მწვანე, წითელი ან კრემისფერი ფერის სამოსი; ქვებიდან კი ოპალი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო, გიშერი ან ზურმუხტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, ხელმძღვანელობასთან კონტაქტი. სუსტდება შარდ-სასქესო და რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი, ყურები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ნუ დახარჯავთ ტყუილუბრალოდ ძალებს და მოიკრიბეთ გონება. აქტუალურ საკითხებზე გადაიტანეთ ძირითადი ყურადღება. მოიმატებს პასუხისმგებლობის გრძნობა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს და ნუ იძალადებთ სხვებზე. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სერდოლიკი, ლაზურიტი, ციტრონი ან იაგუნდი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, იურიდიული საქმიანობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### ოთხშაბათი

მოიმატებს მგრძნობელობა, სიჯიუტე, კომპლექსები. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახური პრობლემების მოგვარებას, ახლობლებს. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი, ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, ჟადეიტი, აკვამარინი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა მომავალში. კარგია სპორტული ვარჯიშები, უცხოელებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა, ინტელექტუალური განვითარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ნუ აღმოჩნდებით საეჭვო გარემოცვაში. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან ყვითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას, სასიყვარულო შეხვედრებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი

ამ დღეს მოერიდეთ ფულის ხარჯვას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტს, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი, ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მწვანე იასპი ან გიშერი. ნუ მოუყვებით სხვებს თქვენს სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, ექიმებთან კონსულტაცია, მოლაპარაკებები. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ძვირად ღირებული საყიდლების გაკეთებას. აკონტროლეთ სიტყვები, მათ დღეს დიდი ძალა აქვს. იყავით თავდაჭერილი, შეუპოვარი. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახურ საქმეებს. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საზოგადოებრივი მუშაობა, სახლის მშენებლობა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. სუსტდება სისხლძარღვები, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს ინტუიცია. კარგად გადაამოწმეთ თქვენამდე მოსული ინფორმაცია. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება სისხლძარღვები, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ასრაკაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ასრაკი.**

სოფელ ფარცხისში 1871 წელს მოიხსენიება ოლიკო **ასრაკაძე**-კიხოლაშვილი.

**ასრაკაძე, არსაკაძე** და **არსაკიძე** – ერთი და იგივე გვარებია.

ბოგვში მცხოვრებ დავით **არსაკიძის** მეუღლეს 1820 წელს შეეძინა ქალიშვილი – თამარი. მიმრქმელი იყო ბორბალოში მცხოვრები იმერელი კვირია ქებაძე.

საქართველოში 26 **ასრაკაძე** ცხოვრობს: თბილისში – 16, გარდაბანში – 5, თეთრი წყაროში – 3. არიან სხვაგანაც.

**ბადრიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბადრი**, რომელიც არაბულად „თოთხმეტი დღის მთვარეს“ ნიშნავს.

ამავე ძირისაა გვარი **ბადრიძე.**

1721 წელს ქაიხოსრო სოლოღაშვილთან მოიხსენიება გიორგი **ბადრიაშვილი.**

**ბადრიაშვილები** იყვნენ როგორც აზნაურები, ისე გლეხები.

საქართველოში 313 **ბადრიაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 123, თბილისში – 96, გორში – 21. არიან სხვაგანაც

**ფერიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა **ფერია**.

„როსტომ მეფემ 1658 წელს სოფელ ენაგეთში პაპუნა ბარათაშვილს აჩუქა **ფერიაშვილის** და შირაქას მამულზე მოსახლე დავრეშათი თამაზითურთ”...

**ფერიაშვილები** მოხსენიებულნი არიან დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1660 წლით.

საქართველოში 213 **ფერიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 95, გურჯაანში – 41, გარდაბანში – 38. არიან სხვაგანაც.

**ბურდიაშვილი-ბურდაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბურდია.**

1393 წელს მოიხსენიება ვირშელ **ბურდასშვილი.**

1734 წელს, ისტორიულ წყაროებში, მოიხსენიება ამირან **ბურდიაშვილი.**

1721 წელს, კრწანისსა და სამშვილდეში **ბურდიაშვილი** მემამულედ მოიხსენიება.

ამავე ძირისაა გვარი **ბურდაშვილი**.

საქართველოში 599 **ბურდიაშვილი** ცხოვრობს: ყვარელში – 234, გურჯაანში – 146, თბილისში – 82. არიან სხვაგანაც.

**გარსევანიძე-გარსევანიშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გარსევანი.**

ბერუა **გარსევანიშვილი** თონეთში 1843 წელს მოიხსენიება.

**გარსევანიშვილი** თავადაზნაურული გვარი იყო.

საქართველოში 75 **გარსევანიძე** ცხოვრობს. თბილისში 52, ახმეტაში 13, საგარეჯოში 5. არიან სხვაგანაც.

**ქიტუაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ქიტუა.**

ასევე, გვხვდება სახელები: **ქიტე, ქიტელა, ქიტესა, ქიტისა, ქიტო, ქიტია.**

1721 წელს მოიხსენიება მანგლელის ყმა თათარა **ქიტუაშვილი**.

1721 წელსვე, ვერხვნალაში მოიხსენიება დათუნა გერმანოზიშვილის ყმა, ზაქუტა **ქიტუაშვილი.**

საქართველოში 568 **ქიტუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 272, გურჯაანში – 109, მცხეთაში – 62. არიან სხვაგანაც.

**ბასიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბასილი,** რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და „სამეფოს“ ნიშნავს. ასევე, გვხვდება საკუთარი სახელი **ბასი**, რომელიც ძველი ქართული წყაროების ეთნონიმს – **ბასს, ბესს** უკავშირდება.

საკუთარი სახელი **ბასია** გვხვდება რაჭაში, სოფელ ჭიორაში, ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში.




ამავე ძირისაა გვარები: **ბასიკაშვილი, ბასილაშვილი, ბასელაშვილი, ბასიშვილი** და **ბასილია.**

საქართველოში 533 **ბასიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 382, კასპში – 98, რუსთავში – 30. არიან სხვაგანაც.

**თეგაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თეგი**.

ქვემო ქართლში გვარი **თეგაძე** მოიხსენიება 1721 წელს.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, სიამისა და ედიშერის ყმად სოფელ ხოზეთში მოიხსენიება სეხნია **თეგაძე.**

ამავე ძირისაა გვარები: **თეგაძისშვილი** და **თეგაშვილი.**

გადმოცემის მიხედვით, **თეგაძეების** გვარი თელავის რაიონის სოფელ თვალთოდან არის გადმოსული. მათი ადრინდელი გვარი შიშმანიაშვილი ყოფილა. ამ გვარის წარმომადგენლები დღესაც სახლობენ იყალთოში და ერთმანეთთან აქვთ მიმოსვლა. იყალთოს თეთრი გიორგის სალოცავში დღემდე დადიან სალოცავად შავსაყდრელი **თეგაძეები.**

საქართველოში 95 **თეგაძე** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 52, თბილისში – 40, გორში – 3.

**კოკაშვილი-კოკაია**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კოკა.**

1721 წელს საბარათიანოში, ბატონის მეფის სახასოში, მოიხსენიება ყაზარა **კოკაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **კოკაია, კოკაური, კოკელაშვილი, კოკელაძე, კოკიაშვილი, კოკილაური, კოკილაშვილი.**

საქართველოში 98 **კოკაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 40, რუსთავში – 34, მცხეთაში – 6. არიან სხვაგანაც.

642 **კოკაია:** მარტვილში – 357, სენაკში – 285.

**მამუკაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მამუკა.**

**მამუკაშვილი** მოიხსენიება ვარაზა გერმანოზაშვილის მიერ შერმაზან ყორღანაშვილისადმი მიცემულ საზღაურის წიგნში.

საქართველოში 1 444 **მამუკაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 512, გორში – 162, გარდაბანში – 151. არიან სხვაგანაც.

**გვარიძიშვილი**

წარმომავლობის მხრივ, იდენტურია გვარისა – **ბერიძიშვილი.**

საკუთარი სახელიდან წარმომდგარა გვარი **გვარაძე, გვარიძე.** ადგილმონაცვლეობისას, სხვა ადგილას გადასვლისას დაუწერიათ **გვარიძიშვილი**. ამის მაგალითებით სავსეა 1864 წლის შემდგომი წლები. შედარებისთვის: წიკლაური – წიკლაურიშვილი, ბერიძე – ბერიძიშვილი და ასე შემდეგ.

**გვარიშვილი** კი თავადური გვარია და დადეშქელიანებიდან იღებს სათავეს.

გვაქვს გვარი **გვარძიკი.** ეს აზნაურული გვარია სამეგრელოში.

საქართველოში 43 **გვარიძიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 26, საგარეჯოში – 17.

**ყულიშვილი-ყულოშვილი**

სიტყვა **ყულა, ყულია, ყულო** ინდოეთიდან მოდის. აზიის ზოგ ქვეყანაში ის მტვირთავს, ბარგის წამღებს ან, შავ მუშას ნიშნავს.

**ყულოშვილთა** სამშობლოდ ჩანს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე – საინგილო.

**ყულოშვილები** მართლმადიდებლური სარწმუნოების ქართველები არიან. **ყულოშვილთა** წინაპრები დღესაც საინგილოში, საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ერთი კომლი გადმოდის კახეთში. გურჯაანის რაიონში დასახლებულები **ყულიშვილებად** ჩაუწერიათ.

ასევე, **ყულ** ფუძითაა გაწყობილი გვარები: **ყულბაია, ყულეჯიშვილი. ყულიანცი** კი იგივე **ყულიაშვილი** უნდა იყოს.

**ყულიაშვილები** ქართველი აზნაურიშვილები არიან. ცხოვრობდნენ სოფელ ირაგაში, კოდაში, დმანისის რაიონში, გორში.

საქართველოში 61 **ყულიშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 38, დმანისში – 14, რუსთავში – 9.

83 **ყულოშვილი**: თბილისში – 48, რუსთავში – 11, ლაგოდეხში – 8. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# დიეტა სხეულის აგებულების ტიპების მიხედვით

*ალბათ, ქალბატონებმა იციან, რომ არსებობს სხეულის აგებულების 4 ტიპი: ბანანის, ვაშლის, მსხლის და ქვიშის საათის და თითოეულ ტიპს თავისი შესაბამისი დიეტა აქვს.*

***„ბანანი“*** (როდესაც მხრებისა და თეძოების სიგანე დაახლოებით ერთნაირია; მკერდი პატარაა, წელი კი გამოკვეთილი არ არის.

რაციონში აუცილებლად ჩართეთ სასარგებლო ცხიმები გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის. მეტი სიხშირით (კვირაში ორ-სამჯერ) მიირთვით მოხარშული თევზი, ზეითუნის ზეთი, საქონლის, ქათმის, ინდაურის მოხარშული ხორცი (უცხიმო), ზღვის პროდუქტები, პარკოსნები, ცეხვილი შავი პური, ხილი და ის ბოსტნეული, რომელიც არ შეიცავს სახამებელს.

სხეულს რომ მეტი მოქნილობა და ქალური სილუეტი შევძინოთ, აუცილებელია, კვირაში ორჯერ მაინც შეასრულოთ სპეციალური ვარჯიშები.

მენიუდან ამოიღეთ თეთრი პური, თეთრი ბრინჯი, კარტოფილი, ტკბილეული, გამაგრილებელი გაზიანი სასმელები.

„ბანანის“ მენიუს დღიური ნორმაა 2 000 კილოკალორია: ნახშირწყლები – 800, ცხიმები – 700, ცილები – 500.

***„ვაშლი“*** (მომრგვალებული სილუეტი; წელი გამოკვეთილი არ არის; სავსე მკერდი, მხრები და წელსქვემოთა ნაწილი):



მკაცრად აკონტროლეთ წონა. შეზღუდეთ ნახშირწყლების გამოყენება და გაზარდეთ უჯრედისით მდიდარი პროდუქტების მიღება.

ვარჯიშები: მინიმუმ კვირაში სამჯერადი 40-წუთიანი კარდიოვარჯიში – იოგა, სტრეტჩინგი.

გამოიყენეთ: „ნელი“ ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები (ხორბალი, წიწიბურა), მჭლე ხორცი, სასარგებლო ცხიმები. მოერიდეთ „სწრაფ“ ნახშირწყლებს (თეთრი პური, თეთრი ბრინჯი, კარტოფილი, ტკბილი, გაზიანი სასმელები, ტკბილეული; ხილიდან – ბანანი, ნესვი, ყურძენი).

„ვაშლის“ მენიუს დღიური ნორმაა 1 500 კილოკალორია: ნახშირწყლები – 600, ცხიმები – 525, ცილები – 375.

***„მსხალი“*** (ვიწრო მხრები; განიერი თეძოები, ვიწრო წელი; გამოკვეთილი დუნდულები; მსხვილი მუხლზემოთა ნაწილი; მომცრო მკერდი):

ასეთებს უჭირთ გახდომა, ამიტომ, საჭიროა ინტენსიური სპეციალური ვარჯიშები, სირბილი, ველოტრენაჟორი, ჰულა-ჰუპი. დიეტური სქემა კი უნდა შეადგინოთ ბევრი ცილისა და „ნელი“ ნახშირწყლების შემცველი პროდუქტებით.

გამოიყენეთ: მჭლე ხორცი, რძემჟავა პროდუქტები; თევზეულიდან – ქაშაყი, ორაგული; ბროკოლი, ცუკინი, გოგრა, მწვანე ვაშლი, ქლიავი, ალუბალი.

მენიუდან ამოიღეთ: „სწრაფი“ ნახშირწყლების შემცველი ნებისმიერი პროდუქტი, შაქრის მაღალი შემცველობის მქონე ხილი, სახამებლის შემცველი ბოსტნეული, ტკბილი სასმელები და დესერტები, კარაქი, თხილი და ნიგოზი.

„მსხლის“ დღიური ნორმაა 1 500 კილოკალორია: ნახშირწყლები – 750, ცხიმები – 374, ცილები – 375.

***„ქვიშის საათი“*** (მკერდისა და თეძოების გარშემოწერილობა – ერთნაირი; წვრილი წელი):

ამ ტიპის სხეულისათვის წონის შენარჩუნების საუკეთესო პროფილაქტიკაა სწორი კვება და ჰარმონიული ფიზიკური დატვირთვა, მაგალითად: იოგა, ცეკვები, აერობიკა.

გამოიყენეთ: კვერცხი, მჭლე საქონლის ხორცი, თხილი და ნიგოზი, ფოთლოვანი ბოსტნეული, უცხიმო რძის პროდუქტები, „ნელი“ ნახშირწყლები – ყავისფერი ბრინჯი, ცეხვილი შავი პური.

მენიუდან ამოიღეთ: შაქარი ნებისმიერი სახეობით.

„ქვიშის საათის“ დღიური ნორმა – 1 500 კილოკალორია, ნახშირწყლები – 600, ცხიმები – 525, ცილები – 375.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ (30 წლის) და ჩემი სახის კანიც მშვენიერ მდგომარეობაში იყო, მაგრამ, რამდენიმე თვეა, წარბებს შორის, შუბლზე და საფეთქლებზე გამოჩნდა საკმაოდ შესამჩნევი, ღრმა ნაოჭები. არადა, კანს ყოველთვის კარგად ვუვლი, არც ალერგიული ვარ. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს, ნუთუ კრემების?**

**პასუხი**: ასეთი ნაოჭების გაჩენა, მით უმეტეს, თქვენს ასაკში, შესაძლოა, იყოს არა კანის რეაქცია კრემებზე ან მოუვლელობის ბრალი, არამედ, რომელიმე დაავადების სიმპტომი, მაგალითად: საფეთქლებზე პარალელური ნაოჭები – კუჭ-ნაწლავის მუშაობის დარღვევის შედეგი შეიძლება იყოს; წარბებს შორის ნაკეცი – ცხვირის ღრუს ქრონიკული ანთების; შუბლზე პარალელური ნაოჭები მთელ სიგრძეზე – თირკმელების პრობლემაზე მიუთითებს, პერპენდიკულარული – ღვიძლის პრობლემებზე და ასე შემდეგ. ასე რომ, მიმართეთ ექიმს, გაიკეთეთ ანალიზები და ასე დაადგინეთ თქვენი ნაოჭების გაჩენის მიზეზები.

**კითხვა: რა სიხშირით არის რეკომენდებული სახის კანის გაწმენდა და რით ჯობია ამის გაკეთება?**

**პასუხი**: სახის კანის გაწმენდა საჭიროა ყოველდღე, დილას და საღამოს. ძილის წინ აუცილებელია, ჩამოიბანოთ კოსმეტიკა და მტვერი, დილით კი – ღამის პერიოდში გამოყოფილი ოფლი და ცხიმი. უმჯობესია, თუნდაც ხარისხიანი საპნის ნაცვლად (ის აშრობს და ჭიმავს კანს) გამოიყენოთ სპეციალური გელი, ქაფი, ლოსიონი ან კოსმეტიკური რძე, რომლებსაც აქვთ PH-ის ნეიტრალური დონე. არ შეიძლება კანის გახეხვის დონეზე გამშრალება უხეში პირსახოცით.

**კითხვა: თუ შეიძლება, მასწავლეთ, როგორ მოვუარო მოდუნებულ კანს, რომ სიმკვრივე და ელასტიკურობა აღუდგეს?**



**პასუხი**: სიმკვრივისა და ელასტიკურობის აღდგენის სისწრაფე და ხარისხი გარკვეულწილად, დამოკიდებულია თქვენს ასაკზე.

აუცილებელია: დილა-საღამოს გაიწმინდოთ კანი მცენარეული ნახარშებით ან მინერალური წყლით, გაიკეთოთ ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის ნიღბები; დილა-საღამოს მიიღოთ კონტრასტული შხაპი, ჩაიტაროთ მსუბუქი მასაჟი, გაიკეთოთ კომპრესი მცენარეულ თბილ ნაყენში დასველებული დოლბანდით, კვირაში ორჯერ გაიკეთოთ მკვებავი ნიღაბი, ხშირად იაროთ სუფთა ჰაერზე და მაქსიმალურად მოერიდოთ სტრესებს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ვინ გაძარცვა მოსკოვის „ცუმი“ და როგორ გაიტანა იქიდან 5 მილიონი მანეთი

*პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.*

**ზესაიდუმლო სკოლა**

ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე გასაიდუმლოებული სტრუქტურა „კაგებე“ იყო, თუმცა, 1962 წელს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „ჩანერგვის“ ზესაიდუმლო სკოლა, სადაც მილიციის საიდუმლო აგენტებს ამზადებდნენ. მათი მოვალეობა იყო, სხვადასხვა დანაშაულებრივ სტრუქტურაში ჩანერგვა და ხელმძღვანელობის ბრძანების შესრულება. ეს სკოლა „კაგებეს“ სტრუქტურებზე მეტად გასაიდუმლოებული იყო და მის შესახებ საზოგადოებისთვის მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ცნობილი.

**ჩანერგვის სპეცსკოლამ 30 წელი იარსება და მას მსოფლიოში არ ჰქონდა ანალოგი**

ჩანერგვის სკოლაში პედაგოგთა უმრავლესობას ყოფილი ბოროტმოქმედები შეადგენდნენ. ისინი კურსანტებს საფუძვლიანად ასწავლიდნენ შავი სამყაროს ტრადიციებს, ჩვევებსა და ადათ-წესებს. სკოლა მკაცრად იზოლირებული იყო და იქ შესვლა და იქიდან გამოსვლა უმკაცრესად კონტროლდებოდა. ამ დაწესებულებას პოლკოვნიკი გურამ მელაძე ხელმძღვანელობდა, რომელსაც თითქმის შეუზღუდავი ბიუჯეტი გააჩნდა. როგორც თანამედროვე ექსპერტები აცხადებენ, ამ უწყებას მთელ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნდა. მაშინდელი აგენტების ნაწილი დღესაც ცოცხალია, ზოგიერთი მათგანი კი კვლავ რუსეთის ხელისუფლებაზე მუშაობს.

ჩანერგვის სკოლა 24 წლის ნატალია იოსებიძემ 1973 წელს დაამთავრა და პირადად ასრულებდა მაშინდელი მინისტრის, ნიკოლაი შჩოლოკოვის დავალებებს, რომელსაც ჰქონდა გრიფი. ზესაიდუმლო ოპერაციას ეწოდებოდა „შავი მტრედი“. ამ ოპერაციის ზოგიერთი დეტალი დღემდე გასაიდუმლოებული ან ბინდით მოცულია და სიმართლის ტყუილისგან გარჩევა იოლი საქმე არ არის.

**შადრინის დაჯგუფება**

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა კატეგორიულად უარყოფდა საბჭოთა კავშირში ორგანიზებული დანაშაულის არსებობას, ამ უზარმაზარ ქვეყანაში საკმაოდ მძლავრი კრიმინალური დაჯგუფებები არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო სტეპან შადრინის ბანდა, რომელიც მოსკოვში მოქმედებდა და შეიარაღებული ძარცვით იყო დაკავებული. ეს ბანდა იმდენად დახვეწილად და კვალიფიციურად მოქმედებდა, რომ მილიცია მის კვალზე გასვლას ვერ ახერხებდა, რადგან, მათზე ძალიან მწირი ინფორმაცია გააჩნდათ. მათი მოღვაწეობის ნიშანდობლივი ფაქტი ის იყო, რომ შადრინის ბანდიტები უსისხლოდ მუშაობდნენ. ისინი შენიღბულები მოქმედებდნენ, კარგად იყვნენ ინფორმირებულები და ისევე სწრაფად უჩინარდებოდნენ, როგორც ჩნდებოდნენ. თავად სტეპან შადრინი კი, შეიძლება ითქვას, მითიური პიროვნება იყო, რადგან, მილიცია მას სახეზე არ იცნობდა. ვინმე პავლე კოტოვისგან მხოლოდ ის იცოდნენ, რომ კვალიფიციურ მძარცველთა ბანდას სტეპან შადრინი მეთაურობდა. პავლე კოტოვი ეგრეთ წოდებული საქმის მიმცემი, „ნაკოლშჩიკი“ იყო და ცნობილი იუველირის, მაქსიმ ოლეინიკის გაძარცვის საქმეზე იხდიდა სასჯელს. ოლეინიკი სწორედ შადრინის ბანდამ გაძარცვა, კოტოვზე კი ოლეინიკმა მიუთითა მილიციას და, „ნაკოლშჩიკი“ რომ დააკავეს, აღიარა, რომ ოლეინიკზე მან ვინმე ოლეგ სომოვს მისცა „ნაკოლი“ და სომოვისგანვე შეიტყო სტეპან შადრინის შესახებ. სომოვის ძებნამ არანაირი შედეგი არ გამოიღო, რადგან, მისი ზუსტი კოორდინატები მილიციას არ გააჩნდა და კვალი დაიკარგა.



პავლე კოტოვს ცხრა წელი ჰქონდა მისჯილი, ბუტირკის ციხეში იჯდა. დაპატიმრებიდან უკვე ექვსი თვე იყო გასული, ძარცვები კი კვლავ გრძელდებოდა. ამიტომ მილიციამ მრავალსვლიანი კომბინაცია დაგეგმა, რომ როგორმე შადრინის კვალზე გასულიყვნენ და მოუხელთებელი მძარცველები ხელში ჩაეგდოთ. ამ საქმით პირადად მინისტრი შჩოლოკოვი იყო დაინტერესებული, ოპერაციას კი პოლკოვნიკი ზაიცევი კურირებდა.

**გაქცევა**

პოლკოვნიკი ანტონ ზაიცევი ოპერაციების დაგეგმვის „ასად“ ითვლებოდა. მან დაწვრილებით შეისწავლა პავლე კოტოვის პიროვნება და ამის მიხედვით დაგეგმა ოპერაცია „შავი მტრედი“. კოტოვის ყველაზე დიდი სისუსტე იყო ლამაზი ქალები და, ამიტომ, ამ ოპერაციაში ზაიცევმა მთავარი როლი ქალს დააკისრა. სწორედ ამ მიზნით გამოიძახა მან თავის კაბინეტში ჩანერგვის სკოლის კურსდამთავრებული, უმცროსი ლეიტენანტი ნატალია იოსებიძე და საგულდაგულო ინსტრუქტაჟი ჩაუტარა.

გეგმის მიხედვით, ბუტირკის ციხის პატიმარი პავლე კოტოვი საეტაპო მანქანით 101-ე კილომეტრზე მდებარე კოლონიაში გადაჰყავდათ. როგორც კი მანქანა მოსკოვს გასცდა, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მდინარე მოსკოვში ჩავარდა. პატიმარმა მანქანიდან გამოაღწია. ტრასაზე ავიდა და შემხვედრი მანქანა გააჩერა, რომელსაც მოკლეკაბიანი ქალი მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ კოტოვს ამის დრო არ ჰქონდა, მან მაინც მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა გოგონას ლამაზ ფეხებს და კომპლიმენტი უთხრა.

– მოსკოვში მიდიხართ? – ჰკითხა გოგონამ კოტოვს.

– წამიყვანთ?

– თუ გაწყობთ, კი.

– თუ მაწყობს?

– დიახ. მანქანა მოპარულია. თუმცა, არც თქვენ უნდა იყოთ ანგელოზი. თუკი თქვენი ჩაცმულობით ვიმსჯელებთ, გაქცეული პატიმარი უნდა იყოთ.

– მასეა. წავედით, – უთხრა გოგონას კოტოვმა და თვალი ჩაუკრა მას. მძღოლმა კი ადგილიდან მოწყვიტა მანქანა და მოსკოვისკენ გააქანა.

მძღოლი გოგონა ნატალია იოსებიძე იყო, რომელიც კოტოვს ანა სემიონოვად გაეცნო. იმავე საღამოს კოტოვი ანასთან გადავიდა, რომ დამალულიყო, თუმცა, მან უარი უთხრა ინტიმურ კავშირზე და შეუბღვირა:

– მე მანქანების გამტაცებელი ვარ და არა ბოზი. უბრალოდ, ჩალიჩი მევასება და ყველაზე რისკიან საქმეზეც კი ვარ წამსვლელი. იცოდე, ქალწული ვარ და, თუ ხელებს დაიგრძელებ და ჩემს შეურაცხყოფას შეეცდები, ხელებსაც მოგაჭრი და სხვა რამესაც!

– კარგი, კარგი, დამშვიდდი, – ორივე ხელი ასწია კოტოვმა, – გასაგებია.

**გამოცდა**

პავლე კოტოვი ათლეტური აღნაგობის, 35 წლის სიმპათიური მამაკაცი იყო და ქალებს ძალიან მოსწონდათ. ანას ის თვალში მოუვიდა, თუმცა, მასთან რომანის გაბმას არ აპირებდა და, ხელმძღვანელობის დავალებით, სტეპან შადრინის ბანდაზე გასვლას ცდილობდა, თუ, რა თქმა უნდა, კოტოვს კავშირი ჰქონდა მათთან. ერთთვიანი ერთობლივი თანაცხოვრების შემდეგ კოტოვმა გოგონას უთხრა:

– გახსოვს, რომ მითხარი, ნებისმიერ რისკიან საქმეზე წავალო?

– მახსოვს.

– ჰოდა, ერთი საქმეა გასაკეთებელი და მძღოლი მჭირდება. წამოხვალ?

– რა თქმა უნდა, წამოვალ. რა საქმეა?

– ინკასატორი უნდა შევაყენო, ფულით სავსე ჩანთა წავართვა და უნდა გავიქცეთ. გაწყობს?

– რა თქმა უნდა, მაწყობს, ბევრნი ვიქნებით?

– მხოლოდ ჩვენ ორნი.

– ჩვენ ორნი?

– ჰო. რა, გეშინია?

– არა, მაწყობს.

– კარგი, მე წავედი. საღამოს მოვალ და დეტალებზე დავილაპარაკოთ, – უთხრა კოტოვმა ანას და დაემშვიდობა.

როგორც კი კოტოვი წავიდა, ანამ, იგივე ნატალია იოსებიძემ, ანტონ ზაიცევს დაურეკა, ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა და ჰკითხა:

– როგორ მოვიქცე, რას მირჩევთ?

– ვფიქრობ, რომ გცდის. რასაც გეტყვის, გააკეთე. ჩვენ იქვე ვიქნებით და თვალყურს გადევნებთ, – მიუგო ზაიცევმა იოსებიძეს.

სამი დღის მერე, მოსკოვში, მალაია ბრონნაიას კუთხეში მდებარე გასტრონომიდან გამოსულ ინკასატორს შეიარაღებული კოტოვი გადაუდგა წინ, პისტოლეტი მიუშვირა, ფულით სავსე ჩანთა წაართვა და გაიქცა. მძარცველი მოპარულ „ჟიგულიში“ ჩაჯდა, რომელსაც ანა

მართავდა და წყვილი იქაურობას გაეცალა. სახლში რომ მივიდნენ და ინკასატორის ჩანთა გახსნეს, იქ 16 ათასი მანეთი აღმოჩნდა.

– კარგი კუშია, – უთხრა ანამ კოტოვს, მან კი მიუგო:

– სულ მალე ბევრად მეტს ვიშოვით. შენ კი, ყოჩაღ, გამოცდა წარმატებით ჩააბარე.

**გრანდიოზული ძარცვა**

ანა და კოტოვი უკვე ოთხი თვე ცხოვრობდნენ ერთად. ამ დროის განმავლობაში კი შადრინის ბანდა ძარცვებს განაგრძობდა და მილიცია ძველებურად უძლური იყო მათ მიმართ. შჩოლოკოვს პოლიტბიურო სთხოვდა ბანდის აყვანას, მინისტრი კი პოლკოვნიკ ზაიცევს სთხოვდა პასუხს, თუმცა, კოტოვს არაფერი ეტყობოდა, რომ შადრინის ბანდასთან რამე კავშირი ჰქონდა და, ამიტომ, მისი ციხეში დაბრუნება გადაწყვიტეს. ზაიცევის ხალხს ოცდაოთხსაათიანი თვალთვალი ჰქონდა დაწესებული კოტოვზე. ერთ დღეს, როცა ის სახლიდან გავიდა, ზაიცევმა ანას დაურეკა და უთხრა:

– ნატა, ოპერაციას ვწყვეტთ. ოთხი თვე გავიდა და წინსვლა არაა. როგორც ჩანს, მას მართლაც არანაირი კავშირი არ აქვს შადრინის ბანდასთან და კოტოვს ციხეში ვაბრუნებთ.

– მოითმინეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო. კოტოვმა გასვლის წინ მითხრა, დიდ საქმეს ვამზადებო და, უნდა დაველოდოთ.

**ცოლ-ქმარი მხოლოდ 1996 წელს გამოჩნდა ავსტრალიაში, სადაც ისინი ბიზნესით იყვნენ დაკავებულები**

– კეთილი. კიდევ ოცდაოთხ საათს გაძლევ და, თუ წინსვლა არ იქნება, კოტოვს ციხეში ვაბრუნებთ.

– კარგი, შევთანხმდით, ამხანაგო პოლკოვნიკო!

კოტოვი შუადღეზე დაბრუნდა, ნატას გაუღიმა და უთხრა:

– როგორ ხარ, ანუშკა, მზად ხარ გრანდიოზული საქმისთვის?

– მე ყოველთვის მზად ვარ.

– მაშინ, ახლავე წავედით.

ისინი ხუთი წუთის მერე გამოვიდნენ სახლიდან, „ვოლგაში“ ჩასხდნენ, რომლის საჭესაც ამჯერად კოტოვი მიუჯდა და ანასთვის უცნობი მიმართულებით წავიდნენ. კოტოვმა ორსაათნახევარი იარა მოსკოვის ქუჩებსა და შესახვევებში, შემდეგ მანქანა მეტრო „ოქტიაბრსკაიასთან“ გააჩერა, ისინი მიწისქვეშა ტრანსპორტში ჩასაჯდომად ჩავიდნენ და მოთვალთვალეებმა მათი კვალი დაკარგეს. როდესაც წყვილი ძველ არბატზე ამოვიდა, იქ ტაქსიში ჩასხდნენ, სოკოლნიკებში მივიდნენ და მალე ერთ-ერთ ბინაში ამოყვეს თავი, კოტოვმა გოგონას გაუღიმა და უთხრა:

– ესეც ასე. „ცუმის“ გრანდიოზული ძარცვა განხორციელდა და ახლა შევგიძლია, ჩვენი ურთიერთობებიც გავარკვიოთ.

**სტეპან შადრინი, იგივე...**

„ცუმის“, იგივე მოსკოვის ცენტრალური უნივერმაღის ძარცვამ უზადოდ ჩაიარა, ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე: რვა შეიარაღებულმა მძარცველმა ინკასატორებს 5 მილიონ 300 ათასი მანეთი წაართვა და მიიმალა. სწორედ იმ დროს იმყოფებოდნენ სოკოლნიკის კონსპირაციულ ბინაში კოტოვი და ანა და კოტოვმა გოგონას უთხრა:

– თუ არ ვცდები, შენ ნატალია გქვია და შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობ, ხომ?

– რას ბოდავ, პაველ, – თქვა გოგონამ, კოტოვმა კი მაგნიტოფონის კასეტა ჩაურთო მას, რომელზეც პოლკოვნიკთან ტელეფონით საუბარი იყო ჩაწერილი და უთხრა:

– სახლიდან რომ გავდიოდი, მინი-დიქტოფონს ვტოვებდი ხოლმე ჩართულს და, საერთოდაც, თავიდანვე მივხვდი, რომ ჩემი გაქცევა მოწყობილი იყო და შენ კი შემოგდებული აგენტი იყავი. მე ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ შემეძლო შენგან ათესვა, მაგრამ, შემიყვარდი და ავირჩიე: ან ჩემთან ერთად წამოხვალ და ბედნიერად ვიცხოვრებთ, ან მარტო წავალ.

იმ დღეს, 1973 წლის 29 სექტემბერს, მთელი მოსკოვის მილიცია „ცუმის“ მძარცველებს ეძებდა, მხოლოდ მეორე დღეს მოიკითხეს ნატალია იოსებიძე, რომელიც უკვალოდ გაქრა კოტოვთან ერთად.

სტეპან შადრინი იგივე პაველ კოტოვი აღმოჩნდა, სინამდვილეში კი ნატალია იოსებიძის რჩეული 36 წლის გაიოზ ლორთქიფანიძე იყო, რომელიც ადრე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა, კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება შექმნა და დიდი ფულიც იშოვა.

ეგრეთ წოდებული შადრინის ბანდის ერთი წევრიც კი ვერ მოიხელთა მილიციამ, ოპერაცია „შავი მტრედის“ ჩავარდნას კი პოლკოვნიკი ზაიცევის კარიერა შეეწირა.

გაიოზი და ნატალია კი 1996 წელს გამოჩნდნენ ავსტრალიაში, სადაც ისინი მსხვილი ბიზნესით იყვნენ დაკავებულები.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**4 ნოემბერი**

1873 – დანტისტმა ჯონ ბირსმა დააპატენტა ოქროს კბილები.

1879 – ამერიკელმა ჯეიმს რიტიმ დააპატენტა პირველი სალაროს აპარატი.

1899 – გამოვიდა ზიგმუნდ ფროიდის წიგნი „სიზმრების ახსნა“.

1922 – ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა აღმოაჩინა ფარაონ ტუტანხამონის აკლდამა.

1939 – ჩიკაგოს ავტოშოუზე პირველად წარმოადგინეს ავტომობილი კონდიციონერით.

**5 ნოემბერი**

1967 – მოსკოვში მუშაობა დაიწყო „ოსტანკინოს“ ტელეანძამ.

2000 – ახალი მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში გახდა ვლადიმირ კრამნიკი.

**6 ნოემბერი**

1315 – ფლორენციის ხელისუფლებამ დანტე ალიგიერის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, თუმცა პოეტი ვერ შეიპყრეს.

1887 – პოლკოვნიკმა ჯაიკობ პიკმა დააპატენტა ელექტროწვერსაპარსი.

1941 – ამ დღეს ნაცისტური გერმანიის სამხედრო ნაწილები ყველაზე ახლოს იყვნენ მოსკოვთან.

1960 – ექსპლუატაციაში შევიდა კიევის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი.

**7 ნოემბერი**

1522 – დასრულდა ფერნანდო მაგელანის მოგზაურობა დედამიწის გარშემო (თუმცა თვით მაგელანი ამ ფაქტს ვერ მოესწრო. თვრამეტიოდე გადარჩენილი მეზღვაურით სევილიაში დაბრუნდა ხუან ელკანო).

1783 – უკანასკნელი აუტოდაფე – ესპანეთში დაწვეს ბოლო „ალქაჯი“.

1917 – ეგრეთ წოდებული „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“.

**8 ნოემბერი**

1519 – ევროპელებმა (ესპანელებმა ერნან კოსტერის მეთაურობით) პირველად იხილეს აცტეკების დედაქალაქი ტენოჩტიტლანი

1793 – ფრანგ მეფეთა სასახლე – ლუვრი, გადაკეთდა მუზეუმად.

1895 – ვილჰელმ კონრად რენტგენმა აღმოაჩინა მისივე სახელობის სხივები.

1923 – ნაცისტების „ლუდის პუტჩი“ მიუნჰენში, რის შედეგადაც ადოლფ ჰიტლერი ციხეში მოხვდა.

1966 – მსახიობი რონალდ რეიგანი აირჩიეს კალიფორნიის გუბერნატორად.

**9 ნოემბერი**

1799 – სამხედრო გადატრიალების შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა გენერალი ბონაპარტი.

1910 – პირველად წარმატებით გამოსცადეს ჩანთის გასაშლელი პარაშუტი.

1911 – ფრანგმა ჟორჟ კლოდმა დააპატენტა ნეონის ნათურა.

1981 – პირველად საჰაერო ბურთით გადაუფრინეს წყნარ ოკეანეს.

**10 ნოემბერი**

1885 – გერმანელმა კონსტრუქტორებმა – დაიმლერმა და მაიბახმა მათ მიერვე აწყობილი შიდაწვის ძრავა ველოსიპედზე დააყენეს. ასე „გაჩნდა“ მოტოციკლი.

1940 – უოლტ დისნეი გახდა ამერიკის კონტრდაზვერვის აგენტი.

1978 – გამოვიდა ლეონიდ ბრეჟნევის წიგნი „ცელინა“.

**მომღერალი გიორგი მახარაშვილი მაყურებელს ჯერ კიდევ „ჯეოსტარიდან“ ახსოვს, როდესაც 16 წლის მაღალმა, გამხდარმა, გაბურძგნილმა, ძალიან საყვარელმა ბიჭმა ერთდროულად ყველა ასაკის მაყურებელი მოხიბლა. ახლა გიორგი 21 წლის არის – კიდევ უფრო მეტად გაზრდილი და, როგორც თავად ამბობს, დადინჯებული. ის ცოტა ხნის წინ, გარკვეული პაუზის შემდეგ, მაყურებლის წინაშე უკვე „ახალი ხმის“ ბრმა ქასთინგზე წარდგა და თავისი ლამაზი ხმით კიდევ ერთხელ შეძლო როგორც მწვრთნელების, ისე მაყურებლის მოხიბვლა.**

# რის ამოჩემება იცის გიორგი მახარაშვილმა და რის „გაიასნებას“ სთხოვდა მას მაია დარსმელიძე

**გიორგი მახარაშვილი**: ასე თუ ისე, ვმღეროდი, თუმცა, სხვა რაღაცეებზე უფრო ვიყავი გადართული. ვერც იმას ვიტყვი, რომ სწავლით ვიკლავდი თავს, თუმცა, ახლა მეოთხე კურსზე ვარ არქიტექტურულ ფაკულტეტზე და ჩვეულებრივად ვსწავლობ. ერთი პერიოდი ხატვასაც შევეშვი, ფოტოგრაფიასაც. ალბათ, თბილისში ისეთი არაფერი ხდებოდა, რომ გამოვჩენილიყავი, მემღერა. ძირითადად, მეგობრებზე და გოგონებზე ვიყავი გადართული, არც მემღერებოდა. არა, როგორ არ მემღერებოდა, ყოველდღე ვმღეროდი, უბრალოდ, სახალხოდ აღარ ვმღეროდი. ამოჩემება ვიცი ხოლმე: როცა რაღაცას ამოვიჩემებ, სხვა, ანუ, მეორე რამეს აღარ ვაქცევ ყურადღებას.

**– გოგონების ამოჩემებაც იცი?**

– ამოჩემება არა, უფრო გადართვა ვიცი. ერთ ადამიანზე თუ გადავერთე, მერე მასზე უაზროდ ვარ გადართული, ისევე, როგორც ნებისმიერ რაღაცაზე. ამ დროს აღარ მადარდებს, სად წავალ, რას შევჭამ; სამაგიეროდ, ერთი სული მაქვს, გავიღვიძო, გავიქცე, მერე კი იმიტომ დავიძინო, რომ ისევ გავიღვიძო და იქ გავიქცე.

**– გოგონებთან მიდგომის ხერხები შეგეცვალა?**

– გოგონების მიმართ მიდგომის ხერხებიც შემეცვალა. ადრე რაზეც ბევრს ვფიქრობდი, გავაკეთო თუ არა-მეთქი, ახლა პირდაპირ გავხდი, მაგრამ, გემოვნება არ შემცვლია – ოდრი ჰეპბერნი მომწონდა და ახლაც მომწონს. ყოველთვის შავგვრემანი გოგონები მომწონდა და ახლაც ასეთები მომწონს, უბრალოდ, გემოვნება უფრო მეტად დამეხვეწა. ადრე მრცხვენოდა – ვიღაცას როგორ ვუმღერებდი, მაგრამ, ახლა ყველგან გიტარით დავდივარ. საბარგულში მიდევს და, სადმე რომ მივდივარ, ან თან შემაქვს, ან, ველოდები მითხრან: გიტარა ხომ არ გაქვს? აა, მაქვს, – და მერე ვიწყებ სიმღერას.



**ადრე მრცხვენოდა – ვიღაცას როგორ ვუმღერებდი, მაგრამ, ახლა ყველგან გიტარით დავდივარ. საბარგულში მიდევს და, სადმე რომ მივდივარ, ან თან შემაქვს, ან, ველოდები, მითხრან: გიტარა ხომ არ გაქვს? აა, მაქვს, – და მერე ვიწყებ სიმღერას**

**– მათთვის სპეციალური რეპერტუარიც ხომ არ გაქვს?**

– არა, რაც გამიხარდება, იმას ვმღერი. თუ მეტყვიან, შენი ნამღერი ეს სიმღერა მიყვარსო, ვუმღერებ – არ არის პრობლემა.

**– ახლა გადაწყვიტე, რომ „ახალი ხმით“ შეახსენო ხალხს თავი?**

– შარშანაც მინდოდა ამ პროექტში მონაწილეობა, მაგრამ, არ გავედი. წელს, მახსოვს, ზესტაფონში მივდიოდით კონცერტზე და „მარშრუტკაში“ ვიღაცამ თქვა, „ახალი ხმის“ რეგისტრაცია დღეს მთავრდებაო. „მარშრუტკიდან“ დავრეგისტრირდი. შემდეგ დამირეკეს და გავედი, იმედია, გავაგრძელებ და გავაგრძელებ.

**– ამდენწლიანი პაუზის შემდეგ სულ სხვა გიორგი მახარაშვილი წარდგა მაყურებლის წინაშე – გაზრდილი როგორც ფიზიკურად, ასევე, როგორც მომღერალი.**

– მიუხედავად იმისა, რომ არსად მივლია, პედაგოგი არ მყოლია, მეც ვფიქრობ, რომ გავიზარდე. „ჯეოსტარის“ ვიდეოებს არ ვუყურებ, თუმცა, შეიძლება, იმ დროს სწორად ვმღეროდი, დეტონაციები არ მქონდა, მაგრამ ხმა მქონდა სხვანაირი. ახლა უფრო დამჯდარი ხმა მაქვს და, როცა ახლა ვმღერი, თვითონაც მსიამოვნებს მოსმენა. მაგრამ, ასე თუ გავაგრძელე ხმის დაბოხება, ერთ ათ წელიწადში, შეიძლება, ვიგუგუნო. სულ ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, რომ „ვოისის“ პირველი ტური ძალიან მომწონს: არ იციან, ვინ დგას, მერე უცებ გიტრიალდებიან და იქვე იგებ, ვის მოეწონე და ვის – არა. იმის მუღამი მქონდა, რომ მწვრთნელები შემომეტრიალებინა, თუმცა, ეს სიმღერაშიც გიშლის ხელს – რომ მღერი და გიტრიალდებიან, გიხარია და, ამ გახარების მომენტში, შეიძლება, რაღაც „გაგივარდეს“. სიმღერის პირველი ნახევარი ოქტავით ქვემოთ ვიმღერე, ამიტომ, იმედი მქონდა, ეს მოეწონებოდათ და, მერე, ზევით რომ ავიდოდი, მერე ეს გააკვირვებდათ.

**– მაია დარსმელიძემ გითხრა: ჩემთან წამოსვლას ზუსტად იმის გამო გთავაზობ, რის გამოც ჩვენ ერთ-ერთ პროექტში უთანხმოება გვქონდა, არ გეთანხმებოდი და ახლა ეს ყველაფერი „გავაიასნოთო“. რას გულისხმობდა?**

– იყო ასეთი პროექტი – „მე მიყვარს საქართველო“, სადაც ჩემი დაწერილი სიმღერა ვიმღერეთ მე, სალომე ქათამაძემ და დათო ლონდარიძემ. ზუსტად არც მახსოვს, მაშინ რა მოხდა და ახლა არც აქვს ამას მნიშვნელობა, მე და მაია უკვე დავძმაკაცდით, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ამას მაყურებელი ნახავს მომავალში.

**– შენი აზრით, ეს პროექტი რაში დაგეხმარება?**

– როდესაც „ჯეოსტარში“ გამოვედი, მაშინ 16 წლის ვიყავი, კარგი იყო ის, რაც მაშინ გავაკეთე და ბევრ რამეშიც დამეხმარა. რაც შეეხება „ვოისს,“ აქ დიდ გამოცდილებას მივიღებ. რეპეტიციებზე დიდ გამოცდილებას ვიღებ, რადგან, სულ ბენდთან ერთად ვრეპეტიციობ და შენიშვნებს პირდაპირ გეუბნებიან. არ მინდა, რომ გავჩერდე, მინდა, უფრო წინ წავიდე. უცხოეთში მინდა წასვლა. ადრეც ვაპირებდი, მაგრამ, ვერაფერი გავაკეთე. ჯერ სასწავლებლად მინდოდა წასვლა ჩემი პროფესიით, მაგრამ, ვერ წავედი, შემდეგ – სიმღერის კუთხით, მაგრამ, ხან ფული არ მეყო, ხან იქაური ენა არ ვიცოდი, სადაც უნდა წავსულიყავი და, საბოლოოდ, დავანებე თავი. იმედია, ახლა წავალ სადმე.

**მანქანით სწრაფად სიარულს ვერ გადავეჩვიე. კარგი მძღოლი ვარ, მაგრამ, მხოლოდ ახლო მეგობრები მისხდებიან, სხვები – არა. ან, ერთხელ ვინც ჩამიჯდება, მეორედ აღარ რისკავს**

**– რატომ აღარ ხატავ? მახსოვს, წლების წინ შენს გამოფენაზე ვიყავი და ძალიან მომეწონა შენი ნახატები.**

– იმ გამოფენის შემდეგ კიდევ ვხატავდი, მაგრამ, დაახლოებით წელიწად-ნახევარია, არ დამიხატავს და, სიმართლე გითხრა, ძალიან მწყდება გული. ფუნჯებსაც ვყიდულობ, ვყიდულობ და სახლში ვაწყობ. იცი, რამდენი რამ მაქვს სახლში? – პიკასოს შეშურდებოდა. ძალიან ბევრი თავისუფალი დრო მრჩება, მაგრამ, ჩემი სამეგობრო ისეა მოწყობილი, თუ გვაქვს თავისუფალი დრო, ესე იგი, ერთად ვართ და, შესაბამისად, თავისუფალი დროც აღარ გვაქვს. სახლში იმ დროს მივდივართ, როცა უნდა გაითიშო, დაიძინო. ვიღვიძებ და მერე ისევ ერთად ვართ. ჩემს მეგობრებთან ერთად რომ დავჯდე და დავხატო, საშინელება მოხდება.

**– აღარც ფოტოებს იღებ, არადა, სახლში მშვენიერი ფოტოსტუდია გაქვს.**

– მაქვს, მაგრამ, ფოტოაპარატი გამიფუჭდა. სხვა აპარატურა დგას, მაგრამ, აღარ ვიყენებ. ძირითადად, ნატურმორტებს ვიღებდი და სარეკლამო ფოტოგრაფიაში ვმუშაობდი. ფეშენ-ვიქებზეც დავდიოდი, იქ ხან რაღაცის, ხან კიდევ, ვიღაცის გამო ვიღებდი ფოტოებს, ბოლოს თავი დავანებე.

**– რით განსხვავდება 16 წლის ჯეოსტარელი გიორგი, 21 წლის გიორგისგან?**

– მაშინდელ კი არა, შარშანდელ რაღაცეებს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, მაშინ ამას როგორ ვაკეთებდი და ახლა როგორ ვაკეთებ. გავიზარდე აშკარად. ახლაც ვარ ფეთქებადი ხასიათის, მაგრამ, უფრო მეტის მოთმენა შემიძლია. რაც ვიზრდები, უფრო მეტად ვდინჯდები, თუმცა, დედაჩემი მეუბნება: შენ რა დაგადინჯებსო. ერთია, მანქანით სწრაფად სიარულს ვერ გადავეჩვიე. კარგი მძღოლი ვარ, მაგრამ, მხოლოდ ახლო მეგობრები მისხდებიან, სხვები არა; ან, ერთხელ ვინც ჩამიჯდება, მეორედ აღარ რისკავს. სიჩქარე ძალიან მიყვარს, მაგრამ, ბოლოს ისეთი რამ დგვემართა, იმის მერე მეგობრებს აღარ გაგვივლია ჩქარა.

**– ძალიან რთულ პერიოდში მოგიწია ამ პროექტში მონაწილეობა. „ბრმა ქასთინგზე“ ყველასთვის საყვარელი ტყუპები, შენი მეგობრები, ირაკლი და და ლაშა ღუღუნიშვილები შენ გვერდით იყვნენ, მაგრამ, სწორედ იმ დღეს, როდესაც ეს ჩანაწერი ეთერში გავიდა, ირაკლი დაკრძალეთ – ეს ენით აუწერელი ტრაგედიაა და ირაკლის ოჯახს კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ.**

– რაღაც პერიოდში ვაპირებდი პროექტიდან წამოსვლას, მაგრამ, ყველამ მითხრა, არ გამოხვიდეო. ძალიან ცუდია, რომ, იმას, რაც ერთად დავიწყეთ, ველარ ვაგრძელებთ... ალბათ, მერე და მერე, სხვა ტურებში უფრო მეტად გამიჭირდება. ამ პროექტში ჩემი ყველა გამოსვლა სწორედ ირაკლის ეძღვნება...

**ნათია უტიაშვილი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჯიპ გრანდ ჩეროკი", 4.0 ძრავით, 2000 წლის. ამ ავტომობილის პლუსები და მინუსები მაინტერესებს. ასევე, გადაცემათა კოლოფის გვერდით აქვს მეორე ბერკეტი, რომელსაც ზემოდან აწერია ასოები. იქნებ განმიმარტოთ ამ ასოების მნიშვნელობა?**

**პასუხი:** „გრანდ ჩეროკის" პლუსია, რომ ძრავის ნომინალური სიმძლავრე დაბალ ბრუნებზეც კი მაღალია. შესაბამისად, მას შეუძლია, სხვადასხვა დაბრკოლება ინერციის გარეშე გადალახოს. ამ თვისების გამო მას შეუძლია, ასევე საკმაოდ აგრესიულად და სხარტად დაიძრას ადგილიდან. რაც შეეხება მინუსებს, „ჩეროკი" მკვეთრ მანევრებში საკმაოდ სუსტია. ხშირად გამოდის მწყობრიდან სხვადასხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი დეტალი. მოიხმარს საკმაოდ ბევრ საწვავს და თუ ძალიან უსწორმასწორი გზაზე კარგად გრძნობს თავს, სუსტია უმნიშვნელო უსწორმასწორობასთან ბრძოლაში. ანუ, თუნდაც საშუალო სიჩქარით სიარულის დროს, ოდნავ უსწორმასწორო ზედაპირზე გადასვლისას, ავტომობილი იწყებს ძაგძაგს და თითქმის უმართავი ხდება. რაც შეეხება, გადამრთველებს, რომელიც სიჩქარეების გადამრთველის გვერდითაა, მასზე დატანილი წარწერები ნიშნავს შემდეგს: როდესაც ბერკეტი სულ წინ არის მიწეული (2H), ეს ნიშნავს, რომ ავტომობილი მხოლოდ ერთ ღერძს იყენებს გადაადგილებისთვის, შესაბამისად, გაცილებით ეკონომიურია, ნაკლებად ცვეთს მბრუნავ დეტალებს. მაგრამ უგზოობის დროს დიდია ალბათობა, დაბუქსავდეს. ერთი პოზიციით ქვემოთ (4H), იმის ნიშანია, რომ ავტომობილი ოთხივე წამყვანის რეჟიმზე გადავიდა ანუ ორივე ღერძი მოქმედებაში მოვიდა. ამ პოზიციაში სიარული მიზანშეწონილი არ არის კარგი გზის პირობებში, რადგან დამატებით ცვეთს მბრუნავ დეტალებს და მეტი სიმძლავრის მოთხოვნის გამო, უფრო მეტ საწვავს მოიხმარს. მაგრამ, რა თქმა უნდა, უგზოობის დროს გაცილებით კარგად გრძნობს თავს. ალბათობა იმისა, რომ ავტომობილი დაბუქსავდება, ძალიან მცირეა. კიდევ ერთი პოზიციით ქვემოთ (N), არის აბსოლუტური ნეიტრალი. მიუხედავად იმისა, ავტომობილს სიჩქარეში ჩააგდებთ თუ არა, ის არ დაიძვრება. კიდევ ერთი პოზიციით ქვემოთ – (4L) ავტომობილი ოთხივე წამყვანია, თან შენელებული და გაორმაგებულად გაძლიერებული. არსებობს „ჩეროკის" ვერსიები, სადაც ორ წამყვანსა და ნეიტრალს შორის კიდევ ერთი პოზიციაა დამატებული, ეგრეთ წოდებული „ოთხი ოთხზე". ამ პოზიციაში წინა და უკანა ღერძს – ორივეს ნაწილობრივ იყენებს, იმის მიხედვით, თუ რომელი სჭირდება. მაგრამ, ამ შემთხვევაში, გადამრთველ ბერკეტთან უნდა ეწეროს: 4 part time. ასევე არსებობს ვერსია, რომელსაც ორწამყვანად გადაქცევა არ შეუძლია და მხოლოდ სამი პოზიცია აქვს. წინ ყოველთვის ოთხივე წამყვანია, შუაში ნეიტრალი, უკან ოთხივე წამყვანი, თან გაძლიერებული.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „სუბარუ ფორესტერი". კომპიუტერზე შევაერთებინე და დიაგნოსტიკაზე მიჩვენა, რომ დეტონაციის სენსორი მწყობრიდანაა გამოსული. სად დგას ეს დეტონაციის სენსორი, რას აკეთებს, რამდენად მნიშვნელოვანია მისი შეცვლა? ხელსაწყოების დაფაზე არც ერთი ნიშანი არ ინთება და ავტომობილიც ჩვეულებრივად დადის.**

**პასუხი:** დეტონაციის სენსორი, ეს არის მოწყობილობა, რომელიც კომპიუტერს ინფორმაციას აწვდის, რამდენად სუფთად ხდება წვა ავტომობილის ძრავაში. ამის მიხედვით, კომპიუტერი განსაზღვრავს, რა დოზით მიაწოდოს საწვავი ძრავას და რა რეჟიმით შეცვალოს ნაპერწკლის მიწოდება. ანუ, საწვავის ხარისხიდან გამომდინარე, კომპიუტერი ცდილობს, მიიღოს მაქსიმალური ეფექტი და ძრავაში არ მოხდეს დეტონაცია, რაც ძრავის დეტალების დაზიანებას იწვევს. უკეთ აღქმისთვის, თუ რა არის დეტონაცია – ეს არის წკრიალის ხმა. რასაც ცუდი საწვავის ჩასხმისას, „კლაპნების ხმას" ვუწოდებთ. ზემოჩამოთვლილიდან გამომდინარე, ავტომობილი სრულად, ან ნაწილობრივ ავარიულ რეჟიმში იმუშავებს. შესაბამისად, როგორც მინიმუმ, უფრო მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე მოიხმარდა. ანუ, ამ სენსორის გამოცვლა კარგი იქნებოდა. რაც შეეხება იმას, თუ სად არის განთავსებული – სენსორი ძრავას ქვედა ნაწილის უკანა მხარესაა. ის უბრალოდ ერთი ჭანჭიკითაა („ბოლტით") მიმაგრებული ძრავას ქვედა ნაწილზე. მისი მოხსნის დროს არც წყალი დაიღვრება და არც ზეთი. ამიტომ, ეს არ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჰონდა სიარვი", 1997 წლის გამოშვება, ამერიკული. დამიზიანდა, ეგრეთ წოდებული, „კრესტავინა" და ამის გამო, მთხოვენ, მთელი ღერძის შეცვლას. აუცილებელია თუ არა ეს?**

**პასუხი:** ვინაიდან „ჰონდა სიარვის" „კრესტავინა" ცალკე დეტალად არ იყიდება, მოგიწევთ მისი მთლიანი გამოცვლა. ამის მიზეზია ის, რომ „კრესტავინას" არაზუსტი, არაიდეალური ჩასმის შემთხვევაში ავტომობილი იძიგძიგებს. ამიტომ „ჰონდა" თავს იზღვევს და ცალკე ამ დეტალს არ უშვებს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „პაჯერო იო", 2.0, „გედეი" ძრავით, რომელიც ძალიან ბევრ საწვავს მოიხმარს, დაახლოებით, 10 ლიტრს 60 კილომეტრზე. კომპიუტერზე შემოწმებამ არანაირი პრობლემა არ აჩვენა. „ბენზონასოსი" და ყველა სხვა დანარჩენი დეტალი ისე მუშაობს, როგორც საჭიროა. ხელოსნებმა მითხრეს და შევცვალე სანთლები, ჰაერის ფილტრი და არაფერმა არ უშველა. აღსანიშნავია, რომ გაწევაც უჭირს, განსაკუთრებით აღმართზე. 100 კილომეტრ-საათში სიჩქარეზე 3 000 ბრუნზე აწევაც კი უჭირს. რა შეიძლება იყოს ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი?**

**პასუხი:** ეს „მიცუბიშის გედეი" სისტემის სტანდარტული პრობლემაა, მისი მუდმივი თავის ტკივილი, რომლის მოგვარებაც საქართველოში თითქმის შეუძლებელია. მაგრამ, რომ გამოვრიცხოთ თვითონ „გედეი" სისტემის დეფექტი, გადაამოწმებინეთ ძრავა. კერძოდ, ზუსტად ზის თუ არა ძრავაზე, ეგრეთ წოდებული, „მეტკები". ანუ, ყველა „შკივი" არის თუ არა იმ პოზიციაში, სადაც უნდა იყოს.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



ესტონეთის ცნობილი საკალათბურთო გუნდი
საპყრობილე
ავტორის შენიშვნა პიესის ტექსტში
კანაფი, ბაწარი | ბერძნულ ანბანშია
სხეულის მანილი
ყოველ მდინარეს აქვს
მდედრობითი სქესის ერთი წარმომადგენელი მეორისთვის
ძვირფასი ქვა
ილიკო ჩიგოგიძე პროფესიით
წარმომადგენელი ყრილობაზე
კათოლიკეთა წინამძღვარი ქალი
ჯარი, არმია (ძველად)
ფართობის საზომი ერთეული
ძროხის ნაშიერი
კამათი
ამირანის დედა
კვიცის მოსახსენიებელი სიტყვა
არის ასეთი ლექსი
არსაკიძის მეტსახელი
ქარიშხალი
ნორვეგიელი კომპოზიტორი
გრამატ. კავშირი | სანონი
არის ასეთი ძურძელი
ადვილი ანუ?
უფერო ქიმიური აირი
გაზი - ქართულად
ქიმიური ელემენტი, ლითონი
„კარგი“ (მეგრ.) | (......) ლენონი
საგანგებო ციფრები ერთად
არის ასეთი ბალახი | შხამი
პატარა ფრინველი | მსხალი
არის ასეთი სახელი ქალის
სუსტი ქარი
ზოგჯერ ასეთი ფერია ცა
ზოგი თვითმფრინავი
1:0 ნარდში
საზეინკლო იარაღი
ინგლისელის ნათესავი
(........) რივზი | ბევრის მცოდნე | შაქრის დაბა
რუსი მომღერალი ლადა....
ცხენთა თამაში
თავშიც არის და ზურგშიც
ქალის სახელი | ქალაქი ავსტრალიაში
ესენინის ცოლი | ამერიკელი მილიონერი
რუსი პოეტი
ნამდვილი | ხალხი
საკომუნიკაციო საშუალება | ორგანიზმის გამაძლიერებელი
ტაჯიკი მწერალი | თევზსაჭერი
ხელოვნური ადამიანი
ევროპის ქვეყანა | ქალაქი რუსეთში
ტურნირის ნაწილი | სკანდინაველი
კინორეჟისორ რაიზმანს ერქვა
პატარა ხაზი | ცოლის დედა
„შვილი, ბავშვი“ ინგლისურად
აზიის ქვეყანა | ჩექმის ზედაპირი
ბანქოს თამაში | არის ასეთი ჯიში ვაშლისა
პიროვნების.... | იტალიის ქალაქი
კომპიუტერული ერთეული
არის ასეთი ხე | მეორე ნოტი
არეულობის მომხრე
დ'არტანიანი არის.. | ხევისბერი....
აშშ-ს ქალაქი (......)-ველი
ძლიერი
აშარი, ბოროტი
მადაგასკარის მაიმუნი
ცეცხლის ენა
ბილიარდის ჯოხი | მუხის ნაყოფი
საახალწლო დანიშნულების მცენარე
გერმან. ფილოსოფოსი | გადადექი!
ფრანგი მხატვარი | სასროლეთი
აღარ არის!
საკლასო ინვენტარი
დედის და მამის სხვა შვილი
ისლამის წმინდა ქალაქი
რუმინული ფული
ერთიანი ნარდის კამათელზე

Column clues (top to bottom):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | |
| | | | | | | 3 | 8 | 8 | | | | | | | | | | | | | | 3 | 3 | | | | | | |
| | | | | | 2 | 6 | 3 | 3 | 3 | | | | | | | | | 14 | | | | 5 | 3 | | | | | | |
| | | | | | 3 | 2 | 2 | 3 | 12 | 16 | | | 3 | 7 | 9 | 10 | 12 | 4 | 15 | 5 | 4 | 2 | 1 | | | | | | |
| 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 5 | 6 | 18 | 16 | 13 | 12 | 11 | 10 | 8 | 1 | 2 | 17 | 14 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 |

Row clues:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 6 |
| | | 2 | 2 | 9 |
| | | 1 | 1 | 9 |
| | | 1 | 1 | 8 |
| | | | 4 | 8 |
| | | | 4 | 7 |
| | | | 6 | 7 |
| | | | 6 | 7 |
| | | 1 | 5 | 7 |
| | | | 8 | 7 |
| | | | 8 | 7 |
| | | | 8 | 6 |
| | | | 6 | 6 |
| | | | 11 | 4 |
| | | | 12 | 4 |
| | | 1 | 9 | 4 |
| | | | 7 | 4 |
| | | | 8 | 4 |
| | | | 10 | 3 |
| | | | 11 | 2 |
| | | | 11 | 4 |
| | | | 10 | 3 |
| | 6 | 9 | 3 | 5 |
| 3 | 4 | 11 | 3 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 3 | 1 | | | 2 | 8 | 4 |
| 5 | | 2 | | 4 | | 1 | 3 | |
| | 4 | | 3 | | 2 | | | 9 |
| 3 | 1 | | 4 | | 7 | | | 2 |
| | 8 | | | 1 | | 6 | 7 | 5 |
| 7 | 9 | | 2 | 8 | | | 1 | 3 |
| | | 8 | 5 | 2 | | | 4 | 7 |
| 4 | 5 | | | 9 | | | 2 | 1 |
| 1 | | | 7 | 3 | 4 | 5 | | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 9 | | 3 | | 7 | | 4 |
| 3 | 7 | | | | 6 | | | |
| | | 1 | | 7 | | | 3 | 6 |
| 1 | 4 | | | 6 | | | | |
| | | 7 | | | 4 | | 9 | 1 |
| 9 | | 2 | | | | | | 8 |
| | 2 | | | | | | | 5 |
| | | | | 4 | | | | 9 |
| | | | 6 | | | 3 | 4 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. კვერცხის ქუდის ფორმით დაიწყეთ გრუს ხატვა

2. მიახატეთ თვალი, ყური და პირი

3. მიახატეთ კაშნე

4. თავს მიახატეთ ტანი

5. გამოკვეთეთ გრუს პალტო

6. კაშნე გააფორმეთ და ფეხებიც აქ დაგავიწყდეთ

7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## იპოვე განსხვავებული ფიგურა



# ლერწამი და ზეთისხილი

## (იგავ-არაკი)

ლერწამმა და ზეთისხილმა მოთმინებაზე, ძალასა და სიდინჯეზე წამოიწყეს დავა. ზეთისხილი ლერწამს დასცინოდა: უსუსური ხარ, ქარი თავის ნებაზე გაქანავებსო. ლერწამი დუმდა და არაფერს ამბობდა. გავიდა ცოტა ხანი და გრიგალი ამოიჭრა. ლერწამი დაიზნიქა, მოიხარა და ადვილად გადარჩა. ზეთისხილი კი წელმოუდრეკლად რომ იდგა, გრიგალმა დალეწა.

ძლიერი ისაა, ვინც თავისზე ძლიერს არ ებრძვის და არა ის, ვინც თავისზე ძლიერს ეჭიდება.

## რიცხვრებუსი

,,1, ,,,5 5,,, 10,,



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **მაინტერესებს, რა შემთხვევაში უნდა ჩაუტარდეს ძაღლს სტერილიზაცია?**

**პასუხი**: სტერილიზაცია აუცილებლად უნდა ჩაუტაროთ იმ ცხოველებს, რომლებისგანაც არ იგეგმება შთამომავლობის მიღება; ასევე, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების განვითარების რისკის შემცირებისა და რეპროდუქციული სისტემის პათოლოგიების განვითარების შემცირების მიზნით. გაითვალისწინეთ, რომ პროფილაქტიკა გაცილებით ადვილია, ვიდრე შემდგომი მკურნალობა. გარდა ამისა, აუცილებელია, სტერილიზაცია ჩაუტაროთ ისეთ ცხოველებს, რომლებიც, დამაკების შემთხვევაში, ვერ შეძლებენ მაკეობის ნორმალურად გადატანას და მშობიარობას იმ მიზეზით, რომ მათ აქვთ რაიმე ისეთი თანდაყოლილი ან შეძენილი დაავადება, რომელიც ხელს შეუშლის აღნიშნულში. ესენია: მენჯბარძაყის სახსრის დისპლაზიები, მენჯის ძვლის მოტეხილობა და ასე შემდეგ. სტერილიზაცია ასევე აუცილებელია აგრესიული და ავი ცხოველების პირადი უსაფრთხოების და გარშემო მყოფი ადამიანების უსაფრთხოების მიზნით. გახსოვდეთ, ოპერაციის წინ საჭიროა, პატრონმა იცოდეს, რომ, საკვერცხეებთან ერთად, სასურველია საშვილოსნოს ამოღებაც. პატრონი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი ცხოველის მიმართ და იცოდეს, რომ არსებობს ანესთეზიოლოგიური რისკი, რადგან, აღნიშნული ოპერაცია ზოგადი ანესთეზიით კეთდება.

**კითხვა**: **როგორ გავუწიოთ ცხოველს პირველადი დახმარება ინტოქსიკაციის დროს?**

**პასუხი**: ასეთ დროს სასწრაფოდ უნდა მიიყვანოთ ცხოველი ვეტერინართან. ვეტერინართან მიყვანამდე აუცილებელია, მოაშოროთ ინტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზები: ამოურეცხოთ კუჭი, გაუკეთოთ ოყნა; სასურველია, მისცეთ დიდი რაოდენობით სითხე და ნახშირი. მკურნალობის პროცესში აუცილებელია, დაალევინოთ საგულე საშუალებები, ელექტროლიტები, ვიტამინები და სპეციფიკური ანტიდოტები – შხამის საწინააღმდეგო პრეპარატები, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია ინტოქსიიკაციის გამომწვევ ტოქსინზე. უნდა მიეცეს, ასევე, გლუკოზა და ვიტამინები, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში – კორტიკოსტეროიდები. ინტოქსიკაციის საწინააღმდეგოდ ყველაზე კარგი საშუალებაა მისი პრევენცია, ანუ, უნდა გაუფრთხილდეთ, მოარიდოთ თქვენი ოთხფეხა მეგობრები საყოფაცხოვრებო ქიმიასთან ურთიერთობას. ასევე, არ უნდა მისცეთ საეჭვო საჭმელი და განსაკუთრებით სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ სხვადასხვა საწამლავის გამოყენების დროს, კერძოდ, არ უნდა დადოთ თაგვის, ტარაკნის, ჭიანჭველებისა და სხვა სახის საწამლავები მათთვის მისაწვდომ ადგილას.

**კითხვა**: **მაინტერესებს, არის თუ არა დამოკიდებული ძაღლის ბეწვის ჯანმრთელობა მისი კვების რაციონზე?**

**პასუხი**: საკვებში ცხიმის შემცველობის მინიმიზაცია ერთ-ერთი საშუალებაა გაცხიმოვნების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის. მაგრამ, ამგვარი მიდგომა არ იქნება სწორი, რადგან ორგანიზმისთვის აუცილებელია იმ შეუცვლადი ცხიმოვანი მჟავეების მიღება, რისი სინთეზიც ვერ ხდება ძუძუმწოვრების ორგანიზმში. შეუცვლადი ნახევრად ნატურალური ცხიმოვანი მჟავეების მისაღებად ოპტიმალური ვარიანტია საკვებში ისეთი ცხოველური ცხიმების ჩართვა, როგორებიცაა: ფრინველისა და თევზის ქონი, ასევე, მცენარეული ზეთები. დიდი მნიშვნელობა აქვს საკვებში ვიტამინ A-ს შემცველობას. ვიტამინი A (რეტინოლი) ცხიმში ხსნადი ვიტამინია, რომელიც ხელს უწყობს ცხიმოვან ჯირკვლებში სეკრეტის გამომუშავების რეგულირებას, ასევე, თავად მონაწილეობს და დიდ როლს ასრულებს კერატიზაციის პროცესში, რაც გულისხმობს ეპიდერმისის განახლებას. მისი უშუალო მოქმედების შედეგია, ასევე, ბზინვარე და ჯანმრთელი ბეწვი.



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა**: **დიდი ხანია, მაქვს სტრეპტოკარპუსი, თუმცა, ვერაფრით ვახარებ. იქნებ ამიხსნათ, როგორ მოვუარო ამ მცენარეს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს სჭირდება კარგი განათება, ამიტომ, ნუ მოაკლებთ სინათლეს, მაგრამ, მოარიდეთ მწველ მზეს, რათა სხივებმა ფოთლები არ დაუწვას. სტრეპტოკარპუსი არ ამყოფოთ 13 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ყვავილობას შეწყვეტს. ნორმალური ტემპერატურის პირობებში მთელი წლის განმავლობაში იყვავილებს. ზაფხულში უხვად მორწყეთ, ოღონდ, მორწყვიდან მორწყვამდე, მიწის ზედაპირს შეშრობა აცალეთ, სიგრილეში კი იშვიათად მორწყეთ. ზამთარში მას ნაკლები წყალი სჭირდება. ქოთანი ხშირად დადგით სველკენჭებიან ლანგარზე, რათა, მშრალი ჰაერის გამო ფოთლები არ გაუყავისფრდეს. რამდენიმე კვირაში ერთხელ დაუსხით გაზავებული, ნახშირმჟავა კალიუმის შემცველი სასუქი. თუ დამჭკნარ ყვავილებს მალევე მოაშორებთ, ამით სტრეპტოკარპუსს ყვავილობას გაუხანგრძლივებთ. მცენარე დაახლოებით 25 სანტიმეტრი სიმაღლის იზრდება, ამიტომ, შეგიძლიათ, მოათავსოთ ოთახში, ნებისმიერ ადგილას.

**კითხვა**: **როგორ პირობებში ხარობს ფინიკის პალმა და თუ შემიძლია მისი ოთახში გაზრდა?**

**პასუხი:** ფინიკის პალმა ძალიან კარგად ხარობს ზამთრის ბაღში, თუმცა, მისი გაზრდა ბინაშიც შეიძლება, თუკი მისი ზომა არ შეგზღუდავთ. ის იოლად მოსავლელი მცენარეა და კარგად იტანს სიგრილეს, თითქმის ნულოვან ტემპერატურასაც კი, ოღონდ ზამთრობით სიმშრალეს ამჯობინებს. ამის მიუხედავად, ეცადეთ, ბინაში 18-24 გრადუსი ტემპერატურა შეინარჩუნოთ. მართალია, გრილ ზამთარს იტანს, მაგრამ, ეს ტემპერატურა მცენარის კარგად გახარებისთვისაა საჭირო. მას მოსწონს კარგად განათებული ადგილი, მისი გამძლე ფოთლები მზეს კარგად იტანს და ჩრდილში ყოფნა არ უყვარს. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, უხვად მორწყეთ, ზამთარში კი ოდნავ შეუმცირეთ. ზაფხულში რეგულარული მორწყვა პალმის ფოთლებს ხასხასა მწვანე ფერს შეუნარჩუნებს. სხვა დამატებითი პირობების შექმნა ფინიკის პალმისთვის საჭირო არაა.

**კითხვა**: **რა სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო დეკემბერა?**

**პასუხი:** დეკემბერა ზაფხულში მზეს მოარიდეთ, განსაკუთრებით კი მწველ მზეს, ზამთარში კი სინათლე არ მოაკლოთ. არ შეატრიალოთ ხოლმე, თორემ, კვირტები დასცვივდება. ასევე, მისთვის არ ვარგა ორპირი ქარი და ზედმეტი ტენი. ზომიერ კლიმატში, ზაფხულში, შეგიძლიათ, აივანზე გაიტანოთ, ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ მის ადგილს მზე ძალიან არ უნდა ურტყამდეს. მთელი წლის განმავლობაში იდეალურია ოთახის ნორმალური ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ეს მცენარე სიგრილეში უფრო მეტხანს იყვავილებს.

**კითხვა**: **როგორ გავახარო შეფლერა?**

**პასუხი:** შეფლერა ნაკლებად ჭირვეული მცენარეა. მას უყვარს კარგი განათება. მისთვის ნორმალური ტემპერატურა 18-24 გრადუსია. რაც უფრო თბილა, მით მეტი ტენიანობა სჭირდება. აქტიური ზრდის პერიოდში ტენი არ მოაკლოთ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ, მაგრამ, მიწას მთლიანად ნუ გამოაშრობთ. ზრდის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. შეგიძლიათ, სიმაღლეში ზედმეტად გაზრდილი მცენარე გაზაფხულზე ნახევარზე გადაჭრათ – ასე გვერდითი ტოტები ამოუვა და გაიბუჩქება. კარგია, თუ სასტუმრო ოთახში დადგამთ. სუფთა ფოთლები მცენარეს სიჯანსაღეს უნარჩუნებს (ისინი ხელისგულზე დაიდეთ და სველი ნაჭრით რეგულარულად გაწმინდეთ ხოლმე). ეს მიმზიდველი, ჭრელფოთლიანი მცენარე საკმაოდ გამძლეა და ცოტა ხანს მოუვლელობასაც კი აიტანს. ის კარგად ეგუება ჰაერის სიმშრალეს და უძლებს თითქმის ყველანაირ პირობებს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ მოხვდა გისოსებს მიღმა თაღლითი ცოლ-ქმარი, რომლებიც სხვადასხვა დროს ხელოსნებად და მაკლერებად ასაღებდნენ თავს



36 წლის მალხაზ კ-ძისა და მისი მეუღლის, 35 წლის ლალი წ-ძის კრიმინალურ ეპოპეას სამართალდამცველებმა მაშინ დაუსვეს წერტილი, როცა თაღლითი ცოლ-ქმარი, დანაშაულებრივი საქმიანობის სულ მცირე ხუთწლიანი სტაჟით, ახალი „მსხვერპლის" მახეში გაბმას ცდილობდა. გამოცდილი ცოლი მასთან შედარებით დილეტანტი ქმრის ნების საწინააღმდეგოდ წავიდა, რის შედეგადაც, მათ წინააღმდეგ დაგეგმილმა ოპერაციამ გაამართლა – თაღლითი ცოლ-ქმარი იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რასაც წლების განმავლობაში ეწეოდა, გისოსებს მიღმა მოხვდა.

მალხაზ კ-ძემ ლალი წ-ძე ცოლად მაშინ შეირთო, როცა ციხიდან გათავისუფლდა. მამაკაცი სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა, ლალი მან პატიმრობის დროს გაიცნო. ქალმა და მამაკაცმა ურთიერთობა ციხეშივე დაიწყეს. პატიმრობის დასრულების შემდეგ კი, შეუღლდნენ. ლალი წ-ძეს პირველი ქორწინებიდან 16 წლის შვილი ჰყავდა, რომელიც იმ დროს იხდიდა სასჯელს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, როდესაც მალხაზ კ-ძეც პატიმარი იყო. საერთო პრობლემამ ისინი მალე დააახლოვა ერთმანეთს. ერთად ცხოვრების შემდეგ მათ ბევრი საერთო ინტერესიც აღმოაჩინდათ, რომელთაგან მთავარი კრიმინალური მენტალიტეტი იყო.

კ-ძეების დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთი პირველი ეპიზოდი გამოძიებამ, ინციდენტიდან მოგვიანებით, ცოლ-ქმრის დაკავების შემდეგ გახსნა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ცოლ-ქმარმა გაითამაშა სცენა, რომლის იდეის ავტორიც ლალი წ-ძე იყო. მან მეუღლეს განუცხადა, რომ მისი ნაცნობი ქალი კარადების ხელოსანს ეძებდა და თუ ისინი კურიერის როლს შეასრულებდნენ, ამ ოპერაციიდან 200 დოლარი დარჩებოდათ. მათ გადაწყვიტეს, შეკვეთა აეღოთ და ნაცნობ ხელოსანთან მიეტანათ. დებიუტის კვალობაზე უმუშევარი ცოლ-ქმრისთვის 200 დოლარის მოგება სარფიანი საქმე იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც მათ გაიცნეს ქალბატონი, რომელთანაც შეკვეთის მისაღებად მივიდნენ, მისი მოტყუება გადაწყვიტეს. მათ განიზრახეს, აეღოთ ფული და საერთოდ არ დაეკავშირებინათ ის ნაცნობ ხელოსანთან. ლალი და მალხაზი მარტოხელა მასწავლებელ ქალთან კატალოგებით აღჭურვილნი მივიდნენ. ლალის უკვე ჰქონდა მოპოვებული შემკვეთი ქალის ნდობა და მასპინძელს საკუთარი ქმარი მაღალი კვალიფიკაციის ხელოსნად წარუდგინა და კარადების შეკვეთაც აიღო. „ხელოსნებმა" ქალს ბეს სახით 500 ლარი გამოსძალეს. ამის შემდეგ კი ისინი თვალით არავის უნახავს. დიდხანს ეძება და სდია დაზარალებულმა ქალმა ხელოსანსა და მის მომხიბვლელ „თანაშემწეს", მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო. წარმატებული დებიუტით გათამამებულმა თაღლითებმა მორიგი მსხვერპლის ძებნა დაიწყეს. ამ საქმეში უფრო მარჯვე ცოლი აღმოჩნდა – მომხიბვლელი და კომუნიკაბელური ქალი შესაფერის ობიექტს ხან ინტერნეტის, ხან კი ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით პოულობდა. ის იოლად იმსახურებდა მათ ნდობას და შემდეგ საქმეში მალხაზ კ-ძე ერთვებოდა, რომელმაც ხელოსნის როლი კარგად მოირგო. მოქალაქემ, რომელმაც მოგვიანებით, როგორც დაზარალებულმა ჩვენება მისცა გამოძიებას, დეტალურად აღწერა თაღლითობის ის სქემა, რომელიც მალხაზ და ლალი კ-ძეებს ჰქონდათ შემუშავებული. ამონაწერი ტარიელ კ-შვილის ჩვენებიდან: „ამ ცოლქმარს ჩემი მეუღლის მეშვეობით დავუკავშირდი. ჩემმა ცოლმა მათი კოორდინატები ინტერნეტით იპოვა, სადაც ლალი კ-ის ტელეფონი იყო მითითებული. დავურეკეთ თუ არა, მეორე დღესვე მოგვადგნენ სახლში. კატალოგებითა და საზომებით. ილუსტრაციებიც მოაყოლეს ხელს, სადაც მათ მიერ გაკეთებული ავეჯის ფოტოები იყო. ჰოლში კარადების გაკეთება გვქონდა გადაწყვეტილი, მათ ისე პროფესიონალურად იმუშავეს, დახაზეს და დაგვიხატეს ყველაფერი, ეჭვი არაფერში შემპარვია. სამუშაოს დასაწყებად 1 200 ლარი ბე მომთხოვეს. მასალის შესაძენად გვჭირდებაო, – გვითხრეს. ისე გადავეცი მათ ფული, რომ დარწმუნებული ვიყავი, საქმე ხელოსნებთან მქონდა. ორი კვირა რომ არ გამოჩნდნენ, დავურეკე. ტელეფონზე ქალმა მიპასუხა და მითხრა: ჩემი ქმარი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და თქვენი შეკვეთა გვიგვიანდებაო. ამას მოჰყვა ტყუილების კასკადი. ხან ტელეფონს აღარ პასუხობდნენ, ხან – იტყუებოდნენ, რომ ქალაქგარეთ მოუწიათ წასვლა. მოკლედ, ორი-სამი თვე ვდიე ამ თაღლითებს, მერე საერთოდ გამორთეს ტელეფონი. „ცეხი," რომელიც მათ მაჩვენეს, სანამ ფულს გადავცემდი, თურმე ერთი თვით ჰქონდათ ნაქირავები. როგორც იმ ავტოფარეხის მფლობელმა მითხრა, სადაც მათ ვითომ „ცეხი" ჰქონდათ მოწყობილი. ის თავადაც ეძებდა ცოლ-ქმარს, რადგან ქირა არ გადაუხადეს. პოლიციაში გადაწყვიტე წასვლა, მაგრამ მეგობარმა მითხრა: რა აზრი აქვს მაგათ ძებნას. მათ შესახებ სახელების გარდა არაფერი იციო. 1 200 ლარი როგორი გადასაგდები იყო?! საკუთარი ძალებით გადავწყვიტე ამ თაღლითების ძებნა, მაგრამ მათ კვალს ვერსად მივაგენი"

## თაღლითმა ცოლმა ქმარს სთხოვა, საქმისთვის ირანელი ბიზნესმენის როლი ეთამაშა

მალხაზ და ლალი კ-ძეებს გამოცდილებისამებრ, მადაც გაეხსნათ და საქმიანობის პროფილის შეცვლა გადაწყვიტეს. მათი დაკავების შემდეგ, გამოძიებამ დაადგინა, რომ თაღლითი ცოლ-ქმრის ჩადენილი დანაშაულებრივი ეპიზოდების ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. შესაბამისად, მრავალრიცხოვანი გახლდათ დაზარალებულთა რიცხვიც. გამოძიების ვერსიით, თაღლითებმა არაერთხელ მოირგეს მაკლერის, დასაქმების ხელშემწყობი პროექტის მენეჯერის, უცხოეთში დასაქმების მსურველთა დამხმარის როლი. კ-ძეებმა ბინების ყიდვა-გაყიდვის სააგენტოც „დააარსეს". ოთახი, რომელიც მათ მოქალაქე ნიკო ჭ-ძისგან დაიქირავეს და „ოფისად" აქციეს ორ თვეში დიდი ბოქლომით დახვდათ დაკეტილი. მაკლერებს კი, რომელთაც ათამდე ადამიანის კუთვნილი ფული გააყოლეს ხელს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ მიაგნო. დაზარალებულებმა ფაქტთან დაკავშირებით პოლიციაში განაცხადეს და სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. მაგრამ, თაღლითი ცოლ-ქმარი ისე პროფესიონალურად მოქმედებდა, კვალს თითქმის არ ტოვებდნენ. მათი ძებნა ოპერატიულმა სამსახურმა მას შემდეგ დაიწყო, რაც პოლიციაში დაზარალებული ვალერი გ-ძის განცხადება შევიდა. როგორც წინასწარი მოკვლევით გახდა ცნობილი, თაღლითმა ცოლ-ქმარმა მისგან ნაგირავები ბინა საბუთების გაყალბების საშუალებით გაყიდეს. დაზარალებული აცხადებდა, რომ მისგან ბინა ქალმა იგირავა, რომელმაც მისი ნდობის მოპოვება იოლად შეძლო. ვალერი გ-ძემ ისიც განაცხადა, რომ ქალი ორი თვის განმავლობაში მასთან ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა, რის შემდეგაც 5 ათას დოლარად იპოთეკაში ჩადებული ბინა საკუთარი ნებით გადაუფორმა იმ მოტივით, რომ ქალი აღნიშნულ თანხას გადაიხდიდა. ლალი წ-ძემ ბინის გაყიდვა მოტყუებით შეძლო, თან მამაკაცს აშანტაჟებდა, მოკლედ, თაღლითური ისტორია პროფესიონალურად იყო ჩახლართული. ვალერი გ-ძემ თაღლით ცოლქმარს რომ შებრძოლებოდა, მეგობარი, ყოფილი პოლიციელი დაიხმარა. ის ისე დაუკავშირდა ლალი კ-ძეს, რომ ვალერი გ-ძესთან კავშირი არ გაამხილა. ქალმა მის წინააღმდეგაც დაგეგმა თაღლითური ქსელი – მან ახალ ნაცნობს ირანელი მოქალაქის დახმარებით, ბიტუმის ბიზნესში ჩართვა შესთავაზა და სანაცვლოდ 5 ათასი ლარი გამოსძალა. მოგვიანებით, ლალი წ-ძის ქმარმა მალხაზ კ-ძემ გამოძიებას განუცხადა, რომ მამაკაცი, რომელიც ცოლმა გააცნო, არ მოეწონა და მისმა საქციელმა ძალიან დააეჭვა. მაგრამ, ცოლი მისი გაფრთხილების მიუხედავად, ამ საქმის წარმატებით დასრულებას მაინც ფიქრობდა. ცოლ-ქმარი სწორედ ამ მამაკაცის მიერ დაგეგმილ მახეში გაება. მალხაზ კ-ძემ ცოლის დაჟინებული მოთხოვნით, ირანელი ბიზნესმენის როლი მოირგო, მაგრამ ტყუილად – ის სამართალდამცველებმა დააკავეს და ამ თაღლითთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებსაც წერტილი დაესვა.

სასამართლო პროცესზე მალხაზ კ-ძემ თავი დამნაშავედ ცნო. თუმცა, ქალს აბრალებდა, რომ მან დაღუპა. სასამართლოზე ისიც კი განაცხადა: ცოლად იმიტომ გამომყვა, რომ გვარი შეეცვალა, რადგან ადრეც ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და საკუთარი ვინაობის მიჩქმალვა უნდოდაო. მისი განცხადებით, ქალი ქმრის მეშვეობით საკუთარ დანაშაულებრივ წარსულს მალავდა. ჯერ კიდევ მაშინ მითანხმდებოდა დანაშაულებრივ საქმიანობაზე, როცა პატიმარი ვიყავი და პაემნებზე დადიოდა ჩემთანო, – განაცხადა მალხაზ კ-ძემ სასამართლო პროცესზე. დანაშაულებრივ საქმიანობას ქმარს აბრალებდა თაღლითი ცოლიც. უფრო მეტიც, მთელ რიგ დანაშაულებრივ ეპიზოდებში, პასუხისმგებლობას მთლიანად ქმარს აკისრებდა. თუმცა, იმ მტკიცებულებებით, რაც გამოძიებას ჰქონდა მოპოვებული და დაზარალებულთა განცხადებების მიხედვითაც, დამტკიცდა, რომ ქალი დანაშაულებრივ საქმეებში უფრო აქტიური იყო, ვიდრე მისი, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ქმარი. სასამართლომ მალხაზ და ლალი კ-ძეები დამნაშავედ ცნო. ქალს თავისუფლების რვა წლით, მის მეუღლეს კი შვიდი წლით პატიმრობა შეუფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-44(670)**

ზურას გაეცინა და კაკაბაძეს მიუგო:

– ბატონო პროფესორო, პირიქით, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის დიდი პატივია თქვენთან ერთად ერთ სუფრასთან ჯდომა. სანამ ჩემი პატარა მეგობრები თქვენ მიერ მოტანილ პრავიზიას სუფრაზე მოიტანენ, დაბრძანდით. მით უმეტეს, რომ თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს. კარგია, რომ ანზორიც ჩვენთან ერთადაა.

მიუხედავად იმისა, რომ ზურა ქართველიშვილს უმაღლესები არ ჰქონდა დამთავრებული და რიტორიკასა და ლოგიკაში სპეციალური ცოდნა არ ჰქონდა მიღებული, ის მშვენიერი ორატორი იყო, თანმიმდევრული, ჩამოყალიბებული ლაპარაკი იცოდა და ყველა წრის ადამიანს მისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკებოდა. პროფესორმა ანზორა რომ დაინახა, უხერხულად გაეღიმა და თავი დაუკრა, მან კი ჩვენთან ერთად სამზარეულოში გადაინაცვლა და კაკაბაძის მოტანილი პროდუქტებისა და ღვინის ამოლაგებას შევუდექით. ჩვენ ბერძენაც გვეხმარებოდა. სასტუმრო ოთახში ზურა და პროფესორი დარჩნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ. ხოლო, როდესაც სუფრა გაიშალა, ყველანი მას მივუსხედით და ჭიქები ღვინით შევავსეთ, კაკაბაძე ფეხზე წამოდგა და, ჯერ ბერძენას ოჯახი დალოცა, მეორე ჭიქით კი ზურას სადღეგრძელო დალია და ისეთი საზეიმო და ლამაზი სიტყვა წარმოთქვა, იფიქრებდით, მერაბ კაკაბაძე კანონიერ ქურდზე კი არა, ღვაწლმოსილ ეროვნულ მოღვაწეზე ლაპარაკობსო.

პროფესორი თამადად არავის დაუნიშნავს, მან თავად იტვირთა ეს მისია და ისე ლამაზად წაიყვანა სუფრა და ასევე ლამაზად და ღირსეულად დაასრულა, როგორც ეს მისი დონის ადამიანს შეეფერებოდა. კაკაბაძე და ანზორა ერთად წავიდნენ. ერთი კვირის შემდეგ კი ანზორა „გეპეიში“ აღადგინეს, რა თქმა უნდა, პროფესორის ძალისხმევით და ის ახლა სახელგანთქმული ქართველი მეცნიერია, რუსეთში მუშაობს და, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სფეროებში ვმოღვაწეობთ, ჩემთან და ყბედალოსთან ძველებურად მეგობრობს.

ქეიფი რომ დასრულდა და პროფესორი და ანზორა წავიდნენ, ზურამ თქვა:

– რა დაუნდობელია ეს ცხოვრება. რატომ უნდა ჩავარდნილიყო ასეთ დღეში ეს ბიჭი? მაგრამ, ღმერთმა გადმოხედა. პროფესორი შემპირდა, რომ ინსტიტუტში აღადგენს და უპატრონებს. თქვენც მიაქციეთ ყურადღება. წამალზე იყო შემჯდარი და ასე იოლი არაა მისი მიტოვება. საცოდავი. ამხელა ტრაგედია გადაიტანა და კიდევ კარგ ჭკუაზეა.

ზურასთვის მიცემული პირობა ანზორას არასდროს დაურღვევია. წამალი საბოლოოდ გადააგდო, წუმპიდან ამოვიდა და კაცი გახდა. ზურა რომ გარდაიცვალა, ანზორა მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა და სახელოვანი ადამიანი იყო. ის ისე დასტიროდა ზურას, როგორც საკუთარ მამას.

– გახსოვს, კობრა, რა დღეში ვიყავი, როდესაც პირველად შევხვდი ზურას? – მითხრა თვალცრემლიანმა ანზორამ, – ის რომ არა, დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი და ჩემი ძვლებიც აღარ იარსებებდნენ.

– მახსოვს, – ვერც მე ვიკავებდი ცრემლებს და თვალწინ დამიდგა ბნელი, ჭუჭყიანი სადარბაზოს კიბეებზე მჯდარი, გაძვალტყავებული ანზორა, რომელსაც ფეხებთან ლიმონათის ნახევრად დაცლილი ბოთლი ედგა, ერთ ხელში ძეხვი ეჭირა, მეორეში პური და ორი დღის მშიერი შეექცეოდა მათ.

ანზორას გაუმართლა: ზურას ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, შეიძლება, საბოლოოდ დაეღუპა, ზურამ კი უფსკრულში გადაჩეხას გადაარჩინა, სწორ გზაზე დააყენა და კაცად აქცია.

ყოველთვის ვცდილობდი, ზურას მაგალითისთვის მიმებაძა და თუ პიროვნება და გარემოება იძლეოდა ამის საშუალებას, მისთვის ხელი გამეწოდებინა.

ერთხელ რუსთავის სტროგაჩებში ვიხდიდი სასჯელს. ქურდი ჯერ კიდევ არ ვიყავი, მაგრამ, კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობდი, ჩემს სიტყვას სერიოზული ხალხი უწევდა ანგარიშს. ერთ დღეს ზონაში ოციოდე წლის ბიჭი შემოიყვანეს, რომელსაც რვაწლიანი სროკი ჰქონდა მისჯილი ადამიანის დანით დაჭრისთვის. ბიჭს მერაბი ერქვა, თბილისელი იყო და უბრალო, პატიოსანი მშობლები ჰყავდა. სწორედ ამიტომ აჰკიდეს იმ ბიჭს ამხელა სროკი, რომ, ვერც ფული გადაუხადეს მილიციას და არც სათანადო ნაცნობები ჰყავდათ, რომ მათი შვილისთვის მიეხედათ.



– სახლში მივდიოდი ჩემთვის, როცა ის ახვარი წინ გადამიდგა და სპიჩკა მომთხოვა. რომ არ მქონდა, ჯერ ამიშარდა, შემაგინა და შემდეგ ჩხუბი დამიწყო. მუშტი რომ ვგლიჯე და ძირს დავაგდე, დანა გამიშალა და საკუთარ დანაზევე წამოვაგე, – მომიყვა მერაბმა, – „ძაღლებმა“ მაყუთი მომთხოვეს და მითხრეს, პირობითი სასჯელით გამოგაძვრენთო. ჩემი მშობლები კი უბრალო ადამიანები არიან, ხელფასზე ცხოვრობენ და ოცი ათასი მანეთი სადა აქვთ?!

– ადვოკატმა მაინც ვერაფერი იჩალიჩა? – ვკითხე ბიჭს, მან კი მითხრა:

– სწორედ ადვოკატის პირით შემომითვალეს „ძაღლებმა“, მაყუთი მოიტანეო. ის ნაბოზარი მეუბნებოდა, ბინა გაყიდე და ფული გადაიხადეო. მე კი გინებით გავაგდე. თურმე, ჩემი მშობლებისთვისაც იგივე უთქვამს და ისინი თანახმა იყვნენ, რომ ბინა გაეყიდათ. ეს რომ გავიგე, ჩემებს დავემუქრე, თავს მოვიკლავ-მეთქი და ბინის გაყიდვა გადაიფიქრეს.

მერაბს რომ კეთილსინდისიერი ადვოკატი ჰყოლოდა და გამომძიებელიც პატიოსნად მოქცეულიყო, გაასამართლებდნენ და გაუშვებდნენ. მას კი ფული მოსთხოვეს, მაგრამ, რომ ვერ მიიღეს, სრულიად უკანონოდ, მაქსიმალური სასჯელი მისცეს და, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირეს. თვითონ ბიჭი საკმაოდ წესიერი, მაგრამ, გამოუცდელი იყო და ძალიან დიდი რისკის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან, არც შავი სამყაროს წევრი იყო და არც ნაცნობები ჰყავდა იქ. ასეთ კაცს კი ციხეში ყოველთვის გამოუჩნდება მტერი, რომელიც მის დაჩაგვრასა და დამონებას მოისურვებს და ამას საკმაოდ აპრობირებული ხერხით განახორციელებს, ისე, რომ ობიექტი ვერაფერს მიხვდება, ხოლო, როცა მიხვდება, უკვე გვიან იქნება. მართალია, მერაბი არც უტვინო გახლდათ და არც იოლი დასაჩაგრავი, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, გამოუცდელი. თანაც, შევნიშნე, რომ პატიმართა ერთ ჯგუფს ის უკვე მიზანში ჰყავდა ამოღებული და ან უნდა „გაეპარსათ“, ან – გაეფუჭებინათ, „გაპარსვაში“ ფულის გამოძალვა იგულისხმებოდა, გაფუჭებაში კი – ღირსების აყრა, ფუფლოში გადაგდება... პატიმართა ეს ჯგუფი გამოუცდელ პატიმრებს სხვადასხვა ყომარში, ძირითადად კარტის თამაშში, ითრევდა, ფულს უგებდა და თუკი წაგებული თანხას ვერ აბარებდა, მას ძალიან ცუდ დღეში აგდებდნენ და არარაობად აქცევდნენ. ამ ჯგუფს ყაჩაღი-რეციდივისტი, მეტსახელად „გოგრა“ მეთაურობდა. ის ნებისმიერ სისაძაგლეზე იყო წამსვლელი. ერთხელ, თურმე, ერთ წაგებულ პატიმარს თავანის ჩაბარების სანაცვლოდ მის დასთან ინტიმური კავშირის დამყარება შესთავაზა, წაგებულმა კი თავი ჩამოიხრჩო და ამგვარად დაასრულა სიცოცხლე. ეს ამბავი ზონაში ჩემს მიყვანამდე მოხდა. ყველამ იცოდა, მაგრამ, გოგრასთვის პასუხი

არავის მოუთხოვია. ადმინისტრაციას ის წილს უხდიდა და აბა, ხელს ვინ ახლებდა! პატიმრებიდან კი აბა, ვინ ჩაიგდებდა ფუფლოს გამო თავს შარში?! მით უმეტეს, რომ ფიზიკურ შეხებას ადგილი არ ჰქონია და ყველაფერი მორალურ-ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოხდა. ქურდებს ან მაგარ, გამოცდილ პატიმარს, რა თქმა უნდა, შეეძლო გოგრას „წამოკიდება", მაგრამ, ზედმეტ ხმაურს ყველა ერიდებოდა.

ერთ დღეს გოგრამ და მისმა ორმა პაძელნიკმა მერაბი დაიმარტოხელეს და თხუთმეტიოდე წუთი ელაპარაკნენ. ბიჭი მათ რომ დაშორდა, ჩემთან ვიხმე და ვკითხე:

– რა უნდოდა გოგრას?

– ისეთი არაფერი, დობრად მებაზრებოდნენ და ჩემი ამბავი აინტერესებდათ. ყველაფერი რომ მოვუყევი, ძალიან განიცადეს და მითანაგრძნეს, – მითხრა მერაბმა, რაზეც მივუგე:

– მაგათ შენ სულ ფეხებზე ჰკიდიხარ, გოგრა ძველი ნაბოზარია და გაბოლებს. ჯერ დაგიახლოვდება, შემდეგ კი ყომარს შემოგთავაზებს. თუ ჩაგითრია, დიდ მაყუთს მოგიგებენ და რომ ვერ ჩააბარო, ფუფლოს აიკიდებ. ფუფლოობას კი სიკვდილი ჯობია.

– ყომარზე რომ არაფერი უთქვამთ? – მითხრა მერაბმა.

– ხომ გითხარი, გაბოლებს-მეთქი. ჯერ შეგიჩვევს და ყურადღებას მოგიდუნებს, შემდეგ კი გაყომარებს და, როგორც უკვე გითხარი... ამიტომ, ფრთხილად იყავი, – ვუთხარი მერაბს.

– კარგი. დიდი მადლობელი ვარ და გავითვალისწინებ, – გამიღიმა მერაბმა, თვალი ჩამიკრა და დაამატა: კობრა, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

– რა სათხოვარი?

– კობრა, აქ მე რვა წელი უნდა ვიჯდე და გადავწყვიტე, ბოლომდე ამ გზას გავყვე.

მერაბის სიტყვებზე გულმა რეჩხი მიყო და ვკითხე:

– რა გზას, რას გულისხმობ?

– პრისტუპნიკულ გზას და, გთხოვ, ამაში დამეხმარო. არ შეგარცხვენ, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ მეტყვი.

– მერაბ, ძმაო, შეიძლება, არც კი უნდა გეუბნებოდე ამას, მაგრამ, პრისტუპნიკობას ნამდვილად არ გირჩევ, ჯობია, სხვა გზა აირჩიო.

– კარგი, რა, რა სხვა გზა. რვა წელი რომ ციხეში იჯდება კაცი, ის სხვა გზაზე დადგომას შეძლებს? – ხელი ჩაიქნია ბიჭმა.

– ძნელია, მართალი ხარ, მაგრამ, უნდა შეძლო; თანაც, შანსია, რომ აქედან ძალიან მალე გახვიდე, – ვუთხარი მერაბს, რადგან, თავში ერთმა აზრმა გამიელვა.

– ჩემს დასამშვიდებლად ამბობ, ხომ? რვა წელზე ადრე აქედან, აბა, ვინ გამიშვებს?

– სულაც არა. აბა, ერთი კარგად მითხარი, ვინაა ის კაცი, ვინც შენ მიაჭერი? – ვუთხარი მერაბს, – რა თქმა უნდა, ნაბოზარია, მაგრამ, ყველაფერი ცვეტში გამაგებინე.

– ვინ არის და, ვაკელი ცეხავიკია. ყველა გიულას ეძახის.



– მე მგონი, ვიცი ეგ გიულა, – ვუთხარი მერაბს, – პათოლოგია. როცა დალევს, ვერავის ცნობს. ასი პროცენტით ვერ შეგპირდები, მაგრამ, ყველაფერს ვიღონებ, რომ სწორედ გიულამ გაგიყვანოს აქედან.

– როგორ? – გაუკვირდა მერაბს.

– როგორ და, მაყუთით. ყველაფერი მაგის ბრალი იყო და უნდა ვაიძულოთ, რომ, როგორც ჩაასმევინა შენი თავი, ისევე გაათავისუფლებინოს.

– მერე მაგას ვინ იზამს, ჩემთვის ვინ შეიწუხებს თავს? – ხელი ჩაიქნია მერაბმა, – თანაც, ეს საქმე უფულოდ არ გამოვა.

– მერედა, ფულის მეტი რა აქვს გიულას? ხალხს კი ვიპოვით. არიან ადამიანები, ვინც გიულას ამის გაკეთებას აიძულებენ. მაგრამ, ერთი პირობით: იცოდე, რომ პრისტუპნიკობაზე არც იფიქრო. კარგი?

– კარგი, – ამოიოხრა მერაბმა და ნაღვლიანად გაეღიმა.

მე, რა თქმა უნდა, თავისუფლად შემეძლო მერაბის თხოვნის შესრულება და მისი დაყენება პრისტუპნიკულ გზაზე, მაგრამ, სინდისმა არ გამიშვა, რადგან, ის ოცი წლისაც არ იყო და არც სამაგისო მიდრეკილება გააჩნდა, არც გამოცდილება და, თუ დახმარება იყო, ჯობდა, ციხიდან გასვლაში დავხმარებოდი, ვიდრე ციხეში ჯდომაში. ამ საქმეს ქურდი სჭირდებოდა და ზურაზე უკეთესად ვინ მოაგვარებდა, მაგრამ იმ პერიოდში ის სროკზე იყო, ეტაპით რუსეთში გაუშვეს და, რადგან მისი ზუსტი ადგილსამყოფელი არ ვიცოდი, ჯერჯერობით ხმასაც ვერ მივაწვდენდი. სამ დღეში ბერძენას უნდა მოვენახულებინე და გავიფიქრე, რომ მისი დახმარებით მომეგვარებინა მერაბის საქმე. მეორე დღეს ისე მოხდა, რომ მთელი დღე ქურდების ბარაკში გავატარე და მერაბი არ მინახავს. საღამოს კი, ქურდებისგან რომ გამოვდიოდი, კარში მერაბსა და გოგრას შევეჩეხე მისი პაძელნიკებითურთ. მერაბს სახეზე ფერი არ ედო, გოგრასა და მის შაიკას კი სახეებზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდათ.

– კობრას გაუმარჯოს! – მომესალმა გოგრა.

– გამარჯობა, – მივუგე გოგრას, თვალი შევავლე ფერწასულ და ენაჩავარდნილ მერაბს და ვკითხე: ხომ მშვიდობაა?

– კი, ძმაო, მშვიდობაა, – მითხრა გოგრამ, – აი, ჩვენი ძმა მიგვყავს ქურდებთან, რომ სწორი სიტყვა უთხრან, რადგან ჩვენი არ სჯერა და ერთი ამბავი გვაქვს გასაისნებელი.

გოგრას სიტყვებიდან მივხვდი, რომ მერაბი წამოიკიდეს და კინაღამ გული გამისკდა, მაგრამ, არ შევიმჩნიე და ვთქვი:

– ერთი წუთით მოიცადეთ. შევალ და გავიგებ, თუ სცალიათ. მარტო ქურდებს შორის იყო საბაზრო და მეც ამიტომ გამოვედი.

მე ბარაკში შევედი, მალევე გამოვედი და კამპანია ქურდულ ბარაკში შევიპატიჟე. იქ ხუთი ქურდი იმყოფებოდა, რომლებსაც გოგრამ უთხრა:

– ამ ბიჭმა ჩემთან ათი ათასი მანეთი წააგო და ამბობს, არ წამიგიაო. კამათელს ვაგორებდით. პირველმა მე გავაგორე, მანამდე კი ვუთხარი, მეტ-ნაკლებზე ვიყომაროთ, ერთი ათი ათასიანი ფოსტა-მეთქი. მე ბეშ-ოთხი დავსვი, მაგან კი – ფანჯი-სე და, რომ ვუთხარი, წააგე და ათი ათასი უნდა ჩამაბარო-მეთქი, იქვე ატკაზი დამირტყა.

– მე არც კი ვიცოდი, თუ ფულზე ვთამაშობდი და კამათლები უბრალოდ გადავყარე, ესაა და ეს. რომ მცოდნოდა, ფულზე მეთამაშებოდა, რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი, – ალალად თქვა მერაბმა, ქურდმა კი, რომლის სახელსაც შეგნებულად არ ვამხელ, მერაბს უთხრა:

– მაშინ, ჯერ გაგეგო, რაში იყო საქმე და კამათლებისთვის მერე მოგეკიდა ხელი. მაგრამ, სიტყვა რომ ითქვა და ზარიც გაგორდა, ყომარი შედგა და თავანი უნდა ჩაბარდეს, – უთხრა ქურდმა მერაბს და გოგრას ჰკითხა:

– ფოსტა რამდენია?

– ათი ათასი მანეთი, – თვითკმაყოფილი სახით მიუგო ქურდს გოგრამ.

მე ისე მიცემდა გული, ლამის ამომივარდა, მაგრამ, ვცდილობდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა და თვალით ვანიშნე მერაბს, გაჩუმებულიყო, რადგან, აშკარა იყო, რომ ქურდთან შეკამათებას აპირებდა. ამას კი არანაირი აზრი არ ჰქონდა და ამით მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდებოდა. ქურდმა, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ მერაბი წამოიკიდეს და, რომ მოენდომებინა, „არიოლ-რეშკას" აადგებინებდა და მერაბის თავანს ამგვარად გაარასხოდებინებდა გოგრას. ის კი სულ სხვაგვარად მოიქცა და მერაბს უთხრა:

– გოგრა მართალია და თავანი უნდა მიიღოს. მას შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ფოსტა და ვალდებული ხარ, ჩააბარო, მაგრამ, იმედია, შეღავათს გაგიწევს და ჩაბარების ვადას ორი კვირის შემდეგ



დაგინიშნავს.

ქურდმა გოგრას ჰკითხა:

– რას იტყვი, გოგრა, აცლი თავანს ორი კვირა?

– რაზეა ბაზარი, რა თქმა უნდა,, ვაცლი, – თქვა გოგრამ და მერაბს მიუბრუნდა:

– ორი კვირის მერე ათი ათასი მანეთი უნდა მივილო. ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ღამის თორმეტ საათამდე გაქვს დრო.

ქურდების ბარაკიდან ყველანი ერთად გამოვედით და ჩვენ–ჩვენი ბარაკებისკენ გავემართეთ. მერაბი ჩემს ბარაკში ცხოვრობდა, ჩემ გვერდით იწვა და დანა პირს არ უხსნიდა. ჩვენ უხმოდ მივედით საწოლებამდე და მას ერთადერთი ფრაზა ვუთხარი:

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა კი მშვიდად დაიძინე და ნურაფერზე ინერვიულებ.

მერაბი დაწვა და მართლაც ძალიან მალე ჩაეძინა, მე კი ძილი არ მეკარებოდა. ერთი მხრივ, ქურდის ულირს საქციელზე ვფიქრობდი და მზად ვიყავი, მისთვის კისერი მომეგრიხა, მეორე მხრივ კი, იმაზე, თუ როგორ აღმეკვეთა გოგრასა და მისი შაიკის ბესპრეძელი. თითქმის გათენებული იყო, როდესაც ჩამეძინა და ბერძენას ხმამ გამომაღვიძა, რომელიც თავზე წამომადგა და მითხრა:

– ადექი, კობრა, ქვეყანა აშენდა!

– მოხვედი, ბერძენ? ასე ადრე აქ რამ მოგიყვანა? – ვთქვი მე, ავდექი და ძმაკაცს გადავეხვიე, მან კი მითხრა:

– რაღა ადრეა, შუადღეს გადასცდა უკვე.

– ვაა, რამდენი მძინებია, – ვთქვი მე, ცარიელი ბარაკი შევათვალიერე და ბერძენას ვკითხე:

– ბერძენ, ზურას ადგილსამყოფელი ხომ არ გაგიგია?

– როსტოვშია, გუშინ მომივიდა ქსივა.

– როსტოვიდან ორი კვირის წინ არ გაუშვეს ეტაპით?

– ისევ როსტოვში დააბრუნეს. არც ერთმა ზონამ არ მიიღო, ამიტომ, შეიძლება, საქართველოში დააბრუნონ და, მაშინ, პირდაპირ აქ ჩამოიყვანენ.

ბერძენას სიტყვებმა ისე გამახარა, რომ სიხარული ვერ დავმალე, მუშტი შევმართე და კბილებში გამოვცარი:

– ზურა თუ აქ შემოვიდა, ბევრის დედა ატირდება.

– რატომ? არ იტყვი, რა ხდება?

ბერძენას ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი და დავამატე:

– ქურდია ახლა ის? გოგრა და მისი ნაბოზარი ბანდა ასე ჩათლახურად მოექცნენ ამ ბიჭს, იმ ქურდმა კი მხარი აუბა და ასეთ დღეში ჩააგდეს. ბერძენ, ამ ბიჭის თავანი უნდა ჩავაბაროთ და სასწრაფოდ რამეა მოსაფიქრებელი. ვადა ცამეტ დღეში იწურება.

– მაყუთი არის, ზეგ მე თვითონ ჩამოვიტან.

– ეს ერთი, – ვთქვი მე, – ამ ნაბოზარ გოგრას უნდა მოვუყომაროთ და ერთი რამ მოვიფიქრე.

– რა მოიფიქრე?

– ფიუნესა უნდა გადმოვიყვანოთ აქ და გოგრას ის მოუყომარებს, – ვუთხარი ბერძენას, რომელსაც ფიუნესას სახელის ხსენებაზე ხარხარი აუტყდა და მითხრა:

– ასიანს ბაზრობ. სწორედ ის მოაგვარებს ამ საქმეს.

ფიუნესა ერთი სოლოლაკელი აფერისტი იყო, რომელსაც ეს მეტსახელი ფრანგი კომიკოსის პატივსაცემად შეარქვეს, რადგან, ძალიან ჰგავდა მას და იმ პერიოდში ერთწლიან სასჯელს იხდიდა წულუკიძის კოლონიაში. საქართველოში ის თითქმის არ ჩალიჩობდა, ძირითადად ბაქოსა და შუა აზიის რესპუბლიკებში მოღვაწეობდა. ფიუნესა იგროკი იყო და შულერობაში ბადალი არ ჰყავდა. თუმცა, ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა ეს და მათ შორის ვიყავით მე და ბერძენა. ფიუნესა ამას საგულდაგულოდ მალავდა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კარტის სათამაშოდ არავინ დაუჯდებოდა. სწორედ მისი მეშვეობით გვინდოდა გოგრას გაფარჩაკება. ბერძენას ჩემი გეგმა რომ გავუზიარე, მითხრა:

– პრინციპში, ღირსია, მაგ ნაბოზარს ამგვარად თუ გააჩერებ. თანახმა ვარ, ხვალვე დავუკავშირდები ფიუნესას და, მგონი, უარს არ გვეტყვის.

– არა, რა უარს. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, მაგ საცოდავს შუაში გაგლეჯდნენ როსტოველი ბანდიტები, – ღიმილით ვუთხარი ბერძენას.

საქმე ის იყო, რომ, ერთხელ მე და ბერძენას ყბედალო დაგვიკავშირდა და ერთი აფერისტის მოძებნაში დახმარება გვთხოვა. როდესაც მისი გარეგნობა აგვიწერა, მაშინვე მივხვდით, რომ ფიუნესას ეძებდნენ და ბერძენამ ჰკითხა:

– რა დააშავა?

– რა და, ვითომ წამლის ბარიგა იყო, როსტოველ ბანდიტებს თხუთმეტი ათასი მანეთი გამოართვა და მოტყუდა. ისინი კი არასდროს აპატიებენ მას ამ საქციელს და, ცოცხალს ან მკვდარს მიწიდან ამოიღებენ.

– ყბედალო, მაყუთი რომ დავაბრუნოთ, არ შეეშვებიან? – ვკითხე ყბედალოს.

– იცნობთ იმ აფერისტს?

– როგორ არ ვიცნობთ. სოლოლაკელია და ფიუნესას ეძახიან. საქართველოში არ ჩალიჩობს, ძირითადად, ბაქოსა და შუა აზიაშია და იმათ წეწავს, – ვუთხარი ყბედალოს, – ცოდოა, იქნებ ვუშველოთ.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | | მ | ა | შ | ა | ვ | ე | რ | ა | | | | | |
| შ | უ | ლ | ე | რ | ი | | ო | | ა | | | | | | |
| | შ | | ქ | ა | რ | ა | ვ | ა | ნ | ი | | | | | |
| ხ | ა | მ | ი | | მ | | კ | | გ | | | | | | |
| | | ე | ს | კ | ა | ლ | ა | ც | ი | ა | | | | | |
| კ | ო | რ | ე | ა | | ე | | ვ | | ნ | | | | | |
| | | ც | | ნ | | ო | ფ | ი | ს | ი | | | | | |
| მ | ე | ხ | ი | კ | ო | | ო | ლ | ი | ა | | თ | ო | მ | ა |
| | მ | ა | მ | ა | | ო | ნ | ი | ა | ნ | ი | | ლ | | უ |
| დ | ა | ლ | ა | ლ | ი | | ე | | ვ | | რ | | ქ | | ტ |
| | დ | ი | მ | ი | | ა | მ | წ | ე | | ი | რ | ი | ს | ი |
| | ი | | ა | | ფ | რ | ა | უ | | ა | ლ | უ | | ა | |
| ი | ნ | ა | ტ | მ | ი | მ | | რ | კ | ო | | რ | ა | დ | ა |
| გ | ი | რ | ი | | | ი | | ბ | | ბ | ა | ი | ტ | ი | |
| რ | | ტ | | ა | რ | ა | მ | ე | უ | ლ | ი | | რ | | კ |
| ე | ლ | ე | გ | ი | ა | | ი | ლ | ე | ა | რ | ს | ი | | ვ |
| კ | | კ | | მ | ი | ჯ | ნ | ა | | ბ | | ვ | ა | ქ | ი |
| ი | | ი | რ | ა | ს | | დ | | ფ | | | ლ | | | რ |
| | ე | | ა | რ | ა | დ | ი | | ა | | ბ | ა | ს | ტ | ა |
| | ს | ი | კ | ა | | უ | | ე | კ | ი | უ | | | ა | ძ |
| დ | ა | მ | ე | | | ბ | ა | დ | ი | | ა | გ | ა | ტ | ა |
| | კ | ა | ტ | ა | | ე | მ | ი | რ | ი | | ი | ლ | ა | ლ |
| ა | ი | ლ | ა | ბ | | შ | | შ | ი | ო | | გ | ე | მ | ი |
| | ა | ა | | ო | ბ | ი | ლ | ე | | ბ | ლ | ი | ნ | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 4 | 3 | 9 | 5 | 6 | 2 | 1 |
| 1 | 6 | 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 3 | 5 |
| 3 | 5 | 2 | 6 | 1 | 7 | 9 | 8 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 1 | 3 | 7 | 6 |
| 6 | 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 5 | 9 | 8 |
| 9 | 3 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 8 | 9 | 6 | 1 | 7 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 4 | 2 | 1 | 5 | 3 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 5 | 7 | 3 | 2 | 6 | 8 | 1 | 4 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 6 | 7 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 7 | 3 | 9 | 5 | 8 | 2 | 1 | 6 | 4 |
| 8 | 6 | 4 | 1 | 3 | 9 | 5 | 2 | 7 |
| 9 | 8 | 6 | 2 | 1 | 7 | 4 | 3 | 5 |
| 4 | 5 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 1 | 6 |
| 3 | 1 | 7 | 4 | 6 | 5 | 2 | 8 | 9 |
| 6 | 7 | 3 | 8 | 4 | 1 | 9 | 5 | 2 |
| 5 | 9 | 8 | 7 | 2 | 3 | 6 | 4 | 1 |
| 2 | 4 | 1 | 9 | 5 | 6 | 8 | 7 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. კუნძული მანჰეტენი. 2. დგებოდა 1000 წელი, ელოდნენ სამყაროს დასასრულს და, ხანგრძლივი და გრანდიოზული ნაგებობების აშენება უაზრობად მიაჩნდათ. 3. ბარიკადების აგება და ქუჩებში ბრძოლების გამართვა. 4. ქარიან ამინდში მავთულების ხმა ფუტკრის ზუზუნად ეჩვენებოდათ და ელექტრობოძებზე ძვრებოდნენ. 5. რაც მეტი ფიგურა იყო სურათზე, მით უფრო ძვირი ღირდა. 6. ბახს, ბეთჰოვენსა და ბრამსს. 7. მათი დაკვრა მეხოფეებს ტაქტს აძლევდა. 8. დიეტოლოგები აჩვენებენ პაციენტებს, როგორი იქნება მათი კლიენტების სხეული დიეტის შემდეგ. 9. მათემატიკური უცნობები: X, Y, Z. 10. ზღვა.**

– კარგი. შევეცდები.

ყბედალომ როსტოველი ბანდიტები დაარწმუნა, რომ ფიუნესასთვის არაფერი დაეშავებინათ და მხოლოდ იმ პირობით დაითანხმა ისინი, თუკი ფიუნესას როსტოვში ჩაუყვანდა მათ და ახლოს გააცნობდა.

ფიუნესას რომ ეს ყველაფერი ვუთხარით, ფულის დაბრუნებაზე კრინტიც კი არ დაუძრავს, მაგრამ, როსტოვში გამგზავრების შეეშინდა და აცრემლებულმა გვითხრა:

– მღუპავთ, ძმებო? მე რომ როსტოვში ჩავიდე, იქიდან ცოცხალი ვერ დავბრუნდები. აი, ფული, წაიღეთ, მე კი იქ ნუ წამიყვანთ.

მე და ბერძენას დიდი ჯაფა დაგვჭირდა ფიუნესას დასარწმუნებლად, მაგრამ, მაინც ჩავიყვანეთ როსტოვში და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც, ორდღიანი გრიალის შემდეგ, ფიუნესას მიერ გადაგდებულმა როსტოველმა ბანდიტებმა დიდი პატივით გამოგვაცილეს.

– მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩი, – იმეორებდა ფიუნესა გზაში, – სულ იმას ვფიქრობდი, ახლა მომკლავენ-მეთქი და იმათ კი ხელი არ მახლეს, პირიქით, პატივი გვცეს. მადლობელი ვარ თქვენი, ძმებო, დიდი მადლობელი და მადლობელი ვარ თქვენი ძმა ყბედალოსი.

მას მერე ფიუნესა კარგა ხანს არ ჩამოსულა საქართველოში. თბილისში რომ დაბრუნდა, ერთ-ერთი რაიკომის მდივნის მძღოლს ათი ათასი მანეთი გამოართვა და მანქანას შეჰპირდა, თუმცა, როცა „სკვაზნოით“ აპირებდა მოტყუდომას, სრულიად შემთხვევით უბნის ინსპექტორმა გააჩერა, გაჩხრიკა და ათი ათასი რომ უპოვა, განყოფილებაში წაიყვანა. ფიუნესა იძულებული გახდა, რაიკომის მძღოლის ვინაობა დაესახელებინა და მძღოლს ფული დაუბრუნეს, ფიუნესას კი ერთი წელი მიუსაჯეს და წულუკიძეში გაუშვეს.

– არა, ძმაო, გადაგდებებზე დათარსული ვარ. მაყუთს კი ვართმევ კლიენტებს, მაგრამ ველარ ვირგებ ხოლმე, – იმეორებდა ფიუნესა.

ბერძენამ, როგორც შემპირდა, ფიუნესას ჩააკითხა, დაებაზრა, რუსთავის სტროგაჩებში გადასვლაზე დაითანხმა, ორი კვირის შემდეგ კი ის უკვე ჩვენს ზონაში იმყოფებოდა და გოგრასთან სათამაშო სიტუაციას ქმნიდა. მართლაც, რამდენიმე დღეში, ქურდების თანდასწრებით, ზონაში დიდი თამაში გაიმართა და გოგრასა და მისი პაძელნიკების გასაოცრად, ფიუნესამ მათ სამოცდაათი ათასი მანეთი მოუგო კარტში.

– ორ კვირაში მაყუთს ველოდები, – უთხრა ფიუნესამ გოგრას. შემდეგ წამოდგა, ქურდებს გამოემშვიდობა და დასაძინებლად წავიდა.

ამ შემთხვევამდე ათი დღით ადრე კი მერაბმა ბერძენას შემოგზავნილი ათი ათასი მანეთი ჩააბარა გოგრას, საიდანაც გოგრას მხოლოდ ათასი ერგო, ცხრა კი ქურდებმა წაიღეს და კარგადაც შეირგეს. ისინი მსგავსს ელოდნენ ფიუნესასგანაც და, ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩააბარებდა თავანს გოგრა და მისი შაიკა, თუმცა მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. გოგრას თავანის ჩაბარებამდე ხუთი დღით ადრე ზონაში ზურა მოიყვანეს. მან, რა თქმა უნდა, იცოდა, იქ რომ ვიმყოფებოდი და, როგორც კი ზონაში შემოდგა ფეხი, მე მომიკითხა, ყველას დასანახავად გადამეხვია და ქურდებს მას მერე დაელაპარაკა, რაც კარგა ხანს ვისაუბრეთ, ისინი სმენაზე, გასუსულები იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ ზურას განკარგულებას.



– როგორ ხართ, ძმებო, ხომ მშვიდობაა ზონაში, რას გაჩუმებულხართ? – უთხრა ზურამ კოლეგებს, ყველას სათითაოდ მიესალმა და დაამატა: ზედმეტი ხომ არაფერი ხდება, ხომ ყველა და ყველაფერი თავის ადგილზეა და ბესპრეძელს ხომ არ ჰქონია ადგილი?

ზურამ ჩემგან უკვე იცოდა მერაბის ამბავი, ქურდის უღირსი საქციელის შესახებ და არც ის დამიმალავს, როგორ წამოვაკიდებინეთ ფიუნესას გოგრა და ეს შეკითხვა განგებ დასვა, ქურდებმა კი ერთხმად მიუგეს:

– არა, ზურა-ჯან, ყველაფერი რიგზეა. წამოდი, დაისვენე, შენთვის კოიკა და თეთრეული მზადაა.

ზურამ მე თან მიახლა და ქურდებს გამოუცხადა:

– კობრა თქვენი ძმაა და სულ მალე ეს ოფიციალურად დადასტურდება. მაქსიმუმ ორ კვირაში სხოდკას შევკრებ და ამ საკითხს გადავწყვეტთ. დღეიდან კი ის აქ იცხოვრებს.

– რაზეა ბაზარი, ზურა-ჯან, – ნაძალადევად გაეღიმა იმ ქურდს, რომელმაც გოგრას არასწორი საქციელი გაამართლა და, რადგან ზურამ მის კოიკაზე მიმითითა, მან საკუთარი რეკვიზიტები სხვაგან გადაიტანა და მითხრა:

– ეს ადგილი შენია, კობრა, ძმაო! შეგიძლია, დაიკავო.

ზურა თავის კოიკაზე წამოწვა და როდესაც ქურდები გარეთ გაიკრიფნენ, მან მითხრა:

– ერთი წესიერად გამაგებინე, რა გიულაო?

მე დაწვრილებით მოვუყევი ზურას მერაბის ისტორია და ბოლოს დავამატე:

– ისეთი გულგატეხილი იყო ეს ბიჭი, რომ მთხოვა, პრისტუპნი გზაზე დადგომაში დამეხმარეო, მაგრამ, სულ სხვა ჩამოსხმაა. წესიერი, პატიოსანი ბავშვია, ჩვენთან რა ესაქმება და უარი ვუთხარი.

– ჩვენ რა, უპატიოსნოები ვართ, შე მამაძაღლო? – ღიმილით მითხრა ზურამ. მე კი მივუგე:

– არა, რა, ცოდოა ასეთი ცხოვრებისთვის. მართალია, გიულა დაჭრა, მაგრამ, ის თავისივე დანაზე წამოაგო და ტყუილად გასროკეს. ვფიქრობ, სწორედ გიულამ უნდა გამოიყვანოს მერაბი ციხიდან. მაყუთის მეტი რა აქვს, გადაიხდის და გაიყვანოს.

– ასიანს ბაზრობ. მაგ გიულას ვიცნობ. ვეტყვი და გააკეთებს, შენ და ბერძენა კი – სალოლ! კარგი ქენით, რომ მაგ ბიჭის თავანი ჩააბარეთ. გოგრას კი, იმ ბოზს, ტრაკში პანლური არ ასცდება.

საბოლოოდ, ყველაფერი სამართლიანად დალაგდა: გოგრამ და მისმა შაიკამ თავანი ვერ ჩააბარეს, ერთბაშად ოთხმა კაცმა ფუფლო გააკატავა და ამის გამო ჯერ ყურებში მოხვდათ და, რადგან საქათმეში წასვლაზე უარი განაცხადეს, მაგრად გაილახნენ და ისინი ძალით მიათრიეს იქ, სადაც გამწარებული „ქათმები“ ელოდნენ და ახალმიყვანილებს ისინი გაათმაგებული ენერგიით შეეგებნენ...

გოგრასა და მისი შაიკის გაქათმების მეორე დღეს ჩემთან ფიუნესა მოვიდა, შიშით მიიხედ-მოიხედა და მითხრა:

– კობრა, ძმაო, მგონი, ვიშოკები.

– იშოკები? მაინც, რა გჭირს?

– რა და, გოგრა და მისი პაძელნიკები მელანდება ყველგან, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სადმე მომიხელთებენ და ყელს გამომჭრიან.

– ნუ გეშინია, ფიუნეს, ფეხებსაც ვერ მოგჭამენ. ქათმები აქ ვერაფერს გავნებენ, – დავაიმედე ფიუნესა, მან კი ეჭვით გააქნია თავი და მითხრა:

– აქ, შეიძლება, ვერაფერი დამიშავოს, მაგრამ, სვაბოდაზე რომ სადმე მომიხელთოს, კარგ დღეში არ ჩამაგდებს. ამიტომ, აქედან რომ გავალ, შორს უნდა წავიდე, რათა გოგრა ვერ მომწვდეს.

– შე დალოცვილო, როსტოველი ბანდიტები გადააგდე და იმათი არ შეგაშინებია და ოთხი ქათამი გიხეთქავს გულს?

– როსტოველებს რომ დავეჭირე, ბოლობოლო, მომკლავდნენ, გოგრა კი უარესს მიზამს.

– ვერ გიზამს, ნუ გეშინია, – გავუმეორე ფიუნესას, რომელიც სროკიდან გათავისუფლებისთანავე მართლაც გაქრა საქართველოდან და, ალბათ, სადღაც შორს დაიმალა...

ორიოდე თვის შემდეგ გიულამ მერაბი სროკიდან გაათავისუფლებინა მილიციას, რადგან დიდი ფული გადაუხადა მათ, მანამდე კი ის ზურამ დაიბარა ზონაში, ელაპარაკა და ფულის გადახდაზე დაითანხმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-44(670)

**ეგოიზმი – რამდენს იწონის ის?!**

საკუთარი თავის სიყვარული, ჩვენ რომ ეგოიზმს ვეძახით, სულაც არ არის სალანძღავი სიტყვა – ის თვითშეფასების მაღალი კრიტერიუმის მაჩვენებელია. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა მნიშვნელობა რაოდენობას აქვს. სხვათა შორის, როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ეგოიზმის სრული არქონა არანაკლებ სახიფათო და მავნებელია, ვიდრე ზღვარს გადასული ეგოიზმი...

* * *

ლიზამ კომფორტულად მოიკალათა სავარძელში, ბალიშები მოხერხებულად ამოიწყო ზურგთან და იდაყვთან, პულტი მოიმარჯვა და უცებ წამოიკივლა.

– რა მოგივიდა? – შეეშინდა ლევანს, დაფეთებული წამოხტა და ცოლთან მიირბინა.

– არაფერი. სამზარეულოდან სტაფილოს წვენი უნდა გამომეტანა და დამავიწყდა, ახლა კი წამოდგომა მეზარება.

– მე მოვიტან, – ლევანი სამზარეულოსკენ გაიქცა. ლიზამ კმაყოფილი მზერით გახედა – მოსწონდა, როცა კაცი ასეთ მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ. „შესანიშნავი მამა იქნება. სწორი გადაწყვეტილება მივიღე“, – გაიფიქრა და ნებივრად გაიზმორა. ლევანმა წვენი მიიტანა და ცოლს გვერდით მიუჯდა.

– საყვარელო, მგონი, დროა, ლენას ვთხოვოთ, ყოველდღე მოვიდეს.

– რატომ? – გაიოცა ლიზამ, – ყოველდღე რა უნდა გააკეთოს? ისედაც საქმე არაფერი აქვს ხოლმე. თანაც, ვინ ურევს ამ



სახლს, ყოველდღე რომ ალაგოს. ზედმეტი რატომ უნდა გადავუხადოთ?

– სახლის დალაგება არც მიგულისხმია. მინდა, რომ შენ მოგხედოს. სამსახურში როცა ვიქნები, რამე რომ დაგჭირდეს?! მინდა, მშვიდად ვაკეთო ჩემი საქმე და არ ვიდარდო იმაზე, შენ როგორ ხარ ამ დროს.

– ჩემი მშიშარა, ფეთიანი ქმარი, – ლოყაზე აკოცა ლიზამ კაცს და ხელზე მოეფერა.

– შიში რა შუაშია, შენ ზრუნვა გჭირდება, განსაკუთრებული მოვლა.

– შენ ხომ ზრუნავ ჩემზე და მივლი... ესეც საკმარისია, – სულ დადნა ქალი.

– არა, არ არის საკმარისი. მაგალითად, მირჩევნია, წვენი ახალგამოწურული დალიო და არა ყუთის, რომელშიც, არავინ იცის, რა არის შერეული.

– ნუ დარდობ, ჯანმრთელ ბიჭს გაგიჩენ.

– და... შენსავით ლამაზს, – გაიღიმა ლევანმა, – როგორი სულელი ვიყავი, ასეთ ბედნიერებაზე უარს რომ ვამბობდი.

– ამიტომ, ყოველთვის უნდა დამიჯერო. მე უკეთესად ვიცი, შენ რა გჭირდება.

– იცი? გიყურებ და ველარ გცნობ. ეს ყველაფერი სიზმარი მგონია და, მეშინია, არ გამეღვიძოს.

– ნუ გეშინია, – გადაიკისკისა ლიზამ, – აბა, არაფრის მეშინიაო და არც ფეთიანი ვარო?! – ქალმა ორივე ხელი მოხვია ქმარს კისერზე და მიეხუტა, – სხვათა შორის, მეც მეშინია.

– გეშინია? რისი, საყვარელო?

– იმის, რომ კიდევ გაგიჩნდება სულელური აზრები... როგორ მანერვიულე და ლამის მაწყენინე, – ტუჩი გაბუსხა ქალმა, – მუცელი რომ გამომებერება, დავუშნოვდები, შენ აღარ მოგეწონები და... იცოდე, ვინმეს ისე რომ შეხედო, როგორც მე მიყურებდი ხოლმე, არ გაპატიებ და საშინელებას ჩავიდენ. ხომ იცი, როგორი ეგოისტი ვარ.

კაცმა ხმამაღლა გაიცინა.

– ტყუილად იცინი. მე სიტყვებს ჰაერზე არ ვფანტავ. რასაც ვამბობ, ვაკეთებ კიდეც.

– შენს ეგოიზმს ამ მიმართულებით, მხოლოდ მივესალმები, – თმაზე მიეფერა ლევანი ცოლს, – და, კიდევ, სულ ტყუილად ღელავ, მე შენ გაბერილიც მომეწონები და გასუქებულიც.

– როგორ არა, დაგიჯერე! კაცები ყველანი ერთნაირები ხართ: ერთგულებას გვეფიცებით და თან ხელსაყრელ მომენტს ელოდებით, რომ გვიღალატოთ. მით უმეტეს, რომ შენ უკვე შემჩნეული ხარ მსგავს ქმედებაში.

– მე? ლიზა, ამას როგორ მეუბნები? – გულწრფელად ეწყინა კაცს.

ქალმა გამაფრთხილებლად დაუქნია თითი:

– არ მინდა ახლა ნერვები მოვიშალო და ქექვა დავიწყო. ეს ორივეს გვავნებს. უბრალოდ, გაითვალისწინე, რომ ძალიან კარგი მეხსიერება მაქვს.

– მართალი ხარ, – ამოიოხრა ლევანმა, – აღარ გვინდა წარსულზე ლაპარაკი, მით უმეტეს, ისეთ ფაქტებზე, რომელიც პოზიტიურს არაფერს შემოიტანს ჩვენს ურთიერთობაში. ძლივს ისეთი ოჯახი გვაქვს, როგორზეც ვოცნებობდი და ჩემს ცხოვრებასაც აზრი მიეცა.

ლიზამ ქვემოდან ახედა ქმარს, მაგრამ, აღარაფერი უთქვამს, მკლავზე უფრო მაგრად მიეხუტა და გაინაბა.

ტელეფონმა მოგვიანებით დარეკა. ქალი ერთბაშად ვერ მიხვდა, ქმრის მობილური იყო თუ თავისი, წამოიწია და პირველივე აპარატს დასწვდა. ლევანს ურეკავდნენ... „რეკლამა-ზურა“ – წაიკითხა გარკვევით და გული უსიამოვნოდ შეუქანდა. ქმარს შეხედა. ლევანი თვლემდა...

– ლევან, ტელეფონი გირეკავს! ლევან, არ გესმის? – მაჯაში ხელი წაავლო და შეანჯღრია.

– ასეთ დროს? ვინ არის?

– „რეკლამა-ზურა“, – ხმამაღლა გაიმეორა ლიზამ;, – ვინ არის „რეკლამა-ზურა?!“

– ეგ სამსახურის საქმეზეა. რესტორანს კაფე რომ მივაშენე, იმის რეკლამები შევუკვეთე. დიზაინერია ერთ კომპანიაში.

– ჰო? კარგი დიზაინერია? – ლიზა შესამჩნევად გაწითლდა, – შენ იცნობ?

– კი, ნორმალური ბიჭია, კარგად მუშაობს. რამდენჯერმე მქონდა მის კომპანიასთან ურთიერთობა და კმაყოფილი ვიყავი. კარგად გავუგეთ ერთმანეთს.

– უნდა წახვიდე?

– არა, დავურეკავ. ამ საღამოს შენთან გავატარებ, მერე კი ცოტა გავისეირნოთ.

– კარგია. არ მინდა, მარტო ვიყო და გელოდო, – თავი მოისაწყლა ლიზამ და გაინაბა...

* * *

გიგიმ ლუდის დაორთქლილი ბოთლები მაგიდაზე დააწყო და ვახოს თვალი ჩაუკრა:

– ახლავე შემწვარი კარტოფილიც იქნება... დავლიოთ და გული გავიგრილოთ.

– შენ ისედაც მთვრალი ხარ. ამდენი სად დალიე?

– მე და ლაშამ მოვულხინეთ. ცუდ გუნებაზე ვიყავით ორივე და დარდები არაყში ჩავახრჩვეთ.

– ოფისში ამოიტანეთ სასმელი? გიგი, რამდენჯერ გითხარი...

– სტოპ! შეჩერდი! მადროვე სიტყვის თქმა! – ხელები თეატრალურად შემართა გიგიმ, – ოფისში წესიერად ვიქცეოდით. ქვემოთ, ბარში ჩავედით და იქ დავლიეთ. რას იზამ, ზოგჯერ ამის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ყოფა.

– შენ რაღა გჭირს? ან ლაშას... იმ პატიოსან კაცს მაინც დაანებეთ თავი, ოჯახი აქვს და პასუხისმგებლობა აკისრია.

– მე არ მაქვს პასუხისმგებლობა? როგორ გეკადრებათ, ბატონო ვახტანგ?! მე იმხელა პასუხისმგებლობას ვატარებ ზურგით და იმსიმძიმეს, წელშიც კი მოვიხარე. ნამდვილად არ ვიმსახურებ ასეთ საყვედურს.

ვახომ ამოიოხრა:

– ეჰ, ლამის ქალებს დავეთანხმო იმაში, რომ კაცები საშინელი ეგოისტები ვართ.

– აჰ, აჰ, აჰ... – ხელები გაასავსავა გიგიმ და პირი უკმაყოფილოდ გააწკლაპუნა, – არავითარი კაპიტულაცია! ისინი ღირსნი არ არიან! ქალები ასეთ საქციელს არ დაგვიფასებენ, იმედი არ გქონდეს.

– იმედი რა შუაშია? უბრალოდ, ჩვენ ბევრის უფლებას ვაძლევთ თავს და ანგარიშს არ ვუწევთ იმას, რას გრძნობენ ამ დროს ჩვენი ახლობელი ადამიანები.

– არ გინდა, ნულარ გააგრძელებ. მამაკაცი, რომელსაც არ უყვარს საკუთარი თავი და არც ეგოისტია, ცხოვრებაში ბევრს ვერაფერს აღწევს. დაძაბულია, დაკომპლექსებული... ადამიანებთან, საპირისპირო სქესთან ურთიერთობა უჭირს... ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ცოტა ეგოიზმი, უბრალოდ, აუცილებელიც კია.

– შენც, ფსიქოლოგების გჯერა... გიგი, ახლა მთვრალი ხარ და აზრზე ვერ მოდიხარ, რამდენ სისულელეს ამბობ.

– არავითარ შემთხვევაში! მთვრალი რომ ვარ, იმიტომაც ვამბობ ჭეშმარიტებას და, თანაც, აბსოლუტურს. ეჰ, იმ სულელ ზუკას ვერ შევაგნებინე ვერაფერი... რა მაგარ შარში ვართ, რომ იცოდე! – გიგიმ ამოიოხრა და თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა.

– მოიცა, რამე მოხდა? რა შარზე ლაპარაკობ?

– არ ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა. კიდევ ვყოყმანობ, იმიტომ, რომ ეს მარტო ჩემი საიდუმლო არ არის.

– ნუ გადამრიე, რა საიდუმლო? აბა, მოყევი, რა ხდება?

გიგი მოსაყოლად მოემზადა, რომ უცებ კარი გაიღო და ოთახში ზუკა შემოვიდა. ვახოს დანახვაზე შეცბა:

– შენც აქ ხარ? არ ვიცოდი...

– შემოდი, შემოდი... სწორედ შენზე ვლაპარაკობდით, – მიიპატიჟა ვახომ.

– დროულად იცი ხოლმე მოსვლა, – ჩაიცინა გიგიმ.

ზუკას ეწყინა:

– თუ ხელს გიშლი, წავალ.

– მოდი, კაცო, რას იბერები, გეხუმრე. ლუდს დალევ?

– არა. შენთან საქმე მაქვს. ოფისში გეძებდი და ველარ გიპოვე, მობილურიც გამორთული გქონდა.

– ჰო, გამოვრთეთ მე და ლაშამ. საუბარში აბეზარ ტიპებს ხელი რომ არ შეეშალათ.

– აბეზარი ტიპიც გავხდი? – ირონიულად გაიცინა ზუკამ, – შეკვეთა რატომ არ დაამთავრე? იძულებული ვიყავი, იმ ლევანისთვის მე თვითონ დამერეკა.

გიგი შეიჭმუხნა:

– ლევანს დაურეკე?

– ჰო, აბა, რა უნდა მექნა? მისმა მენეჯერმა თიკოსთან დარეკა – აინტერესებდა, რეკლამა მზად როდის იქნებაო. შენთვის, თურმე, ვერაფრით დაურეკავთ...

– შესაძლებელია. ხომ გითხარი, ტელეფონი გათიშული მქონდა-მეთქი.

– ჰოდა, ძლივს ვიპოვე იმ ლევანის ტელეფონი და დავურეკე.

– მერე?

– არაფერი. ჯერ არ მიპასუხა. ახლახან დამირეკა, ხვალ დილით გველოდება – აინტერესებს, რა გავაკეთეთ. რა გავაკეთეთ, გიგი?

გიგიმ თვალები მოჭუტა:

– მოიცა, დავფიქრდე... არაფერი... რა ვქნა, განწყობა არ მქონდა, რომ კრეატიულად მეაზროვნა.

ზუკა ვახოსკენ შებრუნდა:

– გესმის? სულ ასე მასხრობს და ნერვებს მიშლის. გამხეთქა გულზე, მეტი აღარ შემიძლია!



– ბიჭო, შენთან ლაპარაკი დღითი დღე შეუძლებელი ხდება. საერთოდ ველარ არჩევ, ვინ მტერია შენი, ვინ – მოყვარე...

– ჰმ, ვახო, უთხარი, შენთან ერთად ალიაროს, რას მერჩის და რა უნდა ჩემგან.

ვახომ ამოიოხრა:

– თქვენი ჩხუბი გაცილებით მძიმე მოსასმენია, როცა ისედაც არ ვარ დალხინებული.

– ვახო, დამიჯერე, ფსიქოლოგიური ტრავმა ფიზიკურ მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახება, – თემის შეცვლის შესაძლებლობამ აშკარად გაახარა გიგი.

– კარგი, რა... აბა, რა ვქნა, ვიცინო, როცა ასეთი გამოუვალი მდგომარეობა მაქვს?

– გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, – ეს აქსიომაა, – არ დანებდა გიგი.

– მაშინ, მითხარი, როგორ მოვიქცე.

– როგორ? – გიგიმ ნიკაპი მოისრისა, – მოვიფიქრე: ახლა ჩვენ ჩავსხდებით მანქანაში, ავიღებთ გიტარას და წავალთ შენს სახლთან. ქეთის ვუმღერებთ სერენადას და ეგრევე შეგირიგდება.

– შენ მართლა მაგარი მთვრალი ხარ, ხომ იცი. ეგ სისულელე რამ გათქმევინა? ქალისთვის სერენადები მაშინ არ მიმღერია, როცა შეყვარებულები ვიყავით. მეზობლებს თავს მასხრად ვერ ავაგდებინებ.

– მეზობლებს დარდობ? არ გინდა ცოლთან შერიგება? – გაუკვირდა გიგის, – მე პირიქით მეგონა!

ზუკამ გაოცებით შეხედა ვახოს:

– ცოლთან ნაჩხუბარი ხართ? დიდი ხანია?

– ჰო... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რაც სახლიდან წამოვედი, ერთი დღე საუკუნედ მეჩვენება, ძალიან დიდი ხანია.

– სახლიდან ხართ წამოსული? – რატომღაც თქვენობით მიმართა ზუკამ, – მერე?!

– რა მერე?! იმიტომაც ვარ იძულებული, ამ არაადეკვატური კაცის მთვრალ სიფათს ვუყურო, – ვახო წამოხტა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

– სულელი ვარ, სულელი!.. უნდა მცოდნოდა, რომ ამ რეჟიმში დიდხანს ვერ გავქაჩავდი. ქეთის ჩხუბის ატანა მირჩევნია ასეთ გაურკვეველ მდგომარეობას.

– მდაა... – ჩაილაპარაკა გიგიმ, – არ მომწონს ეს ამბავი. ბოლოს და ბოლოს, როგორი მეგობრები ვართ? ამდენს ვლაპარაკობთ მამაკაცურ მეგობრობაზე, რეალურად კი არაფერს ვაკეთებთ. მარტო ფეხბურთის ბილეთების შეძენაში უნდა ვეხმარებოდეთ ერთმანეთს?

– კიდევ, დალევაში, – მხარი აუბა ზუკამ, – მით უმეტეს, შენ რომ მეგობრობა იცი...

– მე კარგი მეგობრობა ვიცი, შე უბედურო, მაგრამ, შენ ვერ შეგაგნებინე ვერაფერი.

– თუ მეგობარი ხარ, აქ ვარ და პირდაპირ გეკითხები: რა გინდოდა ჩემი ლიზასგან?

ვახოს თვალები გაუფართოვდა.

– ლიზას ეჩალიჩებოდი, ბიჭო? გიგი, შენ გეკითხები!

– რა სისულელეა! ღმერთმა დამიფაროს! არ მიცნობ? ის ქალი ამისი არც არის. ქმარი ჰყავს და მასთან ერთად აპირებს ცხოვრებას ღრმა სიბერემდე.

– ნაბიჭვარო! – იფეთქა ზუკამ და სანამ ვახო რამეს გააკეთებდა, გიგის მივარდა და რამდენიმე წამის განმავლობაში გამეტებით ურტყამდა მუშტებს. გიგი წინააღმდეგობას არ უწევდა, მხოლოდ მძიმედ ქშინავდა და ხელისგულით იწმენდდა გახეთქილი ტუჩიდან გამოჟონილ სისხლს, მის გამოხედვაში კი სიბრალული ჩანდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# გართობას გადაყოლილი?!



*გართობა უნდა გიყვარდეთ – ეს ნორმალურიც არის და აუცილებელიც. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც გართობის მიმართ გულგრილნი რჩებიან. თქვენ ხომ არ ხართ გადაყოლილი გართობას?*

1 ქულა დაიწერეთ ყოველ დადებით პასუხზე, მერე კი ნახეთ შედეგები:

**1. გიყვართ ფეხით სეირნობა?**

**2. გიყვართ სტუმრების გამასპინძლება?**

**3. არ გიჭირთ მეგობრების ხათრით საკუთარ სურვილებზე უარის თქმა?**

**4. ცდილობთ, სახლში ყოველთვის გქონდეთ სტუმრების გასამასპინძლებლად რამე გემრიელი?**

**5. გიყვართ სუსნაობა და სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნება?**

**6. ხშირად მართავთ ხმაურიან წვეულებებს?**

**7. გყავთ მეგობრები, რომლებსაც რეგულარულად ხვდებით?**

**8. მეგობრებთან ერთად ხშირად ილხენთ და მღერით სუფრასთან?**

**9. ადვილად გიუმჯობესდებათ განწყობა?**

**10. ადვილად ურიგდებით ადამიანს, რომელთანაც უთანხმოება მოგივიდათ?**

**11. წარსულიდან ძირითადად უსიამოვნო ამბებს იხსენებთ?**

**12. როგორ გგონიათ, კარგი სახის ფერი გაქვთ?**

**13. შეგიძლიათ, თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაშინაც კი, როცა საქმე ცუდად მიგდით?**

**14. სათანადო ყურადღებას უთმობთ საკუთარ თავს?**

**15. ხშირად იღვიძებთ გამოუძინებელი, თავის ტკივილით?**

**16. ხშირად ხდება, რომ დილით სამსახურში წასასვლელად ძალა არ გყოფნით?**

**17. თუ რამე პრობლემის გამო მოლხენას აგიკრძალავენ, იტყვით უარს დალევაზე, გართობაზე?**

**18. ერთხელ მაინც გიფიქრიათ, არასდროს დავიცავ დიეტას, რაც არ უნდა მოხდესო?**

**19. ჭარბი წონა ხომ არ გაქვთ?**

**20. ხშირად მიბრძანდებით გასართობად პარტნიორის (მეუღლის) გარეშე?**

**21. გიყვართ კომედიები?**

**22. გიჭირთ დილით ადრე ადგომა?**

**23. ღამით გვიან დაწოლა გირჩევნიათ?**

**24. სამსახურში ხშირად „ცელქობთ“ და ხუმრობთ?**

**25. ყოველთვის მზად ხართ, საქმე მეორე დღისთვის გადადოთ და გართობის მორევში გადაეშვათ?**

**დათვალეთ ქულები და ნახეთ შედეგები:**

*1-დან 7 ქულამდე: იშვიათად ერთობით. გიჭირთ იმ პატარ-პატარა სიამოვნებების დაფასება, რომლებსაც ცხოვრება გთავაზობთ. მშვიდ, გაწონასწორებულ, სტაბილურ ყოფას ამჯობინებთ. ჩარჩოების დამსხვრევის გეშინიათ. ყველა წუთი წინასწარ გაქვთ გაწერილი.*

*8-17 ქულამდე: ზომიერების გრძნობა არასოდეს გღალატობთ – არც შრომის და არც გართობის დროს. სამსახური და ოჯახი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ გართობისთვის მათ საფრთხეს არ შეუქმნით. თავს მხოლოდ უიშვიათეს მომენტებში კარგავთ.*

*18-25 ქულა: გართობა თქვენთვის ყველაფერია. შეგიძლიათ, მას საკუთარი ჯანმრთელობაც კი შესწიროთ. გგონიათ, რომ ლაღი ხართ, სინამდვილეში კი დანას ისვამთ ყელში.*

## მეცხრამეტე საუკუნის ამორძალები

ნაპოლეონის ეპოქაში, ომში ყოველთვის იბრძოდნენ ქალები, თანაც ფრონტის წინა ხაზზე. ესპანეთში სახელგანთქმული მებრძოლი ქალი გახლდათ ავგუსტინა რაიმონდა დომენეკი (იგივე ავგუსტინა არაგონელი), რომელიც სარაგოსას დამცველების უდიდესი სტიმული იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამბობენ, თავიდან ქალს სულაც არ ჰქონდა ბრძოლაში ჩაბმა გამიზნული. ის, უბრალოდ, საკვებს ამზადებდა მებრძოლთათვის, მაგრამ, როცა ყველა არტილერისტი დაიღუპა, ავგუსტინამ ქალაქის დაცვა თავად იტვირთა. თვითონვე ტენიდა ქვემეხებს და ესროდა მტერს. ის ვაჟკაცობისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ იქცა. მისი პორტრეტი თვით ფრანჩესკო გოიამ დახატა. ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა ბაირონმა.

თვრამეტი წლის იტალიელმა ფრანჩესკა სკანაგატამ მეომრის ამპლუა ქალი-ჯვაროსნის, კიორინდას ეშხით მოირგო. ანუ, პოემის „იერუსალიმის განმათავისუფლებლები“. 1794 წელს მან მამამისს სთხოვა, ნება მიეცა, ნეიშტადის სამხედრო აკადემიაში ჩაებარებინა. ქალიშვილმა აკადემია წარჩინებით დაამთავრა და ავსტრიის არმიის პოლკში გაანაწილეს. მედროშე იყო და 1801 წლამდე მოახერხა ინკოგნიტოდ დარჩენა. პენსიაზე ლეიტენანტის ჩინით გავიდა. 1804 წელს კი გათხოვდა ოფიცერზე.

ნაპოლეონის მომხრეებს შორის გამორჩეული და ცნობილი მეომარი ქალი იყო ბელგიელი მარია შელნიკი. მან მონაწილეობა თორმეტ საომარ კამპანიაში მიიღო. რამდენჯერმე დაიჭრა კიდეც. 1806 წელს სუბლეიტენანტობა მიანიჭეს. 17 წელი იმსახურა და საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვეს. ჯილდო თვით ბონაპარტმა გადასცა. „მუხლი მოიყარეთ, ბატონებო, ამ გამორჩეული ქალის წინაშე. ის იმპერიის დიდების ცოცხალი ხატებაა“, – თქვა ნაპოლეონმა.

## კოცნა ციფრებში

ტუჩებში 100-ჯერ მეტი ნერვული დაბოლოებაა, რომლებიც „ასულდგმულებენ“ ვნებას და ჩვენს სექსუალურ გაღიზიანებას იწვევენ. ამიტომაც, კოცნა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანების სიახლოვის დროს.

მამაკაცების 40 პროცენტი ამტკიცებს, რომ კოცნა მათთვის უფრო სასიამოვნო და აუცილებელია, ვიდრე ქალბატონებისთვის.



მართალია, კოცნის დროს პარტნიორებს ერთმანეთისგან 8 ათასზე მეტი ბაქტერია გადაეცემათ, მაგრამ, კოცნების 95 პროცენტი ნამდვილი ვარჯიშია ნაოჭების საწინააღმდეგოდ.

იცით, რომ...

* ის, ვინც ხშირად კოცნაობს, არასდროს უჩივის კუჭის ტკივილს. ასევე, მას არ უნდა ეშინოდეს ვირუსების, რადგან, კოცნისას გამოყოფა ჭარბი რაოდენობით ენდორფინი, რაც იმუნიტეტს აძლიერებს.

* ქალებს იშვიათად უყვარდებათ მამაკაცები, რომლებმაც არ იციან კოცნა, თუმცა, მამაკაცები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ

* შუა საუკუნეებში ადამიანები საქმიან ქაღალდებზე და კონტრაქტებზე სვამდნენ ჯვარს და მერე ქაღალდს კოცნიდნენ – ამით ამტკიცებდნენ, რომ არ იტყუებოდნენ.

* სხვათა შორის, მაიმუნებიც ვნებიანად და მგზნებარედ კოცნაობენ.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**



# პრობლემის მომგვარებელი

## სტენლი ელინი

მისტერ ტრედუელს – წარმატებულ ბიზნესმენსა და აყვავებული კომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ძალიან გაუკვირდა, როცა თავის ფეშენებელურ, კომფორტულ კაბინეტში სრულიად უცხო მამაკაცი დაინახა. ტრედუელი შუახანს მიტანებული, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იყო. მედიდური მანერებით, თავდაჯერებული...

– ვინ ხართ და რა გნებავთ? – მკაცრად ჰკითხა დაუპატიჟებელ სტუმარს, – მდივანმა როგორ შემოგიშვათ?

სტუმარმა, ლოყებღაჟღაჟა, მხიარული გამომეტყველების კაცმა, ხელი შინაურივით დაუქნია:

– მე ბანსი მქვია. მდივანს ვუთხარი, რომ მელოდებოდით. აქ თქვენს დასახმარებლად მოვედი.

– შეცდით, – ხმა გაიმკაცრა ტრედუელმა, – დასახმარებელი არაფერი მჭირს!

– მართლა? მე კი ვიცი, რომ პრობლემები გაქვთ. მე მოგიგვარებთ.

– არანაირი პრობლემა არ მაქვს. მიბრძანდით აქედან, ახლავე!

– ჯერ მომისმინეთ, ამაში ხომ ფულს არავინ გახდევინებთ. სანამ აქ მოვიდოდი, თქვენი დოსიე ზედმიწევნით ზუსტად შევისწავლე. ჩვენი გერონტოლოგიური საზოგადოება პროფესიონალი კადრებით არის დაკომპლექტებული.

– გერონტოლოგიური საზოგადოება? – მისტერ ტრედუელმა განცვიფრებით დააჭყიტა თვალები, – ეს რაღაა? პირველად მესმის.

მისტერ ბანსმა გაიღიმა:

– მომისმინეთ, მისტერ ტრედუელ, თქვენ მდიდარი ხართ, წარმატებული... გაქვთ საკუთარი სახლი და აგარაკი აღმოსავლეთ სანაპიროზე... გყავთ ბოლო მოდელის მანქანა, ცოლიანი ხართ. ქალიშვილი შარშან გაათხოვეთ. სიძით კმაყოფილი ბრძანდებით. ცოტა დაეხმარეთ და ყმაწვილმა საკუთარი წარმატებული ბიზნესი წამოიწყო. ცოლი გიყვართ... წესით, თქვენ პრობლემა არ უნდა გქონდეთ, თუმცა...

– თუმცა?! – მოუთმენლად ჩაეკითხა მისტერ ტრედუელი.

– თქვენი მეუღლის მამა, რომელიც, მას მერე, რაც ქალიშვილი გაათხოვეთ, თქვენთან ცხოვრობს. ის 82 წლის არის, თუმცა, მის ასაკში იშვიათი ჯანმრთელობით გამოირჩევა, თუ არ ჩავთვლით, დაზიანებულ მარცხენა ხელს. ერთი სიტყვით, კიდევ კარგა ხანს იცოცხლებს.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– მოთმინება იქონიეთ, მისტერ ტრედუელ! თქვენ გგონიათ, გერონტოლოგიურ საზოგადოებაში დილეტანტები ვსხედვართ? სხვათა შორის, გერონტოლოგია სიბერესთან დაკავშირებულ პრობლემებს სწავლობს და ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს. ჩვენი სპონსორები საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი ადამიანები არიან. ამიტომაც, არასდროს არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. ყველაფერს სუფთად ვაკეთებთ.

– აკეთებთ, ანუ, მოხუცებულთა თავშესაფარი გაქვთ?

ბანსს ჩაეღიმა.

– მოხუცებული, თავშესაფარში იქნება ის თუ სახლში, ერთნაირი პრობლემაა. ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ თქვენი ცოლი ნაკლებს ინერვიულებს მასზე, თუ ის თავშესაფარში იქნება და ნაკლები თანხა დაჯდება მისი შენახვა?!

– ეგ მართალია, – ამოიოხრა მისტერ ტრედუელმა, – თქვენ რას მთავაზობთ, პრობლემა რა გზით უნდა მოგვარდეს? ხომ არ გულისხმობთ, რომ...

ბანსმა ოდნავ დაუქნია თავი. მისტერ ტრედუელი აღშფოთდა.

– მაგას როგორ მთავაზობთ? ლიკვიდაცია? მარტო იმიტომ უნდა მოკვდეს, რომ მოხუცია?.. და, გინდათ, ამაზე დამითანხმოთ?! ახლავე მიბრძანდით ჩემი კაბინეტიდან, სანამ პოლიციას გამოვუძახე!

მისტერ ბანსი ღიმილით წამოდგა, აუღელვებლად.

– არ გირჩევთ მაგის გაკეთებას და ნურც აჩქარდებით. ბევრი დრო არ გავა და თქვენ თავად დამიკავშირდებით. ყოველი შემთხვევისთვის, ჩემს სავიზიტო ბარათს დაგიტოვებთ.

– არ მჭირდება, შეგიძლიათ, თან წაიღოთ! – ლამის ყვიროდა მისტერ ტრედუელი. თუმცა, სტუმრის წასვლის შემდეგ სავიზიტო ბარათი მაინც აიღო და უჯრაში ჩააგდო. მომდევნო ორი კვირა შფოთვაში გაატარა. არასდროს მოსჩვენებია ცოლის მამა ასეთი აუტანელი და მომაბეზრებელი. ჰელენსაც ატყობდა, რომ მოთმინების ფიალა ლამის ბოლომდე ჰქონდა ავსებული. მოხუცი მათ ნერვებზე თამაშობდა. ბოლო რამდენიმე დღე ღამითაც არ დააძინა ცოლ-ქმარი – კოშმარები ესიზმრებოდა და ძილში ყვიროდა. მისტერ ტრედუელმა იგრძნო, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო... ერთ დილით, სამსახურში მისულმა, მისტერ ბანსის სავიზიტო ბარათი მოძებნა და პირდაპირ ოფისში მიადგა გერონტოლოგიურ საზოგადოებას. რატომღაც, ეგონა, რომ ეს საეჭვო ტიპის საზოგადოება სადღაც, უბადრუკ შენობაში იქნებოდა მიყუჟული და გაოგნდა, როცა ულტრათანამედროვე, ტექნიკის ბოლო მიღწევებით აგებული შენობა და ფუფუნება იხილა. დერეფნებში ამაყად თავაწეულები დაქროდნენ მოდურად ჩაცმული თანამშრომლები. მისტერ ტრედუელმა უკვე მოწიწებით შეაღო მისტერ ბანსის კაბინეტის კარი. მას არანაირი გაოცება არ გამოუხატავს.

– გელოდით. ვიცოდი, რომ ჩემს სავიზიტო ბარათს არ გადააგდებდით.

– რაღაც დეტალების დაზუსტება მინდა...

– ვიცი, გაინტერესებთ, როგორ მოხდება ყველაფერი. გეტყვით: თქვენ მხოლოდ კონტრაქტს მოაწერთ ხელს, რომლის თანახმადაც, ორი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, ორი ათას დოლარს გადაგვიხდით, როგორც სპონსორი. თქვენთვის ეს უმნიშვნელო თანხაა, ხომ მართალია? მოხუცის სიკვდილი არავის უკვირს. ჩვენს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს გამოძიება მოეთხოვოს. იმდენად ზედმიწევნით ზუსტად გვაქვს ყველა დეტალი გათვლილი და შესწავლილი, სადაზღვევო და საპენსიო უწყებებიც კი არ აილებენ ეჭვს. ხელს მოაწერთ კონტრაქტს და პრობლემაც აღარ იარსებებს.

– მე რომ ფული აღარ გადაგიხადოთ?

– ნუ მაცინებთ, მისტერ ტრედუელ, ბავშვი ხომ არ ხართ, რომ ასეთ გულუბრყვილო შეკითხვას მისვამთ. ორი წლის შემდეგ ჩვენ თქვენთვის აღარ ვიარსებებთ.

– საერთოდ ხომ იარსებებთ?

– რა თქმა უნდა, – ისეთივე სიმშვიდით დაუდასტურა მისტერ ბანსმა. მისტერ ტრედუელმა ცოტა ხანს კიდევ იყოყმანა და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

– გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, – მაამებლური ტონით დაარიგა მისტერ ბანსმა, – როგორც ვატყობ, თქვენ რისკის ფაქტორი უფრო გაღელვებთ. შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, ამ მხრივ, სანერვიულო არაფერი გაქვთ.

ორი კვირის შემდეგ ტრედუელის სიმამრი თევზაობისას მდინარეში ჩავარდა და დაიხრჩო. შვილი სულ ეუბნებოდა, რომ მის ასაკში თევზაობით გატაცება არაგონივრული საქციელი იყო... გამოძიება არც დაწყებულა. ექსპერტის დასკვნაში ჩაიწერა: „სიკვდილი გაუფრთხილებლობით“ – და ამით დამთავრდა. მისტერ ტრედუელი პირადად ხელმძღვანელობდა დაკრძალვის ცერემონიალს, ხოლო, როცა ცოლთან ერთად პირველი უიქენდი გაატარა მოხუცის გარდაცვალების შემდეგ, მიხვდა, რომ სულ უფრო ნაკლებად აწუხებდა სინდისი. აღარც ყოველთვიური სასპონსორო თანხა – ორი ათასი დოლარი ებევრებოდა... ცხოვრება გაცილებით მშვენიერი გახდა. ერთ დღეს კი, როცა თავის კაბინეტში ნებივრად წრუპავდა ვისკის, საშინელმა აზრმა გაუელვა: „ღმერთო, ოდესმე ჩემს ქალიშვილსა და სიძესაც რომ მოაფიქრდეთ, მიმართონ გერონტოლოგიურ საზოგადოებას... მაქსიმუმ ოც-ოცდახუთ წელიწადში ხომ მეც დავბერდები?! – მაშინვე ტელეფონს ეცა და მისტერ ბანსს დაურეკა. ბანსმა ყურადღებით მოსუმინა და გაიცინა.

– რატომ იტვირთავთ თავს ფუჭი შიშებით? თქვენს ქალიშვილს ხომ უყვარხართ?

– რა თქმა უნდა.

– ხომ გახსოვთ, როგორ იჯდა თქვენს კალთაში და გეფერებოდათ?

– დიახ, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი...

ცოტა გულზე მოეშვა მისტერ ტრედუელს. მისტერ ბანსმა გაიცინა:

– ჰოდა, ჩემი რჩევაა, ნუ გაიმწარებთ ბედნიერ წლებს. ჯერ ისევ ახალგაზრდა ხართ, ისევე, როგორც ჩვენი საზოგადოება. ჩვენ კი დიდხანს, საკმაოდ დიდხანს ვაპირებთ არსებობას – კიდევ იმდენ ადამიანს სჭირდება პრობლემის მომგვარებელი...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მ ი ი ღ ე თ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

გოჩა მანველიძე

# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №38-44(670)

შეხვედრა საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელის სურვილით შედგა. მირიანი ახალი მისული იყო პროკურატურაში, როდესაც მდივანმა აცნობა, დავითი თავისთან გიბარებსო. მირიანმა ჩათვალა, რომ მის ხელმძღვანელს ძიების ამჟამინდელი მდგომარეობა აინტერესებდა. ამიტომაც სისხლის სამართლის საქმის ყველა მზა მასალას ერთად მოუყარა თა-



ვი და დავითის კაბინეტს მიაშურა. მაგრამ, მისდა გასაოცრად, მან სრულიად სხვა საკითხზე წამოიწყო საუბარი.

– ეს ნახე, – თქვა დავითმა და ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

ფურცელი მთავარი პროკურორის სახელზე დაწერილი საჩივარი აღმოჩნდა, მისი ავტორი კი – მირიანისთვის კარგად ნაცნობი რამაზ დევიძე. ის დაწვრილებით აღწერდა მისი უკანონო დაპატიმრების დეტალებს, იზოლატორში გატარებულ ორ დღეს და საექსპერტო ნიმუშების აღების მისთვის დამამცირებელ პროცედურას. საჩივარში რამაზი განსაკუთრებულ ადგილს გიორგის უთმობდა. მას ახასიათებდა როგორც თავზეხელაღებულ, ძალადობისადმი მიდრეკილ პიროვნებას, რომელიც არაფრით შეეფერებოდა პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობას.

– საჩივარი დღეს შემოვიდა პროკურატურაში. მთავარმა პროკურორმა კი, როგორც შენს უშუალო ხელმძღვანელს, მე დამავალა ვითარების გარკვევა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება... არ იყო ახლა ამის დრო, მირიან. ამას ყველაფრის გაფუჭება შეუძლია, – თქვა დავითმა, როგორც კი მირიანმა საჩივარი უკან დაუბრუნა.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა მან.

– საჩივარს... მთავარ პროკურორს პირდაპირ არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, რომ უკმაყოფილი იყო. პირველივე საქმეზე ასეთი იაღლიში არ უნდა მოგსვლოდა.

– მე ეს იაღლიშად არ მიმაჩნია!

– მე მიმაჩნია! – ცივად თქვა დავითმა, – ვერ ხედავ, როგორ ახასიათებს დევიძე ავალიანს?! თავზეხელაღებული, უპასუხისმგებლო, თანამდებობისთვის შეუფერებელი!.. ეს სახუმარო საქმე არ არის. დევიძე საზოგადოებაში მიღებული, ცნობილი მხატვარია; ჰყავს შესაბამისი საახლობლო, გააჩნია ფართო კავშირები, მათ შორის მედიასთანაც. ხვდები, როგორი ხმაურის ატეხა შეუძლია? მე იმის წარმოდგენაც კი არ მინდა, როგორ ყვება დევიძე ტანჯული სახით პროკურატურის გამომძიებლების ძალადობაზე და ასეთი სახით გახასიათებთ შენ და ავალიანს. გაითვალისწინე, რომ, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ავალიანი რამდენჯერმე მოხვდა მედიის ყურადღების ცენტრში. ვინ არ დაიჯერებს, რომ გიორგიმ მართლაც დაარღვია კანონი დევიძესთან მიმართებაში?!

– მაოცებ, დავით. რატომ მსჯელობ დევიძის განცხადების საფუძველზე? მე არაფერში ვადანაშაულებ გიორგის. დევიძე ჩვენზეა განაწყენებული და საჩივარში სხვა სისულელეების დაწერაც შეუძლია, მაგრამ, შენ ხომ პროფესიონალი ხარ და არაერთხელ შეხვედრიხარ ასეთ საჩივრებს!

– შევხვედრივარ, მაგრამ, ამ შემთხვევაში საჩივარი საფუძვლიანად მიმაჩნია. შენ დააპატიმრე და ორი დღის შემდეგ გაათავისუფლე დევიძე. როდის იყავი მართალი – როდესაც აპატიმრებდი თუ როდესაც ათავისუფლებდი? – თქვა დავითმა.

– ორივე შემთხვევაში, – მშვიდად უპასუხა მირიანმა.

– შენ მე გამაგიჟებ! – გაბრაზდა დავითი, – ასეთი რამ ჯერ არ მსმენია. როგორ შეიძლება ადამიანი ერთდროულად დამნაშავეც იყოს და უდანაშაულოც?!

– ყოველ შემთხვევაში, მე საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს არ გავცდენივარ. მქონდა დევიძის ორი დღე-ღამით დაკავების უფლება?

– გქონდა.

– და დავაკავე კიდეც. შემდეგ კი მისმა ადვოკატმა წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც მის ალიბის უზრუნველყოფდა და მე ის უყოყმანოდ გავათავისუფლე.

– მესმის. ეს ცოტა ხნით ადრე რომ მომხდარიყო, ყველაფერი ერთი საუბრით დამთავრდებოდა. საჩივარს, უბრალოდ, რეზოლუციას დავადებდი, რომ აქ მოყვანილი ფაქტები არ დასტურდება და ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ, ახლა საქმე მხოლოდ შენ არ გეხება. მე არ მინდა, რომ ჩვენი წამოწყება ასე უსახელოდ დასრულდეს... იქნებ, შენ თვითონ გსურს ასე? – დავითმა დაჟინებული მზერა მიაპყრო მირიანს, – შენ თავიდანვე არ გსურდა ავალიანის შენს ჯგუფში ჩართვა. ახლა გეძლევა მისი თავიდან მოშორების შესაძლებლობა. თანაც, ჯგუფის დაშლის შემთხვევაში, ავტომატურად დაინიშნები სამსახურის ხელმძღვანელად.

– იმედი უნდა გაგიცრუო. დევიძის განცხადების საფუძველზე ჩემი ჯგუფი თუ დაშალეთ, პირობას გაძლევ, რომ საერთოდ წავალ პროკურატურიდან!

– ხუმრობ?

– არა, სრულიად სერიოზულად გეუბნები, – უპასუხა მირიანმა.

– ასე შეგაყვარა თავი ავალიანმა? – ჩაიცინა დავითმა.

– უნდა ვაღიარო, რომ მასზე სწორი წარმოდგენა არ მქონდა. ფიცხი ადამიანია, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან კარგი გამომძიებელია. მასთან მუშაობა მართლაც საინტერესოა.

– ლაღიძეზე რას იტყვი? – ჰკითხა დავითმა.

– ანა შესანიშნავი ადამიანი და უნარიანი გამომძიებელია. დროდადრო მავიწყდება, რომ ეს მისი პირველი გამოძიებაა. მაგალითისთვის გეტყვი, რომ იმ სამი ეჭვმიტანილის აყვანას ანას უნდა ვუმადლოდეთ – მან მიაქცია ყურადღება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ მედიკამენტის ქილას. ძიებისთვის ის მიმართულება აირჩია, რამაც, საბოლოოდ, ლომიძესა და მის თანამზრახველებზე გაგვიყვანა.

– გასაგებია... არ გეწყინოს, მირიან, მაგრამ, საჩივარს უყურადღებოდ ვერ დავტოვებ. სულ მცირე, მოკვლევა მაინც უნდა დავიწყო.

– დაიწყე, ეს შენი მოვალეობაა, მაგრამ ძალიან გთხოვ, მე და ჩემი ჯგუფის წევრებს მუშაობაში ხელს ნუ შემიშლით, – თქვა მირიანმა.

– რაღა დაგრჩათ სამუშაო? – გაუკვირდა დავითს, – ეჭვმიტანილები დაკავებულები გყავთ. როგორც ჩემთვის ცნობილია, დანაშაულს ისინიც აღიარებენ და ექსპერტიზამაც დაასკვნა, რომ გაუპატიურება მათ ჩაიდინეს. უახლოეს მომავალში შენგან ბრალის ოფიციალურ წარდგენას ველოდი, შენ კი, თურმე, მუშაობის გაგრძელებას აპირებ!

– საქმე გამოძიებული არ არის.

– რა დაგრჩათ გამოსაძიებელი?

– ექსპერტიზამ ერთი უცნაური გარემოება გამოავლინა და, ვიდრე მასში არ გავერკვევით, საქმეს ვერ დავხურავ, – უპასუხა მირიანმა.

– რა გარემოება? – დაინტერესდა დავითი.

– დევიძისგან აღებული ნიმუშის ანალიზი დიდი ალბათობით ემთხვევა ძალადობაში მონაწილე ერთ-ერთი პირის ნიმუშს.

– ისევ დევიძე?! – მოიღრუბლა დავითი, – შენ რა გინდა, მართლაც უმუშევარი დარჩე?!

– ექსპერტიზის შედეგებს ვერსად გავექცევით, – მშვიდად ჩაილაპარაკა მირიანმა.

დავითი სწრაფად წაეტანა საქაღალდეს, რომელიც მირიანის წინ იდო, გადაშალა და ფურცვლა დაიწყო.

მილოცვა

კომპანია „ალბატროსის“ პრეზიდენტს, ბატონ **ზაზა ჩხაიძეს** და მის მეუღლეს, **დიანა აკობიას** ვულოცავ ქალიშვილის, ელენეს დაბადებას.



ბედნიერება, ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა არ მოაკლოს უფალმა!

**ხატია ქლენტი**

– საქაღალდეში ექსპერტიზის შედეგები არ არის, – თქვა მირიანმა.

– რატომ? – გაოცებით გახედა დავითმა.

– ჩივაძემ მხოლოდ გუშინ მაცნობა ექსპერტიზის შედეგების დამთხვევის შესახებ. ყველა გაუგებრობის გამოსარიცხად, მე განმეორებითი და უფრო დეტალური გამოკვლევის ჩატარება ვთხოვე.

– ეს გონიერი ნაბიჯია, მაგრამ, რას მოიმოქმედებ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა იგივე შედეგს უჩვენებს? – ჰკითხა დავითმა.

– ასეთ შემთხვევაში, დევიძეს გარკვეული საკითხების განმარტება მოუწევს.

– ერთი რამ ამიხსენი. აქვს თუ არა დევიძეს მყარი ალიბი? – სწრაფად ჰკითხა დავითმა.

– აქვს, – უყოყმანოდ უპასუხა მირიანმა.

– ასეთ შემთხვევაში, ჩვენ სრულ აბსურდამდე მივდივართ. ადამიანს, უბრალოდ, არ შეუძლია ერთდროულად ორ ადგილზე ყოფნა. თუ ის ღამით გურჯაანის საავადმყოფოში იმყოფებოდა, ვერაფრით მოხვდებოდა თბილისის ზღვაზე! – შენიშნა დავითმა.

– ამას მეც ვხვდები, მაგრამ, ექსპერტიზის შედეგებს მაინც გადავამოწმებ. ამის წინააღმდეგი ხომ არ ხარ? – გამომცდელად შეხედა მირიანმა.

– არა... მაგრამ გთხოვ, ნუღარ გაამწვავებ ვითარებას. შეგიძლია, დევიძე დაკითხო, მაგრამ, მის დაკავებას და, მით უმეტეს, იზოლატორში გამოკეტვაზე, არც კი იფიქრო! – გააფრთხილა დავითმა და საქაღალდე უკან დაუბრუნა.

* * *

იდეა გიორგის ეკუთვნოდა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ქალაქიდან ზღვაზე მოხვედრა ოთხი გზით იყო შესაძლებელი – ვარკეთილის, ლოტკინის, თემქისა და ნახალოვკის მხრიდან. ყველა ამ გზის გასწვრივ კი განლაგებული იყო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვილი ობიექტები. შანსი მცირე იყო, მაგრამ მაინც რჩებოდა იმის ალბათობა, რომ რომელიმე კამერა ზღვისკენ მიმავალ გოგონასა და მის თანამგზარს ან თანამგზავრებს დააფიქსირებდა.

გიორგის წინადადების მოსმენის შემდეგ მირიანმა მცირე ხანს იფიქრა, შემდეგ კი დაეთანხმა:

– კეთილი... განსაკუთრებული იმედი არ მაქვს, მაგრამ, მაინც ვცადოთ. გადაამოწმე!

დღის მეორე ნახევარში გიორგიმ მოზეიმე სახით შეაბიჯა კაბინეტში. მას არაფერი უთქვამს მირიანისთვის და ანასთვის. კომპიუტერს მიუახლოვდა, გარე მეხსიერების დისკი მოარგო და კოლეგებს თეატრალურად მიანიშნა – უყურეთო.

მონიტორზე შავ-თეთრი გამოსახულება გამოჩნდა. მასზე აღბეჭდილი იყო გზატკეცილი, რომელზეც პერიოდულად მოძრაობდნენ მანქანები. მოულოდნელად მონიტორზე ნაცნობი სილუეტი გაკრთა.



– უკან დააბრუნე! – სწრაფად თქვა ანამ და ყურადღებით დააკვირდა მონიტორს.

გიომ ჩანაწერი უკან დააბრუნა და შეაჩერა.

– ეს კი ნაღდად სიურპრიზია! – ჩაილაპარაკა მირიანმა, როდესაც გამოსახულებაზე აღბეჭდილი მანქანა ამოიცნო. შეცდომა გამორიცხული იყო: მონიტორზე რამაზ დევიძის „ტოიოტა" მოჩანდა. შავ-თეთრ ჩანაწერზე მანქანის ფერზე მსჯელობა შეუძლებელი იყო, თუმცა, ამის საჭიროება არც არსებობდა – ჩანაწერზე ბუნდოვნად მოჩანდა მანქანის სანომრე ნიშანი: დევ 111.

– ჩანაწერს პროგრამისტებს გავაწმენდინებ, მაგრამ, ნივთმტკიცებად ასეც ივარგებს. ამას შეხედეთ, – გიორგიმ მონიტორზე მიანიშნა, მირიანს. მასზე გარკვევით მოჩანდა ნონა ბაქრაძე, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა. თავად მძღოლის სახე ჩანაწერზე არ ჩანდა. გადაღების მომენტში მას თავი გოგონასკენ ჰქონდა მიბრუნებული.

– საიდან ამოიღე ეს ჩანაწერი? – ჰკითხა მირიანმა.

– ლოტკინის გადასახვევთან პოლიციის ქვეგანყოფილება მდებარეობს და დევიძის მანქანა მისმა კამერამ დააფიქსირა. ჩანაწერი ოფიციალურად ამოვიღე. მის ნამდვილობას ქვეგანყოფილების ხელმძღვანელობა ადასტურებს.

ანა ყურადღებით დააკვირდა მონიტორს და შემდეგ ჩაილაპარაკა:

– მგონი, უკანა სავარძელზე ვიღაც ზის.

– მაგას მეც მივაქციე ყურადღება, მაგრამ, მანქანას დაბალი სილუეტი აქვს. უკანა სავარძელი ჩრდილშია მოქცეული და რამის გარკვევა შეუძლებელია, – უპასუხა გიორგიმ.


# სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი – 2010"

აცხადებს მოსწავლეების მიღებას ერთიანი ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად ყველა საგანში. სიახლე: მოსმენის გაკვეთილები უცხო ენებში და არჩევითი საგანი: ხატვა, ხელოვნება. უნარ-ჩვევებში მომზადება – მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის, ინგლისურის B2 დონე – დოქტურანტურაში ჩაბარების მსურველთათვის, ასევე, TOEFL, SAT. სასწავლო ცენტრი **„პროფესიონალი – 2010"** აცხადებს, ასევე, იმ აბიტურიენტების მიღებას 30-პროცენტიანი ფასდაკლებით, რომლებიც 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრნენ. ჩვენი პროფესიონალი მასწავლებლები იღებენ ამ გამოწვევას, პასუხს აგებენ თქვენს სწორ და სათანადო მომზადებაზე, რათა შეძლოთ და 2014 წლის ეროვნულ გამოცდებზე მიიღოთ მაღალი ქულები. **შეუერთდეთ ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას და გახდეთ სტუდენტები.**



გარდა ამისა, დიღმის მასივში, რობაქიძის №7-ში გაიხსნა სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი – 2010-ის" ფილიალი. ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით გთავაზობთ 50-პროცენტიან ფასდაკლებას საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებზე ყველა საგანში. **ერთი საგანი – 25 ლარიდან.** „პროფესიონალი – 2010-ის" ბაზაზე, ასევე, გაიხსნა აბიტურიენტთა ინტენსიური ტესტირების ცენტრი, **ინტენსიური ტესტირების კურსზე, ერთი საგნის, ანუ სრული საგამოცდო ტესტის, ფასი – 15 ლარი.** რაც მთავარია, ინტენსიური ტესტირების ცენტრში ჩვენ შეგიქმნით ერთიანი ეროვნული გამოცდების იდენტურ გარემოს; გასწავლით, როგორ ჩაეტიოთ თითოეული გამოცდისთვის გამოყოფილ დროში, როგორ დაძლიოთ გამოცდის შიში; შეეჩვევით საგამოცდო გარემოს. პროფესიონალი პედაგოგები შეამოწმებენ თქვენს ნამუშევარს და აგიხსნიან ყველა შეცდომას – დაგანახვებენ, თუ რა საკითხში გჭირდებათ მეტი მუშაობა. ჩვენ დაგეხმარებით სასურველი სასწავლებლებისა და პროფესიების შერჩევასა და რეგისტრაციის დროს მათ სწორად ჩაწერაში. ტესტირების შედეგების ფონზე ზუსტად განვსაზღვრავთ თქვენს შესაძლებლობებს, რის შედეგადაც სტუდენტობა გარანტირებული გექნებათ.

**ისწავლე „პროფესიონალი – 2010-ში" – ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, თქვენი წარმატების საწინდარია. დაგვიკავშირდით და გახდით წარმატებული.**

**მისამართი: თბილისი. ჭოველიძის №5 (მეტრო „რუსთაველთან"). დიღმის მასივი, რობაქიძის №7 (მაიაკოვსკის ძეგლის პირდაპირ, „ცენტრ-პოინტის" მწვანე კორპუსის პირველი სართული). ტელეფონის ნომრები: 2-30-71-13, 790-30-71-13, 555-63-48-01.**



— ამჟამად მაგას მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარი ისაა, რომ გოგონა დევიძის მანქანით მიიყვანეს თბილისის ზღვაზე. ამ დროს თავად დევიძე გურჯაანში იმყოფებოდა, მაგრამ, ვილაც ხომ მართავდა მის მანქანას! მისი ნებართვის გარეშე კი საჭესთან ვერავინ მოხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მას მანქანის მოპარვის თაობაზე რაიმე განცხადება არ გაუკეთებია. ვნახოთ, რას იტყვის ამაზე მისი ადვოკატი, — თქვა მირიანმა, შემდეგ კი ტელეფონს გადასწვდა და ერეკლეს დაუკავშირდა.

ჩანაწერის ნახვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ერეკლეზე. ის კარგა ხანს იჯდა უხმოდ და თითებით ნერვიულად აკაკუნებდა მაგიდაზე.

— როდემდე ვისხდეთ ასე? — მირიანს მალე მობეზრდა კაბინეტში ჩამოწოლილი დუმილი.

— რას ელი ჩემგან? — უხალისოდ გახედა ერეკლემ.

— ყოველ შემთხვევაში, ჩუმად ყოფნას არა. შენი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება მთლად მამა აბრამის ბატკანი არ გამოდგა. თავად თუ არა, მისი მანქანა მაინც იმყოფებოდა თბილისის ზღვაზე. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ განსაკუთრებით უფრთხილდება ამ მანქანას და ის დევიძის ნებართვის გარეშე უცხო ადამიანის ხელში ვერ აღმოჩნდებოდა... — მირიანმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა, — კაცურად მითხარი, რამე იცი ამის შესახებ?!

— კარგი, რა! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ერეკლემ, — ასე მიცნობ?! მე ადვოკატი ვარ, ვილაც ნაბიჭვრების პაძელნიკი კი არა! ეს რომ მცოდნოდა, ამ საქმეს საერთოდ არ მოვკიდებდი ხელს.

— ახლა ხომ იცი!

— ვიცი, მაგრამ, ახლა უკვე ხელშეკრულებით ვარ დაკავშირებული დევიძესთან.

— ჩვენ მასთან გასაუბრებას ვაპირებთ. შენ მიიღებ ამაში მონაწილეობას? — ჰკითხა მირიანმა.

— რა თქმა უნდა.

— კეთილი, — თქვა მირიანმა, — მაშინ ერთად ვეწვიოთ სახლში.

* * *

დევიძემ გაოცებით შეხედა გამომძიებლებს და ერეკლეს მიუბრუნდა:

— რაშია საქმე?

— შენთან საუბარი სურთ, — უპასუხა მან.

— ბოდიშის მოსახდელად მოხვედით? — დევიძემ დამცინავად გახედა მირიანს.

— არა, სხვა საკითხზე გვსურს საუბარი.

— თქვენ შორის ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც საუბარს ვისურვებდი, ქალბატონი ანაა. თქვენ ორს კი სახლში არც შემოგიშვებთ, — უცვლელი ტონით განაგრძო რამაზმა.

— უკანალს ნუ ათამაშებ, ახვარო! — შეუღრინა გიორგიმ, შემდეგ მკერდში უბიძგა და დერეფანში შეაბიჯა.

— ხომ დაინახე! ახლავე გამოვიძახებ პოლიციას და შემდეგ მათთან გაარკვიონ ურთიერთობა! — ერეკლეს გასაგონად დაიძახა რამაზმა და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, მაგრამ, ადვოკატმა დარეკვის საშუალება არ მისცა — ტელეფონი ლამის ძალით გამოჰგლიჯა ხელიდან, სავარძელზე დაჯდომა სთხოვა და შემდეგ უთხრა:

— ჯერ მოისმინე, რას გეტყვიან და მერე გადაწყვიტე, ღირს თუ არა პოლიციის გამოძახება!

— კარგი, მოვუსმენ, — მოწყალება გაიღო რამაზმა და სტუმრებს ანიშნა დასხედითო.

მირიანი დევიძის პირისპირ ჩამოჯდა და ჰკითხა:

— როგორც მახსოვს, თქვენ ორი ძმა გყავთ. ხომ არ ვცდები?

— საჩივარმა შეგაფუცხუნათ და გინდათ, ჩემი ძმებით გამიმართოთ ვაჭრობა?! — მრისხანედ წამოიძახა დევიძემ, — გირჩევთ, თავი გამანებოთ, საჩივარს მაინც არ გავიტან უკან. პირდაპირ რომ მოსულიყავით და ადამიანურად გეთხოვათ, იქნებ, მართლაც გამეწია თქვენთვის ანგარიში, მაგრამ, ასეთ თავხედობას არ გაპატიებთ. მიბრძანდით აქედან, საუბარი დამთავრებულია!

— ნუ ვიჩქარებთ, — მშვიდად თქვა მირიანმა და ანას რაღაც ანიშნა.

მის ნიშანზე ანამ ჩანთიდან ნოუთბუქი ამოიღო, ჟურნალის მაგიდაზე დადო და ჩართო. მონიტორზე დევიძის მანქანის გამოსახულება გამოჩნდა.

— რა არის ეს? — გაოგნებულმა რამაზმა ესროლა მირიანს შეხედა.

— არ გეცნობათ? — მიუგო მან.

— ეს ჩემი მანქანაა, მაგრამ სად, როდის და რისთვის გადაიღეთ?!

— მანქანა ჩვენ არ გადაგვიღია, ის თბილისის ზღვისკენ მიმავალ გზაზე პოლიციის სამეთვალყურეო კამერამ დააფიქსირა. ახლა კი ყურადღებით დააკვირდით, ვინ ზის მძღოლის გვერდით? — მირიანმა ხელით მიანიშნა მონიტორზე.

რამაზმა ნოუთბუქთან ახლოს მიიწია, ყურადღებით ჩააცქერდა მონიტორს, შემდეგ კი დაზაფრული სახით მიუბრუნდა და აყვირდა:

— ვინ ჭამს ამას?! ეს ხომ წმინდა წყლის მონტაჟია!

— ნუ გაჰკივი დაზარალებულივით, თორემ, ისე მიგიმონტაჟებ დინგს, რომ ექსპერტიზაც ველარ ამოგიცნობს! — ავად წამოიძახა გიორგიმ და მისკენ წაიწია, მაგრამ ერეკლე თადარიგიანად გადაუდგა წინ და შეაჩერა.

— შენ რატომ ხარ ჩუმად? — ადვოკატს მიუბრუნდა დევიძე, — ვერ ხედავ, რას აკეთებენ?!

— დამშვიდდი. ჩანაწერი ნამდვილია, — უპასუხა მან, — ყვირილსა და ნერვების წყვეტას, ჯობია, დავსხდეთ და მშვიდ ვითარებაში გავარკვიოთ ყველაფერი.

— რაა აქ გასარკვევი? ვერავინ დამაჯერებს, რომ იმ დღეს ჩემი მანქანა ზღვაზე იყო. გურჯაანში მეგობრის მანქანით წავედი — ამაზე ჩვენებაშიც ვილაპარაკე. ჩემი კი სახლში დავტოვე.

— მაშინ, როგორ ავხსნათ ეს? — მონიტორზე მიანიშნა ანამ.

— არ ვიცი... უფრო სწორად, ვიცი! — სწრაფად თქვა დევიძემ, — სხვა რომ ვერაფერი მოახერხეთ, ჩემი მანქანა გადაიღეთ და შემდეგ ეს ჩანაწერი დაამონტაჟეთ!

— ნონა ბაქრაძეზე რას იტყვი, დამპალო! ჰგავს ეს ჩანაწერი რეანიმაციის პალატაში გადაღებულს?! — ისევ იფეთქა გიორგიმ.

დევიძე დაიბნა და თავი ჩახარა.

— ჩანაწერი ნამდვილია და ამას ნებისმიერი ექსპერტი დაადგენს. ის დანაშაულის ჩადენის დღეს, ოთხის ხუთ წუთზეა გადაღებული. ეს ზუსტად ემთხვევა ნონა ბაქრაძის გაქრობის დროს, — განაგრძო მირიანმა, — მაგრამ, ეს საქმის მხოლოდ ნახევარია. დღესდღეობით ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის წარმოდგენა არ შემიძლია, უბრალოდ, სიტყვიერად აგიხსნით იმას, რასაც მოგვიანებით ოფიციალური დასკვნით დავადასტურებთ. თქვენგან აღებული საექსპერტო ნიმუში ოთხმოცდახუთი პროცენტით დაემთხვა დაზარალებულისგან აღებულ ნიმუშს.

— მე არაფერი მესმის თქვენი პროფესიონალური ტერმინებისა. შეგიძლიათ, ნორმალური ენით ამიხსნათ? — თქვა დევიძემ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ, დიდი ალბათობით, დანაშაულში თქვენ მონაწილეობდით.

— მაგრამ, მე...

— ვიცი, ვიცი... გურჯანიის საავადმყოფო და ასე შემდეგ, — არ დაასრულებინა მირიანმა, — ამ მხრივ თქვენთან პრეტენზია არ გვაქვს. უდავოა, რომ თქვენ მართლაც არ იმყოფებოდით თბილისში. ექსპერტმა თავისებურად განმარტა ასეთი დამთხვევის მიზეზი. ასეთ შედეგს მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული თქვენთან გენეტიკურად ახლოს მყოფმა ადამიანმა ჩაიდინა, თქვენმა უახლოესმა ნათესავმა... მაგალითად, ძმამ!

— არა! — მთელი ხმით იყვირა დევიძემ, — ამაში ვერასოდეს დამაჯერებთ!

— მე არც მჭირდება თქვენთვის რაიმეს

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

დამტკიცება. ჩემთვის მთავარია, სასამართლ-ომ დამიჯეროს! – მშვიდად უპასუხა მირიანმა, – ახლა მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: ჩანაწერზე მძღოლის სახის გარჩევა შეუძლებელია. ამასთან, აშკარაა, რომ მანქანაში მესამე პიროვნებაც იმყოფება. შეგიძლიათ, მითხრათ, რომელ ძმას გადაეცით იმ დღეს მანქანა?

– არა-მეთქი! – ჯიუტად გაიმეორა დევიძემ, – გაგვანებეთ თავი და, პირობას გაძლევთ, რომ საჩივარს უკან გავიტან!

გიორგი ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს, საკინძეში სწვდა დევიძეს, ძლიერად შეანჯღრია და უყვირა:

– გინდა, ჩივილის ახალი მიზეზი მოგცე, ახვარო?!

საბედნიეროდ, მირიანი მზად იყო გიორგის ასეთი რეაქციისთვის. დროულად ჩააფრინდა მხრებში და დევიძეს მოაშორა.

რამაზმა ღვარძლით აღსავსე ხმით ჩაილაპარაკა:

– რაც გინდათ, ქენით. მაინც ვერ მაიძულებთ, ჩემი ძმების წინააღმდეგ მივცე ჩვენება!

– ესე იგი, უარს გვეუბნებით თანამშრომლობაზე! კეთილი, მაშინ სხვა გზით წავალთ, – თქვა მირიანმა, შემდეგ მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, სადღაც დარეკა და თანამოსაუბრეს მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა: აიყვანეთ!

– რას ნიშნავს ეს?! – გაოცებით გახედა ერეკლემ.

– რას უნდა ნიშნავდეს? – უპასუხა მირიანმა, – ჩვეულებრივი პოლიციური ოპერაციაა – ეჭვმიტანილის დაკავება და პროკურატურაში დასაკითხად წარმოდგენა!

– ვინ... ვინ უნდა დააკავოთ?! – აღელდა დევიძე.

– თქვენი ძმები. ეს იძულებითი ზომაა. თქვენ არ გინდათ, გვითხრათ, რომელ მათგანს გადაეცით მანქანა, ამიტომაც, იძულებული ვარ, ორივე დავკითხო.

დევიძემ უღონო მზერა მიაპყრო ტელეფონს, რომელიც მის წინ, ჟურნალის მაგიდაზე იდო.

– დაივიწყე, – გულგრილად უთხრა გიორგიმ, – ამის საშუალებას არავინ მოგცემს. რომც დარეკო და გააფრთხილო, მაინც არაფერი შეიცვლება. მთელი შენი საახლობლო რომ მოგროვდეს, შენს ძმებს მაინც დააკავებენ!

– ჩემი მშობლები ვერ გადაიტანენ ამას. არ შეიძლება, სხვანაირად მოვაგვაროთ ეს საკითხი? მამას ისედაც შერყეული აქვს ჯანმრთელობა, – ყრუდ ჩაილაპარაკა დევიძემ.

მირიანი წინ გადაიხარა, თვალებში ჩააცქერდა და ცივად უთხრა:

– არა მგონია, იმაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ახლა ნონა ბაქრაძის დედა იმყოფება!..

* * *

რამაზის უმცროსი ძმა, ჩვიდმეტი წლის დევი დევიძე, გასაოცრად ჰგავდა უფროს ძმას. მალავით ტანმაღალი, ახოვანი ახალგაზრდა იყო. ის ყველანაირად ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას, მაგრამ, გამომძიებლებს არ გამოჰპარვიათ მისი შემკრთალი გამოხედვა და ოდნავ მოცახცახე ხელები.

– შენს ადვოკატს იცნობ? – ჰკითხა მირიანმა.

– ბატონ ერეკლეს? – კაბინეტში მყოფ ადვოკატს გახედა დევიმ.

– ჰო...

– ვიცნობ... ჩემი ძმის ადვოკატი იყო, – დაუდასტურა დევიმ.

– ახლა შენი ადვოკატი იქნება, – თქვა მირიანმა და საქაღალდე გადაშალა.

– რაში მჭირდება ადვოკატი? – გაუბედავად იკითხა დევიმ.

– დაკავებისას პოლიციელებმა მიზეზი არ განგიმარტეს? – ჰკითხა მირიანმა.

– დაბნეული ვიყავი. წესიერად ვერც მივხვდი, რა უნდოდათ ჩემგან. ვიღაც გოგოს ახსენებდნენ. მეგონა, რომ ესეც ჩემი ძმის საქმეს უკავშირდებოდა.

– საქმე იგივეა, მაგრამ, ჯერ კიდევ გასარკვევია, ვის უფრო უკავშირდება ის – შენ ძმას, თუ შენ, – ამ სიტყვებთან ერთად მირიანმა მაგიდაზე ნონა ბაქრაძის ფოტოსურათი დადო და ჰკითხა: ამ გოგონას თუ იცნობ?

დევიმ გაუბედავად აიღო ფოტოსურათი, მცირე ხნით დააკვირდა და შემდეგ ჩაილაპარაკა:

– არა...

– კარგად გაიხსენე. იქნებ, სადმე შეხვედრიხარ?

– გამახსენდა, – ყოყმანით თქვა დევიმ, – თუ არ ვცდები, ის გოგო უნდა იყოს, რომელიც პოზირებას უწევდა ჩემს ძმას.

– პირადად შეხვედრიხარ? – განაგრძო მირიანმა.

– ერთხელ შევხვდი ჩემი ძმის სახელოსნოში. მხოლოდ რამდენიმე წუთით შევიარე ძმასთან – ფული მჭირდებოდა და მაშინ მოვკარი თვალი ამ გოგოს. რამაზმა მითხრა, ახალი მოდელიაო. სულ ეს იყო.

– რამაზი მანქანას გაძლევს ხოლმე?

– იშვიათად. ჩემთვის არაფერი ენანება, მაგრამ, იმ მანქანას განსაკუთრებით უფრთხილდება. თანაც, ეშინია. მეუბნება, ჯერ გამოუცდელი მძღოლი ხარ და მის სიმძლავრეს თავს ვერ გაართმევო, – უპასუხა დევიმ.

– მაგრამ, დროდადრო მაინც გაძლევს მისი მართვის საშუალებას.

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონაც ჩემ გვერდით იმყოფება, – დააზუსტა დევიმ.

– მისი ნებართვის გარეშე არასდროს გისარგებლია მანქანით?

– რას ამბობთ! – სწრაფად თქვა დევიმ, – რამაზი ძალიან გაბრაზდებოდა და ახლოს აღარ მიმაკარებდა მანქანას!

– ამაზე რას იტყვი? – გიორგიმ სწრაფად შეაბრუნა ნოუთბუქი მონიტორით მისკენ.

დევი გამოსახულებას დააკვირდა და დაბნეული სახით გახედა.

– ცნობ მანქანას? – ჰკითხა გიორგიმ.

– ჩემი ძმის მანქანას ჰგავს. იგივე მოდელია, – ჩაილაპარაკა დევიმ.

– იქნებ იგივე მანქანაა. სანომრე ნიშანს შეხედე!

დევის არც კი გაუხედია მონიტოროსკენ. მისმა ჩახრილმა თავმა ცივი ღიმილი მოჰგვარა გიორგის. უკვე გასაგები იყო – ახალგაზრდა პირველივე წამს მიხვდა, რომ ეს ნამდვილად მისი ძმის მანქანის გამოსახულება იყო.



– მანქანის საკითხი გავარკვიეთ. ახლა მძღოლზე გადავიდეთ. ისიც არ გეცნობა? – ჰკითხა მირიანმა.

– არა... – გაჭირვებით ჩაილაპარაკა დევიმ.

– მძღოლის გვერდით გოგონა რომ ზის, ის თუ გეცნობა?

– მეცნობა...

– იცი, სად გაკეთდა ჩანაწერი?

დევიმ უხმოდ გაიქნია თავი.

– ლოტკინის სიახლოვეს. თბილისის ზღვისკენ მიმავალ გზაზე! – თქვა მირიანმა.

– გინდა სხვა ჩანაწერიც გაჩვენო, რომელზეც მძღოლის სახე ჩანს?! – გიორგი ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას და ცივი მზერით ჩააცქდა თვალებში.

დევიმ მზერა აარიდა და სახეზე აიფარა ხელები.

– შემომხედე... მზერას ნუ მარიდებ! – გიორგი ხელებში სწვდა და ძალით მოაშორებინა სახიდან.

– რა გინდათ ჩემგან? – გაჭირვებით ჩაილაპარაკა დევიმ.

– ვინ ზის უკანა სავარძელზე?! ვინ იყო იმ დღეს შენთან ერთად?! სახელი, გვარი, მისამართი! – ტყვიამფრქვევივით მიაყარა გიორგიმ.

დევიმ სახე ისევ ხელებში ჩამალა და ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა:

– ჩემი მეგობარი... ზურაბ აბულაძე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მიიღეთ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**„ნიჭიერის“ სცენაზე ლევან დოინჯაშვილის გამოსვლისას, პირადად მე, ძალიან ვინერვიულე – არც თუ ისე კარგი და მშვიდი სანახავია, როგორ ყლაპავს ადამიანი ხანჯლებს. თუმცა, ეს საქმე ლევანის ჰობიცაა და პროფესიაც და იმდენად უყვარს, მისთვის თავის დანებებას არასდროს აპირებს.**

# რატომ მოსწონს ლევან დოინჯაშვილს სასიკვდილო ნომრების შესრულება და რა ულტიმატუმებს უყენებენ მას გოგონები

**ლევან დოინჯაშვილი:** 24 წლის ვარ, ვცხოვრობ ახმეტის რაიონში, სოფელ მატანში. ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი. სიცელქის გამო ბევრჯერ გადავეყარე ხიფათს. სულ გარეთ მინდოდა ყოფნა. ჩემები ვერ მიჭერდნენ, ვცელქობდი. ერთხელ მშენებლობაზე ავედი, ასე, 8-9 წლის ვიქნებოდი, დაინგრა და შიგ მოვყევი. მეზობლებმა დამინახეს, მაშინვე დაუძახეს ჩემებს: ჩქარა გამოდითო. ამომიყვანეს, მხოლოდ წარბი მქონდა გატეხილი, გადავრჩი. ცოტა რომ წამოვიზარდე, ფეხბურთზე დავიწყე სიარული. 5 წელი ვიარე, მაგრამ მერე მასწავლებელმა თავი დაგვანება. ძალიან კარგად ვთამაშობდი, ბევრი სიგელიც მაქვს, მინდოდა ფეხბურთელობა და გული დამწყდა, რომ ვერ განვაგრძე. მერე კარატეზე დავდიოდი 5 წელი, მქონდა გარკვეული მიღწევები. მაგრამ, მამა გარდაიცვალა, ფული იყო გადასახდელი და დედაჩემს არ ჰქონდა იმის საშუალება, გადაეხადა.



დედაჩემმა არ იცოდა. ამჟამად საქართველოში არ ცხოვრობს. „ნიჭიერში“ ნახა პირველად, ტირილით დამირეკა

**– და-ძმა გყავს?**

– კი, უფროსი ძმა მყავს და უმცროსი – და. ორივენი დაოჯახებულები არიან, მხოლოდ მე ვარ დასაოჯახებელი. მამა რომ გარდაიცვალა, მერე მუშაობა დავიწყე – ფიზიკურად ვმუშაობდი. შემდეგ თბილისში წამოვედი და აქაც ფიზიკურად მიწევდა მუშაობა. პარალელურად, ვვარჯიშობდი, ახლაც ყოველდღე ვვარჯიშობ. სახლში მაქვს ყველაფერი: შტანგა, ჰანტელები... ერთი პერიოდი დღე და ღამე ქუჩაში ვიყავი ძმაკაცებთან – ჩხუბი, დავიდარაბა, ყველაფერი ხდებოდა. მერე ნელ-ნელა შევეშვი. სხვებმაც მითხრეს: დაანებე ქუჩურ ცხოვრებას თავიო და მეც დავანებე. მერე, როგორც ვთქვი, თბილისში წამოვედი. საერთოდ, ძალიან „ჟილკიანი“ ვარ. რომ ვიტყვი, რაღაც უნდა გავაკეთო, იმას აუცილებლად ვაკეთებ, უკან არაფერზე ვიხევ და ეს თვისება ბევრ რამეში მეხმარება.

**– როდის და რატომ დაიწყე ხმლების გადაყლაპვლა?**

– ეს რომ პირველად გავაკეთე, 15 წლის ვიყავი. სახლში პატარა შამფური მქონდა და გადავწყვიტე, ჩამეყლაპა. მანამდე ეს არსად მქონდა ნანახი. უბრალოდ, მინდოდა, გამეკეთებინა და რაღაცისთვის მიმეღწია. თავიდან არავის არაფერს ვეუბნებოდი.

**– პირველივე ცდაზე მშვიდობიანად ჩაიარა ყველაფერმა?**

– კი, არაფერი მომსვლია. ბოდიში და პირღებინებაც არ დამმართნია. გამიხარდა, ვიფიქრე: ვაა, გამომივიდა-მეთქი. ჩემები რომ მოვიდნენ, სახლში შეამჩნიეს ჩემი სიხარული და მკითხეს: რა ხდება, რამე ხომ არ გააფუჭეო. ამის მერე ჩუმად ვცდილობდი გადაყლაპვას. ერთ დღესაც ჩემმა ძმამ დამინახა: ასეთ რამეს რატომ აკეთებო. ამიტომ, ცოტა ხანი თავი დავანებე. შემდეგ ახლობელმა თბილისში წამომიყვანა სამუშაოდ, ცირკში მიმიყვანა. რამაზ გარშაულაშვილის ასისტენტი ვიყავი. ის რომ გამოდიოდა სცენაზე, მე უნდა გამეტანა რეკვიზიტები, ყველაფერი. ერთ დღესაც, კულისებში რომ შევედი, ხანჯლები ვნახე და გადავწყვიტე, მეცადა, ანუ, გადამეყლაპა: გინდა მოვკვდე, გინდა გადავრჩე-მეთქი. სამივე გადავყლაპე, ერთი სწორი იყო, მეორე – მოგრეხილი და მესამე – დაკლაკნილი. რამაზმა მომისწრო: რას აკეთებო. ვცადე-მეთქი. კარგი, ამის შემდეგ შენც გახვალ სცენაზეო და ასე დავიწყე მუშაობა. წარმოდგენის დროს ცეცხლებს ვუშვებდი პირიდან, ხანჯლებს ვყლაპავდი, მინის ნამსხვრევებზე, დანებზე, ლურსმნებზე ვწვებოდი. ხელით ვაძლევ ხანჯალს მიმართულებას, ვგრძნობ, როგორ და საით უნდა მივმართო. ვიღაცამ რომ სცადოს, შეიძლება, სადმე გაიყაროს. სიმართლე რომ გითხრა, მეც არ ვიყავი აზრზე სად ჩადიოდა ხანჯლები – ეს პირველად საკუთარი თვალით „ნიჭიერში“ ვნახე – რენტდგენის აპარატზე. არადა, წელიწადნახევარია ამას ვაკეთებ. რომ ვუყურებდი, გადავირიე.

**– არ შეგეშინდა?**

– რომ ვყლაპავ მეშინია. მაგრამ, რომ დავამთავრებ და სუფთა ამოდის, მერე ამოვისუნთქებ ხოლმე. უბრალოდ, უკვე შეგუებული ვარ და არ მინდა, თავი დავანებო. თან, დიდი ადრენალინია, ჩემი ჰობია და მინდა, დიდხანს ვაკეთო ეს საქმე.

**– ექიმთან არ დადიხარ შემოწმებაზე?**

– კვირაში ერთხელ მაინც დავდიოდი ექიმთან შემოწმებაზე, რომ რამე არ გამპარვოდა – რომელიმე ორგანო არ დამეზიანებინა. ხანჯალი რომ ვერ მიდის, ზოგი ძალით აწვება ამ დროს, შეიძლება, რაღაც დაიზიანოს. თან, იმ ადგილას ისეთი ორგანოებია, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგამდე მიხვიდე. თუმცა, დღემდე არაფერი დამმართნია და ღმერთს ვთხოვ, არც მერე შემემთხვეს.

> **მეც არ ვიყავი აზრზე, სად ჩადიოდა ხანჯლები – ეს პირველად საკუთარი თვალით „ნიჭიერში“ ვნახე – რენტგენის აპარატზე. არადა, წელიწადნახევარია, ამას ვაკეთებ. რომ ვუყურებდი, გადავირიე**

**– დაგრეხილი ხანჯლის გადაყლაპვა განსაკუთრებულად რთული არ არის?**

– პრობლემა არ არის. თუმცა, რთული კია და მეც ვერ ვხვდები, როგორ ვაკეთებ ამას, მაგრამ, გამომდის. თან, ხანჯლები საკმაოდ გრძელია, ზუსტად არც ვიცი, რა ზომაა. სამივე მე გავაკეთებინე, ხელოსანს შევუკვეთე. მინდა, მეოთხეც დავამატო – ოღონდ სულ განსხვავებული. თითოეულს თავისი ქარქაში აქვს და ყოველდღე ვწმენდ, რომ არ დაიმტვეროს.

**– რატომ გადაწყვიტე, რენტგენის აპარატის გამოყენება – ხალხს, რომ ეჭვი რამეში არ შეპარვოდა?**

– კი. მე ვინც წამიყვანა, იმ ბიჭმა, ლაშამ, რომელიც „რუსთავი 2-ში“ მუშაობს, მითხრა: რენტდგენის აპარატს მოვიტანთ, ხალხმა ნახოს, რომ არ იკეცება და სინამდვილე ვაჩვენოთო. სასწრაფოც კი მოიყვანეს, მაგრამ ყველაფერმა გართულებების გარეშე ჩაიარა.

**– შენი ოჯახის წევრები შეეგუვნენ ამ ამბავს?**

– დედაჩემმა არ იცოდა, ამჟამად საქართველოში არ ცხოვრობს. „ნიჭიერში“ ნახა პირველად, ტირილით დამირეკა: რას აკეთებ, რატომ იკლავ თავსო. მაგრამ, რომ ვუთხარი, ნუ გეშინია, მე ვიცი საკუთარი თავის ამბავი-მეთქი, დამშვიდდა.

**– ლურსმნებზე, დანებზე, დამსხვრეულ შუშაზე დაწოლაც ძალიან რთული და მტკივნეულია.**

– საკმაოდ რთული იყო ჩემთვის, განსაკუთრებით კი – ლურსმნებზე დაწოლა. ახლაც ვერ ვეგუები, ძალიან მტკივნეულია. დაახლოებით წელიწად-ნახევარი დამჭირდა იმისთვის, რომ მოვმზადებულიყავი. თავიდან ბოლომდე შემესწავლა, ყოველდღე ვვარჯიშობდი, დღეს არ ვაცდენდი. სულ ფორმაში უნდა იყო. წელიც ბევრჯერ გამჭრია, მაგრამ სერიოზული ტრავმა არ მიმიღია.

**– რატომ გადაწყვიტე „ნიჭიერში“ მონაწილეობა?**

– თავიდან თვითონ დამირეკეს, მითხრეს: გავიგეთ, ასეთ რაღაცეებს აკეთებ და იქნებ გადაგვიღოთო. გადამიღეს: ცეცხლები გამოვუშვი და ხანჯლები გადავყლაპე. მერე წამოვედი და ასე დამთავრდა ყველაფერი. შემდეგ, დრო რომ გავიდა, დამირეკეს: „ნიჭიერში“ ხომ არ მიიღებ მონაწილეობასო. დავფიქრდები-მეთქი. ბოლოს გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა. მაგრამ, არ ველოდებოდი, თუ მეორე ტურში გადავიდოდი. პირიქით, მეგონა, რომ უარს მეტყოდნენ. მაგრამ, მაინც წავედი ამხელა რისკზე და ახლა უკვე დიდი სურვილი მაქვს, ფინალში მოვხვდე. ამისთვის ვიბრძოლებ კიდეც.

**– რას შემოგვთავაზებ მეორე ტურში – ისიც სასიკვდილო ნომერი იქნება?**

– უფრო რთულ და საინტერესო ნომერს შევთავაზებ მაყურებელს, კარგი ნომერი იქნება. მინდა გამარჯვება, მაგრამ, მგონია, რომ ვერ გავიმარჯვებ. რადგან ისეთი მსახიობები მონაწილეობენ, მათ ვერ გავუწევ კონკურენციას. თუმცა, ბოლომდე ვიბრძოლებ.

**– რამე შემოთავაზება ხომ არ მიიღე?**

– ამჟამად არ ვმუშაობ, სოფელში ვცხოვრობ, ჩემთვის. სურვილი მაქვს, გამოჩნდეს რამე და დავიწყო მუშაობა. შეიძლება, ვინმემ დამირეკოს და წამიყვანოს უცხოეთში სამუშაოდ, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი უარს.

**– არ აშინებს გოგონებს შენი ჰობი?**

– ბევრს ძალიან ეშინია, და ამის გამო, ურთიერთობაზე უარიც უთქვამთ: თუ ამას გაჰყვები, მაშინ, ჩვენგან შორს იყავი, თავს იკლავო. მე კი ვეუბნები: მე ამას არ შევეშვები, რადგან, ამ ყველაფრისთვის ბევრი ვიწვალე-მეთქი. ბევრს, პირიქით, მოსწონს, უხარია... მე არ ვარ ისეთი ტიპი, ამით ვინმეს თავი მოვაწონო, უბრალოდ, ზოგს მოსწონს, ზოგს – არა.

**ნათია უტიაშვილი**

# რის კეთებას აიძულებენ ელენე მინდორაშვილს და რამ გახადა თავდაჯერებული მარიამ ალხაზაშვილი

*მარიამ ალხაზაშვილი და ელენე მინდორაშვილი სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელის“ მოდელები არიან. ორივე რამდენიმე ხნის წინ მონაწილეობდა სილამაზის კონკურსში – „მის თბილისი“, სადაც ელენე გამარჯვებული გახდა, ხოლო მარიამი – ვიცე-მისი.*

**მარიამ ალხაზაშვილი**: 15 წლის ვარ, სკოლის მოსწავლე და მომავალში სამოდელო საქმიანობის გაგრძელებას ვაპირებ. თუმცა, ალბათ, სხვა პროფესიასაც ავირჩევ – ან ბიზნესს ან იურიდიულს. სამსახიობოზეც შეიძლება ჩავაბარო – არ ვიცი ჯერ. მოდელობა 10 წლის ასაკში დავიწყე და უკვე 5 წელია, მოდელი ვარ. რაც მთავარია, ძალიან მომწონს ეს საქმე, მაქვს გარკვეული წინსვლები. ასევე, სხვადასხვა კონკურსში ვიღებდი მონაწილეობას, ჩვენებებზე გამოვდივარ. აჩიკო მეფარიძემ გადაიღო გურუს კლიპი და იქაც ვარ. თურქეთში, ერთ-ერთ კონკურსზე გავხდი „მის გრაცია“, შემდეგ საქართველოში „ნიუ სთარ 2012-ში“ ვმონაწილეობდი და იქ ავიღე მეორე ადგილი, ხოლო „მის თბილისზე“ გავხდი „ვიცე-მის თბილისი“ და „მის ტელეგენურობა“.

**ელენე მინდორაშვილი**: 17 წლის მოსწავლე ვარ და ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, სად გავაგრძელებ სწავლას. სამაგიეროდ, ერთი რამ ვიცი: მეორე პროფესიად აუცილებლად მოდელობას ავირჩევ. დაახლოებით ერთი წელია, რაც სამოდელო საქმიანობა დავიწყე. თავიდანვე სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელში“ მივედი და ძალიან მომწონს აქაური გარემო, სწავლების სტილი, მოკლედ, ყველაფერი. ზაფხულში ვმონაწილეობდი სილამაზის კონკურსში – „მის თბილისი“ და გავიმარჯვე. ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, ძალიან ბედნიერი ვიყავი, ვერ ვიჯერებდი, შოკში ჩავვარდი. იმდენად ეიფორიაში ვიყავი, რომ დაახლოებით ორ კვირაში მივხვდი, რა მოხდა ჩემს თავს. იტალიაში უნდა წავსულიყავი, ბარსელონას „ფეშენ-ვიქიდანაც“ მქონდა მოწვევა, მაგრამ გამოცდების გამო ვერ წავედი და ძალიან დამწყდა გული.

**მარიამი**: „მის თბილისის“ შემდეგ უფრო თავდაჯერებული გავხდი, უფრო მეტი გამოცდილება მივიღე. მართალია მესამე ადგილზე გავედი, ანუ „ვიცე-მის საქართველო“ გავხდი, მაგრამ, მგონი, ყველაზე მეტი პრიზი მე შეხვდა. რაც მთავარია, „ბესტ მოდელში“ ძალიან მომწონს, კარგი ხელმძღვანელობა გვყავს და ყველაფერში ხელს გვიწყობენ.

– **როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

– თავისუფალ დროს ან კლუბებში მივდივართ, ან რესტორანში და კარგად ვერთობით. მიყვარს ასეთი გართობა, მაგრამ თვეში ორჯერ საკმარისია. მეგობრებთან ერთად ძალიან კარგად ვერთობი, ხანდახან ცოტა ვსვამთ კიდეც, ოღონდ – ზომიერად.

**ელენე:** როცა დრო მაქვს, მეც მეგობრებთან



ერთად დავდივარ კლუბებში და კარგად ვისვენებ. თეატრი არ მიყვარს, კინო – კი. ოღონდ საშინელებათა ფილმებზე ვგიჟდები. ადრე, საშინელებათა ფილმს რომ ვნახავდი, მერე, მთელი

**ელენე: „როცა დრო მაქვს, მეც მეგობრებთან ერთად დავდივარ კლუბებში და კარგად ვისვენებ. თეატრი არ მიყვარს, კინო – კი. ოღონდ, საშინელებათა ფილმებზე ვგიჟდები“**

ღამე ვერ ვიძინებდი, მაგრამ მაინც ვუყურებდი. ახლა აღარ მეშინია და კარგადაც მძინავს.

**მარიამი**: მეც, ძირითადად, საშიშ ფილმებზე დავდივარ, არ მეშინია. კიდევ ცეკვა მიყვარს და ცოტა ხანს სამეჯლისო ცეკვებზეც დავდიოდი.

– **როგორ ზრუნავთ გარეგნობაზე, სხეულის ფორმების შენარჩუნებაზე?**

– „მის თბილისამდეც“ სულ ვუვლიდი თავს, მინდოდა, კარგ ფორმაში ვყოფილიყავი. თან, მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, თუმცა, ამისთვის განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. როცა ლამაზად ჩაცმული ხარ, ისედაც გაქცევენ ყურადღებას. სალონში ხშირად დავდივარ და იქ ყველანაირად ვუვლი თავს. „ბესტ მოდელშიც“ გვაქვს აერობიკის გაკვეთილები და იქაც სულ ვვარჯიშობ.

**ელენე**: მე სულ ვვარჯიშობ, რომ ფორმაში ვიყო, „ბესტ მოდელში“ არის ამის საშუალება. მაკიაჟს ხშირად არ ვიკეთებ, რადგან ისეთი სახის კანი მაქვს, მილიზიანდება. ძირითადად, კედებით და ჯინსებით მიყვარს სიარული, მაგრამ სააგენტოს დირექტორი გვაძალებს და გვეჩხუბება, რომ ქუსლიანი ფეხსაცმელი და კაბები ჩავიცვათ. მეც მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, თუმცა, ამას სპეციალურად არ ვაკეთებ. ვგიჟდები, ჩვენებაზე რომ გამოვდივარ და ხალხი მე მიყურებს.

– **გყავთ შეყვარებული?**

– მყავს შეყვარებული. ზოგადად არ ვაქცევ მნიშვნელობას ბიჭი ქერა იქნება თუ შავგვრემანი, მთავარია, მომეწონოს. დიდი ხანი არ არის, რაც შეყვარებულები ვართ. ხასიათით გამორჩეულია, ძალიან თბილია, ყურადღებიანი. ჩემნაირი ხასიათი აქვს: მხიარულია. მასზეც ვეჭვიანობ ხოლმე: რატომ არ დამირეკე? სად ხარ? პირველმა რატომ არ მომწერე?.. თვითონაც ძალიან ეჭვიანია და საერთოდ, მომწონს ეჭვიანი ბიჭები, უფრო საინტერესოა. შეყვარებული ძალიან თბილი და ყურადღებიანი ვარ, თუმცა, გათიშული არ დავდივარ. ბევრ ყურადღებას რომ არ ვაქცევ, ამაზე ცოტას ეჭვიანობს და ეს მომწონს.

**მარიამი**: შეყვარებული არ მყავს, მაგრამ ერთი ბიჭი მომწონს, მასაც მოვწონვარ. ორივემ ვიცით ერთმანეთის გრძნობების შესახებ, მაგრამ საიდუმლოდ დავტოვებ. მან ჩემ მიმართ დიდი ყურადღება არ გამოიჩინა და ამიტომ უფრო დავინტერესდი: რატომ, არ მოვეწონე? შემდეგ დავუახლოვდი: მეც ვწერდი, ისიც მწერდა. ძალიან ეჭვიანი ვარ და შემიძლია, ყველაფერზე ვიეჭვიანო. ისიც ეჭვიანია, ოღონდ – ზომიერად, მე უფრო მეტად ვარ ეჭვიანი. ყველაზე კარგი ეტაპი ის არის, როცა ორ ადამიანს ერთმანეთი მოსწონს და ურთიერთობას ამყარებენ. ასეთ დროს ძალიან თბილი ვარ, თუმცა შეიძლება ეს კარგად ვერ გამოვხატო. არ მიყვარს ბიჭისთვის პირველად მიწერა, ამიტომ თავს ვიკავებ ხოლმე. მაგრამ, როცა მივხვდი, ამის გამო ვკარდავდი, მერე გადავდგი ეს ნაბიჯი და მეც გამოვიჩინე ყურადღება.

**ტატა დევდარიანი**

# რის ჩუქებას აპირებს საქართველოს ახალი პრეზიდენტისთვის ნიუ-იორკში მცხოვრები მხატვარი დევიდ დათუნა და როგორ უწინასწარმეტყველა მან საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ბარაკ ობამასა და ვლადიმირ პუტინს

*ქართული წარმოშობის ცნობილმა ამერიკელმა მხატვარმა **დევიდ დათუნამ** რამდენიმე ხნის წინ საქართველოს აწ უკვე არჩეულ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს ღია წერილში გამარჯვება უწინასწარმეტყველა. ახლო მომავალში კი ის საქართველოს ახალი პრეზიდენტისთვის პერსონალური საჩუქრის გაკეთებას აპირებს. ეს იქნება მხატვრის უნიკალური საავტორო ტექნიკით, ოპტიკური ლინზებით აწყობილი საქართველოს დროშა, რომელსაც ავტორმა „საქართველო – მილიონების იმედი” უწოდა.*

– **ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ აპირებთ საჩუქარი გაუკეთოთ გიორგი მარგველაშვილს. უფრო დაზუსტებით ხომ არ გვეტყოდით რა საჩუქარზეა საუბარი?**

– არანაირი საიდუმლო. ამჟამად ვმუშაობ პროექტზე „საქართველო – მილიონების იმედი”. ეს არის საქართველოს დროშა, რომელსაც ვაპირებ, პირადად გადავცე გიორგი მარგველაშვილს საჩუქრად. დარწმუნებული ვარ, ის ენერგეტიკა და გზავნილი, რასაც ამ ნაშრომში ვდებ, დაემთხვევა გიორგი მარგველაშვილის ენერგეტიკულ შემართებას.

– **თავის დროზე თქვენ იწინასწარმეტყველეთ ბარაკ ობამასა და ვლადიმირ პუტინის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებზე. თუკი მაშინ პუტინს რეალური ალტერნატივა არ ჰყავდა, ობამამ სერიოზულ კონკურენტთან ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება. როგორ მოხდა ისე, რომ მათი გამარჯვება იწინასწარმეტყველეთ?**

– ალტერნატივა არსებობს ყოველთვის. სხვა არის ის, გვსურს თუ არა მისი დანახვა. მე ხომ ნოსტრადამუსი არ ვარ, საიდან ვიცოდი, რომ ისინი პრეზიდენტები გახდებოდნენ?! – აქ მარტივად ავხსნი. რას ნიშნავს გაგება „თანამედროვე მხატვარი” – ეს არ ნიშნავს ხატვის ცოდნას, ხატვა ნებისმიერს შეუძლია. „თანამედროვე მხატვარი” ნიშნავს ხასიათების აღქმას, პლანეტის ცხოვრების რიტმის გაგებას. საზოგადოება გამოჰყოფს ენერგიას, რომელიც სწორად უნდა შეიგრძნო. აქედან გამომდინარე, თავს უფლება მივეცი, რომ სწორად გამეგო ის მესიჯები, რაც საზოგადოებისგან მოდიოდა და ვიწინასწარმეტყველე ობამას და პუტინის გამარჯვება.



– **თქვენ, როგორც ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველს, რას იტყვით საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე?**

– არასტაბილური სიტუაცია პოლიტიკაში სარკესავით ირეკლავს სიტუაციას საზოგადოებაში. ჩემი აზრით, საქართველოს აქამდე აკლდა ნამდვილი ლიდერი, ერთი, ძლიერი ლიდერი, რომელიც მოახერხებდა თავის გარშემო ყველა ძალის გაერთიანებას და რომლის ერთადერთი მიზანი იქნებოდა, ქვეყნის განვითარება. ჯერჯერობით შორიდან ისე ჩანდა, რომ მიმდინარეობდა „კლანების ბრძოლა” ტახტისთვის. იმედი მაქვს, არჩევნების შემდგომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება.

– **როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისადმი. ცნობილია, რომ ის ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერია. იცნობთ თუ არა მას და თუ იცის მან თქვენი შემოქმედების შესახებ?**

– ის, რომ ივანიშვილი ხელოვნების დიდი მოყვარულია, ჩემთვის ცნობილია. ეს ფაქტი მას მცოდნე და თანამედროვე ადამიანად ახასიათებს. სმენია, თუ არა ჩემი ნამუშევრების შესახებ, არ ვიცი. შესაძლოა, იცის კიდეც. პირადად მას არ ვიცნობ, მე ძალიან შორს ვარ პოლიტიკისგან. თუმცა, არაერთ მსოფლიო დონის პოლიტიკოსს პირადად ვიცნობ. ერთს დავამატებდი, მგონია, რომ ივანიშვილი სწორ დროს მოვიდა პოლიტიკაში. ის ნამდვილი ლიდერია და საწყენია, რომ მან პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, მას, ალბათ, სხვა ხედვა აქვს ამასთან დაკავშირებით.

**უშანგი რუხაძე**

**ყოფილი ხელისუფლების სკანდალურმა პატიმარმა ნორა კვიციანმა ციხე, სადაც ექვსი წელი და ოთხი თვე გაატარა, გასულ წელს, ნოემბერში დატოვა. თავისუფლების ერთი წელი, ნორა კვიციანისთვის, რომელიც ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა, ემოციურად რთული იყო – ის ორჯერ ჩავიდა მონატრებულ კოდორში, რომელსაც კოდორელებთან ერთად 14 წელი იცავდა და სადაც ცნობილი მოვლენების შემდეგ ყველაზე ძვირფასი ადამიანი დატოვა.**

# რატომ დაასაჩუქრეს კოდორში ჩასული ნორა კვიციანი აფხაზებმა ფეხსაცმლით და ვის გაუჩინეს ნევროზი მისმა მეგობარმა პატიმარმა ქალებმა ციხის გარეთ

**ნორა კვიციანი**: ერთი წელი გავიდა, რაც თავისუფალი ვარ. არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, ხედავდე შენს შვილებს და მათთან ერთად ატარებდე დღეებს პატიმრობაში უსამართლოდ გატარებული წლების შემდეგ. როცა ციხეში ვიყავი, ხშირად ვფიქრობდი ხოლმე, როგორი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა, მაგრამ, ემოციურად ეს უფრო მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის, ვიდრე მეგონა. ციხიდან ადამიანი სულ სხვანაირი გამოდის, იქიდან გარეთ ყველაფერი სხვანაირად ჩანს. მე დღემდე ახლო ურთიერთობა მაქვს ყველა იმ ქალთან, ვინც ჩემთან ერთად იხდიდა სასჯელს. ციხეში დაწყებული მეგობრობა სხვანაირია, ფრონტელი მეგობარივით არის შენი თანამოსაკნე. მე ისეთ ფეხზე გამოვედი, ჩემ შემდეგ თითქმის ყველა ქალი გათავისუფლდა. ისინი ხშირად მოდიან ხოლმე ჩემთან. ჩემი სიძე ხუმრობს: შენმა მეგობრებმა, ამ პატიმარმა ქალებმა, ჩემს ძაღლს ნევროზი გაუჩინესო ***(იცინის).*** პატიმრობიდან თავისუფლებაზე გამოსულს ბევრი რამ უძნელდება. ახლა თითქოს უფრო რთულია ის, რაც ადრე ჩემთვის ჩვეულებრივი იყო. ცხოვრების სხვა რეჟიმმა ისე ამირ-დამირია ყველაფერი, საკუთარ თავს ვიყვან ხელში, რომ არ დავკარგო ის სულიერი სიძლიერე და რწმენა, რაც ციხემ მომცა. როცა ხარ ჩაკეტილ სივრცეში, იცი, რომ იმის იქით გზა აღარაა, ერში ცხოვრება კი ისეთი რამაა, ხშირად გიწევს დგომა სასწორზე, პატარა დარღვევა და – გადაგწონის ის სასწორი. საკუთარი თავი ყოველთვის ყოჩაღი ქალი მეგონა, მაგრამ, პატიმრობამ დიდი კვალი დამამჩნია. გარეთ გამოსულს ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სხვა სამყაროში მოვხვდი. ძალიან მიჭირდა გარეთ გასვლა, არაფერი არ მახსოვდა. ქუჩებიც კი დავიწყებული მქონდა, ტაქსის რომ გავაჩერებდი, ვერ ვუხსნიდი, სად უნდა წავეყვანე, ხან ლამის ვიკარგებოდი ხოლმე. ფიზიკურადაც ვერ ვარ კარგად, დღემდე მაწუხებს მუხლები, მიჭირს მოძრაობა. ამდენი წელი გაატარო ბეტონის იატაკზე, ჩემი ასაკის ქალისთვის უშედეგოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ, ამას არ ვჩივი. თავისუფლების ფასი იმდენად დიდია, ტკივილზე როგორ დავიწუწუნებ.



**საკუთარი თავი ყოველთვის ყოჩაღი ქალი მეგონა, მაგრამ, პატიმრობამ დიდი კვალი დამამჩნია**

**– თქვენი საქმე სტრასბურგის სასამართლომდეა მისული. რა ეტაპზეა საქმის წარმოება?**

– ერთი წელი გავიდა და ძალიან მტკივა გული, რომ სამართალი ვერ ვიპოვე. მე პოლიტპატიმრის სტატუსი მონიჭებული მაქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. ორი წელი მიდიოდა ძიება ჩემს საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართული იყო სახალხო დამცველიც. სამწუხაროდ, დღეს ეს საქმე გვერდზეა გადადებული. სასამართლოში განცხადება ვერ შემაქვს, რადგან, სასამართლოში ჯერ კიდევ არაფერი არ არის შეცვლილი და, რა აზრი აქვს ამის გაკეთებას? მე შევხვდი თეა წულუკიანს, რომელმაც განაცხადა, რომ გამოითხოვდა საქმეებს, რომელთაგან ერთ-ერთი ჩემი საქმე უნდა ყოფილიყო. მე მას ვთხოვე, მოეცა გარანტია, რომ სამართალს ვიპოვიდი. როგორც ვიცი, ნოემბერში შეიქმნება ახალი საბჭო თუ კომისია, რომელიც პოლიტპატიმართა საქმეებს დეტალურად განიხილავს. ჩვენ რამდენჯერმე ჩავატარეთ პრესკონფერენცია, სახალხო დამცველმაც გააკეთა ბრიფინგი, მაგრამ, დღემდე არანაირი სიახლე არ არის ჩვენს საქმესთან დაკავშირებით. ამას ისიც ემატება, რომ მე და ჩემი შვილები – ყველა უსახლკაროდ ვართ დარჩენილნი. არც კომპენსაცია მიუციათ ჩვენი ოჯახისთვის, არც ბინა იმ რეპრესიების შემდეგ, რაც იმ მთავრობამ დაატეხა ჩვენს ოჯახს. არ ვიცი, რატომ არ ვრცელდება კანონი ჩვენს ოჯახზე, როგორც ვრცელდება სხვა დევნილებზე კოდორის ხეობიდან. მე ჩემს სახლში ვცხოვრობდი, თოთხმეტი წელი ვიცავდი იმ ხეობას, გამოვედი ციხიდან და, არც სახლი დამხვდა და ხეობაც ჩაბარებული იყო. რატომ არ უნდა მომცენ ერთი ბინა?! მე შევხვდი ლტოლვილთა მინისტრს, წერილები მაქვს გაგზავნილი ათას ადგილას, მპირდებიან, ბინები აშენდებაო, მე რა ვქნა იმ ბინების აშენებამდე? სად წავიდე?

**– ცოტა ხნის წინ ჩამოხვედით კოდორიდან, სადაც პირველად წახვედით ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. როგორ შეგხვდნენ კოდორში?**

– ციხიდან ახალი გათავისუფლებული ვიყავი, როცა პირველად ჩავედი კოდორში. მაშინ ათი დღე დავრჩი იქ, მაგრამ, ისეთი შოკირებული ვიყავი, ვერაფრის გაცნობიერება ვერ მოვახერხე. ისეთი გათიშული ვიყავი, არ მიგრძნია, სად ვიყავი და როგორ. ამას ახლა, ამ ჩასვლაზე მივხვდი. ახლა ვიგრძენი, როგორი მონატრებული მქონდა იქაურობა. მე საერთაშორისო პასპორტი მაქვს და უპრობლემოდ გადავლახე საზღვარი. გალში დამხვდნენ აფხაზები და ძალიან დიდი სიყვარულით და პატივისცემით მიმიღეს. ორი დღე-ღამე გავატარე სოხუმში, იქაური პარლამენტარებიც კი მოვიდნენ საჩუქრებით ჩემს სანახავად. ფეხსაცმელიც კი მაჩუქეს – მე ხომ დიდი ზომის ფეხი მაქვს და ჩემთვის ფეხსაცმელი იოლი საშოვნელი არაა. სოხუმში ქუჩაში მაჩერებდნენ იქაურები და ხან რას მჩუქნიდნენ, ხან – რას. მერე ავედი ხეობაში. პირველად ვნახე ჩემი შვილი, რომელიც წლებია, არ მენახა. დედისთვის ამაზე დიდი ტკივილი არ არსებობს. ერთი წუთი არ მინდოდა ჩემი შვილის დატოვება. მეხვეწა, ზღვაზე წაგიყვან, დაგასვენებო, მაგრამ, ვერ დამითანხმა – ჩემს სახლში მერჩივნა ყოფნა. მარტო დავრჩი თუ არა, „უბორკებს" შევუდექი. ისე, ბაჩო ამის გაკეთების უფლებას არ მომცემდა ***(იცინის).*** ბაჩო სულ ცდილობდა, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა, ხან რა მოჰქონდა, ხან – რა. სულ დამტრიალებდა, რომ არ გამთიშვოდა ინტერნეტი, რომ მოწყენილი არ ვყოფილიყავი და „ფეისბუქით" დავკონტაქტებოდი ჩემიანებს თბილისში. სულ სტუმრიანობა გვქონდა. ბაჩო დამდევდა: სათევზაოდ წავალ, ჩემი ხელით დაჭერილი თევზი უნდა გაჭამოო. კარგად გაუკეთებია სახლი, მიუშენებია, მოუშენებია, ბევრი ქათამი ჰყავს. დილით ადრე ვდგებოდი, ვუვლიდი ბაჩოს ეზო-კარმიდამოს, ხან ვერც კი ვიჯერებდი, რომ იქ ვიყავი და მე ვიყავი. პატიმრობისას ვერც კი წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ იქ დავბრუნდებოდი. ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, მე იქიდან ცოცხალი ვერც გამოვიდოდი. ჩხალთაში ყველაფერი ძვირფასია ჩემთვის. ბაჩო მარტო არ ცხოვრობს, ბიძა და ბიძაშვილები ცხოვრობენ მასთან ერთად. ცოლ-შვილი ჩადის ხოლმე თბილისიდან, როცა ბავშვს სკოლაში არდადეგები აქვს. ძალიან კარგი გოგოა ჩემი რძალი, ისეთი მეურნეობა გააშენა სოფელში, ციცრებიც კი ჰყავს.

**– ხეობაში როგორი მდგომარეობაა?**

– ხეობაში ყველაფერი განადგურებულია, აღარც მაღაზიაა და არც არაფერი. კოტეჯებიც დამწვარი და დანგრეულია – ჩვენებმა დაწვეს ის ყველაფერი. მთელი ინფრასტრუქტურა მოშლილია, ყველაფერი წაუღიათ. ტყუილია ის ლაპარაკი, რომ რუსულ პასპორტებს ურიგებენ. ჩემს სოფელში, ჩხალთაში, ოთხი ოჯახია დარჩენილი. მძიმე სანახავია დაცლილი და ცარიელი სოფელი. ზედა სოფლებში ოთხმოცამდე ოჯახი მაინც არის შესული. აჟარამდე ავედი, ყველა ჩემიანი ვნახე. სტუმრად მიდი-მოდიან ერთმანეთთან. ჩემი იქ ყოფნის დროს გასვენებაში ვიყავი, სოხუმიდან ბევრი აფხაზი ამოვიდა. ძალიან ეხმარებიან ერთმანეთს. ეგ კი არა, თუკი ვინმე აფხაზეთიდან თბილისში ჩამოვიდა სამკურნალოდ, ჩემი შვილი მირეკავს ჩხალთიდან და ყველას მიხედვასა და მოვლას ჩვენ გვავალებს ***(იცინის).*** უკვე ჩანს, რომ აფხაზები ჩვენ მიმართ კარგად არიან განწყობილი, მათ უნდათ მშვიდობა და ერთად ყოფნა, მაგრამ, პოლიტიკა ისეთი რამეა, ხალხის აზრი ვის აინტერესებს. გულრიფშში, დრანდაში ყველაფერი ისეა, როგორც ომის მერე იყო: სახლები დგას დანგრეული, გადამწვარი, მაგრამ, მაინც ელოდებიან პატრონს. ოჩამჩირე, აჩადარა, კინდღი სულ ცარიელია, საერთოდ არავინ ცხოვრობს. სოხუმშიც არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ, იქ კიდევ უფრო შეინიშნება სიცოცხლის ნიშანწყალი.

**– რაც ციხიდან გათავისუფლდით ნახეთ ძმა, ემზარ კვიციანი?**

– არა, სად უნდა მენახა? ემზარი მოსკოვშია, მე – აქეთ ვარ. ზოგჯერ ტელეფონით ან სკაიპით ველაპარაკებით ერთმანეთს. ემზარი გაწირა ხელისუფლებამ, რომელიც გარიგებული იყო რუსებთან. არც იმათ დააკლეს თავისი, დღემდე ჰყავთ თავიანთ ინტერესებში, ერთი საბუთი არ აქვს, რომ სადმე გავიდეს. რომ შესძლებოდა კოდორში ჩამოსვლა, ჩემზე ბედნიერი ვინ იქნებოდა? არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, იმედი მომეცა, რომ ემზარი საქართველოში დაბრუნდება. ერთხელ და საბოლოოდ დაესმევა წერტილი და სახელი დაერქმევა იმას, თუ ვინაა მოღალატე. ეს, პირველ ყოვლისა, გამოძიების ინტერესებში უნდა იყოს და ყველამ უნდა გაიგოს, სინამდვილეში რა მოხდა, ვინ იყო კოდორის და ქვეყნის მოღალატე.

**თამუნა სამადაშვილი**

# ჯანსაღი ცხოვრება, საქველმოქმედო აქცია და 1 500-ზე მეტი მარათონელი თბილისის ზღვაზე

ტრადიციულად ოქტომბრის ბოლო შაბათს „ჰაიდელბერგცემენტმა" თბილისის ზღვის ტერ-



იტორიაზე გრანდიოზული ღონისძიება – „თბილისიმარათონი" გამართა, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან ერთად, საქველმოქმედო ხასიათსაც ატარებდა. „თბილისიმარათონში" მონაწილეობდნენ, როგორც „ჰაიდელბერგცემენტის", ასევე სხვა ბიზნესკომპანიის თანამშრომლები, საელჩოებისა და სამინის-



მარიელე კარმანიოლი

ტროების წარმომადგენლები. ნახევარმარათონზე მონაწილეობისთვის დასაშვები ასაკი 16+ იყო და ყველა მსურველს, როგორც პროფესიონალს, ასევე მოყვარულებს, შესაძლებლობა ჰქონდათ სპეციალური ვებ-გვერდის საშუალებით დარეგისტრირებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ნახევარმარათონში. საბოლოო ჯამში, მსურველი 1 500-მდე ადამიანი აღმოჩნდა.

განწყობა მართლაც ყველას ძალიან კარგი და უჩვეულო ჰქონდა. დილიდანვე ხალხმრავლობა შეინიშნებოდა და ყველა მონაწილე სწორედ იმისთვის იყო იქ მისული, რომ შინ გამარჯვებული დაბრუნებულიყო. თუმცა, გამარჯვებისთვის მათ 21-კილომეტრიანი დისტანცია უნდა დაეძლიათ. მიუხედავად გამარჯვების დიდი სურვილისა, მონაწილეებისთვის მთავარი მაინც მარათონში მონაწილეობა იყო.

რაც შეეხება გამარჯვებულს, მარათონელ მამაკაცებში – გამომცემლობა „არეას" წარმომადგენელი, ანატოლი ოლენიკოვი გახდა, რომელმაც 21 კილომეტრი 1 საათში, 15 წუთსა და 17 წამში დაფარა. ქალებში კი გამარჯვებული „ბანკი რესპუბლიკას" წარმომადგენელი, მარიელე კარმანიოლი გახდა, რომელმაც აღნიშნული დისტანცია 1 საათში, 40 წუთსა და 19 წამში დასძლია. „თბილისიმარათონის" საერთო შედეგები კი ასეთია: მამაკაცებში პირველი ადგილი – ანატოლი ოლენიკოვი – 1:15:17; მეორე ადგილი – დომინიკ ბორდე – 1:16:47; მესამე ადგილი – გიორგი შეყრილაძე – 1:21:03. ადგილები ქალბატონებში შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი ადგილი მარიელე კარმანიოლ – 1:40:19. მეორე ადგილი – ფიონა ქოქსშალი – 1:49:01; მეორე ადგილი – დანიელე დუბო – 1:52:17; მესამე ადგილი – ანა გუსი – 1:53:54. საერთო მონაცემების შეჯამებით კი ყველაზე სწრაფ კომპანიებს შორის გამომცემლობა „არეა," „ბანკი რესპუბლიკა" და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო დასახელდა. გამარჯვებულები ასევე დასახელდნენ 9 საპრიზო კატეგორიაში, რომლებმაც მაღალი შედეგებით იასპარეზეს. 54 საუკეთესო მაჩვენებლის მონაწილეს მედლები, სერტიფიკატები, კომპიუტერები, ციფრული ტექნიკა და სპორტული აქსესუარები გადაეცათ.









ანატოლი ოლენიკოვი

მარათონში რეგისტრაციის თანხა 10 ლარს შეადგენდა. თითოეული დარეგისტრირებული ადამიანი ავტომატურად ქველმოქმედების მონაწილე გახდა, რადგან რეგისტრაციის დროს გადახდილი თანხა, საქველმოქმედო ფონდ „იავნანაში" ირიცხება და შერჩეული ბენეფიციარების დასახმარებლად გროვდება.

**ნინო სუზელიანი** ***(„ჰაიდელბერგცემენტის" კომუნიკაციების მენეჯერი):*** ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამგვარი ღონისძიებების ჩატარება, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და მეორე მხრივ, სოციალური პროექტების განხორციელება. თავიდანვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ სარეგისტრაციო მოსაკრებლით შემოსული თანხა გაგვეორმაგებინა და საქველმოქმედო მიზნებისთვის დაგვეხარჯა. მთავარია, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისგან მაღალი აქტივობა იგრძნობა. მაგალითად, წელს 1 500-ზე მეტი მონაწილე გვყავდა. ეს, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ თბილისის მარათონს წინ ძალიან კარგი საინფორმაციო კამპანია უძღოდა.

**მარათონში მონაწილე**: მიხარია, რომ „თბილისიმარათონში" მივიღე მონაწილეობა. მართალია, ვერ გავიმარჯვე, მაგრამ ჩემთვის მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა. თან მარათონს საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა. ეს კი ყველა მონაწილისთვის ორმაგად სასიამოვნოა.

პროექტი „ჰაიდელბერგცემენტის" ეგიდით, ასევე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის საელჩოს პატრონაჟით განხორციელდა.





**ცნობილი მსახიობი, გურამ შარაძის სიძე, თემო გოგიძე მცირე ხნის წინ შვეიცარიიდან საქართველოში ჩამოვიდა. ის „ფორმულა კრეატივმა“ მთავარ როლზე მიიწვია ახალ კომედიურ სერიალში „ნათია და ნათია,“ სადაც პარტნიორობას თათული ედიშერაშვილი უწევს. ამბობს, რომ კომედიური სერიალი მისთვის ახალია და ცოტა რთულსა და დაძაბულ რეჟიმში უწევს მუშაობა. თუმცა, ძალიან ბედნიერია იმით, რომ საქართველოში დაბრუნდა.**

# რა პირობით გამოუშვა ცოლ-შვილმა შვეიცარიიდან თემო გოგიძე და როგორ აღმოჩნდა ის კომედიურ სერიალში

**თემო გოგიძე**: „ფორმულა კრეატივი“ აკეთებს ახალ პროექტს – კომედიურ სერიალს „ნათია და ნათია“. სერიალში მთავარ როლზე მიმიწვიეს. დამიკავშირდნენ გიორგი ლიფონავა და მიშა მშვილდაძე, რისთვისაც მათ ძალიან დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა. ძალიან მიყვარს ეს კოლექტივი.

**– გიორგი ლიფონავასთან მანამდეც ბევრჯერ გიმუშავია, არა?**

– ჩვენ ერთად ვმუშაობდით „ქალალდის ტყვიაში“. დიდი ხანია, ვმეგობრობთ. მიშა მშვილდაძესთან ცოტა მოგვიანებით დავმეგობრდი. მართლა ძალიან კომფორტულად ვგრძნობ მათთან თავს და ამ ზაფხულს, მცირე ხნით რომ ვიყავი ჩამოსული თბილისში, „ჩემი ცოლის დაქალებში“ რამდენიმე სერიაში მივიღე მონაწილეობა. ტირანი ქმრის როლს ვთამაშობდი. თუ გახსოვს, „ნაფიც მსაჯულებშიც“ მკვლელის როლს ვასრულებდი. გიორგი ხუმრობდა კიდეც ამაზე. იმდენად რეიტინგულია „ჩემი ცოლის დაქალები“, ჩემი მეგობრის შვილი მეუბნებოდა: რა გინდა, მთელ ქალაქს უნდა შესძულდეო? რას იზამ, როლი როლია.

შემდეგ, უკვე ჟენევაში დაბრუნებას ვაპირებდი და გიორგიმ და მიშამ კომედიურ სერიალში შემომთავაზეს როლი. ამიხსნეს სიუჟეტი და მკითხეს, თუ დავრჩებოდი აქ, იმის გამო, რადგან პროექტი ხანგრძლივიაო. მე და რუსო, უპირველესად, მარიკუნას მოველაპარაკეთ. ავუხსენი, რომ ცოტა ხანს ერთად ვერ ვიქნებოდით. მარიმ იმ პირობით გამომიშვა, თუ მომავალში მისთვისაც მოიძებნება როლი ამ სერიალში ***(იცინის).*** ჩართულები არიან ძალიან, უყურებენ. რა თქმა უნდა, განვიცდით, ასე რომ ვართ. რუსო ხუმრობდა, შვეიცარიაში სამსახური ვერ იშოვა და საქართველოში დაბრუნდაო. მე აქ მირჩევნია ყოფნა, მიუხედავად იმ ყველაფერი კარგისა, რაც შვეიცარიის სახელმწიფომ ჩვენთვის გააკეთა. ჩემი კუთხე, ლეჩხუმი ძალიან მენატრება. თბილისის გარეშე უფრო შემიძლია გავძლო, ვიდრე ჩემი მშობლიური კუთხისა, სადაც დავიბადე და გავიზარდე. დღეს იქ მარტო დედა ცხოვრობს. როგორც კი ცოტა დრო გამომიჩნდება, სულ იქით მიმიწევს გული. თვეში 2-3-ჯერ იქ ვარ. ისე არსად არ თენდება, როგორც ჩემს საყვარელ ლეჩხუმში და არსად ისე არ მღერიან, როგორც იქ. ლეჩხუმში არასდროს არაფერი არ იყო, არც შუქი, არც გზა, არც სამუშაო... ახლა ცაგერის დეპუტატმა ავტობანი გააკეთა და 40 წუთში ავდივარ ქუთაისიდან ლეჩხუმში. ძალიან დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა ბატონ სერგო ხაბულიანს ამისთვის.

**– ჰო, მაგრამ, საქარველო რომ ღარიბი ქვეყანაა და მატერიალური საშუალება ბევრად მცირეა?**

– მაგას არ აქვს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, სლენგზე რომ ვთქვა – „პონტი“. ფული მიზანი კი არაა, საშუალებაა იმის, რომ შემოქმედებითად დავიხარჯო. თან, ასაკიც მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ გადაცემაში ვთქვი, იქ ინტეგრაცია ძალიან ადვილია-მეთქი, მე იქ დამკვიდრება მაინც ვერ შევძელი. ვიყავი მომზადებული იმისთვის, რომ იქ უნდა გამეგრძელებინა საქმიანობა. ვსწავლობდი კიდეც ფრანგულს – რთულია, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ორი კურსი დავამთავრე კიდეც. რადგანაც პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა საქართველოში და თავისუფლების სიო უბერავს, არც დავფიქრებულვარ, ისე გადავწყვიტე, აქ დაბრუნება.



**სახეს არ ჩამოვიხოკავ, თუმცა, აქტიური ვარ, ზოგადად**

**– საიდან უბერავს ეგ სიო, ჩრდილოეთიდან?**

– არა, ყველა მხრიდან უბერავს. არაა პოლიტიკა და მიტინგებზე დროშის ფრიალი ჩემი საქმე. უბრალოდ, ჩემი პოზიცია მქონდა და არც დამიმალავს. მიშას და გიორგის იმიტომ ვაფასებ, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მათთვის პირველ ადგილზე ყოველთვის პროფესიონალიზმი დგას. რა მოხდა მერე, მე მომწონს ბიძინა, შენ შეიძლება, სხვა მოგწონდეს. ეს ბუნებრივია.

**– რთულია შვეიცარიაში ინტეგრაცია?**

– არა. საერთოდ არა. ინტეგრაცია საქართველოშია რთული, თორემ იქ ისეა სისტემა აწყობილი და ისეა ადამიანის უფლებები დაცული, ამაზე არც ფიქრობ. მიუხედავად ცხოვრების ასეთი დონისა, იქ ყოფნა ჩემთვის მაინც რთული აღმოჩნდა, მარიკუნასთვის კი პირიქით – ძალიან კარგად გრძნობს თავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან უყვარს თბილისი და განსაკუთრებით ცაგერი.

**– რაღაცეებს არ გასწავლის ხოლმე?**

– როცა მარტოები ვართ, ფრანგულში მამეცადინებს. მეგობრების თანდასწრებით მაჩუმებს, მეუბნება, ნუ ლაპარაკობო. ბევრ შეცდომას ვუშვებ, თვითონ კი ძალიან კარგად იცის ფრანგული... ძალიან რთული და სპეციფიკური ენაა. გამიჭირდა სწავლა. ძალიან კარგი გოგოა მარიკუნა, საყვედური არ გვეთქმის – ადვილად აუღო იქაურობას ალღო და კარგად სწავლობს. ფრანგული სწრაფად ისწავლა და ახლა გერმანულსაც ეუფლება. მამისგან განსხვავებით, უფრო ყოჩაღი აღმოჩნდა. მე და რუსო, სანამ მარიკუნა გვეყოლებოდა, სამხრეთ ესპანეთში, მალაგაში ვცხოვრობდით 6 თვე და ძალიან მალე ავუღე ალღო ესპანურ ენას. იმიტომ რომ, გაცილებით ადვილია, ვიდრე ფრანგული.

**– ამბობენ, ძალიან ჰგვანან ესპანელები ქართველებსო.**

– აუ, ეს რაღაც სიგიჟეა. ძალიან ხმამაღლები და ტემპერამენტიანები არიან. მიდიან ქუჩაში და ერთმანეთს ხმამაღლა ესაუბრებიან. თუ ვინმე ყურს დაუგდებს, თავისუფლად შეუძლია, გაიგოს ყველაფერი, საიდუმლოც კი ***(იცინის).*** ვგიჟდები ესპანელებზე და როგორც ყველას, განსაკუთრებით ბარსელონა მიყვარს. ამ რადიკალურად განსხვავებულ, მშვიდ შვეიცარიაში სიჩუმემ „დამშოკა“. ჟენევა კიდევ ინტერნაციონალური ქალაქია და უფრო იქით, ციურიხისკენ, ბერნისკენ ყინულივით სიჩუმეა. გამიმართლა, რომ ჩემს უბანში ესპანელებიც ცხოვრობენ, იტალიელებიც, პორტუგალიელებიც და ხმაურიც ისმის.

**– პოლიტიკურ ბრძოლაში არ ებმები, მაგრამ ცხოვრებაში არ ხარ მებრძოლი და ამბიციური?**

– მე ჩემსას ყოველთვის ვაკეთებდი და გავაკეთებ. ზოგადად, მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ როლის გულისთვის ყველაფერს არ ვიკადრებ, სახეს არ ჩამოვიხოკავ. თუმცა, ზოგადად, აქტიური ვარ.

**– სერიალში ვინ არის შენი გმირი?**

– ჩემი გმირი ქართველი კაცია, უყვარს ქეიფი. ლოთი არ არის, ქეიფი უყვარს, უბრალოდ, ჰყავს ანსამბლი – შვიდკაცა „მამაპაპური“. უყვარს ცოლი, ცოლსაც უყვარს... ვერ ვიტყვი, რომ ჩემს გმირს ძალიან ვგავარ. იშვიათად ვსვამ, პრობლემა მაქვს და საერთოდ არ ვიღებ ალკოჰოლს. ძალიან ბევრი როლი მითამაშია: ნარკომანი, პოლიციელი, გიჟი, ექიმი, მაგრამ „პახმელიური მოქეიფე“ ახალი ამპლუაა. რომ არ მოგატყუო, არ ვგიჟდები ეგეთ ხალხზე. ხაში, ლუდი, ხინკალი – ჩემი სტილი არ არის. ერთადერთი, რაც ჩემს გმირში მომწონს, სიმღერაა, თორემ, სმით არ ვსვამ. სიგარეტისთვისაც რომ დამანებებინა თავი, კარგი იქნებოდა.

**– კადრს მიღმა რა ხდება?**

– აუ, გადასაღებ მოედანზე მაგრად ვხალისობთ და ეგ უფრო მომწონს, ვიდრე გადაღების პროცესი. მიშას და გიორგის არაჩვეულებრივი იუმორი აქვთ. აღმოჩენაა ჩემთვის ბატონი ნუგზარ რუხაძე – ძალიან მაგარი ადამიანია. 70 წლის არის და ჩვენ რომ ვიღლებით, ის კიდევ მაგრად დგას. ძალიან ნიჭიერი და განათლებული ადამიანია. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენს სერიალში გოგოლა კალანდაძის შვილს თამაშობს ჩემი მეგობრის, ქეთი ლოლაძის შვილი – კატო გიორგაძე, რომელიც ძალიან ნიჭიერია – არაჩვეულებრივად ხატავს, მღერის, წერს ლექსებს. დარწმუნებული ვარ, მას ძალიან შეიყვარებს ქართველი მაყურებელი. მოკლედ, იმედი მაქვს, რომ სერიალი მალე „ამოიქოქება.“ ესეც ისეთივე რეიტინგული და პოპულარული გახდება, როგორც „ფორმულა კრეატივის“ სხვა პროექტები.

**ქეთი დიდებულიძე**

წიგნების მაღაზიათა ქსელში: „ბიბლუსი“ და „პარნასი“ შეიძინეთ ვახტანგ სუთიძის შესანიშნავი თხზულებათა კრებული „დაუვიწყარი შეხვედრა“.

**წიგნის ფასია 10 ლარი**



**უპრეცედენტო მუსიკალური დაჯილდოება „ოქროს ტალღა," რომელსაც კომპანია „რადიო საქართველო" აკეთებს, გამარჯვებულებს 4 დეკემბერს გამოავლენს. მსმენელი, ისევე როგორც ნომინანტები, დიდი ინტერესით ელიან დასკვნით ნაწილს. ჩვენი რესპონდენტები კი ამჯერად მარინა ბერიძე და ლანა ქუთათელაძე არიან – „ოქროს ტალღის" ჟიურის წევრები.**

# ვისთვის არის ლანა ქუთათელაძის აზრით, დაჯილდოება „ოქროს ტალღა" წინ გადადგმული ნაბიჯი და რატომ არის მარინა ბერიძე „ფორტუნა პლუსის" მსმენელი

**– როგორი ჟიური იქნება მარინა ბერიძე?**

**მარინა ბერიძე**: სიმღერას ემოციით ვერ შევაფასებ, არ შემიძლია. ამიტომ საკმაოდ მკაცრი შემფასებელი ვიქნები.

**– როგორ შეაფასებთ დღევანდელ შოუ-ბიზნესს?**

– ჯერჯერობით სტაგნაციაა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველა რაღაცისთვის ემზადება, რაღაც ნაბიჯების გადასადგმელად. ძალიან ბევრი მუსიკალური პროექტი გადის ტელევიზიით. მიმდინარეობა წავიდა ისეთი, რაც უფრო ხმამაღლა მღერი და მაღალ ბგერას იღებ ფორტეზე, ბევრად უფრო მეტი ტაში აქვს მომღერალს. ჩემი აზრით, ეს ტენდენცია აუცილებლად შეჩერდება, რადგან ვერც მსმენელი და ვერც ჟიურის წევრი ველარ გაუძლებს გაუთავებელ ფორტეზე ნამღერ სიმღერებს. სამწუხაროდ, დღეს ქართული სიმღერა თითქმის აღარ იწერება, თვალსა და ხელს შუა გაქრა. მერწმუნეთ, ვერასოდეს ვიმღერებთ ვერც ერთ უცხოურ სიმღერას უცხოელ შემსრულებლებზე უკეთ. ჩვენ ეს იმისთვის გვჭირდებოდა, რომ მოგვხმარებოდა ქართული სიმღერის შესრულებაში. დღეს შოუებს რომ ვუყურებ, უკვე მომღერლები არაქართული ხმით მღერიან, რადგან ვიღაც მომღერლებს ბაძავენ, რაც აუცილებლად ძალიან ცუდ შედეგს მოგვცემს. ეს ყველაფერი კი მაშინებს და მაღელვებს, მაგრამ ცხოვრებიდან გამომდინარე, კარგი მსმენელი გავხდი. როდემდე ვიქნები ჩუმად როგორც მსმენელი, ესეც არ ვიცი. ალბათ, მსმენელსაც აქვს რაღაც უფლებები, რომ თქვას, რა მოსწონს და რა არ მოსწონს.



**– თავად თუ ხართ რადიოს მსმენელი და კომპანია „რადიო საქართველოს" რომელ რადიოს უსმენთ?**

– რადიოს მხოლოდ მანქანაში ვუსმენ, როცა გადავაადგილდები. ვუსმენ რადიო „ფორტუნა პლუსს."

**– „ფორტუნა პლუსს" რატომ?**

– იმიტომ რომ, უნდა ვიცოდე რა ხდება ახალი მუსიკალური თვალსაზრისით მსოფლიოში, მაინტერესებს.

**– როგორ ფიქრობთ, ისეთი დაჯილდოება, როგორიც „ოქროს ტალღაა," წაადგებათ მომღერლებს, კომპოზიტორებს, ავტორებს და ასე შემდეგ? იქნება თუ არა ეს მათთვის წახალისება?**

– ეს ყველაფერი შედეგზეა დამოკიდებული. დაჯილდოების სახელწოდებიდან გამომდინარე, საკმაოდ ხმამაღალი განაცხადია. მის მონაწილეებს და თავად „ოქროს ტალღას" ვუსურვებდი, რომ აუცილებლად კარგი რეზულტატი ჰქონდეთ, სწორედ ისეთი, რაც მისაღები იქნება გარკვეული ნაწილისთვის მაინც. ჩემი სურვილი იქნება, მთლიანად მსმენელის გემოვნებას ნუ დაემორჩილებიან. შეპარულად მაინც უნდა ვაკეთოთ ღირებული მუსიკის პროპაგანდა.



**ლანა ქუთათელაძე**: „ოქროს ტალღა" და ყველა მსგავსი ღონისძიება გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯია შოუ-ბიზნესისთვის და მეტი სტიმული ყველა მომღერლისა და კომპოზიტორისთვის, რათა თავიანთი შემოქმედება განავითარონ. როგორც ჟიურის წევრი, მკაცრი ალბათ არა, უფრო ობიექტური შემფასებელი ვიქნები.

**– როგორია თქვენი აზრი ქართულ შოუ-ბიზნესთან დაკავშირებით? მომღერლები ხშირად ამბობენ, გასაქანი რომ ჰქონდეთ, გაცილებით მეტს გააკეთებდნენ.**

– ჩემთვის, შოუ-ბიზნესი პრობლემის თვალსაზრისით, ორ ნაწილად იყოფა. მომღერლების მხრივ არანაირ დეფიციტს არ განვიცდით, პირიქით, მგონი, ამდენი კარგი მომღერალი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს. ჩემი აზრით, ძველ თაობას ახალ თაობასთან შედარებით, ძალიან გაუმართლა, რადგან მაშინ კომპოზიტორები იყვნენ, რომლებიც არაჩვეულებრივ სიმღერებს ქმნიდნენ. ახალი თაობის მომღერლებისთვის კი ყველაზე დიდი დეფიციტი სწორედ პროდუქტია, რადგან ახალი სიმღერები არ იწერება. გამომდინარე აქედან, მომღერლები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. დღეს თითქმის არც ერთ მომღერალს არ აქვს საკუთარი რეპერტუარი, რომელსაც კომპოზიტორები ქმნიან. ამ მხრივ თუ არ გამოსწორდა სიტუაცია, მალე ნამდვილად ჩიხში აღმოვჩნდებით.

**– ანუ, მიგაჩნიათ, რომ დაჯილდოება „ოქროს ტალღა" იმაშიც შეუწყობს მომღერლებს ხელს, რომ მისი დასრულების შემდეგ, თუნდაც ერთი კარგი ქართული სიმღერა შეიქმნას?**

– რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია. ნებისმიერ სფეროს სჭირდება სტიმულირება როგორც მორალური, ასევე ფინანსურიც. თუ მსგავსი დაჯილდოებები, ფესტივალები და სხვადასხვა ღონისძიება ხშირად ჩატარდება, მეტი მოტივაცია ექნებათ ამ ადამიანებს, უკეთესი სიმღერები შექმნან.

**– კომპანია „რადიო საქართველოზე" რას გვეტყვით?**

– კომპანია „რადიო საქართველოს" გულშემატკივარი და მსმენელი ყოველთვის ვიქნები, რადგან მასთან ძალიან ბევრი მაკავშირებს. როდესაც ეს რადიოკომპანია იქმნებოდა, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი და წამყვანი ვიყავი. ძალიან მიყვარს და მიხარია, რომ ის წლების განმავლობაში მხოლოდ ერთი რადიოთი არ შემოიფარგლება და ფართოვდება და ფართოვდება.

**– რას უსურვებთ „ოქროს ტალღას?"**

– უპირველესად, იმას ვუსურვებ, რომ ღირსეული გამარჯვებული გამოავლინოს, რადგან მსგავს კონკურსში ღირსეული თუ არაა, მისი გამარჯვება ძალიან ცუდია. ეს სტიმულს დაუკარგავს იმ მომღერლებსა და კომპოზიტორებს, რომლებიც გამარჯვებას იმსახურებენ. ამიტომ, დაჯილდოება წარმატებული რომ იყოს, პირველ ყოვლისა, უნდა გაიმარჯვოს ღირსეულმა და იმედი მაქვს, ჟიურის შემადგენლობაც შესაფერის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**მარიკა ხიდურელი**



# ბრძნული აზრები

**ჰარტმანი**: ალღო ნიშნავს ისეთ მიზანსწრაფულ მოქმედებას, როცა ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს, რა არის მიზანი.

**ჰიუგო**: აზროვნება ინტელექტის მუშაობაა, ხოლო ოცნება – მისი სიამოვნება.

**ფრანკლინი**: ყველა წამალზე უმჯობესია დასვენება და თავშეკავება.

**ფოიერბახი**: თუ გსურს, შეიცნო ადამიანი, შეიყვარე იგი.

**ბალზაკი**: ორ ადამიანს შეუძლია ერთმანეთის გადარჩენა იქ, სადაც ერთი იღუპება.

**რიხნერი**: ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა დედამიწაზე, რომელმაც იცის, რომ უნდა მოკვდეს.

**რუსო**: ადამიანო, ნუ ეძებ ბოროტების მიზეზს. მიზეზი შენ ხარ!

**ლინე**: ბუნება არავითარ ნახტომს არ აკეთებს.

**კანტი**: გამოცდილება არის გაგებული დაკვირვება.

**ნარი**: გაჭირვება არის არსებობა საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ.

**მესტრი**: გემოვნება მშვენიერების სინდისია, ისევე, როგორც სინდისი არის სიკეთის გემოვნება.

**ემირსონი**: გმირი ის არის, ვინც ჩვეულებრივ მამაკაცზე ხუთი წუთით უფრო მეტხანს არის მამაცი.

**დემოკრიტე**: არა სიტყვა, არამედ, უბედურება არის ჭკუის მასწავლებელი ბრიყვთათვის.

**სეგიური**: ცილისწამება იარაღია შურისა.

**ბეკონი**: ადამიანის ცოდნა და ძალოვნება ერთი და იგივეა.

**ლაბრიუიერი**: ყველა ადამიანის ჭკუა ერთად აღებული, ვერ უშველის იმას, ვისაც თავისი ჭკუა არა აქვს.

**ფროსტი**: დიპლომატია ხელოვნებაა – აიძულო სხვა, შენი გზით იაროს.

**ლესინგი**: ყველა როდია თავისუფალი, ვინც საკუთარ ბორკილებს დასცინის.

**დიდრო**: დიდი უგუნურებაა მორალში ჩავარდნა, როცა საქმე ისტორიულ ფაქტებს ეხება.

**ლაშოსე**: იმედები იმ სიკეთეებს ცვლიან, რომლებსაც ის გვპირდება.

**გოეთე**: იყავი დინჯი, იკმარე მცირე და მოიშალე მაღლა ყურება!

**დოსტოევსკი**: თავისუფლება თავის არშეკავებაში კი არ არის, არამედ საკუთარი თავის ფლობაშია.

**ლაო ძი**: ჭეშმარიტი სიტყვა არ არის ლამაზი. ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი. ზნემაღალი კაცი არ დავობს. ვინც დავობს, არ არის ზნემაღალი. ბრძენი სიბრძნეს ფლობს და დუმს; უმეცარი – უმეცრებას ფლობს და ქადაგებს.

**განდი**: გაცვეთილი გზით სიარული კი არ არის ზნეობრივი მოქმედება, არამედ ის, რომ თვითონ შეგვეძლოს მართალი გზის პოვნა და უშიშრად მივყვეთ მას.

**პლატონი**: ვისაც ერთგულების ფიცი არ დაუდევს, ფიცს არასოდეს დაარღვევს.

**იანგი**: უაზროდ დაკარგული დრო – არსებობაა, აზრიანად დაკარგული – ცხოვრება.

**ფულერი**: ყველანაირი დიდება საშიშია: კეთილი – შურს აღვივებს, სულელური კი – სირცხვილს.

**მენკენი**: უცოლოები უკეთ იცნობენ ქალებს, ვიდრე ცოლიანები, ასე რომ არ იყოს, ისინიც დაქორწინდებოდნენ.

**დიუმა მამა**: ბრძენი ქალის გამოცდას არ შეეცდება.

# თუ გამოიცნობთ

1. 1614 წელს ის ერთ ბოთლ ვისკიდ და ერთ აცმა ფერად მძივად იყიდეს, ახლა კი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ყველაზე ცნობილი ქალაქის ყველაზე პრესტიჟული უბანია, სადაც დიდი ფული ტრიალებს. **რომელი?**

2. შუა საუკუნეების ევროპულმა კულტურამ ძალიან ცნობილი არქიტექტურული ძეგლები დაგვიტოვა, თუმცა, მათ შორის არ არის მეათე საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული. **რატომ?**

3. მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში მიიღეს პარიზის რეკონსტრუქციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, ხელუხლებლად დაეტოვებინათ მხოლოდ პარიზის ცენტრი. ქალაქის დანარჩენი ტერიტორია კი ფართო, ნათელი პროსპექტებითა და მაღალი სახლებით შეიცვლებოდა. რეკონსტრუქციის მიზანი იყო არა პარიზელების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, არამედ, ქალაქის განაშენიანება ისე, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ქუჩებში... **რა?**

4. პირველი ელექტროხაზების გაყვანამ ზოგან საინტერესო ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია – ამოწყდნენ დათვები. **რატომ?**

5. ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა გოიამ აღწერა მადრიდის ქუჩებში მხატვრული ნაწარმოების შეფასებისა და გაყიდვის იმდროინდელი სისტემა. ამ კრიტერიუმებით, რემბრანდტის „ავტოპორტრეტი სასკიასთან ერთად," დღეს ორჯერ ძვირი ეღირებოდა, ვიდრე ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა"; რაფაელის „სიქსტის მადონა" – რემბრანდტის აღნიშნულ ნახატზე სამჯერ, ხოლო „მონა ლიზაზე" ექვსჯერ მეტი. **რის მიხედვით ფასდებოდა სურათები?**

6. **რომელ** სამ კომპოზიტორს უწოდებენ ევროპაში „სამ უდიდეს ბ-ს"?

7. ძველბერძნულ ხომალდებზე – ტრიეტრებზე, ეკიპაჟში მეხოფეებთან, მეზღვაურებთან, მეომრებთან და მეთაურებთან ერთად, შედიოდნენ, აგრეთვე, ფლეიტისტები და მედოლეები. **რას აკეთებდნენ ისინი გემზე?**

8. ავსტრალიაში გამოიგონეს სარკე, რომლის ზედა ნაწილი, ჩვეულებრივ, ბრტყელია; მეორე კი – ამობურცული, რომელიც სხეულს გაცილებით დავიწროებულს, გამხდარს აჩვენებს. **ვინ და რისთვის გამოიყენებენ ასეთ სარკეებს?**

9. **დაასახელეთ სამი უცნობი,** რომლებსაც სახელები ფრანგმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა რენე დეკარტმა დაარქვა.

10. ისინი სულ 54-ია. ძველმა ბერძნებმა 7 მათგანი იცოდნენ, არაბებმაც – ამდენივე. საქართველოს ერთი მათგანი ესაზღვრება, სომხეთს – არც ერთი. **რა?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ამერიკელები 1929 წლის 29 ოქტომბერს „შავ სამშაბათს" უწოდებენ – ამ დღეს ნიუ-იორკის ბირჟამ კრახი განიცადა და „დიდი დეპრესია" დაიწყო.

*1936 წლის ოლიმპიური თამაშების პრეტენდენტები გახდნენ ბერლინი და ბარსელონა. ბარსელონელებმა ალტერნატიული ოლიმპიადის ჩატარება გადაწყვიტეს და მიიწვიეს 30 ქვეყნის 3 600 სპორტსმენი, რომლებმაც უარი თქვეს ფაშისტურ ბერლინში გამგზავრებაზე. მართალია, პროექტი ვერ განხორციელდა, მაგრამ, ამ ოლიმპიადისთვის შექმნილი ჰიმნი, როგორც „ინტერნაციონალური ბრიგადის ჰიმნი," მსოფლიოში პოპულარული გახდა.

*1933 წლის 14 აპრილს ჯონ მაკეი ცოლთან ერთად სეირნობდა ტბის ნაპირას. აქ მან დაინახა ის, რაც დღესდღეობით თავის მსგავსთა შორის ყველაზე პოპულარულია, თუმცა, მეცნიერები ამბობენ, რომ ის არ არსებობს – ტბის ურჩხული ლოხ ნესი.

* მსოფლიოში ველოსიპედის 900 მილიონამდე მოქმედი ეგზემპლარია და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით – ჩინეთში, თუმცა, არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის გამო, არამედ, იმიტომაც, რომ ტრანსპორტის ეს სახეობა აქ საკმაოდ პოპულარულია.

* დასავლეთის საქმიან წრეებში შვეიცარიის ბანკების თანამშრომლებს „ჯუჯებს" უწოდებენ.

* რახმანინოვის ხელის მტევანი 12 კლავიშს სწვდებოდა.

* ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებთა წარმოდგენით, ადამიანები აბელის შთამომავლები არიან, ხოლო ელფები – კაენის.

* 1957 წელს ამერიკელების მიერ აგებული ანტარქტიდის ბაზა „ამუნდსენ-სკოტი" დრეიფის გამო სამხრეთ პოლუსს დაშორდა; ამიტომ, ამერიკელები იძულებულები გახდნენ, 1975 წელს იმავე სახელწოდების ახალი ბაზა აეშენებინათ.

* ჩინელი ქალები პირში წყალს იგუბებდნენ, რომ ლაპარაკის დროს ბულბულის ხმა გამოეცათ.

* წებოვანი ლენტი (სკოჩი) თავდაპირველად საავტომობილო ქარხანაში გამოიყენეს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლd1-h5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– მარო, მიტუსასთან გადავალ, პატარა სალაპარაკო მაქვს, საღამოსთვინ მოვალ...




– წადი, ოღონდა, მთვრალი არ მობრუნდე, იცოდე!
– ოო, მაშინა, ზეგ დავბრუნდები...

***

– გავიგე, ისრაელიდან ყოველთვე პასილკას და ფულს იღებ...
– ხო, ეგ კაცი მეორე მსოფლიო ომის დროს მამაჩემმა ფაშისტებისგან იხსნა...
– ვაა, მაგარია, მაგრამ, რამდენი წლისაა, რამდენ ხანს გაქაჩავს?
– მომავალზეც ვიფიქრე, ძმაო – ახლა მე ვმალავ... ჩინელს.

***

თვითმფრინავი 700 მეტრ სიმაღლეზე მიფრინავს, უცებ უწონასწორობა დაკარგა... 5 წუთის შემდეგ ეკიპაჟის მეთაური აცხადებს:
– პატივცემულო მგზავრებო! ბოდიშს გიხდით დისკომფორტისთვის. სტიუარდესამ შემთხვევით ცხელი ყავა გადამასხა... რომ განახათ, რას ჰგავს წინა მხარეს ჩემი შარვალი...
– შენ ჩემი შარვალი უნდა ნახო... უკანა მხარეს...

***

– გოგონებს უნდა ახსოვდეთ, რომ, თუ ვაჟებს დიდხანს აწვალებენ, მათ ეგრეთ წოდებული „მოსწავლის" ასაკობრივი სინდრომი განუვითარდებათ.
– რა სინდრომი?
– როდესაც მშობლებს დიდი ხნის განმავლობაში სთხოვთ ველოსიპედს... ბოლოს და ბოლოს კი გიყიდიან, მაგრამ, თქვენ უკვე როლიკები გინდათ.

***

„მარშრუტკაში" გოგონა ავიდა. მიიხედ-მოიხედა – თავისუფალი ადგილი არ არის.
– მოდი, მუხლებზე ჩამომიჯექი, – შესთავაზა ახალგაზრდა მამაკაცმა.
გოგო დაფიქრდა და ჩამოჯდა. კაცი განითლდა და შეიშმუშნა.
– რა გაქვთ შარვალში? მერჭობა! – ეკითხება გოგონა.
– სანთებელა, – არ დაიბნა კაცი.
უცბად გოგოს მეზობელი სკამზე მჯდარი 80 წლის მოხუცი ეძახის:
– მოდი, შვილო, ჩემთან ჩამოჯექი, მე კარგა ხანია, აღარ ვეწევი.

***

გამოცდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:
– თქვენ ფერმერი ხართ და მოსავალი არ მოგივიდათ. რა ობიექტურ მიზეზებს დაასახელებთ, თავს რით იმართლებთ?
– გვალვა, სეტყვა... მოკლედ, უამინდობა.
– ახალს ვერაფერს იტყვით?
– დათესვა დამავიწყდა...

***

– კი მერიდება, მაგრამ, შენ რომ სამსახურში ხარ, შენს ცოლთან კაცების რიგი დგას.
– ვიცი, მაგრამ, რა ვქნა?
– გაეყარე მაგ კახპას!
– და მერე რიგში ჩავდგე, არა?!

***

– საყვარელო, რას ფიქრობ სტრუქტურიზებულ ნახშირბადზე?
– იცი, რას გეტყვი? თავი მომაბეზრე შენი ინტელექტით... წადი, რა, მაგ შენს სტრუქტურიზებულ ნახშირბადთან ერთად...
– ოკეი, გასაგებია, ესე იგი, ბრილიანტის ბეჭედზე უარს ამბობ...

***

– შვილო, ვერ ხედავ, რომ ეს ბიჭი ელამია, კოჭლობს კიდეც...
– ლამაზი ქმარი არც მჭირდება...
– შენზე არ ვამბობ... ცოდოა, ხედავ, ბედისგან ისედაც დაჩაგრულია და შენი დამატება რაღა საჭიროა...

***

კაცი შევიდა საადვოკატო ბიუროში „მალანია-ზესელია-ჯიჯელავა-წულაია-სანაია-ჯამასპიშვილი" და ითხოვს, რომ მისი საქმე ჯამასპიშვილს ჩააბარონ.
– რატომ მაინცდამაინც ჯამასპიშვილი და არა სხვა? – ეკითხება მდივანი.
– იცით, მე მჯერა მისი შესაძლებლობების – ისეთ კომპანიაში შეძვრა, რომ, წესით, დიდი ნიჭისა და უნარის მქონე უნდა იყოს...

***

დედა და მამა სტუმრად წავიდნენ და მკაცრად გააფრთხილეს შვილი:
– მარტო რჩები. არ გაბედო და მამაშენის




კაბინეტში არ შეხვიდე, წიგნის კარადაში მეხუთე თაროდან მეშვიდე წიგნი არ ჩამოიღო და განსაკუთრებით, არ წაიკითხო 27-დან 102-ე გვერდამდე...
გვიან დაბრუნდნენ. შვილი ისევ კომპიუტერთან მჯდარი დახვდათ – არც ამან უშველა...

***

გზაზე „მერსედესი" „გაშეშდა". მაშინვე საცობი გაჩნდა და ყველამ სიგნალი ჩართო. „მერსედესიდან" მაგარი ნაშა გადმოვიდა, მივიდა მის უკან მდგარი მანქანის მძღოლთან და ეუბნება:
– ახალგაზრდა, მოდი, გაიგე, რა სჭირს ჩემს მანქანას, მანამდე კი შენს მაგივრად მე დავაპიპინებ...

***

თუ არ იცით, რა უყიდოთ ქალს, დაურეკეთ, უთხარით, რომ საჩუქარი უკვე უყიდეთ და, შესთავაზეთ, გამოიცნოს; ჩამონათვალში კი თავად ამოარჩიეთ... თუ რამის ყიდვის შესაძლებლობა გაქვთ.

***

– დილით გავიღვიძე და... შენ არ ხარ. სად იყავი?
– შენ სად გაიღვიძე?

***

ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს... ფსიქოლოგი ლაპარაკობს:
– ჩხუბის შემდეგ წყვილის შერიგების სხვა-




დასხვა მეთოდი არსებობს: შოპინგი, საჩუქარი, სასიამოვნო სიურპრიზები... სექსი – ბოლოს და ბოლოს...
ქმარი: გესმის? სექსიო...
ცოლი: ბოლოს და ბოლოსო და არა თავიდანვე და არც ყველაფრის ნაცვლადო!

***

თუ გინდათ, ქალის განცდები და ყველა ტკივილი ნათლად შეიგრძნოთ, წარმოიდგინეთ, რომ წინ გიდევთ ფრჩხილის წითელი ფერის ლაკის 10 ტონალობა და არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც თქვენ გჭირდებათ...

***

მალე დადგება დრო, როდესაც ძალიან ადვილად გამოარჩევ ჭკვიან გოგონებს ლამაზებისგან: ცივ ამინდში ჭკვიანები ქუდით დადიან, ლამაზები კი ვარცხნილობას ინარჩუნებენ...

***

– მინდა გითხრა, რომ ჩემი ერთადერთი ნაკლი ფეხებგაღუნული, მსუქანი ცოლია...

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მ ი ი ღ ე თ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## „გაცოფებული" ქმრისა და მისი ყველა სურვილის შემსრულებელი ცოლის ამბავი

ზოგადსაკაცობრიო მოსაზრება-თეზა – „ძაღლი ადამიანის მეგობარია", სულიკო ტორონჯაძისთვის სრულიად საპირისპირო გამოდგა.

გვარიანად შეჟუჟუნებული რომ ბრუნდებოდა საღამოს სახლში, პირდაპირ თავის სადარბაზოსთან უკბინა ძაღლმა, მაინცდამაინც, ფეხის „განაპირა" კოჭზე.

სულიკო მთვრალი იყო, შტერი კი არა. გაახსენდა – მთვრალზე ცოფი მალე ვრცელდებაო და პირი იბრუნა. იბრუნა და დისპანსერში „ჩაუშვა" ძაღლი ექიმ ჯიბილო ლაბაძესთან – ბოროტი განზრახვით მიკბინაო.

ექიმმა ძაღლი მოითხოვა – შევამოწმებთ, ცოფი ხომ არ აქვსო. იმანაც, „გაბაწრული" მიიყვანა საწყალი „ბომჟი" ძაღლი ექიმთან... მოკლედ, როგორც ხდება, რა...

– დაელოდეთ, პასუხს რამდენიმე დღეში გაცნობებთ, – უთხრა ექიმმა და ესეც დაიმედებული მოვიდა სახლში. მოვიდა და ცოლთანაც ჩაუშვა ის საცოდავი მაწანწალა.

– აბა, მაჩვენე, სად გიკბინა? – დაინტერესდა ცოლი – ლოლა.

– აგერ, ა! – ტუფლიდან ამოიღო ფეხი სულიკომ. ა, ნახე აგერ!

– დედააა! – შეიცხადა და რა შეიცხადა ლოლამ, – დედა, ეს რა უქნია იმ საზიზღარს, გუშინ ნაყიდი ნასკი არ გამოუბდღვნია სულ?! არა, ეს აღარ ჩეიცმება!

– ქალო, ნასკს ჯავრობ შენ?! ცოფი გექნებაო – ექიმმა... არაფრით შენი გაბრაზება არ იქნებაო. შეიძლება, ცოლ-შვილიც დაცოფოო, აპა!

– ვაიმე, შვილებო! – აფუსფუსდა ლოლა, – ტარიელ, ლელა, კოწია... არ ამოხვიდეთ ჯერ სახლში, მამა ცოფდება, შვილებოოო! კიდევ რაო, ექიმმა?

– რაო და, თუ რამეზე გაბრაზდი, შეიძლება, ცოფმა იმატოსო. ვაი!

– შენც, არ გაბრაზდე... ჩვენ მოგიფრთხილდებით... ნუ გეშინია, კაცო, ნუ! – მხარში ამოუდგა ცოლი-ლოლა, – აგერ არ ვართ?!

დილაა და პახმელიაზეა დაკბენილი.

– ჰღღრრრ! – დაიძახა ლოგინიდანვე.

ლოლას ტანში გაცრა.




– რა იყო, სულიკო?

– სულიკო კი არა, ჰღღღ! სულეიმანი დამიძახე! ე!

– ვაიმე, გაცოფდა! ასე იწყება ალბათ, – აკანკალდა ქალი.

ლოლა, კაი 20 წელი იყო, აღარ იწვა ქმართან, ცალკე ეძინა „გადაგრილებულს" და, ქმრის ამ ჰღღ-ზე ემოციები მოეძალა. ჩავიდა ეზოში, უშველებელი ჯოხი გამოთალა, ზურგსუკან მიმალა და ისე შევიდა ქმრის ოთახში – რა იცი, რას იზამს, ამით მოვიგერიებო.

– რა გინდა, სულეიმან-აღა?

– ხაჭაპური – თანთქალა და ცხელი...

– ახლავე, საყვარელო, ოღონდ შენ არ გაცოფდე....

გავარდა საწყალი ბაზარში, მიდგა-მოდგა და ცხიმში აჭიპჭიპებული ხაჭაპურები დაულაგა თანამეცხედრეს.

– ალო, ლევიკო, მოდი, ხაჭაპურზე გეპაიჯები! – გადაურეკა ძმაკაცს სულიკომ.

– აღარ. პივა წამოაყოლე!

მეორე დღეს ლოლა უცნაურმა ხმამ გააღვიძა: „ყმუუ, ყმუუუ-ჰავ!!!" ფრთხილად შეაღო ქმრის ოთახის კარი (ჯოხი ისევ ზურგს უკან აქვს – რა იცი, რა მოხდება?!).

– ხინკალი მიახვიე, ქალო. ოცდაოთხნაოჭიანი, თვარა, ცოცხლად შეგჭამთ... ვაიმე, ვცოფდები, მგონი, ნელ-ნელა! ჩემო ლოლა, მე კი არ მინდა, მარა...

გავარდა ლოლა ბაზარში, იყიდა კაი ფარში და ავარდა ოხშივარი სამზარეულოში.

– ალიკ, მოდი, ცხელი ხინკალი არ გევასება? – ურეკავს „დაკბენილი" ძმაკაცს, – ოღონდ, არაყი გამოაყოლე,

მესამე დღეა და – ისევ...

მეოთხე დღეს ლოლიტამ ქმრის ტანისამოსის წესრიგში მოყვანა გადაწყვიტა – მართალია, დაკბენილია, მაგრამ, ტიტველი ხომ არ ივლისო და, სანამ სულიკო „ღმუ-ღრრ"-ს დაიძახებდა, საქმეს შეუდგა.

არ დასცალდა...

– ღრრ! ღრ!!!

– რას ინებებთ, სულეიმან ბატონო? – გასძახა შორიდან.

– ქაბაბი, ქაბაბი... შენ არ იცი, ნამდვილი ქაბაბი სად კეთდება?

– ვიცი, ვიცი, – უგულისყუროდ შეეხმიანა ცოლი და კოსტიუმის ჯიბეში პატარა, სულ პატარა ფურცელი „დაჩითა". ცოლი იყო, უფლება ჰქონდა, ამოიღო, გაშალა და წაიკითხა: „ცოფი არ დადასტურდა".

– ჰღრრრ! – ისევ მოისმა ქმრის ხმა.

აღმოსავლურ ბრძოლებში რომ იყენებენ, ზუსტად ის, ადრე გამოთლილი ჯოხი მოიგდო ხელში ლოლამ და, დასცხო და დასცხო?! ვის და – ქმარს; რა და – ჯოხი. საწყალ სულიკოს გაკვირვებაც არ აცალა, მოუნაცვლა და მოუნაცვლა.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## როგორ მიიღო მონაწილეობა ჩინელმა ბიჭმა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, რაც საქართველოს მოქალაქე გავხდი, პირველად ვიყავი არჩევნებზე და ამ წერილში ამ ამბებს მოგიყვები.

საქართველოში, მე მგონი, ყველაზე ხშირად არის არჩევნები, ვიდრე სხვა დანარჩენ ქვეყნებში. აქ მუდმივად აგინებენ თავის არჩეულ მთავრობას და ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად შეცვალონ სხვა მთავრობით. ყოველ არჩევნებზე თურმე ცემა-ტყეპა და ლანძღვა-გინება ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. თუმცა, მე გამიმართლა და ეს პირველი არჩევნები იყო, რომელმაც ყველაზე მშვიდად ჩაიარა საქართველოს ისტორიაში. თორემ ხომ ვიცი ამათი ამბავი, ასი ქართველი რომ ეჩხუბებოდეს ერთმანეთს, ჩინელს დაინახავენ თუ არა მაშინვე ყველაფერს იმას აბრალებენ. ალბათ, მე მეჩვენება ამდენი აქციების შემყურეს, რომ ხშირადაა არჩევნები, თორემ ისე, საერთოდ ორგვარია – საპარლამენტო და საპრეზიდენტო. სხვა სახისაც არის, მაგრამ ქართველებს ყველაზე მეტად ეს ორი უყვართ. ამჯერად საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

საქართველოში არ არსებობს, რომ კანდიდატებმა თანაბარი, ან მეტ-ნაკლებად თანაბარი ხმები მიიღონ. აქ ყოველთვის ძალიან დიდი უპირატესობით იგებს ვიღაცა.

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მ ი ი ღ ე თ**

# ტაიქოლდი

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ჩვენი საარჩევნო უბანი, ძველ სპორტულ დარბაზში იყო გამართული, სადაც მტვრის, სიძველისა და ჭუჭყის სურნელში გახვეულიყო, გახეულ ბატუტსა და ჩამომტვრეულ სავარჯიშო კიბეს შორის მდებარე, მთლად ახალი საარჩევნო ურნა. კაბინაში შესულმა საპრეზიდენტო კანდიდატების რაოდენობას რომ დავხედე, ძალიან დავეჭვდი, კანდიდატი უფრო მეტი იქნებოდა თუ ჩვენს უბანზე ამომრჩეველი. 30-მდე ადამიანს შორის უნდა ამოგერჩია ქვეყნის პრეზიდენტი. ნახევარზე მეტის სახელი და გვარი ცხოვრებაში არ გამეგო და თუ სიმართლე გინდა, დედა, მე სულ სამს ვიცნობდი და ისიც ტელევიზიიდან. ამ სამიდან ერთ-ერთი შემოვხაზე და ამომრჩევლის მოლოდინში მთვლემარე მოხუცმა დამკვირვებელმა, უფლება მომცა, კონვერტი ურნაში ჩამეგდო. „რაო ბრუსლი, მაო ძედუნი შემოხაზე?" - გაიკრიჭა უკბილო პირით დამკვირვებელი და სხვა დანარჩენმა მოხუცებმაც ბანი მისცეს. ეტყობა, მართლა დემოკრატია მოდის საქართველოში, დედა, თორემ ადრე – „არ შეგვჭამეს ამ ჩინელებმათი" იწყებოდა და „გამოაცალეთ თორემ მოკლავს, ჩინელიც ადამიანიათი" მთავრდებოდა ხოლმე ასეთი სიტუაციები.




მოკლედ, ჩავამთავრეთ არჩევნები, დედა. პრეზიდენტი გახდა კაცი, რომელსაც შარშან არავინ იცნობდა და აირჩიეს იმ კაცის რეკომენდაციით, რომელიც შარშანწინ გამოჩნდა პირველად. აი, ასეთი მიმნდობი და ალალი ხალხია ქართველები, დედა. საქართველოში ნებისმიერ ადამიანს აქვს პრეზიდენტობის შანსი, პროფესორებით დაწყებული ფსიქიკურად დაავადებულებით დამთავრებული. ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. მომიკითხე ყველა.

**გკოცნით, თქვენი**
**ტობი ვონგი**

ISSN 1987-569X



გვ. 22

რით მონუსხა ნინო წიკლაურმა მომავალი მეუღლე და რომელ რუს ოლიგარქს გაჰყვა ის ცოლად



გვ. 18

რა სკანდალური ნახატი აჩუქა მამუკა გიორგაძემ ბიძინა ივანიშვილს და როგორ შეირთო მან ცოლად ჯონ ტრავოლტას პირადი ინსტრუქტორი



გვ. 71

რის კეთებას აიძულებენ ელენე მინდორაშვილს და რამ გახადა თავდაჯერებული მარიამ ალხაზაშვილი

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი –

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №45 (671) * 4 – 10 ნოემბერი *

www.tbiliselebi.ge